ზაზა შათირიშვილი

ექვსი ხვეული სულიერი

რომანი

„მერანი“

თარგმანი გწრ.ა.მ გათ'ი.ა.ზ.ვ.ი.ლ.ი.ს.ა

საბაჰათინ ალი

1907—1948

ჩვენ ვიდექით ბოსფორის სანაპიროზე და გავცქეროდით მარმარილოსა და შავი ზღვების დამაკავშირებელ სრუტეს. სტამბოლი ფუსფუსებდა. ქუჩებში აჩქარებით მიმოდიოდნენ ლიმუზინები. ჩვენი დღეების სტამბოლი არაფრით არ ჰგავდა საბაჰათინ ალის მიერ აღწერილს, მაგრამ ქუჩაში ჩავლილ ყოველ ახალგაზრდას შორის მე მაინც მაჯიდესა და ომერს დავეძებდი.

აზიზ ნესინი, ცნობილი თურქი მწერალი, სრუტეს გასცქეროდა. ის-ის იყო, საბაჰათინ ალის ამბავი გამოვკითხე. ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ მიპასუხა:

— აგერ უკვე ოცი წელი გავიდა მისი მოკვლის დღიდან, მაგრამ საფლავი მაინც ვერ აღმოვაჩინეთ,—მერე კვლავ დაფიქრდა, განუყრელი სიგარეტი „ბაჰარი“ გააბოლა და, თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, წარმოთქვა, — საფლავი მაინც გვეპოვნა ...რა უკვალოდ გააქრეს...

საბაჰათინ ალიზე საუბრის გაგრძელება უკვე უხერხული იყო, რადგან კარგად ვიცოდი, დაკარგულ მეგობარსა და მასწავლებელზე საუბარი უსიამო გრძნობებს აუშლიდა დღეს მსოფლიოში ცნობილ თურქ პროზაიკოსს.

დიახ, თურქეთის რეაქციულმა წრეებმა უკვალოდ გააქრეს მწერალი, რომლის კვალიც წარუშლელია თურქულ ლიტერატურაში იგი ისე იდუმალად გამოასალმეს წუთისოფელს, რომ 1948 წელს სტამბოლის ახლომდებარე კარაბაირის ტყეში მომხდარი მკვლელობა დღესაც ბურუსით არის მოცული.

ორმოცდაერთი წლისა იყო საბაჰათინ ალი, როცა აპრილის ერთ თბილ დილას კარაბაირის ტყეში ზურგში დანა ჩასცეს. ეს ხანი პროზაიკოსისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდული ასაკია, რადგან სწორედ ამ დროს იწყება ცხოვრებისეული მოვლენების დინჯი თვალით ხედვა და ამ მოვლენების ანალიზი.

მწერალი დაიბადა ეგეოსის ზღვისპირა პატარა ქალაქ აივალიქში; ეს ქალაქი დღესაც მშვიდია, და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა საბაჰათინ ალიმ პირველად შეხედა სამყაროს. აივალიქიდან ორი ფეხის ნაბიჯზეა ქალაქი ბალიქესირი — ასევე წყნარი და მშვიდი.

ამ ქალაქში დაასახლა პროზაიკოსმა თავისი რომანის პერსონაჟები, ამ ქალაქში გაატარებინა მათ ბავშვობა.

საბაჰათინ ალიმ უმაღლესი განათლება სტამბოლში მიიღო, 20-იანი წლების აფუსფუსებულ, მუდამ ფხიზელ და, როგორც ერთმა ქართველმა პოეტმა თქვა, „ფერადი სიზმრების“ ქალაქ სტამბოლში. ამის შემდეგ იგი გერმანიაში მიდის ცოდნის გასაღრმავებლად, სადაც რამდენიმე წელი სწავლობს. უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ჰაბუკი, პროვინციის სკოლებში თურქულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის.

საბაჰათინ ალის ნამდვილი ცხოვრება იწყება მას შემდეგ, რაც ჟურნალ „რესიმლი აის“ დაუახლოვდა. ეს იყო ყოველთვიური ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც პროგრესული იდეებით ხასიათდებოდა. სწორედ ამ ჟურნალის მეოხებით წაიკითხა ჯერ თურქმა ხალხმა და შემდეგ თითქმის მთელმა მსოფლიომ ნაზიმ ჰიქმეთის ბრწყინვალე სტრიქონები:

მე თუ არ დავიწვი,
შენ თუ არ დაიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით,
ბნელს რა გაანათებს!

(თარგმანი ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა).

ამ ჟურნალში დაიბეჭდა საბაჰათინ ალის პირველი მოთხრობა „ტყე“. პროზაიკოსმა აქ გაიცნო ნაზიმ ჰიქმეთი და მისი მეოხებით — ტოლსტოის, ჩეხოვისა და გორკის თხზულებები. 1933 წელს რამდენიმე სატირული სტრიქონი უძღვნა თურქეთის მაშინდელ პრეზიდენტს. რისთვისაც თოთხმეტი თვით სინოპის საპყრობილეში მოათავსეს. და აი, განთავისუფლებისთანავე, 1934 წელს, სცენა ლექსებს „მთები და ქარი“, ამას მოჰყვა მოთხრობების კრებულები. სწორედ ამ პერიოდში დაიწერა საბაჰათინ ალის ბრწყინვალე რომანი „კიუჯაკელი იუსუფი“, შემდეგ კი რომანი „ეშმაკი ჩვენს სულში“ და „ქურქიანი მადონა“. „ეშმაკი ჩვენს სულში“ ფსიქოლოგიური ხასიათის რომანია, მაგრამ რომანის ფსიქოლოგიზმი ავტორისათვის საშუალებაა, რომ გახსნას საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობანი, გვიჩვენოს, თუ რატომ არის ესოდენ დრამატული ორი ახალგაზრდა ინტელიგენტის ბედი.

მწერლის ეს მისწრაფება კარგად ესმოდათ ქვეყნის მაშინდელ მესვეურებს. ამიტომაც იყო, რომ ყოველმხრივ სდევნიდნენ მას. მწერალს მოურიდებლად ესხმოდნენ თავს, პრესაში ლანძღავდნენ, პანთურქისტები ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ. მწერლის საქმე რამდენჯერმე სასამართლომაც კი განიხილა. ერთ-ერთი სასამართლო სხდომის დროს დარბაზში მოფაშისტო ახალგაზრდობა შეიჭრა და თავს დაესხა მწერალს. სასამართლომ არ დააყოვნა ამ ინციდენტის განხილვა და დამნაშავე... საბაჰათინ ალი დასაჯა.

რომანმა — „ეშმაკი ჩვენს სულში“ შემოქმედებით სიხარულთან ერთად ბევრი ტკივილი არგუნა პროზაიკოსს. 1944 წელს გორკის, ლერმონტოვის, ჩეხოვისა და სხვა დიდ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად ეს რომანი ანკარის ერთ-ერთ მოედანზე ფერფლად აქციეს (იმდროინდელ თურქეთში ძალიან დიდი იყო ფაშისტური გერმანიისადმი წაბაძვის სურვილი), მაგრამ ფერფლი დაიფა-

ნტა და ლაქად მოედო ამ ავანტიურის მომწყობთ. რომანი კი ცოცხლობს, იგი კვლავ და კვლავ გამოიცა თურქეთში, ისევ დაუბრუნდა თავის მკითხველს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბაჰათინ ალი იწყებს სატირული გაზეთის „მარკო ფაშას" გამოცემას. გაზეთს სახელმძღვანელოდ ჰქონდა თურქული ხალხური ანდაზა: „თუ შენს ჭირს არავინ იზიარებს, წველაფერი მარკო ფაშას უამბეო". ამ დროს პროზაიკოსს მხარში ედგა მაშინ ახალგაზრდა აზიზ ნესინი. „მარკო ფაშა" იყო სიმბოლო სამართლიანობისა, სამართლიანობა კი ყოველთვის და ყოველგან როდი მოსწონთ. ამიტომაც, დახურეს გაზეთი, რომლის ტირაჟმაც იმ დროის თურქეთისათვის არნახულ ზღვარს 150 000 მიაღწია, მაგრამ „ფაშა" მაინც გამოდიოდა, მას ხან „განსვენებული ფაშა" ერქვა, ხან „ყველასათვის ცნობილი ფაშა". მწერლის ამ სულისკვეთების საფინალო სცენა კი 1948 წლის აპრილის ერთ-ერთ დილას კირაბაირის ტყეში გათამაშდა.

საბაჰათინ ალის მეგობარი ნაზიმ ჰიქმეთი იგონებდა: „ახლა რომ საბაჰათინი ცოცხალი იყოს და მისთვის ეკითხათ, უწინარესად რომელ ენაზე გინდა შენი წიგნები ნახო თარგმნილიო, უეჭველად უპასუხებდა: ტოლსტოისა და ლენინის ენაზეო. ამას ლამაზი სიტყვისთვის როდი ვამბობ, კარგად მახსოვს, ერთხელ საბაჰათინმა მითხრა: — ამბობენ, ქალბატონ ჰილიდე ედიფის ნაწარმოებები რუსულ ენაზე თარგმნესო. — მან ნაღვლიანად შემომხედა სათვალის მიღმიდან, — შენ როგორ ფიქრობ, ოდესმე თუ თარგმნიან ჩემს წიგნებს რუსულად? და თვალები გაუბრწყინდა. ხუმრობა ხომ არ არის, ჩემი წიგნები მომავლის ყველაზე დიდ ენაზე თარგმნონ, მათ ასობით მილიონი ადამიანი წაიკითხავს და იქნებ შეგვიყვარონ მე და ჩემი ხალხი..."

საბაჰათინ ალი ითარგმნა რუსულ ენაზე! მისი წიგნები რამდენიმეჯერ გამოსცეს ჩვენში, მისი მოთხრობები ჩინებულად თარგმნა და მიაწოდა ქართველ მკითხველს ნოდარ ჯანაშიამ და აი, ახლა ქართველ მკითხველს ვაწვდით მის ერთ-ერთ რომანს.

მთარგმნელი.

თ ა ვ ი I

მზე შუბის ტარზე იდგა. კადიკოიდან[1] გალათის ხიდისაკენ[2] მიმავალი გემის ბანზე ორი ახალგაზრდა კაცი საუბრობდა. ერთი მათგანი, ჩასუქებული, ღიაწაბლისფერქოჩრიანი პირთეთრი ჭაბუკი გემის ქიმს მიჯდომოდა. მისი თაფლისფერი, ბეცი თვალები რქისჩარჩოიან სათვალეში მოხუჭული გეგონებოდათ. იგი დინჯი მზერით ხან ახლომდებარე ნივთებს ათვალიერებდა, ხან თანამოსაუბრეს შეხედავდა, ხან კი მზის სხივებში მოლიცლიცე ბოსფორის ტალღებს აკვირდებოდა. გრძელი, სწორი თმა უკან გადაწეული შლაპიდან წამდაუწუმ უცვივოდა და წარბებზე ბღუჯად ჩამოყრილი სათვალის შუშასაც უფარავდა. იგი ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა და ტუჩებს მომხიბლავად ამოძრავებდა.

მისი მოსაუბრე კი გამხდარი, ფერმკრთალი და ამავე დროს სუსხიანი გამოხედვის ყმაწვილი, ნერვიულად იფშვნეტდა ხელებს. ორივენი საშუალო ტანისა იყვნენ, ოცდახუთი წლის მეტს ვერცერთს ვერ მისცემდი.

— სიცილს ძლივს ვიკავებდი, როცა ისტორიის პროფესორმა კითხვების მიცემა დაუწყო, — განაგრძობდა წაბლისფერთმიანი და თან ზღვას მისჩერებოდა, — სულ დაიბნა საბრალო გოგო, თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს შველას ითხოვსო. ვიცოდი, კონსპექტში რომ არ ჩაუხედავს, ჰოდა, ვიფიქრე რაღა ეშველება, მის უცოდინარობას, ალბათ, პროფესორიც მიხვდება-მეთქი. მერე, გოგონას

---

[1] კ ა დ ი კ ო ი — სტამბოლის ერთ-ერთი რაიონი, მარმარილოს ზღვის აზიურ ნაპირზე. ბოსფორი და მარმარილოს ზღვა სტამბოლს ორ ნაწილად — აზიურ და ევროპულ ნაწილად ჰყოფს.

[2] გ ა ლ ა თ ი ს ხ ი დ ი — ოქროს რქის ყურეზე გადებული ერთ-ერთი ხიდის სახელწოდება.

ზურგს ამოფარებული უმიტი შევნიშნე, რომელიც პროფესორს თვალებით ემუდარებოდა. ჰოდა რა? ყველაფერი, რა თქმა უნდა, ისე მოეწყო, როგორც უმიტს სურდა. პროფესორმა გოგონას რამდენიმე ადვილი შეკითხვა მისცა, პასუხიც თვითონვე გასცა და ნიშანი დაუწერა.

— როგორც ჩანს, ძალიან უყვარს უმიტი!

— მას ყველა უყვარს, ვისაც ლამაზი სახე აქვს... ო, როგორ მომბეზრდა ცხოვრება! — მოულოდნელად წამოიძახა წაბლისფერთმიანმა. მერე მოსაუბრეს მუხლზე ხელი დაჰკრა და ისე დასძინა, თითქოს ეს ყველაფერი ახლახან მონაყოლ ამბავს ეხებოდა:

— ყველაფერზე გული ავიყარე, — უნივერსიტეტზე, პროფესორობაზე, ლექციებზე, ამხანაგებზე, განსაკუთრებით, ქალიშვილებზე. ყველაფერი ისე მომბეზრდა, რომ გულს მირევს.

მოსაუბრე გაჩუმდა, მერე სათვალე გაისწორა და განაგრძო:

— არაფერი მინდა, აღარაფერი მაინტერესებს, ვგრძნობ, ყოველდღიურად ვჩლუნგდები და ვზარმაცდები, კმაყოფილიცა ვარ. ალბათ, მალე ისეთი აპათია დამეუფლება, რომ მოწყენილობასაც ველარ შევიგრძნობ. განა არ ვიცი — ყველამ რაღაც საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ ეს საქმე რამედ უნდა ღირდეს, ან სულ არაფერი არ უნდა აკეთო, და აი ვფიქრობ: რა შეგვიძლია ჩვენ? არაფერი! სამყარო მილიონობით წელს ითვლის, მაგრამ კაცობრიობის უძველესი ქმნილება, დიდი-დიდი ოცი საუკუნისა იყოს. სამი დღე ვესაუბრებოდი ფილოსოფიის პროფესორს. წამოვჭერი ფრიად სერიოზული საკითხი. მინდოდა გამერკვია ცხოვრების აზრი, მაგრამ ვერც მან ამიხსნა, თუ რა ეშმაკად ვართ გაჩენილი ამქვეყნად. იგი ლაპარაკობდა შემოქმედების სიხარულზე. იმაზე, რომ ცხოვრებას თავის-თავად აქვს აზრი, და მაინც ყველაფერი ეს ტყუილი ლაყბობაა! რა არის შემოქმედება? ჩემი აზრით, შემოქმედება არაფრისაგან რაღაცის შექმნაა, მაგრამ ჩვენს შორის ყველაზე ჭკვიანი კაცის თავი არაფრით არ აღემატება საწყობს, რომელშიც წინაპართა მიერ მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება ინახება. დიდი ხნის წინათ ცნობილ მოვლენებს ოდნავ ფორმას შეუცვლიან და ბაზარზე გამოაქვთ. ჰოდა, ამას ჰქვია შემოქმედება?! ვერ გამიგია, როგორ უნდა დააკმაყოფილოს ადამიანი დროის ასე სასაცილოდ გატარებამ? მთელი ცხოვრება იჯდე საწერ მაგიდასთან, რათა შეჰქმნა ნაწარმოები, რომელიც დიდი-დიდი 50 წელიწადს იცოცხლებს და მერე

რომელიმე ბიბლიოთეკის კარადაზე ჩალპება, ხოლო 500 წლის შემდეგ მისი სათაურიც კი დაავიწყდებათ. ან თუნდაც მთელი შენი ცხოვრება უკირკიტო თიხას და საჭრეთლით თალო მარმარილო, რომ ხუთასი წლის მერე შენი უხელო და უფეხო ქანდაკება რომელიმე მუზეუმში გამოიტანონ... ღმერთმანი, ყველაფერი ეს სისულელეა, განსაკუთრებით, მაშინ, როცა გახსენდება, რომ არსებობენ ვარსკვლავები, რომელთა შუქი ჩვენამდე ხუთასი წლის შემდეგ აღწევს... ერთადერთი, რისი გაკეთებაც ნამდვილად შეგვიძლია, ეს არის სიკვდილი. დიახ, მხოლოდ ეს არის ჩვენს ხელთ! — დამრიგებლური ტონით ამბობდა იგი, — მხოლოდ სიკვდილით შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ ჩვენი მეობა. უთუოდ მკითხავ, რატომ მე თვითონ არ ვაკეთებ ამას? აკი გითხარი, საშინელმა აპათიამ შემიპყრო, ყველაფერი მეზარება და ინერციითღა ვცხოვრობ-მეთქი.

ახალგაზრდამ დაამთქნარა და ფეხები გაჩაჩხა. მის წინ მჯდარი ხნიერი კაცი სომხურ გაზეთს ათვალიერებდა. ახალგაზრდის სიტყვების გაგონებაზე მოიღუშა და ცერად გახედა ყმაწვილს. ყმაწვილის მოსაუბრე კი ისე დაბნეულად იყურებოდა იქით-აქეთ, თითქოს ყველაფერი ეს მეასედ ესმოდა. იგი ხან წარბებს შეკრავდა, თითქოს აზრების მოკრება სურსო, ხანაც გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა თავისთვის. როცა თანამოსაუბრემ ლექცია დაამთავრა, მან მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, ომერ, ფული გაქვს? კარგი იყო ამ საღამოს დაგველია რამე.

— ფული არა მაქვს, მაგრამ ეგ არაფერი, გამოვცინცლავთ ვინმეს, — გამოქექილი კაცის ტონით მიუგო ომერმა. — წასვლა მეზარება, თორემ კანტორაში ვიშოვიდი.

— ასე რამ გაგაზარმაცა! — თავი გააქნია ნიჰადიმ, — შენ მალე სამსახურიდანაც გამოგაგდებენ. ხომ იცი, ყველგან მიზეზს ეძებენ, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი ჩინოვნიკები სამსახურიდან დაითხოვონ. მით უმეტეს, ფოსტიდან, სადაც დრო განსაკუთრებით ძვირად ფასობს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს... ახლა კი მივხვდი, — სიცილით განაგრძო მან, — რატომ სჭირდება ორმოცდარვა საათი ემინიონიუდან ბაიაზეთში[1] გაგზავნილ წერილს.

---

[1] ემინიონიუ და ბაიაზეთი სტამბოლის უბნებია.

თუმცა შენისთანა გულმოდგინე ფოსტის ჩინოვნიკს მაგაზედაც მადლობა უნდა უთხრას კაცმა.

— წერილებთან არავითარი კავშირი არა მაქვს. ჩემი საქმე ბუხჰალტერიაა, — აუღელვებლად მიუგო ომერმა, — დილიდან საღამომდე ციფრებს ჩავკირკიტებ, საღამოობით ზოგჯერ მოლარესაც მივეშველები ხოლმე. ეჰ, ჩემო ნიჰად, რომ იცოდე, რა სასიამოვნოა ფულის თვლა!

— კარგი რამაა ფული, მეგობარო, — უცებ გამოცოცხლდა ნიჰადი. — ხშირად ამოვიღებ ხოლმე ჯიბიდან ლირას, დავიდებ წინ და ვუყურებ. მასში არაფერია განსაკუთრებული — რამდენიმე ერთმანეთში ფაქიზად გადახლართული ხაზები, თითქმის ისეთი, სკოლაში რომ ვხაზავდით ხოლმე. ეგ არის, რომ ეს ხაზები ცოტა წვრილია და ერთმანეთში არეული. მერე რაღაც ნახატი, ორი მოკლე სტრიქონი და ორი-სამი ხელმოწერა. ეს ლირა ახლოს რომ მიიტანო, ცხვირში ოფლისა და ჭუჭყის სუნი გეცემა, მაგრამ ხომ იცი, რა დიდი ძალა აქვს ამ ჭუჭყიან ქაღალდს! — ნიჰადმა თვალები დახუჭა და კვლავ განაგრძო, — ვთქვათ, რაიმე დარდი შემოგაწვა, ცხოვრება უფერული და უაზრო მოგეჩვენა, იწყებ რაღაც „ღრმაა-ზროვან“, შენი ფილოსოფიის მსგავსი სისულელეების ჩმახვას, მერე ესეც მოგწყინდება და ენის განძრევაც გეზარება. გეჩვენება, რომ ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგაინტერესებს. ყველაფერი გტანჯავს და გაღიზიანებს, ამინდიც კი. ხან გეჩვენება, რომ ძალიან ცხელა ან ძალიან ცივა ან კიდევ ძალიან ნესტიანი ჰავაა. გეჩვენება, რომ გამვლელები რაღაც იდიოტურად გამოიყურებიან. მერე აზრებს მოიკრებ და ცდილობ გაარკვიო - ასეთი საზიზღარი სულიერი განწყობილების მიზეზი, მაგრამ ყველაფერი ამაოა, წინ გადაგეღობება ადამიანის სულის ამოუცნობი საიდუმლოებანი. მერე ხელს წაავლებ წიგნებში ამოკითხულ სიტყვა „დეპრესიას“, რადგან ყველას ძალიან გვინდა რაღაც დავარქვათ და რითიმე გავამართლოთ ჩვენი სნეულება, ფიზიკური იქნება ეს თუ სულიერი. ხოლო, როცა ამას ვერ ვახერხებთ, თავს ცუდად ვგრძნობთ. ექიმები შიმშილით მოკვდებოდნენ, ადამიანებს ყველაფრისათვის რომ სახელის დარქმევა არ უყვარდეთ. ჰოდა, როცა საკუთარი ნაღველის უსასრულო ზღვაში ტალღები თავის ნებაზე გატარებენ, მაშველი რგოლივით ჩაეჭიდები სიტყვა „დეპრესიას“. ამ დროს მოულოდნელად გამოგეცხადება დიდი ხნის უნახავი მეგობარი.

როგორც კი შეამჩნევ, რომ იგი კარგად ჩაცმულია, უმალ გაგახსენდება, რომ ჯიბეში ერთი ყურუშიც არ გიჭყავის[1]. თუ ბედი გწყალობს, მეგობარი გასესხებს ორ-სამ ლირას და სწორედ აქედან იწყება სასწაული — მაშინვე იგრძნობ შვებას, სული გაგინათლდება, თითქოს ქარმა სამუდამოდ გაფანტა დარდები, ნაღვლის ნასახიც კი არა გრჩება. ყველაფერს კმაყოფილებით უმზერ და ისეთ კაცს დაეძებ, რომელთანაც შეგეძლება მადიანად იმასლაათო. ასე რომ, ჩემო კარგო, ორი ჭუჭყიანი ქაღალდით მიაღწევ იმას, რასაც ვერ მიაღწევდი მთელი დასტა წიგნებისა და ხანგრძლივი ფიქრის საშუალებით. ამავე დროს საკუთარ თავსაც არ უტყდები, რომ ყველაფერი ეს გროშის შოვნამ მოგგვარა. ცდილობ შენი განწყობილების ცვლა ამინდის გამოკეთებას ან გრილ ნიავს მიაწერო, კეფაზე რომ საამოდ გესალმუნება. ან კიდევ იმ ბედნიერ აზრს, რომელიც იმ წუთს დაგებადა. მაგრამ, ჩვენს შორის დარჩეს, და ყველაფერი ეს სულ სხვაგვარად ხდება. სწორედ ამ ორ-სამ ლირას უნდა უმადლოდე, რომ გრილ ნიავს გრძნობ და ჭკვიანურად აზროვნებაც შეგიძლია... ადექი, ძმაო, უკვე მოვედით. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ან გავგიჟდებით, ან ქვეყანას დავეპატრონებით. ახლა კი ცოტა ფულის შოვნა ვცადოთ სადმე, რომ საღამოს ჩვენი ბრწყინვალე მომავლის აღსანიშნავად რამდენიმე სირჩა გადავკრათ.

თ ა ვ ი II

ნიჰადი წასვლას აპირებდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ომერი ადგილიდან არ იძვროდა და მხარზე ხელი დაადო. ომერი შეკრთა, თუმცა არ მობრუნებულა. ნიჰადმა იფიქრა, ალბათ, ჩასთვლიმაო, და დააცქერდა: ომერი ისეთი ინტერესით მისჩერებოდა მოპირდაპირე სავარძელს, რომ სხვას ვერაფერს ამჩნევდა, რას უნდა მიეპყრო ასე ომერის ყურადღება? ნიჰადმა მიმოიხედა, და საამისო რომ ვერაფერი შეამჩნია, ისევ ომერს მოუბრუნდა.

— წავიდეთ, რაღას უყურებ?

ომერმა არც ახლა გასცა ხმა და უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა:

— რა მოხდა, საით იყურები?

ომერმა თავი მოაბრუნა და მოკლედ წარმოთქვა:

---

[1] ყ უ რ უ შ ი — წვრილი ფული, თურქული ლირის ერთი მესამედი.

— დაჯექი და ხმა არ გაიღო!

ნიჰადი დაემორჩილა, მგზავრები ადგილებიდან წამოდგნენ და გასასვლელისკენ გაემართნენ. ხალხი სწორედ იმ სავარძელს ჩამოეფარა. ომერი ვეღარაფერს ხედავდა, თუმცა ვიღაცას ისევ გულმოდგინედ აკვირდებოდა, კისერს ხან მარცხნივ ატრიალებდა და ხან მარჯვნივ. ნიჰადმა ვეღარ მოითმინა და ომერს მუჯლუგუნი გაჰკრა:

— მომბეზრდა! ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა, რას მიშტერებიხარ?

ომერმა ნელა მოაბრუნა თავი.

— იქ რომ ქალიშვილი იჯდა, თუ დაინახე? — ისეთი ტონით თქვა, თითქოს რაღაც უბედურება მომხდარიყოს.

— ჰო, დავინახე, მერე რა მოხდა?

— ის ქალიშვილი დღემდე არ დამინახავს.

— რა სისულელეს როშავ?

— მინდოდა მეთქვა, არასოდეს მინახავს ასეთი მშვენიერი ქალიშვილი-მეთქი.

ნიჰადი უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა და წამოდგა.

— მართალია, გონებასა და ენამჭევრობას გიქებენ, მაგრამ შენგან კაცი არასოდეს დადგება!

ნიჰადმა ირონიულად ჩაიღიმა და გასასვლელისაკენ გულგრილად გაემართა. ომერიც წამოდგა, ცერებზე წამოიწია, კისერი წაიგრძელა და კვლავ ხალხს დააცქერდა. მერე ნიჰადისკენ წავიდა.

— ისევ იქ ზის, — წარმოთქვა მან და მეგობრის სახეს მიაჩერდა, — დაიცა, მისმინე! ეს ყველაზე მნიშვნელოვანი წუთებია ჩემს ცხოვრებაში, წინათგრძნობა არასოდეს მღალატობს. უკვე მოხდა ან მოხდება რაღაც საოცარი. ასე მგონია, რომ ამ ქალიშვილს ვიცნობდი მანამ, სანამ ქვეყნად გავჩნდებოდი. ვიცნობდი სამყაროს შექმნამდე. როგორ გაგაგებინო? ნუთუ იმისათვის, რომ ყველაფერს მიხვდე, აუცილებელია ვთქვა: „ხელად ვიქეცი, პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა, დავიღუპე, ვერაფერი მიშველის-მეთქი“?, გასაოცარი ის არის, რომ ამ სიტყვების გარდა ვერაფერს ვამბობ, ისიც კი მაოცებს, შენთან ლაყბობის ძალა რომ შემწევს, უიმისოდ გატარებული ყოველი წუთი, აწი სიკვდილს გაუტოლდება. არ გაიკვირვო, რომ სიკვდილი, რომელსაც ვაქებდი და ვადიდებდი, ახლა საზარლად მეჩვენება, რატომ? აბა რა ვიცი? ახსნას ორც ვა-

პირებ, რა აზრი აქვს? მხოლოდ გემუდარები, პოეტი ხარო, ნუ მეტყვი, უმჯობესია, მირჩიო, როგორ მოვიქცე? საშინელ დღეში ვარ, ახლა თუ დამეკარგა, მთელი ჩემი ცხოვრება მის ძებნას დასჭირდება. ეს წუთები უსასრულოდ ხომ არ-გაგრძელდება? ფუი!.. რა სისულელეებს ვჩმახავ! ასეა თუ ისე, ეს-მაინც სინამდვილეა. მე ვერ წარმომიდგენია უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე მისი უნახაობა! მაგრამ სამწუხაროდ, ალბათ, სწორედ ასე იქნება. მე ახლა ვერც კი ვიხსენებ მის სახეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მეხსიერებაში უხსოვარი დროიდან მკაფიოდაა შემონახული მისი, თითქოსდა, ქვიდან გამოკვეთილი სახე. თვალები რომ დავხუჭო და ხალხს შევერიო, რაღაც უხილავი ძალა მაინც მასთან მიმიყვანს.

ომერი ამ ტირადას საკმაოდ სწრაფად, აღგზნებულად წარმოთქვამდა, მერე თვალები მართლა დახუჭა, ნიჰადს მკლავში ჩასჭიდა ხელი და რამდენიმე ნაბიჯი წარდგა. ხელი ციებიანივით უკანკალებდა; მეგობარმა სახეში გაკვირვებით ჩახედა. ომერის უცნაურ ქცევებს მიჩვეული იყო, მაგრამ ასეთმა ძლიერმა მღელვარებამ მაინც გააოცა.

— უცნაური კაცი ხარ! — მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა. ომერის სველი ხელი სულ უფრო ძლიერ უჭერდა თითებზე.

— შეხე, შეხე, ისევ აქ არის!

ნიჰადი შემობრუნდა და შავთმიანი ქალიშვილი დაინახა. ქალიშვილს ხნიერი, ჩასუქებული ქალი ახლდა. რაღაცაზე საუბრობდნენ. ნიჰადმა შენიშნა, რომ ქალიშვილს ნოტებით სავსე ჩანთა ეჭირა. მოსაუბრისაკენ მორჩილად დაეხარა თმახუჭუჭა თავი. ნიჰადს არ ესმოდა მათი საუბარი, მაგრამ ქალიშვილის ნიკაპის მოყვანილობა მის ძლიერ ნებისყოფაზე მეტყველებდა. ქალიშვილი დროდადრო ჩერდებოდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, გეგონებოდათ, რაღაც გადაწყვეტილება გამოიტანაო, მერე ისევ ალაპარაკდებოდა, იტყოდა რამდენიმე ფრაზას, თითქოს თავის გადაწყვეტილებას უზიარებსო. გოგონას მკაცრი, პირდაპირი გამოხედვა ჰქონდა. ყველაფერი მის სიხადავესა და ბუნებრივობაზე მეტყველებდა. მუშამბაგადაკრულ სკამზე დაშვებული ხელის თითები სუსტი და ფერმკრთალი უჩანდა. ნიჰადმა ქალიშვილი რომ შეათვალიერა, მეგობარს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, რა ნახე მასში ასეთი განსაკუთრებულიო.

— გაჩუმდი,—ჩაიჩურჩულა ომერმა ყრუ, ძილმორეული კაცის ხმით, — სახეზე გეტყობა სისულელის თქმას აპირებ. მე უკვე გადავწყვიტე — ახლავე მივალ მასთან, მოვკიდებ ხელს და... — ეგი გაჩუმდა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო, ალბათ, რამეს ვეტყვი კიდეც, ვინ იცის, იქნებ პირველად თვითონ გამომელაპარაკოს. იქნებ მყისვე მიცნოს, სხვანაირად არც შეიძლება. თუ მიცნო, ვერ დამიმალავს. თუ გინდა, შენც წამოდი, ჩემს უკან დადექი და მისმინე. რაზე ვილაპარაკებ. სამყაროს შექმნამდე გაცნობილ ქალთან საუბარი ნამდვილად უჩვეულო იქნება, — ეს თქვა და ნიჰადს სახელოში ჩაავლო ხელი, მაგრამ ნიჰადმა ხელი წაართვა და უთხრა:

— შენ რა, აურზაური გინდა ატეხო?

— რა აურზაური?

— იცოდე, ქალი მაშინვე პოლიციას დაუძახებს. პოლიციაც არ დააყოვნებს და ისეთ მოხეტიალე და ცუღლუტ კაცს, როგორც შენა ხარ, განყოფილებაში გიკრავს თავს. ნუთუ ვერასოდეს შეეჩვევი საკუთარი თავისა და სხვების ნორმალური თვალით დანახვას? ნუთუ მთელი ცხოვრების მანძილზე ასე თავმოტყუებული ივლი, დონ- კიხოტურ ოცნებებსა და გამოგონებულ მოჩვენებებს გამოდევნებული. ნუთუ იმის გამო, რომ ყველაფერი ამქვეყნად ასე ჩვეულებრივია, მხოლოდ არაჩვეულებრივის მოლოდინში იქნები? ახლახან ამტკიცებდი ქვეყნად ვერაფერს შეცვლიო, ახლა კი მზადა ხარ მოიქცე, როგორც ნამდვილი ქარაფშუტა. ვერ გამიგია, რით განსხვავდები უბრალო შეყვარებული კაცისაგან?

— ახლავე გაიგებ! — შეურაცხყოფილი კაცის ტონით უპასუხა ომერმა. — შენნაირი ბატისტვინა კაცი ვერასოდეს მიწვდება რთულსა და იდუმალ ურთიერთობებს. აქ დამიცადე!

ომერი ქალიშვილისკენ გაემართა. ნიჰადი უნებურად შემობრუნდა და ზღვას გახედა.

ომერი ნელ-ნელა უახლოვდებოდა უცნობ ქალიშვილს და თვალს არ აშორებდა მის სახეს. უცებ შეკრთა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო

— ომერ!—მოესმა ქალის ხმა, — როგორა ხარ, სად დაიკარგე? — ომერმა ახლაღა შეამჩნია ქალიშვილის გვერდით მჯდარი ხნიერი ქალი, მისი შორეული ნათესავი ემინე ჰანუმი.[1]

— რა მოგივიდა, ომერ, ჩვენკენ იყურები და მე კი ვერ მამ-

---

[1] ჰანუმი — ქალბატონი

ჩნევ. ვზივარ და ვფიქრობ აი, ახლა მოვა, ახლა მოვა-მეთქი, შენ კი დგახარ და მასლაათობ. წავიდეთ, თორემ გემი ისევ უკან წაგვიყვანს! — თქვა ემინე ჰანუმმა.

ქალები წამოდგნენ.

— ღმერთმანი, თვითონაც არ ვიცი, — დაიწყო თავის მართლება ომერმა, — ხომ იცით, მეცადინეობა, სამსახური. დრო აღარ მრჩება, თქვენ ხომ კარგად მიცნობთ და არ დამემდურებით.

— არა, შვილო, არ გემდური... — გაიცინა ემინე ჰანუმმა. — სხვას რა ხეირს დააყრის ისეთი კაცი, დედას რომ წელიწადში ერთხელ წერილს არ მისწერს. ჰოდა, ახლა მაინც მომიყევი, როგორა ხარ, რას აკეთებ.

— ყველაფერი ძველებურადაა, — უპასუხა ომერმა, ისე რომ ქალიშვილისათვის თვალი არ მოუცილებია.

ისინი ხიდს აუყვნენ და ძველი ქალაქისაკენ გაემართნენ. ომერმა ემინე ჰანუმის კეფას გააყოლა თვალი და მოულოდნელად ქალიშვილის მზერას შეხვდა, ამ ხნის განმავლობაში ხმა რომ არ ამოუღია. ახლა კი ყურადღებით შეათვალიერა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, და შებრუნდა. ვაჟმა ერთხანს უცქირა ქალიშვილის თვალების ქვეშ წამწამების ჩრდილს და მერე ისევ დეიდას შეხედა.

— ოი, ნუთუ ვერ იცანი? — გონს მოვიდა დეიდა ემინე, რომელმაც კინაღამ დაივიწყა ზრდილობიანი ადამიანის მოვალეობის შესრულება, რითაც ასე ამაყობენ სტამბოლში გადმოსული ანატოლიელები, — თქვენ ხომ იცნობთ ერთმანეთს. აბა ვნახოთ, თუ გაიხსენებ მაჯიდეს. ის ხომ დედაშენის ბიძის შვილიშვილია. თუმცა, შენ რომ ბალიქესირიდან წამოხვედი, ძალიან პატარა იყო. უკვე ექვსი თვეა, რაც მაჯიდე ჩვენთან ცხოვრობს... როიალზე დაკვრას რომ ასწავლიან, იმ სკოლაში დადის.

ომერი მაჯიდეს მიუბრუნდა.

— მე კონსერვატორიაში ვსწავლობ, — წარმოთქვა ხელის ჩამორთმევისას ქალიშვილმა.

ომერმა მეხსიერება დაძაბა. ცდილობდა სტამბოლში, ბალიქესირსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ასობით ნათესავთაგან მოეგონებინა დედამისის ბიძა და მისი შვილიშვილი. როცა ომერმა ემინეს კვლავ შეავლო თვალი, ქალი შეშფოთებული ეჩვენა. დეიდამ კი სასწრაფოდ ანიშნა: „ამაზე ლაპარაკი ქალიშვილთან არ შეიძლება“.

ომერი დაინტერესდა და ემინესაკენ დაიხარა. მან კი უცებ ჩურჩულა ყურში:

— გაჩუმდი, ნუ მკითხავ, რაც მოგვივიდა! როცა მოხვალ, მაშინ გეტყვი.

ემინემ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ქალიშვილს. ომერიმ დეიდის თვალებში მღელვარება და სიბრალული ამოიკითხა.

— საწყალმა გოგომ ჯერ არაფერი იცის, — ჩაიჩურჩულა დეიდამ. — ერთი კვირაა მამა მოუკვდა და ვერ გამიმხელია, არ ვიცი როგორ მოვიქცეთ.

ომერმა უეცრად რაღაც სიხარულის მსგავსი იგრძნო, რასაც უმალვე სინდისის საშინელი ქენჯნა მოჰყვა. „სირცხვილია, გახარებდეს მისი მამის სიკვდილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიკვდილი რაღაცით დაგეხმარება, — ფიქრობდა ომერი, — მაგრამ ყოველ ადამიანში არის ანგარება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მორალთან. იგი თვითონ აფასებს მოვლენებს და თითქმის მუდამ გამარჯვებული გამოდის“.

დეიდამ ომერის დუმილი ღრმა მწუხარების ნიშნად ჩათვალა:

— შემოიარე ჩვენთან, — ჩურჩულით თქვა მან, — ყველაფერს მოგიყვები, გრძელი ამბავია...

ემინიონუსაკენ მიმავალი ტრამვაის გაჩერებას მიუახლოვდნენ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ომერი დიდხანს უყურებდა ქალებს. და რატომღაც ფიქრობდა, რომ მაჯიდე შემობრუნდებოდა, მაგრამ მაჯიდეს არ მოუხედავს. ქალს მოხდენილი ტანი ჰქონდა, დაბალქუსლებიანი ფეხსაცმელები ეცვა და ისე მსუბუქად მიაბიჯებდა ქუჩაში, თითქოს მიცურავსო. შემდეგ ტრამვაის საფეხურზე ავიდა და ემინე ჰანუმს ხელი დაუქნია.

ომერი ისევ მაჯიდეს მისჩერებოდა, რომ მხარზე ვიღაცის მძიმე ხელი იგრძნო. ომერი შემობრუნდა, მის წინ მოღუშული ნიჰადი იდგა და ამბავის გაგებას ელოდებოდა, მაგრამ როცა მიხვდა, ომერი არაფრის თქმას არ აპირებდა, ისევ მან დაიწყო:

— დიდი მოხერხებული ვინმე ხარ, ძმობილო, — როცა შენ მათკენ წახვედი, იმის შიშით, აურზაურს არ გადავაწყდე-მეთქი, მაშინვე ზურგი გაქციე, ცოტა ხნის შემდეგ მოვიხედე და იქ აღარ იყავით. მერე ხიდზე დაგინახეთ, ბაასით მიდიოდით. უკან გამოგყევით, მაშ, ის გოგო იმნაირია, არა? იმ ჩასუქებულ ქალს კი ცხვირპირზე აწერია თავისი პროფესია.

ომერს გაეცინა.

— შენ მეტს ვერაფერს მოიფიქრებ, შენი ჩერჩეტი თავი ვერ მოისვენებს, ვიდრე ამგვარ შაბლონურ დასკვნას არ გააკეთებს: „ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, ვაჟი მივიდა და გამოელაპარაკა, ქალმა არ დაუძახა პოლიციას, მაშასადამე, „იმნაირია“. ნათელი და გასაგებია. რა საჭიროა თავის ტეხვა, ცხოვრებაში არაფერი ხდება უჩვეულო! ყველაფერი ერთიმეორეს ჰგავს. ეს არის და ეს!

— ამგვარი ჭკუის ქონას, სულ უჭკუობას ვამჯობინებდი, — წარმოთქვა ომერმა და ნიჰადს შუბლზე თითი მიურაკუნა.

— კარგი, ჭირიმე, — ყურადღება არ მიაქცია მეგობრის ირონიას ნიჰადმა, — მაშ, რა მოხდა? მოხვედი თუ არა, ქალი წამოხტა და წამოიძახა: „აქ სადან გაჩნდი, ჩემო სიხარულო, სამყაროს შექმნამდე ჩემზე დანიშნულო, ომერ!“ და კისერზე შემოგეხვია? დავუშვათ, რომ ასე იყო, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ ეს სქელი ქალი ასე მშვიდად შეხვდა თქვენს მისტიკურ ნაცნობობას.

— ჩვენ, ჩემო ძმაო, თურმე ნათესავები ვყოფილვართ, — თქვა ომერმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს უდიდეს საიდუმლოს ანდობსო. — მე იმ ქალიშვილის მეტს ვერავის ვამჩნევდი, მერე აღმოჩნდა, რომ მის გვერდით დეიდაჩემი ემინე იჯდა. გოგონას ჰქვია მაჯიდე, სწავლობს კონსერვატორიაში და დეიდაჩემის შორეული ნათესავია. ერთი კვირაა, რაც მამა მოუკვდა, მაგრამ ჯერ არაფერი იცის.

ნიჰადიმ თავი გააქნია და თქვა:

— ალაჰ, შენ მიეც ჯანმრთელობა ცოცხლებს! — მერე მეგობარს დამცინავი მზერა ესროლა, — მაშ, ასე უბრალო და ჩვეულებრივი იყო თქვენი გაცნობა? — ეჰ, ჩემო ბიჭიკო, რაც უფრო დიდი და უჩვეულო საქმის აღმოჩენას მოინდომებ, მით უფრო პროზაულსა და უბრალო ამბებს შეგახვედრებს ცხოვრება. ვფიქრობ, ასე იქნება მთელი შენი სიცოცხლე და ისე მიუხვალ შენს წინაპრებს, რომ მსოფლიოს ვერაფრით გააოცებ. ღმერთმანი, სასაცილოა! მაშასადამე, გოგონა, რომელიც სამყაროს შექმნამდე გაიცანი, შენი ნათესავი აღმოჩნდა, ალბათ, ბავშვობაში გითამაშნიათ კიდეც და შენი მეხსიერების რომელიღაც კუნჭულში მისი სახის მოხაზულობაც შემოგრჩა, ვინაიდან შენი ტვინი მხოლოდ 40-გრადუსიანი სიცხის დროს

მუშაობს. ყველაფერი უცებ საიდუმლოების მომცველი ბურუსით დაიფარა. კომიკი ხარ, ძმაო, კომიკოსი და მეტი არაფერი!

—მართალია, ნაცნობობა სრულიად ჩვეულებრივია, მაგრამ მე ისევ ის გრძნობა მაქვს, რაზეც გელაპარაკებოდი. დარწმუნებული ვარ, რომ მასთან რაღაც ისეთი მაკავშირებს, რაც ჩვენს ძალას აღემატება, ნახე, აწი რა ხშირად ვივლი ემინე ჰანუმთან.

ნიჰადმა გადაიხარხარა:

— და ეს უაღრესად ორიგინალური ნაცნობობა ორი ნათესავის გამიჯნურებით დამთავრდება, ასე არ არის? მერე შენ გახდები მსოფლიოში ცნობილი კაცი, რომელმაც შეაცდინა საკუთარი ნათესავი. რა გაეწყობა, ღმერთმა ბედნიერება მოგცეთ!

ომერმა არაფერი უპასუხა, მერე საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო. ახლა იმაზე ალაპარაკდნენ თუ სად დაელიათ ამ საღამოს და სწრაფი ნაბიჯით გაუყვნენ ბაიაზეთისაკენ მიმავალ გზას.

თ ა ვ ი III

არ შეიძლება ითქვას, რომ მაჯიდე ვერ ამჩნევდა იმ უცნაურ დამოკიდებულებას, როგორადაც მას ამ უკანასკნელ ხანებში დეიდა ემინეს სახლში ექცეოდნენ. ქალიშვილი გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი ტუდის ბომასწავებელი იყო, მაგრამ ვისაც არა ჰკითხა, რა მოხდაო, ყველა ერთნაირად პასუხობდა: „რას ამბობ, გენაცვალე! შენთან დასამალი აბა რა გვაქვს, ტყუილად ღელავ“.

დეიდა ემინემ რამდენჯერმე სცადა საიდუმლოს გამხელა: მაგრამ ყოველთვის რაღაც აბდაუბდა გამოსდიოდა და ქალს ცივად შორდებოდა ხოლმე. ემინეს ქალიშვილს სემიჰას კი მაჯიდე მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა. სემიჰას აზრით, მაჯიდე დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე და საკუთარი ღირსების შენარჩუნების მიზნით ქედმაღლურად და ცივად ეჭირა თავი.

გალიფ ეფენდის იაღისქელესიზე[1] ჰქონდა სავაჭრო და შინ გვიან ბრუნდებოდა დაღლილ-დაქანცული. შინაურებთან ლაპარაკი ჩვეად არ ჰქონდა. ივახშმებდა თუ არა, ხელში გაზეთს აიღებდა და მარცვალ-მარცვალ კითხულობდა ლათინური შრიფტით და-

[1] ი ა ღ ი ს ქ ე ლ ე ს ი — სტამბოლის რაიონია, სადაც კარაქითა და ცხიმით ვაჭრობენ.

ბეჭდილ ამბებს. სწორედ ამ ლათინურ შრიფტს უმადლოდა, რომ ასე გაუნათლებელმა კაცმა ახლა წერაც იცოდა და კითხვაც.

დეიდა ემინეს ვაჟის — ნურისაგანაც ვერაფერს გაიგებდა კაცი, იგი ოფიცერთა სკოლის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა და კვირაში ერთხელ თუ მოვიდოდა სახლში. აგერ უკვე ექვსი თვე იყო, რაც მაჯიდე დეიდა ემინეს ოჯახში ცხოვრობდა, მაგრამ უბრალო, გულწრფელი ურთიერთობა ჯერაც ვერავისთან დაემყარებინა. ამიტომაც ეუხერხულებოდა ვინმესთვის დაწვრილებით გამოეკითხა საქმის ვითარება. მისთვის დეიდა ემინეს სახლი არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი პანსიონისაგან, დილით აიღებდა თავის ნოტებს, წავიდოდა კონსერვატორიაში, შინ საღამო ხანს ბრუნდებოდა და ჯერ კიდევ დაბნელებამდე თავის ოთახში იკეტებოდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს მიუკარებლობა აღიზიანებდა სემიჰას.

დეიდას თავისი სამყარო, თავისი ინტერესები და გართობანი ჰქონდა. იგი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ წყნარსა და მშვიდ ქალიშვილს, რომელსაც დღე-ღამეში ორჯერ თუ ნახულობდა. სტუმრებთან კი, რომლებიც უფრო ხშირად დღისით მოდიოდნენ ხოლმე, დეიდა გოგონათი თავს იწონებდა, მუსიკისმცოდნეობა, ამბობდა, რითაც ხაზს უსვამდა თავისი ოჯახის კულტურულობას, მაგრამ მაჯიდე საღამოობით არ გამოდიოდა სტუმრებთან, რომლებიც საზს უკრავდნენ და თურქულ ყაიდაზე ერთობოდნენ. დისშვილის ასეთმა საქციელმა სხვებზე უფრო ემინე დააფიქრა, დაეჭვდა მაჯიდეს ნიჭიერებაში.

უკანასკნელ წლებში გალიფ ეფენდის საქმეები ვერ მიდიოდა მაინცდამაინც კარგად, თუმცა ოჯახი ამას არ იმჩნევდა. მართალია, ფული ძველებურად აღარ გააჩნდათ, მაგრამ პროვინციიდან თვეობით ჩამოსულ სტუმრებს კვლავ სიამოვნებით ღებულობდნენ და მაინც დიდი მოუთმენლობით ელოდნენ იმ ორმოც ლირას, რომელსაც მაჯიდეს მამამისი უგზავნიდა.

თვით გალიბ ეფენდისაც იმდენად აინტერესებდა მაჯიდე, რამდენადაც მისი საშუალებით ყოველთვიურად ორმოც ლირას იჯიბავდა. რა თქმა უნდა, ეს 40 ლირა ხელგაშლილ ოჯახს სულაც არ ჰყოფნიდა და გალიფ ეფენდის ვალები ყოველდღიურად იზრდებოდა. აშკარა იყო, ძველებურად ვაჭრობა სარგებელს არ იძლეოდა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა მდგომარეობის გამოსწორების იმედი, წინათ ყოველთვის უმართლებდა საქმე, მაგრამ ახლა ის ახალგაზ-

რდული ენერგია აღარ ჰქონდა, ძველ ვაჭართაგან აღარავინ იყო შემორჩენილი მთელ ბაზარში, განსაკუთრებით საპნით და ცხიმით ვაჭრობა მდიდარმა და გაქნილმა ახალგაზრდა საქმოსნებმა ჩაიგდეს ხელში. ვაჭრები, რომლებიც ამ ახალგაზრდებს ვერ უტოლდებოდნენ, შევიწროვდნენ და თითქმის გაკოტრდნენ.

ეს ბრძოლა, რომელიც უკვე ათი წელია გრძელდება, გალიფ ეფენდის ასობით აკრ მიწად და ორას-სამას ძირ ზეთისხილის ხედ დაუჯდა. წინათ მას სამი სახლი ჰქონდა შეჰზადე ბაშის კვარტლის უკან, ახლა კი ეს ერთი სახლიღა შემორჩა, რომელშიც თავისი ოჯახით ცხოვრობს. ამ ბოლო დროს ემინე ჰანუმის მარგალიტები და ოქროს სამკაულებიც იყიდებოდა სანდალბესთანზე[1].

ყოველთვის, როცა ემინე ჰანუმთან ცხოვრების გაუარესებაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ქალი ცრემლებად იღვრებოდა. თითოეული სამკაულის გაყიდვის შემდეგ ლოგინად ვარდებოდა შაკიკის საშინელი შეტევებით, მაგრამ ეს მწუხარება დიდი-დიდი ერთ დღეღამეს თუ გაჰყვებოდა. როგორც კი რაიმე შემთხვევა მიეცემოდა, ისევ შეჰკრეფდა თავის ჰამქარს და იწყებოდა მხიარული საღამოები, მუსიკითა და ცეკვებით. მისი განუყრელი მეგობარი ქალები რთული ვითარების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ კარგად ახსოვდათ ის დრო, როცა ემინე ჰანუმის გულუხვობის წყალობით ოჯახებიანად გაჰქონდათ თავი. მეგობრის ასეთ დროს მიტოვება ეუხერხულებოდათ, მაგრამ არც თავიანთ ძველ ჩვევებზე ამბობდნენ უარს და ოჯახის საბოლოო გაკოტრებამდე უკეთესი ადგილის მოძებნას არ აპირებდნენ. მათ იცოდნენ, რომ ამ ოჯახში ჯერ კიდევ არ იყო დამშრალი შემოსავლის წყარო და ორიოდ ლუკმას კიდევ გამორჩებოდნენ.

პროვინციაში უსაქმურობას შიჩვეულ ბალიქესირელებს სტამბოლში სხვის ხარჯზე თვეობით ქეიფი სირცხვილად არ მიაჩნდათ. ასეთი ხალხი ხშირად ჩამოდიოდა ემინე ჰანუმთან. გალიფ ეფენდისა და მისი მეუღლის შერყეული ბიუჯეტისათვის კი ამნაირი „შემოსევები“ ჩაქუჩის ძლიერ დარტყმას უდრიდა. ყველაფერ ამას გრძნობდა და ხედავდა მაჯიდე, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა, რაც თავი ახსოვს, სულ ასეა. მამამისის ოჯახშიც

---

[1] სანდალბესთანი — სტამბოლის დიდი დახურული ბაზრის ერთი ნაწილია, სადაც ძვირფასეულობით, იარაღითა და ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობენ.

ასე იყო. იქ, ფულის გარდა, არაფერზე არ ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ წლის მოუსავლიანობაზე, ამა თუ იმ მიწის დაგირავებაზე, ვენახის გაყიდვასა და ფულის პროცენტით სესხებაზე, რომ ბანკისა და სხვათა ვალი გადაეხადათ. მის დედასაც, დეიდა ემინეს მსგავსად, ისტერიკა მოსდიოდა, როცა რომელიმე სამკაულის გაყიდვის ამბავს გაიგებდა. მამა კი, გალიფ ეფენდივით სახლში მისვლისთანავე მაგიდას მიუჯდებოდა, წინ საანგარიშოს დაიდებდა და გაუთავებლად ანგარიშობდა.

ასეთ სურათებს მაჯიდე ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული. მაგრამ გოგონას გაოცებას სულ სხვა რამ იწვევდა. ნუთუ ამ მინდვრებს, ვენახებს, სახლებს, ზეთისხილის ბაღებს, ოქროს სამკაულებსა და ძვირფასეულობას ბოლო არ ჰქონდა? თაობათა მიერ დაგროვილ სიმდიდრეს განუწყვეტლივ ფქვავდა ახალი დროის წისქვილი, ქონება დღითი-დღე იღეოდა, მაგრამ ბოლო ჯერ მაინც არ ჩანდა, რაღაცნაირად ვალებსაც ისტუმრებდნენ, მიწასაც სთესდნენ ან ყიდდნენ და ქალიშვილებსაც წინანდელზე ცუდად არ ათხოვებდნენ. ქორწილების დროს ნათესავები კვლავ გამოაჩენდნენ ხოლმე გადამალულ საყურეებსა და მარგალიტის სამკაულებს.

და თუ ამ დავიდარაბაში გაზრდილმა მაჯიდემ სწავლაც მოახერხა, ეს მხოლოდ შემთხვევითობის შედეგი იყო. დიახ, შემთხვევით გადაურჩა იგი ერთ-ერთ დაავადებას, რითაც მთელი ოჯახი იყო ავად. შემთხვევითი იყო ისიც, რომ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სახლში არ დასვეს. მამამისისათვის რომ ამდენ გაჭირვებას არ შეეშალა ხელი, არაფრით არ დაჰყვებოდა მასწავლებლის ნებას და ქალიშვილს სწავლას არ გააგრძელებინებდა. მოიქცეოდა ისე, როგორც მოექცა მაჯიდეს უფროს დას, და თოთხმეტი წლისას გაათხოვებდა.

მხოლოდ საშუალო სკოლის პირველი კლასიდან აღარ იყო მაჯიდეს ბედი შემთხვევითობის სათამაშო საგანი. მაჯიდე გვიან გაგზავნეს სკოლაში, და როცა მეშვიდე კლასში გადავიდა, უკვე თექვსმეტი წლისა იყო, ნამდვილი ქალიშვილი. ამიტომ თანაკლასელებს მისგან განცალკევებით ეჭირათ თავი. წიგნებში ჩაფლულ გოგონას მხოლოდ თავისი გაკვეთილები ახსოვდა. არც მხარში ედგა ისეთი ვინმე, ვისაც შეეძლო რჩევა მიეცა, რამე ესწავლებინა, მისი წარმატებით დაინტერესებულიყო. დეიდა იშვიათად შედიოდა მასთან. თუ შევიდოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა ესა და ეს კაბა ძალიან

გულამოჭრილია, ეს კი ძალიან დახურულიო, ან ეს კაბა ძალიან განიერია, ეს კი ძალიან ვიწროო. მერე კი მხრებს აიჩეჩავდა, თითქოს ამბობდა: მომბეზრდა შენი დევნა და ლოლიავიო. ვინაიდან სკოლაში მათი მეგობრების შვილებიც დადიოდნენ, დედას დიდ გასაკიცხ საქმედ არ მიაჩნდა ქალიშვილის სწავლა; მაგრამ იმასაც არ მალავდა, რომ მის დროულად გათხოვებას ამჯობინებდა.

მაჯიდესათვის დღითიდღე უცხო ხდებოდა მამისეული სახლი. ეს დიდი სახლი ფართო საცხოვრებელი ოთახებისა და პირველ სართულზე განლაგებული საკუჭნაოებისაგან შესდგებოდა. ოთახები და საკუჭნაოები, უფერული, ნახევრად ბნელი, მარმარილოს ქვით ნაგები დიდი დარბაზის ირგვლივ იყო განლაგებული. ასეთივე დარბაზი და ოთახები იყო მეორე სართულზეც. ყველაფერი ის, რაც მაჯიდეს გაკვეთილებზე ესმოდა, წიგნებში კითხულობდა და განიცდიდა, ძალიან შორს იყო იმისაგან, რასაც აქ ხედავდა. თითქოს ამ სახლში ორმოცდაათი წლის უკან გაქვავებულიყო ცხოვრება. მაჯიდეს სრულიად უადგილოდ ეჩვენებოდა მოჩუქურთმებულ კარებთან კაკლის ხის კარადების თაროებზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი მისი წიგნები. ამ ოთახებს არც მისი სასკოლო კაბები და წინსაფრები უხდებოდა. მაჯიდემ ერთიმეორის მიყოლებით წაიკითხა რამდენიმე რომანი. მართალია, ბევრი მათგანი ზიზღით დახურა, მაგრამ ამ წიგნებმა გოგონას საოცარი სიძლიერით გადაუშალეს მისთვის უცხო სამყარო. სიკეთისა და ბოროტის გარჩევას ეს რომანები ვერ ასწავლიდნენ, მაგრამ მათში მაინც ნამდვილი ცხოვრება იყო აღწერილი.

თანაკლასელ გოგონებს დიდად არ ემეგობრებოდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მარტოობა უყვარდა — უბრალოდ, ვერავითარ კმაყოფილებას ვერ გრძნობდა მათთან საუბარში. ამ ცამეტი-თექვსმეტი წლის ქალიშვილების საუბარი მოზრდილ ადამიანებსაც გააწითლებდა. თუმცა თანაკლასელ ბიჭებს არ ეკარებოდნენ, გაურბოდნენ კიდეც, მაგრამ მათს ღირსებებსა და ნაკლოვანებებს ისე არჩევდნენ, თითქო ამ საქმის დიდი მცოდნენი ყოფილიყვნენ. მაჯიდე ვერ უძლებდა ცნობისმოყვარეობის ცდუნებას და ინტერესით ისმენდა გოგონების საუბარს, ხოლო შემდეგ, როცა მარტო რჩებოდა, ყველაფერი ეს ზიზღს გვრიდა და თავს ფიცს აძლევდა, მეტად აღარ დაეგდო ყური გოგონების საუბრისათვის.

გოგონების საუბრები კი ყოველთვის ერთმანეთს ჰგავდა. შეი-

კრიბებოდნენ სკოლის ბაღში და ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: აჰმედს თეთრი და ნაზი ხელები აქვს, მეჰმედს მსხვილი ტუჩები, ამ მასწავლებელს ამა და ამ გოგონაზე უჭირავს თვალი, ხოლო ხელსაქმის მასწავლებელი შინაბერად რჩება.

წინათ ასეთი საუბრები უაზროდ და სულელურად მიაჩნდა, ხოლო შემდეგ, როცა წიგნებმა მის წინ სულ სხვა სამყარო გადაშალეს და ოცნებები აღუძრეს, თანაკლასელთა საუბრები შეიძულა. გოგონების ეს ენაგატლეკილობა ლაქად ედებოდა წარმოდგენაში შექმნილ მშვენიერ სამყაროს. მაჯიდეს თვალწინ ხშირად გაირბენდნენ ხოლმე მომავლის ცოცხალი სურათები, მაგრამ თავის განცდებს ქალი არავის უზიარებდა, ძვირფასი საგანძურივით უფრთხილდებოდა იდუმალ ოცნებებს. თვითონაც ერიდებოდა მასზე ხშირად ფიქრს, რომ მშვენიერი სახეები არ დაემახინჯებინა.

მეშვიდე კლასში იყო მაჯიდე, როცა ერთმა შემთხვევამ იგი საბოლოოდ ჩამოაშორა თანაკლასელებს. თუმცა ამ ამბავს შემთხვევასაც ვერ დაარქმევდით. ყველაფერი, რაც მის სულში ჩაისახა და გაღვივდა, მაჯიდეს არავისათვის უგრძნობინებია უბრალო გამოხედვითაც კი.

თ ა ვ ი IV

მაჯიდეს მუსიკალურმა მონაცემებმა და მომხიბლავმა ხმამ ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში მიიპყრო ყურადღება. მეხუთე კლასში სიმღერას ვინმე ნეჯათ ბეი ასწავლიდა. ნეჯათ ბეი ბალიქესირის თითქმის ყველა სკოლაში მასწავლებლობდა. საკმაოდ ხნიერი კაცი იყო, კლასში შესვლისთანავე შალითიდან კლარნეტს ამოიღებდა და იწყებდა ერთი და იგივე მომაბეზრებელი სასკოლო მელოდიების დაკვრას. თან მოსწავლეებს თხოვდა, ამყევით, როგორადაც გემარჯვებათო.

ნეჯათ ბეი მუსიკის მხურვალე მოყვარული გახლდათ, და ზოგჯერ თვითონაც ჰქმნიდა სიმღერებს. ტექსტებს მისი კოლეგები — მასწავლებლები წერდნენ, ეს მოლექსეები ამახინჯებდნენ აზრს, ცდილობდნენ როგორმე ჩაესვათ იგი ლექსის ზომაში, ნაძალადევი რითმი და რიტმი სულაც არ ერწყმოდა ნეჯათის მუსიკას, თუმცა, არც ეს უკანასკნელი იყო დიდი ბედენა. ნეჯათ ბეი წლების განმა-

ვლობაში დაიმონა საკუთარმა უნიჭობამ და ახლა მთელს ქვეყანაზე იყო გაბრაზებული.

არავინ იცის როგორ მოხდა, რომ მაჯიდემ ნეჯათ ბეის ყურადღება მიიქცია. მასწავლებელი სულ უფრო და უფრო მეტ დროს უთმობდა გოგონასთან მეცადინეობას. მასწავლებელმა მაჯიდეს მამა დაითანხმა და ორ სხვა მოსწავლესთან ერთად სასკოლო მეცადინეობის შემდეგ მასწავლებელთა კავშირში მიჰყავდა და იქ ძველ, დანჯღრეულ როიალზე ამეცადინებდა. მოსწავლეებს აოცებდათ მაჯიდეს მიღწევები. დაწყებითი სკოლის დამთავრებისადმი მიძღვნილ საღამოზე მან როიალზე რამდენიმე პიესა შეასრულა. ხანმოკლე, რვა თვის მეცადინეობის პირობაზე საკმაოდ კარგად უკრავდა. დარბაზში მსხდომ მშობელთა, მასწავლებელთა თუ ჩინოვნიკთა შორის მუსიკისა არავის გაეგებოდა, ყველა დიდხანს და აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს. როცა მაჯიდე საშუალო სკოლის მეორე კლასში გადავიდა, ნეჯათ ბეი სხვა ქალაქში გადასახლდა საცხოვრებლად. გოგონა მთელი არდადეგების მანძილზე ერთხელაც არ მიჰკარებია როიალს. მასწავლებელთა კავშირში მარტო სიარული დიდად არ სიამოვნებდა, სურვილიც რომ ჰქონოდა, თვითონ შინაურებიც არ მოუწონებდნენ.

მერე სწავლაც დაიწყო და სკოლაში მუსიკის ახალი მასწავლებელი მოვიდა. ეს იყო მაღალ-მაღალი, მოკლედ თმაშეკრეჭილი, შავთმიანი ახალგაზრდა კაცი. მას ბედრი ერქვა. მრგვალ სახეზე თითქოს დაბნეულობის გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა. ჰოდა, დასცინეს კიდეც გოგონებმა. პირველ ხანებში ბედრის ძალიან აბრაზებდა ეს დაცინვა, სახეზე სიწითლე შემოაწვებოდა და ხმის აუმაღლებლად იკვნეტდა ტუჩებს, მაგრამ რამდენიმე წუთიც და სახეზე იგივე ღიმილი ეფინებოდა. მოსწავლეებს გადახედავდა, როიალს მიუჯდებოდა და კვლავ იწყებდა ახსნა-განმარტებას. დიდი და მუდამ ცივი მუსიკალური კლასი, მოსწავლეთა ანცობისათვის მეტად მოხერხებული ადგილი იყო. ბიჭები ძალზე თავისუფლად გრძნობდნენ თავს, გოგონები კი სახეზე ცხვირსახოცაფარებულები ჭორიკნობდნენ და სიცილით იჭაჭებოდნენ ხოლმე.

— ასეთი საქციელი არ შეგშვენით, გთხოვთ ყურადღებით იყოთ! — იტყოდა ბედრი და ეს იყო ყველაფერი, რის თქმაც შეეძლო.

კლასში ატეხილი ხმაურისა და სიცილის ჩახშობას ბედრი როიალზე ხმამაღალი დაკვრით ცდილობდა, ან ბავშვებს სთხოვდა,

ერდად იმღერეთ რამეო, მაგრამ ეს თხოვნა საქმეს ვერ შველოდა. ამ დროს საკლასო ოთახის მინიანი კარების მიღმა სკოლის დირექტორის რეფიკ-ბეის ფიგურა გამოჩნდებოდა. დირექტორი ჯერ ზიზღით გადახედავდა ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელსაც წესრიგი ვერ დაემყარებინა კლასში, მერე წარბებს შეიკრავდა, მოსწავლეებს სიჩუმისაკენ მოუწოდებდა და ისინიც პირფერული ღიმილით ეგებებოდნენ დირექტორს.

მაგრამ ბედრი ნელ-ნელა მიეჩვია ამ მდგომარეობას. მოსწავლეების უმრავლესობა ისე ცუდად იყო აღზრდილი და განებივრებული, რომ ვერც სიტყვით მოთოკავდი და ვერც თხოვნით. თვით დირექტორის გაკვეთილზეც ისე ხმაურობდნენ, გეგონებოდათ, ბაზარიაო. ბავშვები მხოლოდ ისტორიის მეტად მკაცრი მასწავლებლის გაკვეთილზე ისხდნენ წესიერად. წესიერად იქცეოდნენ თურქული ენის გაკვეთილზეც, ამ მასწავლებელს ისე ძლიერ უყვარდა ცუდი ნიშნების დასმა, რომ ბავშვებმა „ნული“ შეარქვეს.

ბედრიმ გაიგო, რომ სხვა სკოლებშიც იგივე მდგომარეობა იყო და ბავშვების უწესრიგობას ყურადღებას აღარ აქცევდა და მხოლოდ იმ მოსწავლეებს ამეცადინებდა გულდასმით, ვისაც მუსიკა აინტერესებდათ.

პირველ ხანებში მაჯიდე კუთხეში იჯდა და ბედრიმ გვიან შეამჩნია გოგონა, მაგრამ მალე ახალგაზრდა მასწავლებელმა მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა. ბედრის დაეუფლა იმ კაცის სიხარული, რომელმაც უჩვეულო რამ აღმოაჩინა. იგი მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორს გატაცებით უამბობდა თავისი მოსწავლის აშკარა ნიჭზე. ყველას არწმუნებდა, მაჯიდეს საგანგებო ყურადღება სჭირდებაო. ბედრის ყველა გულისყურით უსმენდა, თანხმობის ნიშნად თავსაც უქნევდნენ, მაგრამ ზურგს უკან დასცინოდნენ და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ ხოლმე.

მაჯიდეს ერთხელაც აღარ შეუხედავს სახეში ახალი მასწავლებლისათვის. ეს ჩვევა გოგონას ნეჯათ ბეისთან მეცადინეობისას გამოუმუშავდა. იგი მხოლოდ ნოტებს და ბედრის თითებს აცქერდებოდა, რაღაც გაურკვეველი ოცნებაც ეუფლებოდა. მასწავლებლისა და მოსწავლის საუბარი მხოლოდ და მხოლოდ იმ მუსიკალურ ნაწარმოებს შეეხებოდა, რომელსაც ამუშავებდნენ, ორივენი ძალიან ჰგავდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელოვნებისაკენ მიისწრაფვიან და მხოლოდ იმას ამჩნევენ,

რაც აინტერესებთ. ახალგაზრდა მასწავლებლისა და მაჯიდეს ასეთი უბიწო ურთიერთობა, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ სკოლის დირექტორს რეფიკ-ბეის მათთვის დახმარება არ გაეწია, რათა სხვა თვალით დაენახათ საკუთარი თავი და სხვაგვარი ფიქრები აღძროდათ.

ერთ საღამოს ბედრი სამასწავლებლოში იჯდა და სტამბოლში დედისთვის გასაგზავნ წერილს წერდა. შეამჩნია, რომ დერეფანი თითქმის დაცარიელდა. წერილი უცებ დაამთავრა და სამასწავლებლოდან გამოვიდა, ბედრი სკოლაშივე ცხოვრობდა და იმ საღამოს ქუჩაში გასვლა ეზარებოდა, გადაწყვიტა, წერილის საფოსტო ყუთში ჩაგდება რომელიმე მოსწავლისათვის ეთხოვა. დერეფნის კარებიდან ბაღში გადაიხედა, მაგრამ არავინ იყო, ყველანი წასულიყვნენ. ისევ შებრუნდა, ქუდს რომ იხურავდა, მუსიკალური კლასიდან დაკვრა შემოესმა.

— მაჯიდეს წერილს გავატან, გამიგზავნის, — გაიფიქრა მან. კლასში რომ შევიდა, მაჯიდე აღარ უკრავდა, როიალი დაეხურა, ჩანთა მოემარჯვებინა და წასასვლელად ემზადებოდა.

— ცოტა ვიმეცადინე, ეფენდი... — მორიდებულად თქვა და კარებისკენ გაემართა, ბედრიმ გზა დაუთმო და უთხრა:

— ფოსტასთან რომ გაივლი, ეგ წერილი ყუთში ჩააგდე.

მაჯიდემ წერილი ჩანთაში ჩადო და მასწავლებელს თავი დაუკრა.

— ნახვამდის, ეფენდი! — წარმოთქვა გოგონამ.

— წერილის ჩაგდება არ დაგავიწყდეს!

— არ დამავიწყდება, ეფენდი!

მაჯიდე ბაღში გამოვიდა და სილამიყრილ გზაწვრილზე სწრაფი ნაბიჯით გაიარა. ბედრი კი სამასწავლებლოში შებრუნდა. უცებ დერეფნის ბნელი კუთხიდან დირექტორი შემოეფეთა. ბედრის გვერდი აუარა და ბაღში ჩაირბინა. ბედრი გააკვირვა რეფიკ-ბეის აღგზნებულმა სახემ და უცნაურმა საქციელმა, მაგრამ მერე ამაზე აღარ უფიქრია.

მეორე საღამოს ბედრის მაჯიდე უნდა ემეცადინებინა. კლასში რომ შევიდა, დაინახა, რომ ყველა მოსწავლე, ვისაც ცალ-ცალკე ამეცადინებდა, ამ საღამოს ერთად შეყრილიყო.

— დღეს რომ თქვენი მეცადინეობის დღე არ არის, რატომ დარჩით? — მკაცრად იკითხა ბედრიმ, მაგრამ გულში მაინც სი-

ამოვნება იგრძნო, იფიქრა, მოსწავლეები მუსიკით დაინტერესებულანო.

გოგონებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. მაჯიდე იმ საღამოს წინა მეხზე იჯდა, გაწითლდა და თავი დახარა.

— დირექტორმა გვიბრძანა დღეიდან ყველამ ერთად იმეცადინეთო, — წარმოთქვა ერთმა ბიჭმა.

ბედრიმ გაოცებით შეათვალიერა კლასი, მხრები აიჩეჩა და ნოტები გადაშალა. მერე ბავშვს მოუსმინა და სხვებს გამოუცხადა:

— თქვენ ხვალ მოხვალთ!

ბავშვები დაითხოვა თუ არა, დირექტორისაკენ გაემართა, უნდოდა ასეთი უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი გაეგო. დირექტორი კაბინეტში არ იყო. ბედრი თავის ოთახში შევიდა, ტანთ გადაიცვა და სასეირნოდ გავიდა. ათიოდ ნაბიჯზე ის ბავშვები შენიშნა, ახლახან რომ ამეცადინებდა, ბედრი ბავშვებს დაეწია და მათთან ერთად გზა განაგრძო. მოსწავლეები, როგორღაც უჩვეულოდ დუმდნენ.

— თქვენთვის, რასაკვირველია, სასარგებლოა გაკვეთილებზე დასწრება, — თქვა ბედრიმ, — მაგრამ ერთი პირობით — ყურადღებით უნდა იყოთ და თქვენი ხმაურით სხვებს არ უნდა შეუშალოთ ხელი.

მოსწავლეები კვლავ სდუმდნენ, საჭირო იყო რაიმეს თქმა და ბედრიმაც ჰკითხა მაჯიდეს:

— გუშინ წერილის ჩაგდება ხომ არ დაგავიწყდა?

გოგონას სიწითლემ დაუარა, დაიმორცხვა. სხვა მოსწავლეები თავდახრილი გასუსულიყვნენ, ზოგიერთი გაწითლდა კიდეც. ტუჩებს იკვნეტდნენ, რომ სიცილი არ წასკდომოდათ.

— თქვენი წერილი ბატონმა დირექტორმა წაიღო, ეფენდი! — ძლივს გასაგონად თქვა მაჯიდემ.

მოულოდნელობისაგან ბედრი შეჩერდა:

— რატომ?

— არ ვიცი, ეფენდი, ბაღიდან გამოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ წამომეწია და, წერილი მომეცით, მიბრძანა. კონვერტი რომ ამოვიღე. მკითხა, „რა წერია წერილში?“ „არ ვიცი, მე მხოლოდ საფოსტო ყუთში ჩაგდება მთხოვეს-მეთქი“, — ვუთხარი. მერე კონვერტზე დაწერილი მისამართი წაიკითხა და თქვა, „კარგი, წადი

და მეტად არ გაბედო სხვისი წერილების ფოსტაში წაღებაო“. თქვენი წერილი კი მესამე კლასელს ენვერს მისცა ფოსტაში წასაღებად.

მასწავლებელს ხმა არ ამოუღია. მოედანთან მოსწავლეებს დაემშვიდობა და იმ ყავახანისაკენ გაემართა, სადაც ჩვეულებრივ მასწავლებლები იყრიდნენ თავს. ყველა მისი კოლეგა აქ იყო. ვინ რას თამაშობდა და ვინ რას. ზოგი მოთამაშეებს დასდგომოდა თავს და რჩევა-დარიგებებს იძლეოდა.

ბედრიმ შორეულ კუთხეში დირექტორს მოჰკრა თვალი, ფეხი ფეხზე გადაედო და ბანქოს დასტას ათამაშებდა. დროდადრო მელოტ თავზე ხელს ისვამდა და ისევ ბანქოს უბრუნდებოდა. დირექტორმა დაინახა ბედრი, მაგრამ არ შეიმჩნია. როცა დარწმუნდა, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი მისი მაგიდისაკენ მოდიოდა, თავაზიანად მიმართა:

— დაბრძანდით, გეთაყვა! აგერ, აქ! რას დალევთ?

— გმადლობთ, არაფერს არ დავლევ! მე მხოლოდ თქვენთან მოლაპარაკება მინდა!

დირექტორის ამფსონებმა უკმაყოფილოდ შეხედეს ბედრის. იგი იშვიათად შემოდიოდა ხოლმე კაფეში და ახლაც თამაშის ჩასაშლელად მოსულიყო.

— გისმენთ, გეთაყვა, ახლავე დავამთავრებ ამ პარტიას... თუმცა, თუ საჩქარო საქმე გაქვთ, ახლაც შეიძლება, — მერე იქვე მდგომ კაცს მიუბრუნდა: — ერთი ითამაშე ეს პარტია, მხოლოდ ყურადღებით იყავ, უკვე მესამეჯერ ჩამოვდივარ!

დირექტორმა შედარებით მოფარებულ კუთხეში გამოიყვანა ბედრი. მასწავლებელმა არ იცოდა, როგორ დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ დირექტორმა დაასწრო:

— თქვენ, ალბათ, წერილის ამბავი გაინტერესებთ? დილიდან გელოდებოდით, რომ არ მოხვედით, ვიფიქრე, ალბათ, თვითონვე ჰიხვდა თავის შეცდომას-მეთქი. გეთაყვა, თქვენ ბევრი გიმოგზაურიათ, ბევრი რამ გინახავთ, ბევრიც იცით, მაგრამ ჩვენ ჩვენი გამოცდილება გვაქვს. ისეთ პატარა ქალაქებში, როგორიც ჩვენი ბალიქესირია, ყოველი ნაბიჯი გამოზომილი უნდა იყოს, თუ არ გინდათ თქვენი სახელი ყველას სათრევი გახდეს. ჩვენი ქვეყანა გერმანია როდია, გეთაყვა. თქვენ, ვგონებ გერმანიაში იყავით?

— არა, ვენაში.

— სულ ერთია, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეს ევროპა არ არის, გვინდა კი ევროპას ვგავდეთ, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად როდი ხდება. დროა საჭირო, დრო...

ბედრიმ ხელის მკვეთრი მოძრაობით შეაწყვეტინა დირექტორს:

— რაებს ლაპარაკობთ, რა საჭიროა ყველაფერი ეს, — წარმოთქვა გაცხარებულმა ბედრიმ და დადუმდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ განაგრძო, — რატომ გამოართვით წერილი გოგონას? ან რატომ არ დაუბრუნეთ მისამართის წაკითხვისთანავე, რად გაატანეთ წერილი სხვა ბავშვს?

ბედრი გრძნობდა, რომ სერიოზული ჩხუბი ატყდებოდა და რომ ეს მომენტი უკვე ახლოვდებოდა.

— იმიტომ, რომ თქვენ გადამერჩინეთ, — რეფიკ-ბეიმ ბედრის მხარზე დაადო ხელი, — იმიტომ, რომ მეხსენით იმ ჭორებისაგან, რომელიც მაშინვე გავრცელდებოდა ქალაქში, — თითქმის გულწრფელი ტონით თქვა დირექტორმა.

— თქვენ რა, სულელი ხომ არ გგონივართ? — სიბრაზისაგან ხმა ჩაეხრინწა ბედრის, — მე რომ მაჯიდეს წერილი გავატანე, თქვენს გარდა არავის დაუნახავს, კიდეც რომ დაენახა, არა მგონია, ასეთი საზიზღრობა თქვენს გარდა სხვას ეფიქრა.

ბედრი სულ გაყვითლდა.

— არა თუ ახსნა-განმარტების მოცემა, თქვენთან ამ საკითხზე საუბარიც სისულელედ მეჩვენება, რა სიმდაბლეა ასეთი ცილისწამება!

რეფიკ-ბეიმ სახელოში მოჰქაჩა და სკამზე დასვა.

— იქნებ თქვენი აღშფოთება სამართლიანიცაა, მაგრამ მერწმუნეთ, მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე. მე მჯერა თქვენი კეთილი განზრახვისა, მაგრამ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ აქაური მოსახლეობა სულ სხვაგვარია და ასეთ საქციელში მხოლოდ ცუდს ხედავს.

— თქვენ მე მოსწავლეებთან შემარცხვინეთ.

— ასე რომ არ მოგქცეულიყავ, მთელ ქალაქში შერცხვებოდით.

— როგორ შევხედო ახლა იმ ბავშვებს თვალებში?

— აბა რას ამბობთ ეს ჩვეულებრივი ამბავია! განაწყენებადაც კი არ ღირს, ერთმანეთს უფრო ფრთხილად უნდა იყოთ.

რეფიკ-ბეი წამოდგა. პარტია, რომელსაც შორიდან ადევნებდა თვალს, დამთავრდა. ბისმა შემცვლელმა წააგო. დირექტორს საუბრის დამთავრება ეჩქარებოდა:

— ხვალ სკოლაში ყველაფერს დაწვრილებით განვიხილავთ. გავა-დრო და თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ მე მართალი ვიყავი. ჰო, მართლა, — განაგრძო დირექტორმა, თითქოს ახლა გაახსენდაო, — მე საჭიროდ ჩავთვალე, რომ ყველა მოსწავლე ერთად ამეცადინოთ და არა ცალ-ცალკე, უკვე დაიწყო ათასგვარი მითქმა-მოთქმა, ჩვენ არ უნდა გავუცრუოთ მშობლებს იმედები. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან სკოლაში ვაჟებიც სწავლობენ და გოგონებიც.

რეფიკ-ბეი კვლავ მიუჯდა მაგიდას ბანქოს სათამაშოდ. ამფსონებმა კითხვის გამომხატველი თვალები მიაპყრეს მას.

— ისეთი არაფერი მომხდარა, — თქვა დირექტორმა, — უბრალოდ ამ ახალგაზრდას ჰგონია, რომ ჩვენ ყველანი იდიოტები ვართ! მაგნაირები მინახავს?! განა შეიძლება ასეთი მგლები ახლადშეღებულები გოგონების ფარაში შეუშვა? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა აგრძნობინო, რომ ჩვენ ბრმები არა ვართ.

დირექტორმა ბანქო აურია.

— ახლა კი გაგისწორებთ ანგარიშს, — თქვა მან და თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, კვლავ განაგრძო. ისე, რომ ბანქოს ქაღალდის დარიგება არ შეუწყვეტია, — რამდენი ხანია დირექტორი ვარ და ამისთანა რამეების უფლება არავისთვის მიმიცია, რაღა ამ თავხედს შევალახვინო ჩემი რეპუტაცია!

ბედრი კუთხეში იჯდა. ჩხუბი, რომელიც ასე ეწადა, არ მოხერხდა. გზაზე მოფიქრებული ყველა მკაცრი სიტყვა დააავიწყდა. არც თავდაცვას ჰქონდა აზრი და არც ამ კაცის გინებას. ის ცილისწამება და სიმდაბლე, რომელზეც ბედრის ფიქრიც კი რცხვენოდა, დირექტორს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა. მის ყოველ სიტყვას ისეთნაირად პასუხობდა, რომ შეკამათება უაზრობა იყო. ამ ადამიანების წინაშე თავს უმწეოდ გრძნობდა. მათ არ სჯეროდათ, რომ ადამიანი შეიძლება იყოს გულწრფელი, პატიოსანი და მართალი. მათი რწმენით ყველაფერს მხოლოდ ბოროტი განზრახვა და ანგარება ამოძრავებდა. ახალგაზრდა მასწავლებელი ყავახანიდან გამოვიდა და სკოლისაკენ გაემართა. ინსტრუმენტთან ახლოს მისვლის სუ-

რვილიც აღარ ჰქონდა. მერე ზურგჩანთაში წიგნს დაუწყო ძებნა, ამოიღო, რაც ხელში მოხვდა და სცადა კითხვისათვის გადაეყოლებინა გული.

თ ა ვ ი V

მაჯიდე შინ დაბრუნებისთანავე ავიდა თავის ოთახში, ჩანთა კუთხეში მიაგდო, წინსაფარი მოიხსნა და პირი დაიბანა. მერე ჩანთიდან გეოგრაფიის სახელმძღვანელო ამოიღო, მინდერზე[1] დაჯდა და გაკვეთილების დამზადებას შეუდგა.

ერთსა და იმავე გვერდს ორ-ორჯერ კითხულობდა, მაგრამ ვერაფერს იგებდა. გონებადაფანტულს აზრი ვერ მოეკრიბა. წარბშეკრული გოგონა კბილებს ისე აკრაჭუნებდა, თითქოს ვინმეს ებრძვისო. აჩქარებით სუნთქავდა, ხელები უკანკალებდა. ბოლოს წიგნი კუთხეში გადაისროლა, მინდერზე გადაწვა და ტირილი წასკდა. მერე იმის შიშით, ტირილი არ გაიგონონო, თვითონ გატენილ ბალიშს ჩაავლო კბილები.

მაჯიდე სიბრაზისაგან ტირიდა, დიახ, მხოლოდ სიბრაზისაგან, გაბრაზებული იყო ყველაზე, დირექტორზეც და თანაკლასელ გოგონებზეც, შინაურებზეც და თავის თავზეც, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ბედრიზე ბრაზობდა.

როგორ ბედავენ, როგორ ბედავენ მის დამცირებასა და დაცინვას. როგორ ბედავენ გარეთ რაღაც ბინძურ საქმეში. ახლა სკოლაში მისვლაც კი საშინელებად ეჩვენებოდა. აღარ იაროს? მაშინ ხომ ყველას უნდა აუხსნას სკოლაში წაუსვლელობის მიზეზი. არა, ამაზე ფიქრიც კი აშინებდა.

გუშინ საღამოს, დირექტორთან საუბრის შემდეგ სცადა დაეძლია ესიამოვნო ფიქრები. ბოლოს დაშვიდდა კიდეც, მაგრამ დღეს სკოლაში შეამჩნია, რომ თანაკლასელები რაღაც სხვაგვარად ექცეოდნენ. ახალი ამბავი მთელმა სკოლამ გაიგო. ყველა, ვინც მაჯიდეს განმარტოებას მისი ამპარტავნობით ხსნიდა, ან ვისაც მისი ნიჭისა ძურდა, ახლა აშკარა შეტევაზე გადმოდიოდა.

---

[1] ბალიშის მაგვარი საგანია, იატაკზე ჯდომისას ხმარობენ.

— ხედავთ, თურმე როგორი ამბები ხდება და ჩვენ კი არაფერი ვიცით, — ამბობდნენ მაჯიდეს გასაგონად.

— ყოჩაღად მოიქცა ბატონი დირექტორი.

ამ დროს თანაკლასელთა გამოხედვაც სიტყვებზე უფრო მრავლისმეტყველი იყო.

მაჯიდე არც აბაყი იყო და არც საკუთარ თავში დარწმუნებული. პირიქით, მას აკლდა კიდეც რწმენა საკუთარი თავისა. ჰოდა, ახლა ვერც გაეგო, რატომ აქცევდნენ ახლა დიდ ყურადღებას თანაკლასელები. გაოცებული ფიქრობდა: განა შეიძლება ადამიანს აწუხებდეს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე საკუთარი აზრები, უიღბლობა, შიში და ნაკლოვანება? მაჯიდეს ეჩვენებოდა, რომ თანაკლასელებს რაღაც მოჯადოებული სათვალეები ეკეთათ. ეს სათვალეები ხელს უშლიდა მათ კარგად დაენახათ საკუთარი თავი. სხვანაირად ვერც ახსნიდა თანაკლასელთა ასეთ იდიოტურ სიბრძავეს. მაჯიდეს რომელიმე ამხანაგს შეეძლო დაეცინა თანაკლასელისათვის, ფრჩხილები გაუქლიბია, თუმცა ამ დროს ყველამ იცოდა, რომ თვითონ დედისაგან მოპარული ფერუმარილით ითხუპნებოდა .მეორე გოგონა კი კვირა დღეს სასეირნოდ გაჰყვებოდა ბიჭებს და მთელი დღე დაიკარგებოდა, აურზაური მთელ ქალაქს მოედებოდა. გოგონას გამოიძახებდნენ დისციპლინარულ საბჭოზე და ერთი კვირით სკოლიდან რიცხავდნენ, მაგრამ გავიდოდა ორი დღე და იგი არც კი გაწითლდებოდა, ისე წამოიძახებდა: „ღმერთო, რა უსირცხვილო ხალხია, შეხედეთ, აიშე აჰმედთან დადის“.

როცა მაჯიდეს რომელიმე თანაკლასელის საქციელი არ მოსწონდა, უპირველესად თავს ეკითხებოდა „მეც ხომ ასე არ ვიქცევიო“. ასეთი კითხვა ალბათ, არც ერთ მის ამხანაგს არ დაუსვამს საკუთარი თავისათვის. და აი მაჯიდე საოცარმა შიშმა შეიპყრო. როგორ შეეძლო გულთან ასე ახლოს მიეტანა ეს ყველაფერი. „რაც არ უნდა დამცინონ, ყურადღებას არ მივაქცევ“, — გადაწყვიტა გოგონამ და სასწრაფოდ წამოდგა, პირი დაიბანა, მერე ისევ მინდერზე დაჯდა და სახვალიო გაკვეთილების მომზადებას შეუდგა.

დროდადრო წიგნებს გამოეთიშებოდა და თვალწინ თანაკლასელთა დამცინავი სახეები და რეტდასხმული, აღშფოთებული ბედრი წარმოუდგებოდა. მაგრამ მაშინვე შეირხეოდა, წარბებს ჯიუტად შეჰყრიდა, თითქოს აკვიატებულ სახეებს დევნისო, და კვლავ აგრძელებდა კითხვას.

მეორე დღეს სკოლა სულაც არ მოსჩვენებია საშინელებად. ჯერ კიდევ გზაზე შეამჩნია, რომ თავს თამამად გრძნობდა. ისე მსუბუქად და სწრაფად მიაბიჯებდა, თითქოს რაიმე კეთილი ამბის გაგება ეჩქარებაო. გაკვეთილების დაწყებამდე და შესვენებებზე მაჯიდემ შეამჩნია, რომ თანაკლასელებმა საქილიკაოდ უკვე სხვა თემა მონახეს. ბედრის წერილი და მასთან დაკავშირებული ინციდენტი საბოლოოდ უფრო ადრე დაავიწყდათ, ვიდრე თვითონ მოელოდა. მაჯიდემ თავისუფლად, მაგრამ მაინც ნაღვლიანად ამოიოხრა. ნაღვლიანად, რადგან დარწმუნდა, რომ თანაკლასელთა გულში არასოდეს ეჭირა დიდი ადგილი და კლასის ყურადღების ცენტრში ხანგრძლივად არასოდეს რჩებოდა.

რამდენიმე დღეში ცხოვრებამ ჩვეულებრივი სახე მიიღო, მხოლოდ ეს იყო, რომ მუსიკაში ახლა შვიდ-შვიდი ბავშვი მეცადინეობდა. ბედრი კიდევ უფრო დაბნეული და ნერვიული გახდა. უბრალო რამეზე აყვირდებოდა, მაგრამ უმალვე, თითქოს ბოდიშს იხდისო, ჩვეულებრივზე უფრო რბილი და თავაზიანი ხდებოდა. განსაკუთრებით თავაზიანი იყო იგი მაჯიდესთან. როგორც ჩანს, მასწავლებელი გრძნობდა, თუ რამდენი უსიამოვნება განაცდევინა მოსწავლეს.

ვაჟს უნდოდა ეჩვენებინა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა და თუ რამე მოხდა კიდეც, უნებურად მომივიდა, ბრალი არ მიმიძღვისო. ზოგჯერ დერეფანში შეხვედრისას ისე გადახედავდნენ ერთმანეთს, რომ ცხადი იყო, კარგად ესმოდათ ერთიმეორისა. ხანდახან, გაკვეთილების მსვლელობის დროს, ბედრი მაჯიდეს კლასის წინ ჩაივლიდა, გოგონას ესმოდა, როგორ ანელებდა იგი ნაბიჯებს. გრძნობდა, რომ მინიანი კარების მიღმა მდგარი ბედრის თვალები მას დაეძებდა.

მათ შორის იმ ადამიანების ურთიერთობა დამყარდა, რომლებსაც ერთნაირად, უსამართლოდ მოექცნენ. მაჯიდეზე განსაკუთრებით ბედრის ძალზე ჩაფიქრებული და ფერმკრთალი სახე მოქმედებდა. საღამოობით, შინ დაბრუნებისას განგებ ჩამორჩებოდა ხოლმე ამხანაგებს, რათა ქალაქში საქმეებზე მიმავალი ბედრი დაენახა. გოგონა დაძაბული გასცქეროდა, ვიდრე მოსახვევს არ მიეფარებოდა. მას არც ის მოსწონდა, როცა ბედრი დიდხანს ელაპარაკებოდა რომელიმე მოსწავლე გოგონას, თუმცა ამაში თავის თავსაც არ უტყდებოდა. რამდენჯერ უკითხავს საკუთარი თავისათვის, „იქნებ დირექტორი მართალი იყო?“, მაგრამ როცა გაახსენდებოდა, რომ

მისი და ბედრის ურთიერთობა სწორედ დირექტორის ჩარევის შემდეგ შეიცვალა, თავისმართლებას ცდილობდა. ამასწინანდელი ინციდენტი თითქოს ყველას მიავიწყდა, მაგრამ, საკმარისი იყო ბედრი მაჯიდეს რამდენიმე წუთით გამოლაპარაკებოდა, რომ თანაკლასელები უმალ მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ ერთმანეთს. მაჯიდეც დაირცხვენდა. საოცარი ის იყო, რომ ეს ყველაფერი თითქოს უფრო აახლოვებდა ვაჟთან. ახლა ყოველ გაკვეთილზე გულისფანცქალით იყურებოდა კარებისაკენ. ელოდა, როდის გაივლიდა ბედრი დერეფანში. როგორც კი დერეფნიდან ნაბიჯების ხმას გაიგონებდა, იმწამსვე კარებისაკენ გაიხედავდა. მაჯიდეს ეშინოდა, სხვების ყურადღება არ მივიქციოო, მაგრამ მაინც ხანგრძლივი მზერით პასუხობდა ბედრის დაჟინებულ გამოხედვას. ამ გულადობის გამო მაჯიდე ერთგვარ სიამაყესაც გრძნობდა, თუმცა მისი ხასიათი და ბედრის მდგომარეობა არ იძლეოდა ურთიერთდაახლოების საშუალებას. ბედრის მაჯიდესთან გამოლაპარაკების საშუალება ხშირად ჰქონია, მაგრამ არც შესვენებებზე, არც გაკვეთილებზე და არც გაკვეთილების შემდეგ ამ შემთხვევით არ სარგებლობდა. ეს იყო, რომ ხანდახან ფარულად გადახედავდა მაჯიდეს, თითქო მთელი ფავისი გრძნობების გადმოცემა სურსო. დირექტორმა მისდაუნებურად აიძულა სულ სხვა თვალით შეეხედა მაჯიდესათვის. ახლა ვაჟს მაჯიდეს მუსიკალურ მონაცემებზე ნაკლებ როდი იზიდავდა გოგონას ყელი, ხელები. განსაკუთრებით თვალები მოსწონდა, რომელშიც იმდენი რამ იმალებოდა, ეს თექვსმეტი წლის გოგონა სხვაში არ აგრეოდათ. მის საუბარსა და ქცევას სიყალბის ნატამალიც არ ეცხო. მისი ჭკვიანური თვალები გაბედულად, ფართოდ და ისეთი ბუნებრივი უბრალოებით იმზირებოდნენ, როგორიც იშვიათად გააჩნიათ ქალებს.

ბედრი მოუთმენლად ელოდა იმ გაკვეთილებს, როცა მაჯიდეს უნდა შეხვედროდა. ესიზმრებოდა კიდეც, მაგრამ სკოლაში მაინც არაფერს იმჩნევდა, პირიქით, სხვა მოწაფეებს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდა. ფიქრობდა, ქალიშვილს სახელი არ გაუტყდესო. არ უნდოდა, რომ ეს ურთიერთობა მასწავლებლისა და მოსწავლის ბინძურ სასიყვარულო ინტრიგაში გადაზრდილიყო, რაც ასე ხშირი იყო ხოლმე სკოლებში. მაჯიდესთან ბევრი მეცადინეობაც არ უხდებოდა, იგი სხვებზე გაცილებით უფრო ნიჭიერი და ბეჯითი იყო.

ქალიშვილს ერთი გარემოების გამოც გაუკვირდა: ბედრი მუსიკოსი, არტისტული ბუნების კაცი იყო და საკუთარი თავის დამორჩილება უჭირდა, ეშინოდა, ნამდვილად არ შემიყვარდესო, დიდსა და ძლიერ სიყვარულს უფრთხოდა.

ამ საშიშროების გამო ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, გოგონას დასცილებოდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. როგორც კი დროს მოიხელთებდა და, ეგონა, არავინ მიყურებსო, მაშინვე მაჯიდეს გახედავდა. ეს იყო ნაზი, აღტაცებული გამოხედვა. მას არ ეუხერხულებოდა, რომ ქალიშვილი ამჩნევდა ამას. მისთვის ძალზე ძვირფასი იყო გოგონას ასეთი თავშეკავება. მაჯიდეს რომ რაიმეთი გამოეხატა თავისი აღტაცება და სიხარული, ისევე დაანაღვლიანებდა ბედრის, როგორც ქალიშვილის გულგრილობა მისდამი.

ორივენი ახლობელნი იყვნენ ერთიმეორისათვის, ორივენი ბავშვებივით იქცეოდნენ: მაჯიდე ნამდვილად ბავშვი იყო, ბედრი კი მოზრდილი ბავშვი — მხატვარი.

ამასობაში სასწავლო წელიც დამთავრდა. არდადეგები დაიწყო და ბედრი სტამბოლში წავიდა დედასთან. მაჯიდე მამის დიდ, ხის სახლში ჩაიკეტა. ახალგაზრდებს ერთმანეთის სამახსოვროდ რამდენიმე ფოტოსურათის გარდა არაფერი დარჩენიათ. ეს სურათები სკოლის ბაღში გადაიღეს სხვა მოსწავლეებთან ერთად ხუთ მაისს[1]. არც ერთმანეთის სახე დამახსოვრებიათ დიდხანს. დარჩათ ის მძაფრი და მხურვალე გრძნობა, რომელიც ასე ძლიერად განიცადეს ან სულაც მხოლოდ საკუთარი წარმოდგენით შექმნეს. სადგურისაკენ ეტლით მიმავალ ბედრის მაჯიდე და მისი ამხანაგები შემოხვდნენ. გოგონები მასწავლებელს მიესალმნენ. მიუხედავად იმისა, რომ მაჯიდემ და ბედრიმ ერთმანეთის შეხედვა ვერ გაბედეს, მათ მაინც მოეჩვენათ, რომ თითქოს ძალზე დიდხანს უყურეს ერთმანეთს.

სექტემბერში, როცა კვლავ დაიწყო მეცადინეობა, სკოლაში მუსიკის ახალი მასწავლებელი მოვიდა. ბედრი აღარ დაბრუნებულა. ამბობდნენ, სტამბოლში დარჩაო. ამ წელმა მაჯიდესათვის უკვალოდ ჩაიარა, ახალი მასწავლებელიც ახალგაზრდა იყო. მაჯიდემ სხვა მოსწავლეებთან ერთად რამდენიმე კონცერტში მიიღო მონაწილეობა. კონცერტებს საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა.

მაჯიდეს ვერ გაეგო, რა სარგებლობა მოჰქონდა მისთვის სკო-

---

1 ხუთი მაისი ყვავილების დღესასწაულია.

ლას, მაგრამ ყველა გამოცდა მაინც ჩაბარა და საშუალო სკოლაც დაამთავრა. მხოლოდ ერთხელ დასჭირდა მამის დახმარება, ფრანგულ ენაში გამოცდის ჩაბარებისას.

ყველაფერი დამთავრდა. რა უნდა აკეთოს აწი? ამ კითხვას ვერც მაჯიდეს დედა პასუხობდა, ვერც მამა და ვერც მასწავლებელი, ისევე როგორც არაფერი იცოდნენ ამის შესახებ სხვა მოსწავლეების მშობლებმაც. მაჯიდეს მსგავსად ამ მოსწავლეების ბედიც კვლავ შემთხვევითობის სათამაშოდ ქცეულიყო. ვინ იცის, იქნებ მაჯიდე მალე გააოხოვონ კიდეც? იგი უარს იტყვის. მერე გამონახავენ მეორე საქმროს, მასაც უარს ეტყვის, მაგრამ დიდხანს კი „გაგრძელდება ასე? ოდესმე ხომ მოეღება ბოლო ქალიშვილის უაზრო ჟინიანობას, ბოლოს, ალბათ, მაინც დაემორჩილება. „მოხდეს, რაც მოსახდენიაო“, და ეს მოსახდენიც მოხდება.

ასეთი ყოფილა თურმე ცხოვრება, დანისლული და მღელვარე ზღვა. წინ რა გელის, ორი ფეხის ნაბიჯზეც ვერ გამოიცნობ. რაღად გიხდა ნებისყოფა, თუკი შენზე შემთხვევითობა მბრძანებლობს. რა საჭიროა ამაღელვებელი გრძნობები და აზრები, თუკი ვერ გამოიყენებ. განა უფრო გონივრული არ არის, იყო დამყოლი, ქარაფშუტა კაცი, ადვილად აითვისო ის მზამზარეული ფორმები, რომელსაც ცხოვრება და საკუთარი წრე გაწვდის, ვიდრე უარჰყო ეს ცხოვრება და თვითონვე იბრძოლო მის შესაცვლელად?

ასეთი და ამის მსგავსი აზრები უტრიალებდნენ მაჯიდეს თავში. ამ კითხვაზე პასუხის ძებნისას, დღეები ნამგლით მოცელილი ლეროებივით ცვიოდნენ ერთი მეორის მიყოლებით. გოგონა როიალზე უკრავდა და ამით სურდა გაეფანტა მოწოლილი დარდი. მამა ადვილად დაითანხმა ძველი, აშლილი როიალის ყიდვაზე. ეს როიალი უწინ რომელიღაც ბერძენს ეკუთვნოდა, ახლა კი იაფად გაყიდა დეპარტამენტმა, თუმცა ეს ძველი, დანჯღრეული ინსტრუმენტი მხოლოდ სევდასა ჰგვრიდა. მაჯიდე წინათ სიამოვნებით უკრავდა როიალზე. მისი აზრით, მხოლოდ მუსიკას შეეძლო ადამიანის სულის ამოძრავება, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ მისთვის ეს ძნელი ამოცანა იყო. ნოტებს რომ გაშლიდა და დაკვრას დაიწყებდა, ყურებში მხოლოდ ბედრისა თუ მეორე მასწავლებლისაგან მოსმენილი მელოდიები ჩაესმოდა. წარმოსახვისა და მეხსიერების ამ დაუნდობელ თამაშზე იგი უღონოდ ხურავდა ინსტრუმენტს.

მაჯიდე არ ჰგავდა იმ თანაკლასელ გოგონებს, მუსიკა ეიტგად

გათხოვების საშუალებად რომ მიაჩნდათ და ქორწინების შემდეგ მას ისევე მოიშორებდნენ, როგორც ქალიშვილობის კაბას. რომელიც უკვე აღარ სჭიროდათ, მაჯიდესათვის მუსიკა ის უახლოესი მეგობარი იყო, რომელშიც რაღაც აზრს ხედავდა. უმუსიკოდ ვერც თავისი თავი და ვერც ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

სიცხიან დღეებში, ნახევრად ბნელ დარბაზში ტახტზე წამოწოლილი, უსაზღვრო ოცნებებს ეძლეოდა. ზოგჯერ დედასა და მის მეგობრებსაც მიჰყვებოდა ბაღებსა და ვენახებში. მაჯიდეს დედა ქარაფშუტა მეგობრებთან ერთად ხშირად აწყობდა ამგვარ თამაშობებსა და გასეირნებას, მაგრამ ეს გართობანი უფრო აძლიერებდა ქალიშვილის გულს შეშფოთებულ სევდას.

მომავალზე ფიქრით დაღლილი მაჯიდე ახალმა შემთხვევითობამ გამოაცოცხლა. სტამბოლიდან ღეიდა ემინე ჩამოვიდა გასართობად; ჩამოსულ ქალს იმის გაგებაც უნდოდა, თუ რისი გაყიდვა შეიძლებოდა ბალიქესირში. ღეიდა ემინე მოიხიბლა მშვიდი და ლამაზი მაჯიდეთი, რომელიც სულ არ ჰგავდა თავის ქარაფშუტა და თავგასულ ქალიშვილს. როცა ისიც გაიგო, რომ მაჯიდე მუსიკით იყო გატაცებული, ერთი ალიაქოთი ატეხა.

— დამერწმუნეთ, რომ მაჯიდეს არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებ აქ, — ემინეს ლაპარაკში იგრძნობოდა სიბრალული იმ ნათესავებისადმი, რომლებსაც ბალიქესირში გაატარეს მთელი ცხოვრება, — რა, გინდათ აქ დაღუპოთ? სტამბოლში ისწავლის, ქვეყანას ნახავს. ბალიქესირში დამყაყების მაგივრად იქ გამოცოცხლდება, სემიჰასთან ერთად გაერთობა, ისეირნებს.

ბოლოს ღეიდა ემინე მშობლებისათვის ყველაზე მტკივნეულ ამბავს შეეხო.

— როგორი სიძე უნდა იშოვო აქ? ერთი საწყალი ჩინოვნიკი? არა, მაჯიდე მეტის ღირსია. შეიძლება სტამბოლში ექიმმა ან ინჟინერმა შეირთოს. აი, ვნახოთ, თუ ასე არ მოხდეს, ჯერ იცხოვროს რამდენიმე წელიწადი ჩვენთან და მერე ნახეთ!

მაჯიდე აღაფრთოვანა ამ კეთილმა და მხიარულმა ღეიდამ. ემინე მხურვალედ ჰკოცნიდა მას და სტამბოლის ამბებს უყვებოდა. ესაუბრებოდა იმ ქალიშვილებზე, რომლებსაც სტამბოლში დაუახლოვდებოდა და დაუმეგობრდებოდა.

— კონსერვატორიაში სწავლა თუ შემეძლება? — ჰკითხა ერთხელ მაჯიდემ ღეიდას.

— ღმერთო ჩემო, რას ამბობ, რასაკვირველია, შეგეძლება, სადაც მოგესურვოს, იქ ისწავლე.

ამის შემდეგ მაჯიდეს დედა ემინე ხნიერ და ჩასუქებულ ანგელოსად ეჩვენებოდა, რომელიც მის საშველად ციდან ჩამოფრინდა.

მაჯიდეს მშობლებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ადვილად დაიყოლიეს. შემოდგომა კარს იყო მომდგარი და ახალი მოსავლის ფული ჯერ კიდევ ჰქონდათ. მაჯიდეს რამდენიმე „სასტამბოლო“ კაბა შეუკერეს, დედა ემინეს რამდენიმე ბიდონი თაფლი, ერთი დერგი დაწნილებული ზეთისხილი, ორი პატარა ნოხი გაატანეს, ორივენი მატარებელში ჩასვეს და სტამბოლს გაისტუმრეს.

სადგურზე მხოლოდ დედა ტირიოდა. მამამ კი მაშინ შეკრა წარბები, როცა მატარებელი დაიძრა და დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია.

თ ა ვ ი VI

ნიჰადმა და ომერმა ხიდის საფეხურები ჩაათავეს და ნელი ნაბიჯებით გაუყვნენ ბაბიალის[1] პროსპექტს. ბიჭები ბეიაზეთეისაკენ მიდიოდნენ, რათა წიგნების მაღაზიების ვიტრინებისათვის შეეევლოთ თვალი. მდუმარედ მიჰყვებოდნენ აღმართს, ვიტრინებში ზეითუნის ზეთში დამზადებული არტიშოკი, შემწვარი ცხვრის ღვიძლის ნაჭრები და ერთფეროვნად, უგემოვნოდ გაფორმებული წიგნები გამოეფინათ. ფოსტას რომ ჩაუარეს, ომერმა გადაწყვიტა დაეძლია სიზარმაცე და სამსახურში შეევლო, მაგრამ უკვე სადილობის დრო ახლოვდებოდა და კანტორაში შევლა სასაცილოდ ეჩვენა. ისევ გზა განაგრძო, საოცარ მღელვარებას განიცდიდა. ეს მღელვარება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას მიაწერა. 15 ყურუშად რაღაც ჟურნალი იყიდა, თუთუნით მოვაჭრეს დახლზე რომ გამოეფინა. მაშინვე სარჩევი გადაათვალიერა და ჟურნალი ჯიბეში ჩაიდო.

ნიჰადი კვლავ დაბნეული ჩანდა, მან ისიც ვერ შენიშნა, რომ

---

[1] ბ ა ბ ი ა ლ ი — სტამბოლში ანკარის ქუჩის ძველი სახელწოდება, სადაც მოთავსებულია რედაქციებისა- და სტამბების მეტი წილი.

ომერმა რაღაც ჟურნალში 15 ყურუში გადაიხადა, მაშინ, როცა სადილის ფულიც კი არ ჰქონდათ. როგორც ყოველთვის, შუადღისას პროსპექტი ახლაც ცარიელი იყო, ახალგაზრდებმა ვერც ერთ ნაცნობს ვერ მოჰკრეს თვალი. ბეიაზეთზე, მეჩეთის მახლობელ ყავახანაში შევიდნენ. აქაც არავინ იყო. შორეულ კუთხეში ტექნიკური ფაკულტეტის ორი საბრალო სტუდენტი მიმჯდარიყო და მონოტონურად იზეპირებდნენ ლექციას შესასვლელთან ჩაცუცქული სოფტა[1] აქეთ-იქით აცეცებდა ეშმაკურ თვალებს და ყალიონს ეწაჩებოდა.

ომერი და ნიჰადი რამდენიმე ხანი დუმილით შესცქეროდნენ გამვლელებს, მოედანზე მიმავალ ტრამვაის. ბოლოს ნიჰადი ფიქრებიდან გამოერკვა, თავი ასწია და თქვა:

— ფული უნდა ვიშოვოთ, მეგობარო!

— ვიცი, ახლა სასადილოდ გამოვა ხალხი, რომელიმე ნაცნობს გამოვიჭერთ. ერთი ლირა გვეყოფა?

ნიჰადმა ზიზღით და ბრაზით გახედა მეგობარს.

— ეჰ, ერთი შენცა ხარ, მე მასეთ ფულზე კი არ გელაპარაკები, იმდენი ფული უნდა ვიშოვოთ, რომ საქმეები დავატრიალოთ.

— შენ რა, სავაჭროს გახსნას ხომ არ აპირებ?

— სისულელეებს თავი გაანებე, გეთაყვა, შენ ამას ვერც გაიგებ, ისევე, როგორც მე ვერაფერს ვუგებ ზეცაში მოფარფატე შენს იდეებს... მაგრამ ისიც იცოდე, რომ სიკვდილამდე ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტად არ ვაპირებ დარჩენას.

— მაშ დროზე დაამთავრე უნივერსიტეტი!

— დავამთავრო? მერე რა ვაკეთო? თუ გგონია, დამთავრება დამაკმაყოფილებს?...

—ნიჰად, ამ ბოლო დროს რაღაც არ მესმის შენი, ისეთ უცნაურ რამეებს ლაპარაკობ, ისეთ ხალხთან დადიხარ, წინათ რომ არ მინახავს შენთან. განსაკუთრებით ის თათრის სიფათიანი ტიპი არ მომწონს, ამასწინათ რომ გახლდა. ვინ არის, რა ხალხია? — სერიოზულად იკითხა ომერმა.

ნიჰადმა საეჭვოდ მიმოიხედა:

— ჩუმად, უბედო, ნუ ეჩრები იქ, სადაც შენი საქმე არ არის.

---

[1] სოფტა — მუსლიმანური სასულიერო სასწავლებლის, მედრესეს, მოსწავლე. ისინი გამოირჩეოდნენ უვიცობით, სიბნელით და კიდევ იმით, რომ თითქმის სიბერემდე მოსწავლეებად რჩებოდნენ.

შენ შენს საქმეს მიხედე, — ილაპარაკე ბრძნული სიტყვები, აღმართე ოცნების კოშკები, ხოლო, როცა გონს მოხვალ და ციდან მიწაზე დაეშვები, აი, მაშინ ვილაპარაკოთ სერიოზულად.

მერე ცოტა ხნით დადუმდა და თითქოს გადაიფიქრაო, დასძინა:

— თუმცა რა, ამ დღეებში მაინც მომიწევს შენთან მოლაპარაკება. ჯერჯერობით კი ერთს გეტყვი: ჩვენ გვჭირდება ფული.

— ფული გჭირდებათ? ვინ არის ეს — ჩვენ? და რამდენი გჭირდებათ?

— ჩვენ ვინა ვართ, ეხლა ნუ მკითხავ, ფული კი ძალიან ბევრი გვჭირდება და თანაც ყოველთვის, ჰოდა ასე, ჩემო ძმაო.

— შენმა სიტყვებმა დამაინტერესეს, — გაეცინა ომერს.

ნიჰადმა ხელის გაქნევით შეაწყვეტინა სიტყვა:

— საკმარისია, აკი გითხარი, მალე მოგელაპარაკები-მეთქი, წინც ადექი და მელოდე. ახლა კი იმაზე ვიფიქროთ, როგორ ვისადილოთ და სად გავატაროთ საღამო.

ორი საათისათვის ყავახანის წინ მდებარე სასადილო ხალხით გაივსო. ნიჰადმა და ომერმა რამდენიმე ნაცნობს მოჰკრეს თვალი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ისე ახლობელი, რომ ფულს დასესხებოდნენ. ბოლოს იმედდაკარგულმა ბიჭებმა თითო ბლითი შეჭამეს და თითო ფინჯანი ყავა მოატანინეს.

სასკოლო არდადეგები იდგა და ნასადილევს, ბაიაზეთზე, მეჩეთის ახლომდებარე ყავახანები რაიონებიდან სტამბოლში გასართობად და დროის სატარებლად ჩამოსულმა მასწავლებლებმა გაავსეს. ეს „ზაფხულის“ კლიენტები, როგორც მათ აქ ეძახდნენ, ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და საღამომდე მასლაათითა და კამათლის თამაშით ირთობდნენ თავს. საღამოს კი ასევე ჯგუფ-ჯუფად გაუყვებოდნენ ხოლმე ბეიოღლუს რომელიმე იაფფასიან ლუდხანისაკენ. ყავახანაში კი ის სტუდენტები და მასწავლებლები რჩებოდნენ, რომლებმაც ზამთარში ფულის დაგროვება ვერ შეძლეს.

ომერი და ნიჰადი საღამომდე ისხდნენ ყავახანაში. მცხუნვარე მზისაგან შეწუხებულნი დროდადრო მაგიდიდან მაგიდაზე ინაცვლებდნენ. ორივენი ფიქრებში იყვნენ გართული. ნიჰადი თავის გეგმებზე ოცნებობდა, ომერს კი ერთი საგნიდან მეორისაკენ გაურბოდა ფიქრი, დიდხანს არცერთზე არ ჩერდებოდა, რამდენიმეჯერ ჯიბიდან ჟურნალი ამოიღო, მაგრამ სათაურების გადაკითხვისთანავე ბურტყუნით დააგდო მაგიდაზე:

— ო, ღმერთო, რა მოწყენილობაა! სად გინდა გაექცე ყველაფერ ამას?

ასეთ გუნებაზე ხშირად იყო. უეცრად ეწყებოდა თავის ტკივილი, გული უმძიმდებოდა, რაღაც უჭერდა ყელში. გაუგებარი, მაგრამ ძლიერი სურვილები აწამებდნენ.

— თვითონ არ იცი, რა გსურს, თორემ ასე მოწყენილი არ იქნებოდი, — თქვა ნიჰადმა.

— აბა ერთი დამისახელე ისეთი მიზანი, რომელიც ბრძოლად ღირდეს, და რომლის გულისთვისაც სიცოცხლის გაწირვაც შეიძლებოდეს. მე ასეთ მიზანს ჩავეჭიდებოდი და მის მისაღწევად ვიბრძოლებდი, ვიბრძოლებდი ყოველი ხერხითა და საშუალებით, — უეცრად ჩაილაპარაკა ომერმა.

ნიჰადმა გაიცინა და უპასუხა:

— აი, ხომ ხედავ, შენ კვლავ სისულელეებს ლაპარაკობ, ცხოვრებაში არაფერია ისეთი, თავის გაწირვად ღირდეს. არა არის რა ამქვეყნად სიკვდილის ფასად მოსაპოვებელი, მთავარია სიცოცხლე, უფრო მეტიც, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ. შენი გოგრა ისე მიეჯაჭვა ამ არარსებულს, რომ უპირველესად ეძებ იმ მიზანს, რომლის გულისათვისაც შეიძლება თავი გასწირო, ამ მიზნის მეოხებით გსურს შეერწყა სინამდვილეს და არა წარმოსახულს, არარსებულს. გახსოვდეს, მთავარი სიცოცხლეა. მთავარია, იცხოვრო ყველაზე უკეთ, იგრძნო, რომ ყველას სჯობნი, უბრძანო ადამიანებს, იყო ძლიერი და იქნებ მკაცრიც, — აი, როგორ უნდა იცხოვრო! რაღა უნდა ისურვო მეტი? მთელი შენი ცხოვრება ამ მიზანს ემსახურე და ნახე, როგორ გამოცოცხლდები.

ნიჰადს მღელვარებისა და აღგზნებისაგან ფერმკრთალი სახე წამოუწითლდა და თვალები აუელვარდა.

— შენ მართლაც შეიცვალე, ნიჰად, — კვლავ ზანტად დაიწყო ომერმა, — ან მართლა შეიცვალე ან კიდევ აქამდე კარგად არ გიცნობდი. აი, თურმე რა ფიქრები და ვნებები იმალებოდა შენში. ძალზე ეგოისტი და თავმოყვარე ხარ, ასე არ არის? იქნებ მართალს ამბობ, მაგრამ... მე არ მინდა ასეთი სიმართლე, მძულს იგი...

თეთრწინსაფრიანმა ოფიციანტმა შუქი ჩართო. ხეთა შორის გაბმულ მავთულზე ჩამოკიდებულ ნათურებში უცებ სინათლემ იელვა. კაფეში ოთხი მამაკაცი შემოვიდა და იქვე მდგარ მაგიდას მიუსხდნენ. ისინი რაღაცაზე კამათობდნენ.

— საიდან მობრძანდებით, ბატონებო? — მიუბრუნდა ახალშემოსულებს ნიჰადი.

— ა, თქვენ უკვე აქა ხართ? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა, დაბალი ტანის, ნერვიული მოძრაობის მქონე კაცმა და იქვე დასძინა: — რა სულელური კითხვაა! ხომ ვხედავ, რომ აქა ხართ? კითხვა რაღა საჭიროა, ასეთი უაზრობა მხოლოდ თურქულ ენას ახასიათებს. შეიძლება, ამ ენაზე რამდენიმე საათი ილაპარაკო და არაფერი თქვა,

არცერთ ენას არ გააჩნია ასეთი თვისება.

მეორე, ასევე დაბალი ტანის კაცმა, თვალები მოჭუტა — მისი თვალების ფერს ვერ დაადგენდი, რადგან მას სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა და თქვა:

— შენ ვერ ამჩნევ, რომ ეს კითხვა თურქულ ენაზე შენი მოსაზრების დამადასტურებელია?

— ღმერთო, კვლავ დაიწყეს ჭკვიანური აზრებით თავის მოწონება, — შუბლი შეიჭმუხნა და ჩაიბურტყუნა ომერმა, — ის აბსოლუტური სიცარიელე, რომელიც ზოგჯერ ჩემს თავშია ხოლმე, უფრო საზრიანად მიმაჩნია, ვიდრე ეს გაუთავებელი ლაქლაქი.

— შენ რომ იცოდე, ესენი ვინ არიან... — ხმადაბლა თქვა ნიჰადმა, — ორივე ძალზე ცნობილი კაცია. ერთი თურქეთის დიდი პოეტია, ხოლო მეორე ასევე დიდი პუბლიცისტი. ამ ორი ადამიანის სიტყვებში უდავოდ ჭეშმარიტებაა ჩაქსოვილი.

მოსულებმა ხმადაბლა ჩაიცინეს. ორი, იმ ახალმოსულთა შორის ხმას არ იღებდა. ნიჰადი ერთ-ერთისაკენ გადაიხარა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, მან თავი დაუქნია. ნიჰადი ომერისაკენ შემობრუნდა:

— ყველაფერი რიგზეა, ამ საღამოს უზრუნველყოფილი ვართ.

ომერმა ნაღვლიანად ამოიოხრა. ახალმა ამბავმა არცთუ ძალიან გაახარა.

— შენ რა, უკმაყოფილო ხარ? — გაოცდა ნიჰადი.

— რა საბრალონი ვართ!...

— ისე ლაპარაკობ, თითქოს არასოდეს დაგილევია სხვის ხარჯზე.

— ღვთის გულისათვის, გაჩუმდი, ჩემი ცხოვრება, მთელი ჩვენი ცხოვრება სიმდაბლეა და მეტი არაფერი...

— აბა, ბიჭო, ერთი შენა ხარ ამქვეყნად სიკეთის განსახიერება...

— არა, საქმე ეს როდია, უბრალოდ მე არ მსურს ვიყო ისეთი, როგორიც დღესა ვარ. მე სულ სხვა ცხოვრება მინდა. ასეთი უბადრუკი და უაზრო კი არა, უფრო საზრიანი, ვინ იცის, კარგად რომ მოძებნო, იქნებ კიდევაც იპოვო კაცმა, მაგრამ ჩემში რაღაც ეშმაკი ზის. ეს ეშმაკი მაიძულებს ყოველთვის იმის საწინააღმდეგო გავაკეთო, რაც გულითა მსურს. მინდა ჩავკლა ეს ეშმაკი, განვთავისუფლდე მისგან, მაგრამ ამაოდ... და განა მარტო მე... ჩვენ ყველანი საბრალო სათამაშონი ვართ მის ხელში. დარწმუნებული ვარ, შენი გეგმები ქვეყნიერების დაპყრობაზე, იმ ეშმაკის ნაკარნახევია.

ნიჰადმა ვეღარ მოითმინა:

— თუ ღმერთი გწამს, შეწყვიტე ეგ ლექცია. მისტიკის საკითხებზე. ახლა ჩემთვის გასაგებია შენი გასაჭირი, პირდაპირ გეტყოდი, მაგრამ მეშინია, არ გამიბრაზდე.

— მითხარი!

— ცოლი გჭირდება!

— ყეყეჩო!

ომერი ზიზღით შეიჭმუხნა, ჯიბიდან ჟურნალი ამოიღო და ფურცვლა დაიწყო. ნიჰადი სათვალეებიან, დაბალ კაცს მიუბრუნდა.

— ისმეთ შერიფ-ბეი[1], თქვენი დღევანდელი სტატია მართლაც რომ შესანიშნავია. ჩვენში მე არ მეგულება სხვა პუბლიცისტი, რომელსაც თქვენსავით ძლიერი ლოგიკა ჰქონდეს და მტერთან ბრძოლისას კალამიც ასე უჭრიდეს. ჩვენ დიდი ინტერესით ველოდებით ხოლმე თქვენს ყოველ სტატიას.

ომერმა ჟურნალი გვერდზე გადასდო, თავი ასწია და თქვა:

— შენ რა, „მადლიერი მკითხველების" წერილებიდან ციტატები მოგყავს?

— განა მართალი არა ვარ?

— როგორ არა, მაგრამ შენ დაგავიწყდა, რომ ჩვენი მეგობრის, ისმეთ შერიფ-ბეის მიერ დამარცხებული მტრების სათავეში თვითონ ისმეთ შერიფ-ბეი დგას. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით,

---

1 ისმეთ შერიფ ბეის პროტოტიპად საბაჰათინ ალიმ გამოიყვანა მოჟაზისტო თურქი ჟურნალისტი პეიამი საჯა.

რომ ჩვენი პუბლიცისტი თავის ყოველ ახალ სტატიაში იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც ერთი თვის წინ ქადაგებდა, გამოვიის, რომ მის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგე თვით ისმეთ შერიფ-ბეია; — განა ასე არ არის, ემინ ქიამილ?

— სავსებით სწორია, — აღტაცებით წამოიძახა დიდმა თურქმა პოეტმა, ახლახან თურქული ენის უსუსურობას რომ ამტკიცებდა. პოეტი ყოველთვის ეძებდა ისმეთ შერიფთან დავის მიზეზს.

— ის, ვინც ვერ გრძნობს, რომ ცხოვრება ცვალებადობათა უწყვეტი ჯაჭვია, ის, ვინც ვერ გრძნობს, რომ ყოველი ასეთი ცვალებადობა ნაბიჯია პროგრესისაკენ, მე მგონი, უვიცია და მეტი არაფერი... — ჩაილაპარაკა ისმეთ შერიფმა.

პუბლიცისტი ყოველთვის ცდილობდა გამართულად დაეჭირა თავი, რომელიც ბავშვობაში მიღებული ჭრილობის გამო ერთთავად მარცხენა მხარისაკენ ეხრებოდა. ისმეთ შერიფმა საჭიროდ არ ჩათვალა კიდევ რაიმე ეთქვა და კისერზე ნაჭრილობევს დაუწყო წიწკნა. ეს საკმაოდ სერიოზული ჭრილობა მან ედირნეში მიიღო, ყუმბარის ბრმა ნამსხვრევისაგან, ბალკანეთის ომის დროს, სადაც მამაჩისთან ერთად იმყოფებოდა. ამ ჭრილობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ჭრილობა ისმეთ შერიფის მოზრდილი რომანის მთავარი თემა გახდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი ხასიათისა და აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში. როგორც ამბობდნენ, ასეულის მეთაური, ისმენ შერიფის მამა გმირულად დაეცა ედირნეს ევაკუაციის დროს.

ისმეთ შერიფი ყოველ კვირას ბეჭდავდა სტატიებს სტამბოლის ერთ-ერთ გაზეთში. ამ სტატიებში იგი ეხებოდა თურქეთსა და უცხოეთის ქვეყნებში მომხდარ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ლიტერატურულ მოვლენებს. საკმაოდ ლოგიკური, საყურადღებო მაგალითების მოშველიებით, გამოჰქონდა მკაცრი განაჩენი და აკეთებდა გადამჭრელ დასკვნებს.

პოეტი ემინ ქიამილი თითქმის ყოველთვის თან ახლდა ამ პუბლიცისტსა და მოაზროვნეს, მასთან ერთად ქეიფობდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ყველა იდეას იზიარებდა, მაინც მოვალედ თვლიდა თავს ყოველ სიტყვასა და ყოველ გამოთქმულ აზრში შეკამათებოდა. ემინ ქიამილი მდიდარი უსაქმური იყო, რომელმაც მთლიანად შეჭამა მამის დანატოვარი მემკვიდრეობა. თავისი ცხო-

ვრების მეტი წილი პოეტმა მამისეულ მამულში, ეშილქეის[1] ახლოს გაატარა, სადაც ნადირობით, ძაღლების კვებით და ლექსების წერით ერთობოდა, ამ ლექსებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა პოეზიის მოყვარულნი.

მალე ასეთი გართობა მობეზრდა. სხვა რომ ვერაფერი გამონახა, უკანასკნელ წლებში ბუდიზმმა გაიტაცა, თავი გადაიხოტრა, თავის მამულში ფეხშიშველა დადიოდა და ნირვანის[2] დადგომას ელოდა. მერე ესეც მოწყინდა და აი, უკვე რამდენიმე თვეა, ჩინელი ფილოსოფოსის ლაო ძის თაყვანისმცემელი გახდა. პოეტი თან დაატარებდა ჩინურ ფილოსოფიაზე დაწერილ ფრანგულ წიგნებს და ცდილობდა ამ მოძღვრების მიხედვით აღეწერა ცხოვრება და თავის ირგვლივ შემოკრებილი ადამიანები. იგი არც სულელი იყო და არც ცუდი გულის კაცი, მაგრამ ამხანაგებს მაინც არ მიაჩნდათ სერიოზულ ადამიანად. ეს ამბავი ძალიან აბრაზებდა და თვითონაც ქედმაღლობით პასუხობდა.

ნიჰადს და ომერს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ ემინ ქიამილსა და ისმეთ შერიფ ბეისთან. ეს ნაცნობობა დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდული ჟურნალის გამოცემა გადაწყვიტეს და პოეტსა და პუბლიცისტს ლექსები და მეთაური წერილები შეუკვეთეს. ამ ჟურნალმა უკვე დიდი ხანია მკითხველის ჭირი წაიღო, მისი ადგილი სხვებმა დაიჭირეს, თუმცა არც ისინი აღმოჩნდნენ სიცოცხლის უნარიანნი. ნაცნობობა კი ნაცხობობად დარჩა. ომერი დიდი ხანია, რაც ამ საქმეს ჩამოშორდა, ნიჰადი კი კვლავ რაღაცას ჩალიჩობდა. დროდადრო „ახალგაზრდული მოძრაობის“ რუბრიკით კვლავ აქვეყნებდა სტატიებს იმავე გაზეთებში, რომელშიც ისმეთ შერიფ ბეი იბეჭდებოდა. ამ სტატიების მიხედვით ძნელი არ იყო დაგედგინა, თუ რა სურდა ავტორს, მაგრამ წერილებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ავტორი იმ მტერს ებრძოდა. რომლის დასახელებაც აშკარად არ შეიძლებოდა. ეს კი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში კამათს იწვევდა.

ისმეთ შერიფსა და ემინ ქიამილს მუდამ თან დაჰყვებოდნენ ახალგაზრდები. ეს იყო სწავლადაუმთავრებელი ბალხი, რომელმაც

---

[1] ეშილქეი — სტამბოლის გარეუბანი, მარმარილოს ზღვის ევროპულ სანაპიროზე.

[2] ნირვანა — აბსოლუტური სიმშვიდის მდგომარეობა, რომელიც ბუდიზმის მიხედვით მორწმუნის სულს ეუფლება.

ახლახან შეაღო ჟურნალისტიკის კარი. ვინაიდან ისინი სრული უვიცობით გამოირჩეოდნენ და წერის ძალზე უბადრუკი სტილი ჰქონდათ, მხოლოდ წვრილწვრილი, უმნიშვნელო მასალების შეგროვებასღა ავალებდნენ. ცნობილი და ნიჭიერი ადამიანების გვერდით, პირში წყალჩაგუბებულნი იდგნენ, ეს იყო, რომ აღფრთოვანებით იცინოდნენ მათ გაუთავებელ ხუმრობებზე.

უცებ ისმეთ შერიფი სკამიდან წამოხტა და ბრძანება გასცა:

— წავიდეთ!

ისმეთ შერიფის მბრძანებლური ტონი ნაღვლიან კონტრასტს ჰქმნიდა მის ძოღრეცილ, წვრილ კისერზე მორჩილად მოქანავე თავთან.

ყველანი წამოიშალნენ, ომერმა მთელი თავისი ქისა მაგიდაზე დასცალა, ნიჰადძაც მას მიჰბაძა. ცოტა ხნის კამათის შემდეგ ყველანი ქუჩაში გამოვიდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ ახლადაღმოჩენილ საქეიფო ადგილას წასულიყვნენ, რომელიც იქვე ახლოს, კოსკის უბანში იყო.

დაბალჭერიანი ლუდხანა ჯიხურს უფრო ჰგავდა. აქ დიდკაცურად მოეკალათებინათ კარგა ხნის გაუპარსავ ლოთებს, ორ-სამ მეწარმეს და შავსათვალიან მუსიკოსს. მუსიკოსი ბარიერის გაყოლებით სკამზე ჩამომჯდარიყო, ხელში უდი[1] ეჭირა და ქუდი გვერდზე მოეგდო, აქვე იყო ათი-თერთმეტი წლის მომღერალი ბიჭი. ბიჭს შიშველა ფეხზე ჩაეცვა ფეხსაცმელი. მუსიკოსები ისვენებდნენ. ომერმა უმალ მიაქცია ყურადღება მომღერალი ბიჭის გამხდარსა და გაყვითლებულ სახეს. სიცუღლუტე და ბავშვური მოკრძალება ერთმანეთს შერწყმოდა ამ ბიჭის სახეში. იგი აქეთ-იქით აცეცებდა დიდ, შავ თვალებს და ცდილობდა ავადმყოფური, თანაგრძნობისა და მოწყალების მომლოდინე კაცის სახე მიეღო, მაგრამ ზოგჯერ ესეც ავიწყდებოდა ხოლმე. ძალიმალ საკრავებს გადახედავდა შეშფოთებით, ან კიდევ ნაღვლიანად ამოიოხრებდა და დამშეულ კაცის მზერას გააყოლებდა სავსე თეფშებს, სომეხ მეპატრონეს მაგიდებისაკენ რომ მიჰქონდა. მაშინ იგი იმდენად საწყალი ჩანდა, რომ ნამდვილად დაგეწვებოდათ გული.

ახლადმოსულნი პატარა მაგიდას შემოუსხდნენ. მეპატრონემ იმ წუთში მოარბენინა ლანგრით არაყი, ხორციანი ღვეზელი, ხაჭია-

[1] უ დ ი — აღმოსავლური საკრავი.

ნი ლობიო და შემწვარი ღორჯო. მუსიკოსებმა კვლავ დაიწყეს დაკვრა. ემინ ქიამილმა ახლა მომღერალ ბიჭზე დაიწყო ფილოსოფოსობა; ხოლო ისმეთ შერიფი კი თავისი მოწინავე წერილების ენით შეუდგა ეროვნული ტკივილების გაქექვას. გაზეთის თანაშრომელი ყეყეჩი ბიჭები დუმდნენ.

ნიჰადმა, თითქოსდა დიდად საჭირო და საინტერესო რამ ყოფილიყო, ომერის დილანდელი თავგადასავალი მოჰყვა, ომერმა კი ნაღვლიანად ამოიღო ჯიბიდან თავისი ჟურნალი. ნიჰადის ნაამბობმა ყველა ააცარცარა. ომერს კი ამ დროს თვალები გაუბრწყინდა, ჟურნალი უცებ მაგიდაზე დააგდო და წამოიძახა:

—მომისმინეთ, მომისმინეთ! აქ დაბეჭდილია ლექსები... ამ ლექსებში სწორედ ის არის, რაც მე მაგიჟებს. თქვენ არ გესმით ჩემი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ლექსების ავტორი გამიგებდა.

ომერმა ჟურნალი თვალებთან ახლოს მიიტანა და კითხვა დაიწყო. ეს იყო ცნობილი პოეტის ლექსი სახელწოდებით — „ეშმაკი“.

ომერი მღელვარე, ათრთოლებული ხმით კითხულობდა. თანაც იმ კაცის გამომეტყველებით, რომელიც მთელ თავის სულსა და გულს კითხვაში აქსოვს. ძალიმალ მსმენელებსაც გადახედავდა ხოლმე.

ლექსში ლაპარაკი იყო ეშმაკზე, რომელიც მუდამ აჩრდილივით გვდევს, ბალაცეებს გვიჩურჩულებს ყურში, ყინულივით ცივი ხელებით კისერში ჩაგვავლებს და ასე ჩახუტებული ვყავართ. ლაპარაკი იყო ძალაზე, ბოროტების წინაშეც ჩვენ შეშინებული და უძლური ბალღები ვართ. ლექსის კითხვის ბოლოთავრებისას ომერს შუბლი ოფლის წვეთებით ჰქონდა დაფარული.

— ყურადღებით უსმინეთ, ნახე, რასა წერს, — წამოიძახა მან კი კვლავ წაიკითხა რამდენიმე სტრიქონი:

მე ვიცნობ იმას ყრმობის წლებიდან,
როცა პირველი ვნახე სიზმარი...
ახლა ზურგსუკან მესმის ფეხის ხმა,
მე მეყსეულად ვამბობ: ის არის.
ამგვარად, ჩემს სულს ცხადშიც და ძილშიც
შერჩა უცნობი სამყაროს შიში[1].

---

[1]. ლექსი თარგმნა ოთარ შალამბერიძემ.

— დიახ, დიახ, ჩვენ შეშინებული ბავშვები ვართ, — თითქმის ყვირილით ამბობდა ომერი, — მისდამი შიშმა ჩემს სულშიც შიში წარმოშვა... მე არა ვარ ასეთი, მე სულ სხვა ვიქნებოდი, რომ ჩემში ეს შიში არ იყოს, რომ არ მეშინოდეს ეშმაკისა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კეთილი საქმის გაკეთებას არ დამანებებს. მისი შიშით ვერც ერთ დიდ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებ...

ემინ ქიამილმა თავი გააქნია, თვალები ნერვიულად დაახამხამა და ომერს სიტყვა გააწყვეტინა:

— რა მოგვიდა? რას უჩივი? რა იცი, იქნებ სწორედ როგორც შენ ამბობ, ეს სულში ჩასახლებული ეშმაკია ყველაზე ძვირფასი შენში. შენისთანა ადამიანები სამყაროს მხოლოდ ხუთი გრძნობით აღიქვამენ. ისინი ვერასოდეს განთავისუფლდებიან მუდმივი შიშისაგან. თქვენ რომ ცხოვრების ძირითად მიზეზებსა და კანონზომიერებებს ჩასწვდეთ, დარწმუნდებით, რომ ჩვენ უძლურნი ვართ ყველა ჩვენი ხისტის წინაშე. ადამიანებს შვიდი ფერი გვაბრმავებს, ხმები გვაყრუებენ, საკვები კბილსა გვკვეთს, ხოლო დაუსრულებელი ამაო სწრაფვა ჯერ აღგვაფრთოვანებს, მერე კი გულს გვიჩერებს. დიდი ადამიანები გარეგნულს კი არა, შინაგანს აფასებენ.

— მაგრამ, მაესტრო, თქვენ თვითონ მაინცდამაინც არ ჰგავხართ ამ ქვეყანაზე გარეგნული სიკეთის მოძულე ადამიანს. ლაო ძის ბრძნული გამონათქვამების მიუხედავად, თქვენ მაინც ეწაფებით ამქვეყნიურ ყველა სიკეთეს, — ვერ მოითმინა ნიჰადმა.

ემინ ქიამილიც მოემზადა საპასუხოდ, მაგრამ ისმეთ შერიფმა დაასწრო:

— გასაკვირველი არაფერია, — მიუბრუნდა იგი ნიჰადს. — ეშმაკი ყველა ჩვენგანის სულში ზის, ხელოვნებაც მისი შვილია. სწორედ მისი წყალობით შევიცნობთ საკუთარ თავს, სწორედ ეს ეშმაკი გვარწმუნებს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა მანქანები. ემინ ქიამილი ცდება... გარეგნული განუყოფელია შინაგანისაგან. ეს უბრალოდ ერთი და იგივე აზრის, ერთი და იგივე იდეის ორი მხარეა...

ომერი უკვე სხვა რამეზე ფიქრობდა და ყურს არავის უგდებდა. ნიჰადმა სასმელი მოსვა და თქვა:

— მაგრამ თქვენი შეხედულება დიდად არ განსხვავდება ემინ ქიამილის შეხედულებისაგან. უფრო მეტიც, თქვენ გაერთიანები

ყველაფრისადმი სერიოზული დამოკიდებულება და საკუთარი ფილოსოფიური დასკვნების უმალვე გამოტანა, მაგრამ ჩვენს ომერს თქვენ მაინც ვერ გაუგეთ. ომერს აღაგზნებენ ყოველგვარი სისულელეები; მას ჰგონია, რომ ფარატინა ფურცლის მიღმა სამყაროს დაინახავს, მაგრამ ისე ცხოვრობს, რომ ერთხელაც კი არ შეუგრძვნია, რა არის ნამდვილი სამყარო. მას ჰგონია, რომ იმ სამყაროში ცხოვრობს, რომლის არსიც გამოურკვეველია. — მერე ომერს მიუბრუნდა და განაგრძო: — როცა შენ რეალურ ცხოვრებას დაუბრუნდები, როცა გაიგებ, თუ რა გსურს, შენში არავითარი ეშმაკი არ დარჩება... შეიგნე, თუ რა პრიმიტიული მანქანაა შენი სხეული და სული, განსაზღვრე შენი მიზნები და ბეჯითად მოინდომე მისი შესრულება. აი, მაშინ ნახავ...

ომერმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არც ერთი თქვენგანისა არ მესმის და არც ვიცი, რა გიპასუხოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ შევცდები თუ ვიტყვი, — არის რაღაც ძალა, რომელიც ჩვენდაუნებურად მბრძანებლობს ჩვენზე. ეს უდავოა. ასე რომ არ იყოს, ჩვენ სულ სხვა, გაცილებით უკეთესნი ვიქნებოდით, ესეც უდავოა. მაგრამ მე არ ვიცი, როგორ შევაერთო ერთი მეორეს.

— ვერც ვერასოდეს გაიგებ, — ჩაიქირქილა ნიჰადმა.

ყავახანა დაცარიელდა. სამი ჭიქის შემდეგ ისმეთ შერიფის თავმა მოღრეცილ კისერზე ქანაობა დაიწყო. ემინ ქიამილის მოძრაობა კი უფრო ნერვიული გახდა. ერთმანეთს ცხარედ შეეკამათნენ, ვერ გაიგებდი, უარყოფდნენ თუ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ლაპარაკობდნენ არეული, რთული, მაღალფარდოვანი ფრაზებით, დროდადრო წამით ჩერდებოდნენ, სურდათ გაეგოთ, რა შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელებზე, მაგრამ მერე ისევ იწყებდნენ კამათს, თუმცა ერთმანეთს არც კი უსმენდნენ.

ომერი დაინტერესდა, რაზე კამათობენო, და ყური მიუგდო.

—შემეცნება... აზროვნება... აუცილებლობა, სისტემა, შეგნება... თავსა ვდებ მოსაჭრელად... იდეოლოგიური რუპორები... პოლიტიკური დალალები... იდეების სპეკულიანტები...

— ღმერთო, ეს ხალხი ერთთავად თავის თავს იმეორებს, — ჩაიჩურჩულა ომერმა.

— რა თქვი? — ჰკითხა ნიჰადმა.

ომერს ჩვევად ჰქონდა მეგობრისათვის გაეზიარებინა ყველა-

ფერი, რასაც კი გაიფიქრებდა, მაგრამ ამჯერად პირველად იგრძნო, რომ ნათქვამის გამეორება ზედმეტი იყო.

— არაფერი... ისე, — თავის ქნევით წარმოთქვა მან.

მოპირდაპირე კედელზე ხის ექვსკუთხა საათი თერთმეტს უჩვენებდა.

— მივდივარ, — მოულოდნელად ჩაილაპარაკა მან, შლაპას ხელი დაავლო და ქუჩაში გავარდა.

ლიალელის უბანს მალე მიაღწია, მერე მარჯვნივ მოუხვია და დანგრეულ, ხანძრებისგან დამახინჯებულ ქუჩაზე გავიდა. აქა-იქ გადარჩენილ სახლებს შემოუარა და შეჰზედებაშისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ნიჰადი ბარში დარჩა, ერთ-ერთ რეპორტიორს მიუბრუნდა და შიშნარევი ხმით ჰკითხა:

— დღეს შენს ხარჯზე ვსვამო, არა?

რეპორტიორმა, რომელიც დამძიმებული ქუთუთოების გახელას ცდილობდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ნიჰადმა თავისუფლად ამოისუნთქა და ჩაიბუტბუტა:

— შტერი, ვერ გამიგია ასე ადრე რაღას აითესა?

თ ა ვ ი VII

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა ომერმა დეიდა ემინეს სახლის კარებზე დააკაკუნა. მეორე სართულის ყველა ქუჩისპირა ფანჯარა ჩაბნელებული ჩანდა. მხოლოდ კარს ზემოთა ფანჯრიდან გამოდიოდა სინათლე. „ალბათ, სასტუმრო ოთახში არის ვინმე“, — გაიფიქრა მან.

ომერი არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა ნათესავებთან ასე გვიან სტუმრობის გამო, რომლებთანაც აგერ ერთი წელია არ ყოფილა. ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლისას მიეჩვია დეიდა ემინესთან ასე გვიან სიარულს. ქალაქში რომ შეაგვიანდებოდა, აქეთ გამოეშურებოდა ხოლმე. მოხუცი შინამოსამსახურე ფატმა რომელიმე თავისუფალ ოთახში გაუშლიდა ლოგინს და ისიც ისე მშვიდად, ისე კარგად იძინებდა, როგორც ბავშვობაში. დილას ადგებოდა და ისე მიდიოდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა.

დღეს კი დეიდასთან მისვლა მოულოდნელად გადაწყვიტა. ლუდ-

ხანაში გამართული საუბარი არაფრისმთქმელად და სისულელედ მოეჩვენა. იგი შეიპყრო იმ სამყაროს მიტოვებისა და სხვა, ნამდვილ სამყაროში გაქცევის სურვილმა. ომერმა იცოდა, რომ ასეთ ადგილს ვერც დეიდა ემინეს, ამ მეტიჩარა და სტამბოლის არისტოკრატიას მიტმასნებული ქალის ოჯახში იპოვიდა. ომერი თავის თავსაც არ უტყდებოდა, ნამდვილად რა იზიდავდა ამ ოჯახში.

როგორც ყოველთვის, კარი შინამოსამსახურე ფატმამ გაუღო. ამ ოჯახში იგი ოცდაათი წელია ეზიდება შინამოსამსახურის ჭაპანს. ომერის წინ ისევ ის შინაბერა იდგა. ფატმას თვალებში ღიმილი ჩასდგომოდა, ხოლო ტანსაცმელზე სამზარეულოს სუნი ასდიოდა. ომერის დანახვამ გულწრფელად გაახარა ფატმა, ეს სიხარული შინამოსამსახურის ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა.

— შემობრძანდით, ბეი... შემობრძანდით, ჩვენები ჯერ არ დაწოლილან. ნუ მკითხავთ... ფეხეს ძალზე ცუდად ვართ... შემობრძანდით, თვითონ გეტყვიან ყველაფერს.

ფატმამ გზა დაუთმო ომერს.

ომერმა უმალ აირბინა რამდენიმე საფეხური და ლინოლეუმდაგებულ სასტუმრო ოთახში შევიდა. ოთახში გალიფ ეფენდი და დეიდა ემინე დაუხვდა. ოჯახის უფროსი თითქოს თვლემდა, მაგრამ როგორც კი იგრძნო, ოთახში ვიღაც შემოვიდაო, წამოიწია, გაღიმება სცადა და ომერის შესახვედრად გაემართა.

ტიულის თეთრ კაბაში გამოწყობილ დეიდას თვალები ცრემლით ამოვსებოდა.

— შემოდი, შემოდი, ჩემო ომერ... სჯობს არ მკითხო, რა მოგვივიდა! — ჩივილით თქვა ქალმა.

ომერი მყისვე მიხვდა ყველაფერს.

— შეატყობინეთ?

— რომ არ გვეთქვა, მაინც მიხვდებოდა, სწორედ ამ საღამოს შემომეხვია და მეუბნება: „მე უკვე დიდი ვარ, რას მიმალავთ? თქვენი დუმილი უფრო მაწამებს, ღვთის გულისათვის, მითხარით, რა მოხდა?“ თანაც დაიფიცა, ყველაფერს, რაც არ უნდა ცუდი ამბავი გამაგებინოთ, მედგრად შევხვდებიო. მეც ავდექი და ვუთხარი. იმ დროს, მისთვის რომ შეგეხედა, გული გაგისკდებოდა. ატირდა და მინდერზე დაეცა. მერე წამოდგა, თავის ოთახში აირბინა და ჩაიკეტა. როგორ არ ვაწყნარებდით, მაგრამ ყურიც არ გვაოხოვა. შუქი ჩააქრო, მალე ტირილიც მიწყდა.

— მერედა არ შეხვედით მასთან, არ ნახეთ, რას აკეთებს, როგორ არის? — შეშფოთებით იკითხა ოქერმა.

— როგორ ვნახოთ, აკი გითხარი — ოთახის კარები ჩაკეტამეთქი? ღმერთო, ეს რა დღეში ვარ, რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი. თავს არაფერი აუტეხოს. კარზე დავუკაკუნე. „დამაცადეთ, დეიდა, ცოტა დავმშვიდდები და დავიძინებო“ გამოძახა. უცნაური გოგონაა, — ასეთ დროს ადამიანი იქეთ ეძებს ვინმეს, რომ დარდი გაუზიაროს და ეს კი პირიქით, — იაალება.

დეიდა ცოტა ხანი შეჩერდა, ცრემლით სავსე თვალები მოიწმინდა და განაგრძო:

— მან კი არა, მეც ვინერვიულე, მას შემდეგ თავი მტკივა, რაც არ უნდა იყოს, მამა მოუკვდა. ცუდი ამბავია, მაგრამ აბა რას გააწყობ?

— ამ ბოლო დროს განსვენებულს სულ ცუდად წაუვიდა საქმეები, — თქვა გალიფ ეფენდიმ.

დეიდა ემინემ მრისხანედ გადახედა ქმარს. ასეთ ტრაგიკულ მომენტში რა დროს „საქმეებზე“ ფიქრიაო.

ოქერმა იგრძნო, რომ ქალიშვილი ნამდვილად ეცოდებოდა. მას ახლა გაახსენდა ოთხი წლის წინათ გარდაცვლილი მამა. ოქერი სტამბოლის ერთ-ერთ დახურულ ლიცეუმში სწავლობდა და მამას წესიერად არც კი იცნობდა. მამა მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როცა ფულს გამოუგზავნიდა, ან კიდევ არდადეგებზე სახლში წასასვლელად გაემზადებოდა. ამიუხედავად ამისა, მამის სიკვდილის ამბავმა შეაძრწუნა ოქერი. ვაჟმა უცებ იგრძნო, რომ რაღაც აკლია, რომ ირგვლივ სიცარიელეა, თითქოს იმ ოთახში აღმოჩნდა, რომლის ერთი კედელი სადღაც გაქრა. მას ისევე არ სჯეროდა მამის სიკვდილისა, როგორც იმ კაცს, რომელსაც გუშინ ხელიც ჰქონდა და ფეხიც, დღეს კი არც ერთი აქვს და არც მეორე.

— სწავლის დამთავრებას მაინც მოახერხებდეს. — თქვა ჩაფიქრებულმა ოქერმა.

ამის გაგონებაზე მთვლემარე გალიფ ეფენდი უეცრად გამოერკვა და თქვა:

— ვნახოთ, მათი პირობები თუ მისცემს სწავლის გაგრძელების საშუალებას.

დეიდამ კვლავ მრისხანედ ათვალიერ-ჩაათვალიერა ქმარი და გაიფიქრა, როგორ შესცვალაო დრომ გალიფ ეფენდი. დრომ მის

ქმარს ნასახიც კი არ დაუტოვა ადრინდელი უდარდელობისა და მისთვის დამახასიათებელი გულუხვობისა. ამ გულუხვობამ უაზრო ხელმომჭირნეობას დაუთმო ადგილი. ცოლი რომ არა, გალიფ ეფენდი ერთ ლუკმა პურსაც კი არ მიაწვდიდა სტუმრებსა და ჩამოსულ ნათესავებს, მაგრამ ემინე ჰანუმი მთელ თავის ძალასა და ნებისყოფას იმაზე ხარჯავდა, რომ გადაედო ამ საათის დადგომა. „შიმშილით რომ კუჭი მიხმებოდეს, მაინც ვიტყვი, მაძღარი ვარ-შეთქი, უმჯობესია მთელმა ოჯახმა იშიმშილოს, ვიდრე სტუმრის წინაშე შევრცხვე და რიგიანად არ გავუმასპინძლდე“, — ამბობდა ემინე.

არაყმა თავისი გაიტანა, ომერმა ტანის სიმძიმე იგრძნო, რამდენჯერმე დაამთქნარა. ფატმამ ეს რომ დაინახა, უმალ წამოხტა და თქვა:

— თქვენი ლოგინი გაშლილია, ბეი.

— დავიღალე, — თქვა ომერმა და წამოდგა.

— ბარემ მეც წავალ, დავწვები, — ჩაილაპარაკა ემინე ჰანუმმა, — ჩვენს უნახავად არ წახვიდე, თორემ მეწყინება, იცოდე, ნშვიდობის ღამე მოგცეს ალაჰმა.

ომერი მონჯღრეული და ჭრიჭინა კიბით პატარა ოთახში შევიდა. ოთახი ზედ ქუჩის თავზე იყო. ფართო საწოლს თითქმის ოთახის ნახევარი ეჭირა. უნდოდა შუქი აენთო და ჩამრთველს დაუწყო ძებნა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და თავი ანება. ფანჯრის წინ ჩამოკიდებული ქუჩის ლამპიონი ოთახსაც ანათებდა.

კარებთან ტაბურეტი იდგა, ტაბურეტისთვის რომელიღაც ქსოვილი შემოეკრათ, ომერი ჩამოჯდა, თავი სტკიოდა, კვლავ რაღაც აწუხებდა, ირგვლივ მიმოიხედა.

ამ ოთახს ბავშვობიდან იცნობდა, მაგრამ აქ ყველაფერი თითქმის ისევე იყო, როგორც მაშინ, არაფერი შეცვლილიყო. მართალია, ოთახი იაფფასიანი ავეჯით იყო მორთული, მაგრამ რაღაც თავისებურების იერი მაინც დაჰკრავდა. დივანი და ოთხი მონჯღრეული ტაბურეტი კვლავ იმავე ადგილზე იდგა. იატაკზე ისევ ის ძველი, მაგრამ მაინც ლამაზი უშაკური ნოხი[1] ეფინა. ფანჯარასთან, სოფაზე ბატისტის იგივე გადასაფარებლები და ზღვის ბალახით გატენილი ბალიშები ეწყო, კედელზე ჩარჩოში ჩასმული, წმინდა

[1] ქალაქ უშაკში იქსოვება ჩინებული თურქული ნოხები.

წარწერები[1] ეკიდა, კუთხეში კი პატარა მაგიდაზე პატეფონი იდგა, იქვე უწესრიგოდ ეყარა კონვერტშემოგლეჯილი ფირფიტები.

ამ სანახაობამ სევდა მოჰგვარა ომერს, მერე კვლავ დეიდა ემინეზე დაიწყო ფიქრი. ამ დიდი მწუხარების მიუხედავად, დეიდა ემინეს არ დავიწყებოდა თვალების სურმით შეღებვა და ლოყებზე ფერუმარილის წასმა. მერე დეიდა ემინეს ქალიშვილი სემიჰა მოაგონდა, რომელიც ალბათ, ახლა უკვე ცხრა მტკაველ ძილში იყო. ომერი გააოცა დედა-შვილის ასეთმა გულგრილობამ. არც დედასა და არც შვილს ისევე, როგორც ამ ოთახსა და ამ სახლს, ვერ გაეგოთ, ვინ იყვნენ და რომელ წრეს მიეკუთვნებოდნენ. აქ ყურანის წმინდა წარწერების გვერდით ფოქსტროტის ფირფიტებიც თავსდებოდნენ.

წამოდგა და ფანჯრები გააღო. იდგა გაზაფხულის ნამიანი ღამე. ფანჯარაში გადაიხედა. იფიქრა გრილი ნიავისაგან თავის ტკივილი გამივლისო.

ქალაქის განათებით შეწითლებულ ცაზე აქა-იქ იშვიათი ღრუბელი გამოჩნდებოდა ხოლმე. მეზობელი ქუჩიდან ტრამვაის ხმაური ისმოდა. წინ დიდი კედელი აღმართულიყო. კედელი რომელიღაც დიდი შენობის ბაღს შემორტყმოდა გარს. ამან გააოცა ომერი. მას მუდამ უკვირდა, როცა დაინახავდა, რომ ესა თუ ის შენობა, ესა თუ ის საგანი კვლავ ძველ ადგილზე იდგა. მის ცხოვრებაში ხომ ყველაფერი სწრაფად იცვლებოდა, მოიწყინა, მისი ჩამოუყალიბებელი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები ერთიმეორეს ცვლიდნენ. ისინი ისე მიისწრაფვოდნენ, როგორც ეს ღრუბლები ცაზე. მერე ეს ფიქრები ერთმანეთს უერთდებოდნენ და მოგონებების, სურვილების, მისწრაფებებისა და იმედების სახეს ღებულობდნენ. ერთიმეორეს ისე მისდევდნენ, თითქოს უკანას წინას განდევნა უნდაო.

ომერმა უცებ შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. რამდენი არ ეცადა მოეგონებინა თუ რას ლაპარაკობდა, მაგრამ ამაოდ.

ომერის ტვინში მუშაობდა რაღაც ცენტრი და იგი არ ემორჩილებოდა ომერს. როგორც კი შეეცდებოდა ყურადღება მიექცია

---

1 ყურანიდან ამოწერილი სტრიქონები ყოველი თურქული ოჯახის აუცილებელი ატრიბუტია. ეს წმინდა წარწერები ყოველ ოთახში უნდა ეკიდოს ცენტრალურ ადგილზე.

მისთვის და გაეგო, თუ რა იყო ეს ცენტრი, ისიც თითქოს ბურუსში იძალებოდა და უმალ ქრებოდა. ომერძა ფანჯრის რაფას მიაყრდნო შუბლი, თვალები ნახევრად მოხუჭა, ბაღის კედელზე გადმოკიდებული ტოტები ისე ნელა და მშვიდად ირხეოდნენ, როგორც ნელა და მშვიდად გამოდის მილიდან კვამლი. უცებ ომერს მოეჩვენა, რომ ირგვლივ სიმწვანე და სიხათლეა, ხმა არც ღაღეა, არც ელექტრონის შუქი და არც ტრამვაის ხმაური ისმის, რომ იგი მიდის ჩინარებს შუა გაჭრილ ბილიკზე. მარჯვნივ პატარა არხში მდინარე მიშხეის, ხალმარცხნივ ფერდობის ჩაყოლებით კი ბაღი და ვენახია,- იქით, ნესრით შემოღობილ ბაღში მაყვალი და ასკილი ჰყვავის. აქედან მოჩანს წითელნაყოფიანი ალუბლის ხეები და ვაზი, რომლებიც ჩაცუცქულ კაცებსა ჰგვანან. გზამ ომერი პატარა სერზე აიყვანა. ყოველი მხრიდან წამოძართული ბუჩქები და ხეები მჭიდროდ შემოეკვრნენ ომერს. სერს იქით დიდი ველი ჩანს, თელებისა და კაკლის ხეების ტოტები ცას ფარავენ, მზის სხივი ძლივს აღწევს ფოთლებში და ეს ალამაზებს ფერებით მუდამ ცვალებადი პატარა წყალსატევის ზედაპირს, ველის განაპირას რომ მოჩანს. აი, თურმე საიდან მოედინებოდა არხში ეს წყალი, გზის გასწვრივ რომ დაინახა. ომერი უახლოვდებოდა წყალსატევს. არაფერი ისმის. მხოლოდ ხეთა ფოთლები შრიალებენ იდუმალ, მათ შრიალს თითქოს წყლის წვეთებიც ეხმაურებიან. ისინიც აძლევენ ხმას და მერე სილაში იკარგებიან.

გაისმის ტრამვაის ბორბლების ღრჭიალი. ომერი შეკრთა, შეირხა. უცებ ძლიერ შეიპყრო იმის სურვილმა, გაეგო, თუ სად და როდის ნახა ეს სურათი, ეს გზა, ეს სიმწვანე, ეს წყალი, კლდეებში რომ მოჟონავდა და ბუნებრივ წყალსატევს ჰქმნიდა. ომერმა მთელი მეხსიერება დაძაბა და შეეცადა იმ ადგილების მოგონებას, საღაც ბავშვობაში ყოფილა, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. მან გაიხსენა ყველაფერი, დურსუნ ზეის ტყეებიდან კაზდაღის წიწვნარამდე. გაიხსენა ყოველი ადგილი, სადაც ოდესმე გაევლო. მარტო დადიოდა? ახლდა ვინმეს? ვერ მოიგონა, მისი ტვინი გაცხოველებით მუშაობდა. ახლახან ნანახი სურათი არ შეიძლებოდა მხოლოდ წარმოსახვის შედეგი ყოფილიყო. იცოდა, რომ ასეთი რამ ოდესღაც უნახავს, მაგრამ რადის? იქნებ სიზმარში ნახა? არა. სიზმარში არა. მას მართლა გაუვლია ასეთ გზაზე, თავისი თვალით უნახავს ეს ვენახები და ალუბლის ხეები და ამ წუთს ძალიან მოუნდა ერთხელ

კიდევ ენახა იგი, მაგრამ იტანჯებოდა, რადგან ვერათრით ვერ აღედგინა გონებაში ოდესღაც ნანახი. მაინც სად და როდის იყო ეს? ვერაფერი მოიგონა და ფანჯარას მოშორდა.

ომერს ხშირად მოსდიოდა ასეთი რამ. კითხულობდა რომელიმე წიგნს და ეჩვენებოდა, რომ ასეთი სტრიქონები უკვე წაუკითხავს სადღაც, მაგრამ სად, იმას კი ვერ იგონებდა. ხან ელაპარაკებოდა ხოლმე რომელიმე კაცს და უცებ თავში გაუელვებდა, რომ ეს აზრები უკვე დიდი ხანია მოესმინა ამ კაცისაგან. უცებ თანამოსაუბრის არსებობაც კი ავიწყდებოდა და იგონებდა, თუ სად და როდის იყო ეს. უწინ ყველაფერს სიზმრებს აბრალებდა, თითქოს რაღაც ძალა ადრევე აგებინებდა მოსახდენი ამბის მსველელობას, მაგრამ შეძლეგ ეს აზრი სასაცილოდ ეჩვენებოდა. ესეც ცხადია, რომ ზოგიერთი სიტყვები, ამბები და სურათები, რომლებსაც პირველად ისმენდა და ეცნობოდა, რატომღაც ცნობილად ეჩვენებოდა. ომერს დაბეჯითებით სწამდა, რომ ყველაფერი გაეგონა, ენახა, განეცადა, მაგრამ სად და როგორ, ვერ მოეგონებინა.

ომერმა ბატისტის ბალიშისპირზე დადო თავი. სახლში სიჩუმე სუფევდა. თვალები მოხუჭა და გონებით ყველა ოთახი მოიარა.

ფატმამ, ალბათ, სასტუმრო ოთახის ლინოლეუმგადაკრულ იატაკზე გაიშალა ლოგინი და, როგორც ყოველთვის, ტკბილადაც დაეძინა უკვე. ფატმას ქუსლდახეთქილი ფეხი საბნიდან გამოეყო, თავისი დიდი, მძიმე შრომისაგან გაუხეშებული ხელები ჰატარა დამჭკნარ ძუძუებზე დაუკრეფია. ამ ძუძუებს არასოდეს მიჰკარებია მამაკაცის ხელები. ჭუჭყიანი თავსაფრიდან შავი თმა ბალიშზე გადმოჰყროდა, გული რიტმიულად უცემდა. აზროვნებაშეუჩვეველ თავში დროდადრო ბავშვობის შემდეგ უნახავი დედ-მამა ესიზმრებოდა. მისთვის სიზმარი აზროვნების უნარის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება იყო.

გალიფ ეფენდისა და ემინე დეიდას პირველ სართულზე ეძინათ. ამ ოთახის ფანჯრები ბაღში გადიოდა. დეიდისა და მისი მეუღლის მოგონება არც თუ ისე ძალიან სასიამოვნო იყო ომერისათვის. სიმძიმისაგან ჩაზნექილ ლეიბებში ორი დიდი ჩასუქებული სხეული ჩაწოლილა და ერთმანეთისაგან ზურგშექცევით სძინავთ. გალიფ ეფენდის თეთრი, წინ ბოლომდე ჩაკერილი ღამის პერანგი აცვია, რომელიც ღიპთან დაგორგლილა. ცალ ფეხზე ბამბაზიის ქვედა საცვალიც მუხლამდე აჩაჩვია. დეიდა ემინეს სქელი კისრის ნაკე-

ცები დაოფლილი აქვს. თვალის უჰეებზე გასმული სურმა ლოყაზე ჩამოსდის. ორივენი მშფოთვარე სიზმრებს ხედავენ. ძია გალიფის მძიმე ხვრინვა მისი მეუღლის მსუბუქ სტვენას უერთდება, რომელიც ქალის ცხვირიდან თუ ღიად დარჩენილი პირიდან მოისმის.

სემიჰა მეორე სართულზე წევს, მისი ოთახის ფანჯრებიც ბაღს გადაჰყურებს, მართალია, სემიჰაც ჩასუქებულია, მაგრამ მის სხეულს მაინც ახალგაზრდული იერი დაჰკრავს. ერთი ხელი ლოყის ქვეშ ამოუდვია, მეორე კი — მკერდზე. მისი ღია წაბლისფერი, გრძელი თმები ამოქარგულ ბალიშზე ყრია, თეთრ, ფაფუკ ფეხებზე ზეწარი მჭიდროდ შემოხვევია. ქარაფშუტა თავში კი ნაირნაირი სიზმრები უტრიალებს; მანქანიანი ქმარი, აბრეშუმის კაბები, თმის მოდური ვარცხნილობა.

მაგრამ აგერ მეზობელ ოთახში?

ომერს არ უნდოდა საკუთარ თავს გამოტყდომოდა, რომ სახლის ოთახებში ეს მოგზაურობა სწორედ იმიტომ წაძოიწყო, იმ ოთახში რომ მოხვედრილიყო. ახლაღა მიხვდა, ლუდხანაშიც ამიტომ არ გაუჩერდა გული, ამ გვიან ღამით სწორედ ამიტომ მოვიდა აქ. სწორედ იმ გრძნობამ, რაც დილით გემზე ამ გოგოს პირველად ნახვისას განიცადა, კვლავ დაურბინა მთელ სხეულში.

— ნიჰადი შტერია... იმას რომ ავყვე, სხვა კაცად უნდა ვიქცე. — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

აქამდე ომერს ერთგვარ გულადობად მიაჩნდა თავისი ფიქრებისა და გრძნობების ხმამაღლა გამხელა. ეს საკუთარ თავში დაჯერებულობის ნიშანიც კი ეგონა, ამიტომ არც ამჯერად უღალატა თავის ძველ ჩვევას.

— ნეტავ რა ჰქვია? — ფიქრობდა ხმამაღლა. — მაჯიდე, ჰო, მაჯიდე! მე არ ვიტყოდი, რომ მაჯიდე ძალიან ლამაზი სახელი იყოს, ალბათ, მამამისმა რომელიმე დიდი ჩინოვნიკისაგან გაიგონა ეს სახელი. თუმცა სახელს რა მნიშვნელობა აქვს. ხვალ თუ ვნახე, აუცილებლად ვეტყვი, თავდავიწყებით მიყვარხარ-მეთქი.

ომერი შეეცადა გაეხსენებინა მაჯიდეს სახე, მაგრამ ვერ შეძლო. წას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ დილით, დამშვიდობების შემდეგ, მსუბუქად მიაბიჯებდა ტრამვაისაკენ მიმავალი, ისიც ახსოვდა, რომ ერთხელაც არ მოუხედავს უკან. ომერს ახსოვდა მაჯიდეს ხვეული თმები და საოცრად ლამაზი კისერი. რა ფერის თვალები აქვს მა-

ჯიდეს? ქალიშვილის ტანის მოყვანილობა და ნიკაპი უმალ იქცევდა ადამიანის ყურადღებას, მაგრამ როგორი ტუჩები და კბილები ჰქონდა მას?

— რა მნიშვნელობა აქვს, რანაირი ტუჩები და თვალები აქვს მაჯიდეს. მთავარი ის არის, რომ ასეთი გოგო ჯერ არ მინახავს... ხვალ... ხვალ ყველაფერს ვეტყვი.

მაგრამ როგორც კი გაახსენდებოდა, რა დღეში იყო ახლა მაჯიდე, უმალ რცხვენოდა თავისი ეგოისტური ზრახვებისა.

იქნებ მან უკვე გაიხადა და დაწვა კიდეც ან ოთახის რომელიმე კუთხეში ზის მობუზული და არ სძინავს. შეიძლება, ისიც ცაზე მცურავ იმავე ღრუბლებს ადევნებს თვალს, ომერი რომ ასე მიშტერებია? ვინ იცის, როგორ აჩქარებით უცემს ახლა გული?

საშინელებაა, როცა თვრამეტი წლის ქალიშვილი ღამით ჩაბნელებულ ოთახში მარტოდმარტო ებრძვის უბედურებას და ეს მაშინ, როცა ირგვლივ ამდენი ხალხია — ყველანი უცხონი და შორეული. ომერმა იცოდა, თუ რა საბრალონი არიან ადამიანები ასეთ დროს, როგორ უნდათ, რომ ვინმეს თავისი დარდი გაუზიარონ.

„ხვალ შევეცდები დავამშვიდო“, — გაივლო გულში, მაგრამ უმალ იგრძნო, თუ რა მიმართულება მიიღო მისმა ფიქრებმა და შეიშმუშნა.

ამ დროს ომერმა გონებაში წარმოიდგინა, თუ როგორ გადაუშლის თავის გულისნადებს მაჯიდეს და რა ნაზად, რა სათნოდ უპასუხებს ქალი, მერე ამ წარმოსახვასაც შეებრძოლა, რადგან დაცდილი ჰქონდა, — რასაც ასე სათუთად უფრთხილდებოდა, რასაც ასე წარმოისახავდა გონებაში, არასოდეს სინამდვილეში არ აუხდებოდა. მაგრამ აქ მთავარი ის კი არ იყო, რომ მას დიდი და შეუძლებელი სურვილები ჰქონდა, არამედ ის, რომ ბედი დასცინოდა. გადაწყვიტა არაფერზე არ ეფიქრა. საკმარისია, დღეს წარმოვიდგინო, თუ როგორ ნაზად შემხვდება ქალიშვილი, — ფიქრობდა იგი, — რომ ხვალ ყველაფერი დაიმსხვრეს. მაგრამ ახლა, მიუხედავად ჩვეულებისა, ომერისათვის მთავარი იყო არა საკუთარი წარმოსახვა, არამედ სინამდვილე. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ მოექცეოდა ქალიშვილი ხვალ. წარმატების მისაღწევად ეშმაკობა იხმარა. წარმოიდგინა, რომ ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა. მერე მთელი დღის მშფოთვარებისა და მღელვარებისა-

გან დაღლილ ტვინს ნელ-ნელა ბინდი გადაეფარა, თავი ზღვის ბალახით გატენილ ბალიშზე დადო და ჩაიძინა.

თ ა ვ ი VIII

დილით ადრე გაიღვიძა, კარგად არც კი იყო გათენებული. მხოლოდ იქით, ბაღში მოშრიალე ხეთა ტოტების თავზე, მოჩანდა თეთრი ბოლი, ცუდად წოლისაგან კისერი ტკიოდა. ახალგაზრდა იყო და ღამის სიგრილეს ვერაფერი დაეკლო. ეს იყო, რომ სახე და ხელები უსიამოდ დანამოდა. ალბათ, ძილში თუ გაოფლიანდა ან კიდევ ჰაერი თუ იყო ნესტიანი. სახე და ხელები ცხვირსახოცით გაიმშრალა. შემდეგ იგივე ცხვირსახოცით სათვალე გააპრიალა. სახლში ყველას ეძინა, ამიტომაც დასაბანად არ გავიდა, ვაითუ, ვინმე შევაწუხოო, ეზარებოდა კიდეც, ფანჯრის წინ ბაღში ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ხეთა პაწია, ჯერ კიდევ კარგად გაუშლელი ფოთლები ნიავის წარმოქროლებაზე ირხეოდნენ და ძლივს გასაგონად შრიალებდნენ. მეტად სასიამოვნო სანახავი იყო, როგორ ნელ-ნელა ქრებოდნენ ცაზე ვარსკვლავები. დღის შუქი თანდათანობით მატულობდა და ასე გეგონებოდათ, კრამიტის ჭუჭყიანი, ხავსით დაფარული სახურავები ძილისაგან იღვიძებენო. ხეებისა და სახურავების თავზე თანდათანობით იფანტებოდა და იკარგებოდა მარმაშივით გამჭვირვალე ორთქლი. ამ სურათმა ომერს მხნეობა და ძალა შემატა.

— ქვეყნად სიცოცხლე თუნდაც იმიტომ ღირს, რომ გაზაფხული არსებობს, — წაიბუტბუტა მან.

ქუჩებში ხალხი გამოჩნდა. ტრამვაის დამუხრუჭების ყურის წამღებმა ხმამ ტალღასავით გადაუარა თავზე ქალაქს. მეზობელი სახლების ბაღებიდან ქოშების ბაკა-ბუკი მოისმოდა.

ვიღაცეები ბაღს რწყავდნენ. ერთ-ერთი სახლის ფანჯრებზე ხმაურით გააღეს რკინის დარაბები. ქუჩაში თუხთუხით ჩაიარა ავტომობილმა და პროსპექტისაკენ შეუხვია.

უცებ ომერმა გაიფიქრა, არა მარტო ჩემი ნათესავების, არამედ მთელი ქალაქის ცხოვრება დაქუცმაცებული და ქაოტურიაო. ბუნება და ტექნიკა, საუკუნოვანი ხანდაზმულობის მქონე სიძველენი და დღევანდელი დღე ერთმანეთის გვერდით დგანან. სილამაზე და სი-

დგანან და ერთმანეთში ირევიანო.

პირველი სართულიდან ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა. ფატმა თუ ადგა და საუზმეს ამზადებს. ომერი სარკესთან მივიდა, ჰალსტუხი გაისწორა და თმა დაივარცხნა. გადაწყვიტა, ცოტა კიდევ დაეცადა და მერე წასულიყო წყლის დასალევად და დასაბანად.

მეორე ოთახიდან ვიღაცის ნაბიჯების ხმა მოისმა. მერე იმ ოთახის კარიც გაიღო ომერი უმალ წამოხტა და ისე უცებ აღმოჩნდა სასტუმრო ოთახში, რომ ვერაფრის მოფიქრება ვერ მოასწრო. მაჯიდე პირსახოცით ხელში პირის დასაბანად გავიდა. ომერი ნახევრად ღია კარიდან ხედავდა ქალის საღამურ თეთრ ხალათს და ჩამოშლილ თმებს. „მაშ მაჯიდეს გაუხდელად არ ეძინა“, — გაიფიქრა მან. ეს ამბავი ძალიან უცნაურად მოეჩვენა, თითქოს ლოგინში საღამური პერანგით წოლა დარდსა და მწუხარებას გამორიცხავდა.

მაჯიდემ დაიბანა და დარბაზისაკენ გაემართა. გზადაგზა სახეს იმშრალებდა. ომერი დაბნეული იყურებოდა იქით-აქეთ, მერე სკამის ზურგზე გადაკიდებული პირსახოცი აიღო და მისი წვალება დაიწყო.

მაჯიდემ თავი ასწია და ისე დააკვირდა ვაჟს, თითქოს ვერ იცნოო, მერე საკმაოდ გულგრილად თქვა:

— ა, ეს თქვენა ხართ? ბონჟურ.

ომერი დაგრეხილ პირსახოცს მუხლებზე იცემდა.

— მე ვარ... გვიან მოვედი... თქვენ უკვე გეძინათ... თუმცა არა, ადრე ჩაიკეტეთ თქვენს ოთახში... ამიტომაც ვეღარ გნახეთ... ღმერთმა აწი მაინც გაშოროთ უბედურება. არა, უფრო სწორედ, ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცეთ! — ომერმა შეამჩნია, რომ მაჯიდე ოთახიდან გასვლას აპირებდა და ჩქარა ალაპარაკდა, იქნებ ცოტა ხნით მაინც შევაჩეროო. ცხადად ჩანდა, მაჯიდე მთელი ღამის უძინარი იყო. ქუთუთოები ჩაწითლებული და ჩასიებული ჰქონდა, სახე გალურჯებოდა, ღაწვებიც თითქოს ჩაცვენოდა. ომერმა იგრძნო, რომ უსამართლოდ მოიქცა ქალის მიმართ, როცა გაიფიქრა, მაჯიდეს მთელი ღამე ეძინაო. ომერი ლაპარაკობდა და თან თავით ფეხამდე ათვალიერებდა ქალს. საღამურ გრძელ, თეთრ ხალათში მაჯიდე კიდევ უფრო მაღალი და გამხდარი ჩანდა. ფეხის შიშველი ნაწილი, რომელიც ხალათსა და ხავერდის ქოშებს შორის მოუჩანდა, სწორი და სპილოს ძვლის ფერი ჰქონდა. მისი ხელებიც თეთრი

და უძრავი იყო. ხელზე, რომელშიც პირსახოცი ეჭირა, მაჯიდან თითებისაკენ ძლივს შესამჩნევი ლურჯი ძარღვები მოემართებოდნენ. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და ყურებს უკან გადაეწია, რომელზეც აქა-იქ კიდევ ბრწყინავდნენ წყლის წვეთები.

ომერმა მეტი ვერაფერი უთხრა, ვერ მოახერხა. მართალია, მაჯიდე საღამური ხალათით იდგა ვაჟის წინაშე, მაგრამ ქალს სრულიადაც არ ემჩნეოდა შეშფოთება. ქალის გაბედულმა გამოხედვამ ხომ სულ მთლად შეაცბუნა ომერი. მაჯიდე რომ გაწითლებულიყო და მოგონილი მღელვარებით თავისი სხეულის შიშველი ადგილების ხალათით დაფარვას ცდილიყო, ან კიდევ გაქცევა დაეპირებინა, ამაზე ომერი, ალბათ, ბანალურ ხუმრობას დაიწყებდა, მაგრამ ომერის წინ მდგარ მაჯიდეს კაცზე უფრო თავისუფლად ეჭირა თავი და ამიტომ მასზე ძლიერი იყო.

— დიახ... ძალიან საწყენია, — ომერს ენა დაება, — ღმერთმა გადღეგრძელოთ!

— გმადლობთ, — გულგრილად, მაგრამ თავაზიანად მიუგო ქალმა და თავისი ოთახისაკენ გაემართა.

ომერსაც უნდოდა თავის ოთახში დაბრუნება, მაგრამ შეხვედრა სასაცილო რომ არ გამოსვლოდა, პირსაბანისაკენ გაემართა, სათვალე მოიხსნა, პირი დაიბანა და ბაწარივით დაგრეხილ პირსახოცზე შეიმშრალა. წკურვილისაგან პირი უშრებოდა, წყლის დალევა კი მაინც დააეიწყდა. უკან რომ დაბრუნდა, დიდხანს იდგა ოთახის შუაგულში. გრძნობდა, რომ სულელურად იქცეოდა და ქალიშვილის წინაშე მეტად სასაცილოდ წარსდგა.

— ეშმაკმა დალახვროს, ამ ბოლო დროს სულ გამოვჩერჩეტდი, — ჩაიბუტბუტა ომერმა, — ალბათ, ისე მივჩერებოდი, თითქოს შეჭმას ვუპირებდი. მგონი, ძალიან გაბრაზდა, თუმცა არაფერი მაგრძნობინა. მე რომ ქალი ვიყო, ასეთ მამაკაცებს შევიძულებდი.

სკამზე ჯდომა არ შეეძლო. ოთახში ბოლთის ცემაც არ უნდოდა, ვაითუ, ამით ჩემი მღელვარება გავცეო. გაოგნებული და საკუთარი თავის უკმაყოფილო ისევ ოთახის შუაგულში იდგა.

— ამქვეყნად, მართლაც იმდენი რამ არის წვრილმანი და საძაგელი, რომ ცხოვრება საზიზღარი ხდება, — ჩაიბუტბუტა ომერმა — „რას ვბოდავ“,— მაშინვე გაიფიქრა მან. ოთახიდან გამოვიდა, კიბეზე დაეშვა და პირველ სართულზე ჩავიდა.

საუზმე უკვე მზად იყო. მაგიდას თეთრი მუშამბა ეფინა —

ფატმას უკვე მოეტანა საუზმე. ბაღში გასასვლელ კარებში ფატმა გამოჩნდა. იგი წინსაფარზე იწმენდდა ხელებს.

— დაბრძანდით და ისაუზმეთ, ბეი, ჩვენები გვიან დგებიან, — უთხრა ფატმამ.

ომერმა გადაწყვიტა, ახლაც რომ დაუმშვიდობებლად წავიდე, არც ამჯერად გამინაწყენდებიანო ნათესავები.

— გალიფ ეფენდი უკვე წავიდა? — იკითხა მან.

— არა, ჯერ არც ამდგარა.

მაშასადამე, გალიფ ეფენდიმ სულ იყარა საქმეზე გული. ბოლოს და ბოლოს ისიც მიხვდა, რომ დილაადრიან იაღისქელეს სავაჭროში გამოცხადება უაზრობაა, და გადაწყვიტა დილაობით ძილს მისცეს თავი. მთლიანად მიენდო თექვსმეტი წლის ნოქარი ბიჭის სინდისს.

ომერმა სკამი თავისკენ მოსწია და დაჯდა. ფატმამ ჩაი დაუსხა. ზემოდან კარის გაღების ხმა მოისმა. დარბაზში ვიღაც დადიოდა.

— ეს, ალბათ სემიჰაა, არა? — ნაძალადევი გულგრილობით იკითხა ომერმა.

— არა, რას ამბობთ, იგი შუადღემდე არც კი დგება... ეს, ალბათ, მაჯიდე ჰანუმია, სასწავლებელში თუ მიდის. გუშინ არ წასულა, მეგობართან იყო კადიკოიზე, მაგრამ დღეს როგორ წავა, ეს კი აღარ ვიცი!

დარბაზში კვლავ რაღაც ხმაური ისმოდა. ალბათ, მაჯიდე ფეხსაცმელებს იცვამდა. ფატმა დაიხარა და ომერს წასჩურჩულა:

— მაგის სკოლაში უკრავენ და მღერიან. განა შეიძლება დღეს იქ წასვლა? — მერე თავი გააქნია და დასძინა: — თუმცა აქ რაღა უნდა გააკეთოს ოთხკედელს შუა გამოკეტილმა? წავიდეს, სუფთა ჰაერზე მაინც გაივლის, თავს უკეთ იგრძნობს. როგორ მეცოდება საბრალო გოგო...

მაჯიდე კიბეზე ჩამოდიოდა. მას აგურისფერი, სპორტული, მწვანე უჯრედებიანი ქვედატანი და ყავისფერი შალის სვიტრი ეცვა. თავზეც ყავისფერი ბერეტი ეხურა. ომერმა ქალიშვილს გახედა და რადაც უაზროდ ჩაიცინა. კიბეზე ჩამოსვლისას მაჯიდე ოდნავ შესაჩნევად იღიმოდა. ნახევრადჩაბნელებულ დარბაზში კარგად არც კი ჩანდა, თუ როგორ ჩამუქებოდა თვალის უპეები და რა ცუდ ფერზე იყო ამ დილით. იგი უსიცოცხლოდ და მოთენთილად გამოიყურებოდა.

ომერს მოეჩვენა, რომ ქალი ძალზე ნაღვლიანად იღიმებოდა.

იმიტომ კი არა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალისათვის გაღიმება უხამსობად ეჩვენებოდა, — ბრმა უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ვერ დაენახა, თუ როგორ იტანჯებოდა მაჯიდე. როგორც ჩანს, მარტოდ დარჩენილი ქალიშვილი მიეჩვია საკუთარი თავის დამორჩილებას და თავისი ჭირის გამხელაც არ უნდოდა. მაჯიდეს ძალზე უხდებოდა გაღიმება, ამავე დროს ეს ღიმილი თითქოს ადგილზევე აქვავებდა ყველას, ვისაც ქალიშვილთან მიახლოება სურდა. „მგონი, ისეთ საქმეში გავები, რომ... ღმერთმა ჰქნას და ყველაფერი კეთილად დამთავრდეს“, — გაიფიქრა ომერმა.

მაჯიდე ომერის წინ დაჯდა, თავისი ფინჯანი აიღო და რამდენიმე წვეთი მოსვა, ლუკმა ყელში ეჩხირებოდა, მაგრამ თავს იკავებდა და ცდილობდა არავის შეემჩნია. გულით ეწადა ერთი ფინჯანი ჩაი ბოლომდე დაელია. ერთი წამით ქალის თვალები ომერის თვალებს წააწყდა. ეს წაბლისფერთმიანი ჭაბუკი, ხუჭუჭა თმის კულულები თეთრ შუბლზე რომ ჩამოყროდა, ცოტა სასაცილო, მაგრამ გულწრფელ და თბილ ადამიანად მოეჩვენა. უცებ ქალიშვილს სახეზე გამოცოცხლება დაეტყო. თვალები ოდნავ მილულა და ამოიოხრა. მერე ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს ამბობდა: „ხედავთ, რა მომდის?“

ომერი მაშინვე მიხვდა, ქალიშვილს დაჟინებით ჩააცქერდა და ამოიოხრა. ისინი მორცხვი ღიმილით უგებდნენ ერთიმეორეს ისევე, როგორც ვაგონის ერთ კუპეში მოხვედრილი, მაგრამ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს ესმით ერთმანეთის.

ომერი რამდენჯერმე გადაიხარა წინ. პირიც კი გააღო რაღაცის სათქმელად. მაგრამ ვერ გაბედა. მაჯიდეს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო. ბოლოს, ორივენი ერთსა და იმავე დროს წაიოდგნენ.

— დეიდა და ბიძია მომიკითხე, — მოუბრუნდა ომერი ფატმას, — შენ თვითონ ხედავ, რამდენი ველოდე. მაგრამ ჯერაც არ ამდგარან, ასე რომ მე ნუ გამიბრაზდებიან. — მერე ღიმილით დაუმატა, — სემიჰას კი გადაეცი, თვალებს გიკოცნი-თქო.

ომერმა შლიაპა აიღო, მაჯიდემ კი ნოტები შეაგროვა და ვარდისფერი საზაფხულო პალტო ჩაიცვა.

— თქვენც მოდიხართ? — თითქოს და უინტერესოდ იკითხა ომერმა.

— როგორც ხედავთ.

„ძველი ნომრებით აქ არაფერი გამომივა“, — გაიფიქრა ომერმა. სტანდარტული, ნაცნობი ფანდები, მხიარული სითამამე და ზოგჯერ ზრდილობას მოკლებული ოხუნჯობანი, რომელიც ასე მოსწონდათ მის თანაკურსელ გოგონებს, ახლა მძიმე ტვირთივით ჩააძირა ომერის მეხსიერებაში, თუმცა სურვილი ერთი-ორად გაუძლიერდა. როცა კარში გასვლისას მაჯიდეს თითი შემთხვევით ომერის ხელს შეეხო, ვაჟი ყაყაჩოსავით გაწითლდა: ქალის ნაღვლიანი თვალები წინანდელი ამაყი ღიმილის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ვაჟი იბნეოდა, უაზროდ იხედებოდა აქეთ-იქით და ჩუმდებოდა. როცა ომერი თავის თანამგზავრს გახედავდა და გახსნილ პალტოში შალის სვიტრშემოსალტულ ქალის მკერდს შეავლებდა თვალს, მაშინვე სუნთქვა უხშირდებოდა და კბილებს კბილებზე აჭერდა.

პროსპექტზე რომ გამოვიდნენ, ერთიმეორეს შეხედეს.

— თქვენ საით, კონსერვატორიაში, არა? — უცებ ჰკითხა ომერმა, — ახლა რვა საათია, მე ერთი საათი თავისუფალი ვარ, გნებავთ ფეხით გავიაროთ?

მაჯიდემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გზა განაგრძო. ჯერ ბეიაზეთში მივიდნენ, იქიდან კი ბაქირჯილარისაკენ გაემართნენ. ორივე კვლავ უხერხულობას გრძნობდა.

„თითქოს ენა ჩავყლაპეო, ისე ვარ დამუნჯებული, — ფიქრობდა ომერი. — ასეთი რამ პირველად მომდის. რა სულელურ დღეში ჩავვარდი, სიყვარულში ხომ ვერ გამოვუტყდები ახლად გაცნობილ ქალიშვილს, რომელმაც გუშინ საღამოს მამის სიკვდილის ამბავი გაიგო. ჯერ უნდა ვანუგეშო, თუმცა ასეთი რამ ჯერ არც გამომიცდია. როგორ უნდა მოვიქცე? — არც არავინ მინუგეშებია და არც ის მახსოვს, რომ ვინმეს ოდესმე ვენუგეშებინე. საერთოდ, ნუგეშისცემა ფარისევლობის უმაღლესი გამოვლინებაა. მაშინვე დამწუხრებულ სახეს მიიღებ, წარბებს მაღლა აზიდავ, ყოვლისმცოდნესავით თავს აქნევ და ცდილობ ილაპარაკო გულწრფელი, ნაღვლიანი ტონით. შეიძლება, გაგიჟდე!... მგონი, მაჯიდეც ისევე ფიქრობს, როგორც მე. აშკარაა, ჩემი ნუგეშისცემა არ მოეწონება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ლექციაზე ისე წავიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ეს კი ასეა, მაგრამ ახლა რა ვქნა? ყეყეჩობაა, იარო ასე დადუმებული და ხანდახან გადახედო ქალიშვილს, იარო ისე, როგორც პირზე რძეშეუმშრალი მოსწავლეები დადიან გოგონებთან. ბოლოს, და ბოლოს ესეც გულგრილობაა... ახლა გავუწოდებ ხელს

და ვეტყვი, ნახვამდის-მეთქი, მორჩა და გათავდა... ასე შეუძლებელია, მაგრამ რატომ არ ვაკეთებ ამას, რატომ არ მივდივარ? რაღაც მიზიდავს მისკენ, რა შესანიშნავი პროფილი აქვს, რა მკრთალი კანი, თუმცა სიყვითლეც დაჰკრავს, ნეტა უძილობის გამოა თუ საერთოდ ასეთია? არა, მე ძალიან კარგად ვიცნობ ამ გოგოს, უფრო სწორად მის სულს... არის რაღაც საერთო ჩვენში. რა სულელია ნიჰადი, ერთხელაც იქნება მოთმინებიდან გამომიყვანს, როგორა თქვა? ჰო.. „შენ, ალბათ, ბავშვობაში გინახავს იგი და მეხსიერების რომელიღაც კუნჭულს შემორჩა მისი სახეო“. სისულელეა, რა შუაშია აქ ბავშვობა? როგორ უყვართ ადამიანებს ყველაფრის გაიაფება და გაბიაბრუება. ერთ სულელურ სიტყვას მთელი შენი ოცნებების დამსხვრევაც შეუძლია. არ მომწონს ნიჰადი, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. ეტყობა, რაღაც ბნელ საქმეში გაერია, მაგრამ, როგორც ამხანაგი, ძალიან კარგია, სიმართლე უნდა თქვას კაცმა. ჩემი გულისათვის თავს დასდებს... თუმცა არ ვიცი, ვინ მითხრა ასეთი რამ? ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფიქრებია, ის იქნებ თითსაც კი არ გაანძრევს ჩემი გულისათვის. არა, აქამდე ჩვენს მეგობრობაში მე უფრო ვარ მისგან დავალებული, ვიდრე ნიჰადი ჩემგან... ბევრი ფული მოუცია ჩემთვის... ვნახოთ, შეუძლია თუ არა კიდევ რაიმე გააკეთოს. ეს კია, რომ ამ ბოლო ხანებში არ მომწონს, არ მომწონს ხალხი, რომელთანაც დადის, მაგრამ მათში მაინც არის რაღაც მიმზიდველი. ტვინი ისე აქვთ მოწყობილი, რომ ყველაფერს დაგიმტკიცებენ. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რისი დამტკიცება შეუძლიათ — კარგისა თუ ცუდის? რა ვიცი, ღმერთმა დასწყევლოს მაგათი თავი“.

ომერმა კვლავ გადახედა მაჯიდეს, ჩაფიქრებულ ქალიშვილს წარბები შეეკრა, დაჟინებული მზერა ჰქონდა, მის სახეზე არც ერთი ნაკვთი არ მოძრაობდა. იღლიაში ამოჩრილი ნოტები ლამის ხელიდან დასხლეტოდა. მაჯიდე მსუბუქად მიაბიჯებდა ტროტუარზე, ყავისფერი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ომერმა შეამჩნია, რომ გოგონა მამაკაცივით დიდი, თავისუფალი ნაბიჯებით მიდიოდა, ზოგიერთი გოგონების ცუნცულა სიარული ომერს რაღაც სიბრალულისმაგვარ გრძნობას აღუძრავდა ხოლმე. ჰოდა, მოეწონა, მაჯიდე რომ ნაბიჯებს უსწორებდა.

ხიდს მიუახლოვდნენ. გეგონებოდათ, თითქოს ხალხი სადღაც გარბისო. ირგვლივ საოცარი აურზაური იდგა. ოქროს რქის ხიდი

გადაიარეს და კვლავ განაგრძეს გზა. ზოგჯერ ყვითელ წყალსაც გადახედავდნენ ხოლმე, სადაც პატარა კარაპები, ნავები და კარჭაპები ჩამწკრივებულიყო. ერთ-ერთ ბრტყელძირა ნავზე ცხრა წლის ბიჭუნა იჯდა და თევზაობდა. ბიჭს შიშველი და ჭუჭყიანი ფეხები ჰქონდა. თუნუქის კოლოფიდან ჭიას ამოიღებდა, კაუჭზე წამოაგებდა, წყალში ისროდა, მერე კი ერთბაშად მაღლა ამოსწევდა ხოლმე. ჭუჭყიანი და შიშველი ფეხები ნავზე გადაეწყო. ბიჭი დაჟინებით ჩასცქეროდა კაუჭს. ომერი და მაჯიდე შეჩერდნენ და გადასროლილ კაუჭს დააცქერდნენ, ბიჭის მოთმინებამ და შეუპოვრობამ ომერი საკუთარ თავზე დააფიქრა. თვითონ არასოდეს არ ყოფილა ასე გატაცებული რაიმე საქმით, არასოდეს არაფრისთვის არ მიუქცევია ასეთი დიდი ყურადღება.

მაჯიდეს იღლიიდან ერთი სანოტო რვეული გამოუვარდა. რვეული ტროტუარზე დაეცა. ომერი დაიხარა, აიღო, მაჯიდეს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მომეცით, მე- წამოვიღებ.

მაჯიდემ უსიტყვოდ გაუწოდა ნოტები. ქალის თვალებში მადლობის გამომხატველმა გრძნობამ გაიელვა.

ამან ხომ სულ მთლად დაუბნია თავგზა ომერს. „საოცარია, — ფიქრობდა იგი, — ისე არასოდეს გავუხარებივარ ჩემი მოწონებული გოგონების ალერსსა და ყურადღებას, როგორც ამ ქალიშვილის ერთმა გამოხედვამ გამახარა, გამოხედვამ, რომლის ზზრი არც კი ვესმის, რას ნიშნავს იგი, იქნებ სიბრალულს? ყოველ შემთხვევაში ეს არ იყო ჩემდამი გულგრილი ადამიანის გამოხედვა. ეს კი უფლებას მაძლევს სიხარულით ცას ვეწიო. იქნებ ეს არის სიყვარული, იქნებ დღემდე არ ვიცოდი, რა იყო ნამდვილი სიყვარული. ახლა მაინც უნდა გავაკეთო რაღაც ... დიახ... მაგრამ ამაზე ფიქრიც რომ მომქანცველად მეჩვენება. დაე, ყველაფერი თავისთავად მოხდეს... რაზე ფიქრობს ახლა მაჯიდე? ყოველ შემთხვევაში ჩემზე არა! კი მაგრამ, რატომ არ ფიქრობს ჩემზე?... რას არ მივცემდი, ცოტა ხნით მაინც რომ ეფიქრა ჩემზე! რომ მომთხოვოს, უბრალოდ რომ მანიშნოს, ამ ტრამვაის ჩავუვარდებოდი... არც ერთ წუთსაც არ დავაყოვნებდი... საინტერესოა, მართლა ჩავუვარდებოდი?

მაჯიდემ მაჯაში ჩაავლო ხელი.

— რა მოგდით?...

ომერი დაბნეულად იყურებოდა ირგვლივ.

— ვის უყურებდით, დაინახეთ ვინმე? კინაღამ გაგიტანათ ტრამვაიმ.

ომერმა მიმოიხედა. იგი მართლაც ქვაფენილზე იდგა. მაშ, მაჯიდეს გაუსწრო.

— ერთი კაცი მეგობარს მივამსგავსე, — ჩაილაპარაკა, როცა გონს მოვიდა.

ომერს იმ ხელში ერუანტელმა დაუარა, ახლახან მაჯიდეს რომ ეჭირა. „რატომ გამიშვა ხელი“, ჩაიბუტბუტა და განაწყენებული ბავშვივით აიმრიზა. ტირილი უნდოდა, თავს ძლივს იკავებდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და მაჯიდეს ჰკითხა:

— ხელკავს ხომ არ გამიკეთებთ?

მაჯიდემ ხელი ხელში გაუყარა. ამჯერად უფრო მსუბუქად. ამ დროს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მაჯიდე ისე დაჟინებით შეცქეროდა, თითქოს რაღაცის გახსენება უნდაო. ომერს მოაგონდა, რომ ქალიშვილი გუშინ ხიდზე გაცნობისასაც ასევე დაჟინებით აკვირდებოდა.

ამ დაჟინებულმა გამოხედვამ დააბნია ომერი. ქალიშვილი კი, თითქოს რაღაც შენიშნა და შემჩნეულს იმახსოვრებსო, კვლავ დაჟინებით მისჩერებოდა.

ომერმა თავი მოაბრუნა. კვლავ სწრაფი ნაბიჯით გაუყვნენ გზას. მდუმარედ დაეშვნენ კარაკოის დაღმართზე. ორივე ამჩნევდა, რომ მათს ურთიერთობაში რაღაც ცვლილება ხდებოდა, რომ ისინი უფრო ახლოს ეცნობოდნენ ერთი-მეორეს. ორივეს თავ-თავისი საფიქრალი ჰქონდა, მაგრამ თითოეული დარწმუნებული იყო, რომ მეორესაც მისი ფიქრების მსგავსი აზრები უტრიალებდა თავში.

როცა კონსერვატორიას მიუახლოვდნენ, მაჯიდემ მდუმარედ გაუწოდა ვაჟს ხელი. ომერი შეშინდა, აი, ახლა დაშორდება მას და ვინ იცის, იქნებ რამდენიმე კვირაც ვერ ნახოს. ეს საშინელება იყო, მით უმეტეს მაშინ, როცა ვაჟს ვერ წარმოედგინა, რამდენიმე კვირა კი არა, ხუთი წუთიც კი როგორ უნდა ეცხოვრა უიმისოდ. ამის თქმა, რასაკვირველია, ხმამაღლა ვერ გაბედა, მაგრამ ეს კი ჰკითხა:

— როგორ უნდა იმეცადინოთ დღეს?

— რატომ მეკითხებით? — ჩაილაპარაკა მაჯიდემ იმავე ამოუცნობი ღიმილით. — განა ამაზე ლაპარაკობენ?

ომერმა მთელი თავისი ვაჟკაცობა და ნებისყოფა დაშაბა და ჩაილაპარაკა:

— რამდენი რამის თქმა მინდოდა.

— და არაფერი არ გითქვამთ.

ომერმა საყვედურით შეხედა.

— კიდევ შევხვდებით, — თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე ჩაილაპარაკა ქალმა.

— როდის? — აღარ დააყოვნა ომერმა.

მაჯიდემ მხრები აიჩეჩა.

— საღამოს მოვალ და გაგაცილებთ, კარგი?...

ქალიშვილი ჩაფიქრდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვიტაო:

— როგორც გენებოთ!

ქალი კიბეს აუყვა.

თ ა ვ ი IX

ომერი თითქმის სირბილით დაეშვა ქუჩაზე. ბუმბულივით მსუბუქად გრძნობდა თავს. სულში ბედნიერება ჩაუდგა, გული ისე მძლავრად უცემდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ ბუდიდან ამოვარდებაო. უნდოდა ყველა გამვლელს მოხვეოდა და ეთქვა: რატომ დადიხართ ასე მოღუშულნი? გაიცინეთ, გაიხარეთ, განა ქვეყანაზე არის უფრო მშვენიერი რამ, ვიდრე სიცოცხლე?

სულმოუთქმელად მიირბინა ხიდამდე, საათს დახედა, ათი ხდებოდა. „ქვლავ დავაგვიანე“, გაიფიქრა მან, მაგრამ ამას ოდნავაც არ შეუნელებია მისი აღფრთოვანება. ომერის შორეულ ნათესავს, რომელმაც ჭაბუკი სამსახურში მოაწყო, ფოსტაში დიდი პოსტი ეჭირა. „შევალ, ხელზე ვეშთხვევი, თვითონაც კმაყოფილი დარჩება და ჩვენი თანამშრომლებიც ენას ჩაიგდებენ, როცა დაინახავენ, რომ მისი კაბინეტიდან გამოვედი“.

ომერმა ისიც კი არ იცოდა, თუ რა ერქვა იმ თანამდებობას, რომელიც მას ეჭირა ფოსტაში. ეს კია, რომ ამ თანამდებობას მისთვის ყოველთვიურად 42 ლირა და 75 ყურუში მოჰქონდა. შევიდოდა ბუხჰალტერიაში, დაჯდებოდა და თითქმის არაფერს არ აკეთე-

ბდა, ზოგჯერ ჰაფიზი[1] ჰიუსამედინ ეფენდი შველას სთხოვდა და ისიც სულელურ საბუხჰალტრო წიგნს სულელური ციფრებით ავსებდა. ეს საქმე არც თუ ისე მოსაწყენად ეჩვენებოდა ომერს. მან შეჰქმნა მუშაობის თავისი, ახალი მეთოდი. რაციონალიზატორული სიახლენი შეიტანა ბუხჰალტერიაში, ზოგჯერ წინადადების წერას უკუღმიდან იწყებდა, ციფრებს სვეტებად ჩამოწერდა ხოლმე და გრაფებს რიგრიგობით ავსებდა. ერთბაშად წაიკითხავდა ათ-თხუთმეტ ციფრს და ყველას დამახსოვრებას ცდილობდა, -ამით რაღაც კმაყოფილებას გრძნობდა.

ომერის სამუშაო ოთახში ათი მაგიდა იდგა. ყოველ მაგიდას სხვადასხვა ასაკის ჩინოვნიკი შემოსხდომოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს რაიმე დიდ საკითხზე ჩაფიქრებულანო, მაგრამ ომერისა არ იყოს, მუშაობით არავინ იკლავდა თავს. თითოეული მათგანი საკუთარ ფიქრებში იყო გართული. ზოგი ლუკმაპურის შოვნაზე ფიქრობდა, ზოგი პაემანზე, ზოგიც კინოფილმზე და ყველანი ერთად მუდამდღე აგინებდნენ თავიანთ სამსახურს, სადაც მხოლოდ იმისათვის მუშაობდნენ, რომ ეშოვნათ პური არსობისა.

აქა-იქ მელანგადასხმულ პატარა მაგიდებზე ეყარა დახაზული ბლანკები, ერთად აკინძული ქაღალდები და დიდი, შავი რვეულები, ასეთივე დიდი და შავი რვეულებით გაევსოთ კარადები, რომლებიც კედელთან დაედგათ, დიდი მაგიდების უკან.

ერთმა ახალგაზრდა ჩინოვნიკმა საქაღალდის კიდე ასწია და შიგ ჯიბის მრგვალი სარკე ჩასდო. მერე დიდხანს აწვალა თავისი კარგა მოზრდილი ბრიოლინგადასმული თმა და ძველი, ხელოვნური აბრეშუმის ჰალსტუხი. ჟილეტი ვერ ფარავდა ხალათის დაკერებულ და გაცვეთილ საყელოს, ისიც ნერვიულად ისვამდა კისერზე ხელს. შარვალიც კოსტიუმის ფერის ეცვა. მუხლებზე გაქონილი შარვალი გულდაგულ დაეუთოვებინა. გაცვეთილი, ჭყეტელა ფერის ფეხსაცმლის ჭვინტს ოფლის ლაქები აჩნდა. მისმა მეზობელმა, შუახნის ჩინოვნიკმა, თმა ზღარბივით რომ შეეკრიჭა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და საღამოს გაზეთების ძველი კომპლექტის კითხვა დაიწყო.

ჩინოვნიკების მაგიდებზე საქმიანი ქაღალდები ელაგა, მაგრამ მაგიდის კიდეს ადავისუფლებდნენ და თავიანთი საქმეებით ერთო-

---

[1] ჰ ა ფ ი ზ ი — საპატიო წოდებაა იმ კაცისა, რომელმაც ზეპირად იცის მთელი ყურანი.

ბოდნენ. ან კიდევ დასწერდნენ რაღაც ორ-სამ სტრიქონს, ცოტას წაიანგარიშებდნენ და სკამის ზურგზე გადაწოლილნი საკუთარ ფიქრებს ეძლეოდნენ ხოლმე. მერე მოულოდნელად, თითქოს ვიღაცამ უჩქმიტაო, კვლავ ქაღალდებისაკენ დაიხრებოდნენ და ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს დიდი საქმეებით იყვნენ გართულნი. ეს ჩინოვნიკები ომერს წყლის ბორბალში შებმულ იმ ცხენებს აგონებდნენ, რომლებიც დროდადრო შედგებოდნენ, თავს მაღლა ასწევდნენ და თვალსაფრის იქით რაღაცის დანახვას ცდილობდნენ. მერე კი კვლავ წრეს უვლიდნენ.

მოლარე ჰიუსამედინ ეფენდი მისთვის მიჩნეულ პატარა ოთახში იჯდა. იგი ამ ჩინოვნიკებს არ ჰგავდა და გულისყურით მუშაობდა. უთქმელი კაცი იყო, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ხშირად რჩებოდა კანტორაში. გულდაგულ, რამდენიმე ბოქლომით კეტავდა სალაროს და რაღაცეებს იწერდა ხუთ-ექვს საბუხჰალტრო წიგნში. ომერი თავიდანვე დაუმეგობრდა მას. ჰიუსამედინი თითქმის ყოველთვის გაუპარსავი იყო, ორმოცდახუთი წლის კაცი ისე იყო გამელოტებული და დაბერებული, რომ სამოც წელზე ნაკლებს არ მისცემდით. ომერი მიხვდა, რომ ეს კაცი არც ისე უინტერესო იყო, როგორც პირველი შეხედვით ჩანდა. ხუმრობაც თავისებური და ორიგინალური უყვარდა. ჩინოვნიკებს თუ შენიშვნას მისცემდა, ზუსტად და საზრიანად. ომერი დიდხანს ფიქრობდა, თუ საიდან იცოდა ჰიუსამედინ ეფენდიმ ჩინოვნიკების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე და ეს მაშინ, როცა სულ სხვა ოთახში იჯდა და ჩინოვნიკების საერთო ოთახში იშვიათად შემოდიოდა.

მოლარე თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო. საუბრისას ოქროსჩარჩოიანსათვალეს შუბლზე აიწევდა ხოლმე. ღია ცისფერი თვალები ერთთავად უღიმოდა, მაგრამ, როცა შემოგხედავდა, გეგონებოდათ, თითქოს მუხრუჭებს გიჭერსო. სათქმელს პირდაპირ და გულახდილად გეტყოდათ, იქცეოდა ისე, როგორც ნამდვილი, უშიშარი კაცი. მაგრამ ომერმა ისიც იცოდა, რომ მოლარეს ძალიან უჭირდა ცხოვრება. ჰყავდა მეუღლე და ხუთი შვილი. უფროსი ვაჟი კი მხოლოდ თვრამეტისა იყო. თვიდან თვემდე ძლივს გაჰქონდა თავი. ომერმა გაცნობისთანავე შესჩივლა მოლარეს — ჩემი ხელფასი რაღაც გროშებია. ის რამდენიმე ლირა, რომელსაც წელიწადში ერთხელ ბალიქესირიდან დედა მიგზავნის, ხალათსაც კი ვერ მიყიდისო. აი, სწავლა რომ დამემთავრებინა, სულ სხვაგვარად წა-

ვიდოდა ჩემი საქმე, მაგრამ სწორედ ეს უფულობა მაიძულებს ვიმსახურო, აგერ ექვსი წელია, უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და დამთავრებას ჯერაც არ უჩანსო პირი. მაგრამ ლექციებზე დაუსწრებლობისა და სწავლის დაუმთავრებლობის ნამდვილი მიზეზი უფულობა როდი იყო — ომერის სულში საოცარი უნდობლობა გამეფებულიყო. თქვენ წარმოიდგინეთ, უმიზეზო სიძულვილიც კი სტუდენტებისა და განსაკუთრებით, მასწავლებლების მიმართ. რამდენჯერაც არ ეცადა გაერკვია, თუ რა იყო ამ უნდობლობის მიზეზი, ყოველთვის ერთსა და იგივე დასკვნამდე მიდიოდა. მიზეზი მხოლოდ მისი უცნაური აზროვნება იყო. სამდურავს გამოთქვამდა არა იმიტომ, რომ ვინმე მოეტყუებინა, უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის მოტყუება სურდა.

ჰიუსამედინ ეფენდიმ მოუსმინა და დინჯად უთხრა:

— ეჰ, შვილო, ოდესღაც ჩვენც ვიყავით ახალგაზრდები. სწავლას თუ ხელი მოჰკიდე, მიტოვება აღარ შეიძლება. მეცნიერება ისეთი რამეა, თუ ერთხელ შეუშვი ხელი, მერე ახლოსაც აღარ მიგიკარებს. ცხოვრების ზედმიწევნით გაცნობა სწავლის საქმეს ხელს შეუშლის. სხვა გზა მონახე რამე, იქნებ ბანკში მოეწყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, ბევრ რამეს მიაღწევ.

მოლარე ჩაფიქრდა, რაღაც მოაგონდა, მერე თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, თავის ამბავს მოჰყვა:

— აი, მე შუაგზაზე მივატოვე სწავლა. მერე და სად — შენ გგონია უნივერსიტეტამდე მივაღწიე? არა, სკოლიდანვე გამოვედი და მამაჩემთან დავიწყე სამსახური. იგი ვილაიეთის[1] საფინანსო ნაწილს განაგებდა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ცოლი რომ შევირთე, ხუთი წლის მერე მამა გარდამეცვალა, ცოტა ხნის შემდეგ კი — ცოლი. სულ ამერია ცხოვრება. აღარაფერზე ვფიქრობდი. მამაჩემის დანატოვარი ფული უცებ შევჭამე. რაღას ვიზამდი, კვლავ სამსახური დავიწყე, კვლავ დავქორწინდი და... მომრავლდნენ ბავშვები... ახლა შენც უყურებ, როგორ ვცხოვრობ. ასეთია ცხოვრება. მხოლოდ იმით უნდა ვიცხოვროთ, რაც დღეს გვაბადია, წარსულზე ფიქრი სისულელეა, არ უნდა მოვიგონოთ ის ზამოუყენებელი ბედნიერი შემთხვევები, რომლითაც შეიძლებოდა ჩვენი ცხოვრება სხვა გზით წასულიყო. არც მომავალზე ფიქრით უნდა ვიტეხოთ

[1] ვ ი ლ ა ი ე თ ი — ადმინისტრაციული ერთეული.

თავი, მომავლის ილუზიებით გატაცება სულ მოგვიწამლავს ჩვენს, იაედაც ხანმოკლე, წუთისოფელს. ადამიანმა ყველაფერში შეიძლება გასართობი დაინახო. ჩვენს ოჯახში ხშირად ხდება ასეთი რამ: თვის ღასაწყისში თავს დაგვადგება მედუქნე და მორთავს წუწუნს: ვალებს დროზე რატომ არ მიხდითო, ამის გაგონებაზე ჩემს ცოლს ლამის ნერვიული შეტევა მოუვიდეს, მე კი ამაზედაც მეცინება, როცა თვალს ვადევნებ მედუქნის ყოველ მოძრაობას. ვაკვირდები, თუ რა ბრისხანედ მოიხდის ქუდს ოთახში შემოსვლისას, მერე როგორ დაიხურავს. ვისმენ, თუ როგორ ებმის ენა, როცა სტამბოლური აქცენტით სურს ლაპარაკი და მერე ფიქრები... ფიქრები... მთელი უბედურება ის არის, რომ ჩვენს სურვილებს არაფერი ემორჩილება ცხოვრებაში, მაგრამ ბუნებამ მოგვცა ერთი გამოსავალი — ყველაფერს მოვუნახოთ გამართლება. ზოგჯერ ბავშვებისათვის წიგნის საყიდელი ფულიც კი არა მაქვს. უფროსი შვილი მემუდარება, კისერზე ჩამომეკიდება, ფული მომეციო. სხვა გზა არ არის, უნდა მივცე. დანარჩენ ოთხს, ოთხ გოგოს ისღა დარჩენიათ, რომ იტირონ. მაშინ მე ოთხივეს ვარწმუნებ, შეიძლება უწიგნოდაც იოლად გახვიდეთ-მეთქი „ყველაფერი დაიზეპირეთ“, ვურჩევ ხოლმე და როცა ვხედავ, შვილებმა დამიჯერეს და სერიოზულად მიიღეს ჩემი ხუმრობა, სიცილი და ტირილი მინდება. ასეა ჩვენს კანტორაშიც, გარდა ორი-სამი ეშმაკი და საქმისმცოდნე კაცისა, ყველანი ცხოველები არიან. რახან ამ პლანეტაზე ცხოვრობენ და ადგილი უჭირავთ, ასე ჰგონიათ, დიდ საქმეს აკეთებენ. ვის თავისი ახალაგზრდობით მოსწონს თავი, ვის კიდევ — ხანდაზმულობით, გამოცდილებით და წარსულით მოაქვს თავი, ზოგი კიდევ სხვებს არწმუნებს, რომ ხვალ თუ ზეგ დიდი ვინმე გახდება და ამით ავტორიტეტის მოპოვებას ცდილობს. მაგრამ ბოლოს ყველას ფქვავს ცხოვრების წისქვილი, რომლის არსს ვერასოდეს გაიგებენ, თუმცა ჰგონიათ, რომ ამ ცხოვრების თავი და თავი თვითონ არიან. ხოლო ვისაც ჩემსავით სიბერემ ლაპარაკის საღერღელი აუშალა, ასე ლაქლაქებენ და ლაქლაქებენ თავისთვის...

ომერს სოცარ კმაყოფილებას გვრიდა მოლარესთან საუბარი, მათ აერთიანებდათ ყველაფრის მიმართ სრული უნდობლობა. ეს კია, რომ ჰიუსამედინ ეფენდისათვის დროთა სვლას გაენელებია ჩამოუყალიბებელი სურვილებითა და ვნებებით გატაცება, რომლითაც ასე სავსე იყო ომერის სული. მოხუცი მოლარე არაფერს თხო-

ვდა მომავალს. მას მხოლოდ დღევანდელი დღის გაგრძელება სურდა. ზოგჯერ რამდენიმე ლირას დაუსესხებოდა ომერს. ასეთ დროს ყმაწვილს მხოლოდ ის აოცებდა, რომ მოხუცი არც უხერხულობას გრძნობდა და არც დამცირებას. მას უბრალოდ და ბუნებრივად ეჭირა თავი. ხოლო, როდესაც ომერს დასჭირდებოდა ფული, იგი მზად იყო ერთი გროშიც არ დაეტოვებინა ჯიბეში. ომერს კი ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ადამიანს ის ფული წაართვა, რომლითაც ოჯახისათვის პური უნდა ეყიდნა.

აი, დღესაც ხუთი-ათი წუთი თუ იჯდა თავის მაგიდასთან. მერე ადგა და ჰიუსამედინ ეფენდისთან გავიდა. ვინმესთან ლაპარაკი სწყურდა. მოხუცი თავისი საქმეებით იყო გართული. წინ კარგა მოზრდილი საბუხჰალტრო წიგნი დაედო და შუბლი ისე შეეკრა, თითქო ურთულესი რამ უნდა გამოიანგარიშოსო. ომერმა წასვლა დააპირა, შებრუნდა კიდეც, რომ მოხუცმა თავი ასწია და ჰკითხა:

— დღეს სად სადილობ? დამიცადე, ერთად წავიდეთ რომელიმე სამწვადეში, რაღაც გუნებაზე ვერა ვარ, ცოტა ვიმასლაათოთ.

ომერი გაოცდა, როცა ჰიუსამედინ ეფენდიმ სწორედ ის სიტყვები უთხრა. რის თქმასაც თვითონ აპირებდა — „რაღაც გუნებაზე ვერა ვარ“. ეს მართლაც უჩვეულო იყო.

ომერი თავის მაგიდას დაუბრუნდა. არც ჟურნალი ჰქონდა თან და არც გაზეთები, ამიტომ საბუხჰალტრო წიგნს წაავლო ხელი. მერე ფურცელი ამოიღო. ფურცლის ერთ მხარეზე რაღაც ტექსტი იყო დაბეჭდილი, გადმოაბრუნა და სუფთა მხარეზე ხაზვა და რაღაც გამოსახულებების ხატვა დაიწყო, მერე სხვა ფურცელი აიღო და ათასგვარი ფაქსიმილეს წერას შეუდგა. ერთმანეთის მიყოლებით თავის სახელიც ჩამოამწკრივა, მერე იქვე მიაწერა: მაჯიდე, მაჯიდე, მაჯიდე, მაგრამ როცა დაინახა, ქალიშვილის სახელი მისი სახელის წინ ეწერა, მთელი ფურცელი გადაჯღაბნა.

სადილობისას მოლარესთან შეიარა. მიუხედავად ჩვეულებისა, ჰიუსამედინ ეფენდი მდუმარედ შეხვდა. ბალჩეკაფის რაიონში პატარა, დაბალჭერიან სამწვადეში ჩავიდნენ. ომერი რამდენიმეჯერ დააცქერდა მოხუცს, სურდა გაეგო, რა მოხდა, მაგრამ მოლარე გატრუნული იჯდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. ფული გადაიხადეს და გამოვიდნენ. მერე კი პატარა ყავახანაში შეუხვიეს და გაზეთები გაშალეს. ორივე თავის ფიქრებს გაეტაცნა, არც ერთი არ იღებდა

ხმას. თუმცა კანტორიდან იმ გადაწყვეტილებით წამოვიდნენ, რომ ესაუბრნათ.

ომერს ეშინოდა, ალბათ, ბედი დამცინისო. უსაზღვრო სიხარული, რომელიც ახლა ჩემს სულში ტრიალებს, უთუოდ ნაღველით შემეცვლებაო. ბავშვობისას შეაჩვიეს, ყოველგვარი სიხარულისა და ბედნიერებისათვის შიშით შეეხედა. ძველი ანდაზა — „სიცილს ტირილი მოსდევსო“ — ღრმად აღბეჭდილიყო მის სულში და შეუცვლელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

ყოველი სასიამოვნო ამბავი: სიხარული, პირველი გამოვლინების შემდეგ რაღაც უმიზეზო დარდსა და შიშს ჰგვრიდა. ამ გრძნობებისაგან განთავისუფლებას ხშირად გულუბრყვილო ფანდებით ცდილობდა. ახლაც თავისდაუნებურად ჩაფიქრებული კაცის სახე მიიღო და ჰიუსამედინ ეფენდის ნაღვლიანად ჰკითხა:

— რა არის ახალი ჰიუსამედინ ეფენდი?

— ნუ მკითხავ, შვილო!

— რა მოხდა, ნუთუ თქვენც სერიოზულად მოეკიდეთ ამ ქვეყანას?

— ამჯერად მართლა არაფერი მაქვს სამხიარულო, ისეთ უბედურებაში გავეხვიე, ღმერთი თუ დამიხსნის, თორემ...

მოლარე კვლავ გაჩუმდა.

ომერი დიდხანს შეცქეროდა და ელოდა, რას იტყოდა მოხუცი, მაგრამ იგი ნელ-ნელა წამოდგა მაგიდიდან.

— დროა წავიდეთ ჩვენი წამების გამოქვაბულში, — თქვა მან.

ომერი ძალზე დაინტერესდა, მაგრამ იცოდა მოხუცის ხასიათი და არაფერს ეკითხებოდა. მიუხედავად თავისი პირდაპირობისა და გულახდილობისა, მოლარეს არ უყვარდა, როცა ვინმე მის საქმეში ჩაჩრიდა ცხვირს.

კანტორის კიბეზე რომ ადიოდნენ, ჰიუსამედინ ეფენდიმ თქვა:

— მე მგონი, ჩემო შვილო, სიბერესა და ახალგაზრდობას შორის არავითარი განსხვავება არ არის. იქნებ სიბერე უკეთესიცაა, რადგან ეს ნიშნავს, რომ უაზრო წამება დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ზოგიერთი საქმე ძალზე მძიმეა მოხუცის მხრებისათვის. ვნახოთ, რა მოხდება.

მოხუცს მოულოდნელად ჩვეული განწყობილება დაუბრუნდა.

— გამოცანებით ფილაპარაკები, არა? მალე, როცა თავისუფალ დროს ვნახავ, ყველაფერს გიამბობ: ვიცი, შენ ვერაფერს მირჩევ,

თუმცა ეს ისეთი საქმეა, რჩევა არაფერს მიშველის... ლამის გავგიჟდე კაცი... რა გზას დავადგე, არ ვიცი; შინ ცოლს ვუმალავ, კანტორაში — თანამშრომლებს, გაგიჟდება კაცი და ეგაა. — ესა თქვა და უმალ თავის ოთახში შევიდა.

ომერი თავისი მაგიდისაკენ გაემართა, მაგრამ ერთ ადგილას ჯდომა არ შეეძლო, ვერც თავის მოუთმენლობას მოსდო სადავე. ორივე ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, ერთმანეთთან მისასვლელად ნახევარი საათიც კი არ გვინდა, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე ვართ. მე აქა ვარ, მაჯიდე კი იქა. რატომ? უაზრობაა! რა საქმე მაქვს აქ? მეც ვეწამები და სხვებსაც თავს ვაბეზრებ. ალბათ, იმასაც ხელიდან უვარდება ყველაფერი. აბა როგორ უნდა დაუკრას დღეს? ჩვენ ერთად არა ვართ! განა შეიძლება ამაზე მეტი უაზრობა არსებობდეს ქვეყნად? ძალიან კარგი, რომ ცხოვრება შემთხვევათა ჯაჭვია, მაგრამ ამ შემთხვევითობაშიც ხომ უნდა იყოს რაღაც ლოგიკა?"

ომერი ჩუმად გამოვიდა ოთახიდან. წასვლა რომ დაემალა, შლაპა საკიდარზე დატოვა, კიბე ჩამოირბინა და ქუჩაში გამოვიდა, წუთით შეყოყმანდა, ჯერ კიდევ ადრე იყო, „ხომ არ იფიქრებს, რომ ძალიან მიყვარს?" მაგრამ თვითონაც იცოდა, რომ ეს ბავშვობა იყო და ასეთი ოინებით მაჯიდეს ვერ მოატყუებდა. ხოლო იმაზე ფიქრი, რომ მაჯიდეს ფანდებით ვერ მოატყუებდი, კიდეც აშინებდა და კიდეც ამშვიდებდა. ომერს ეშინოდა, ვაითუ, ჩემი ხასიათის ცუდი მხარეები ვერ დავმალოო, მაგრამ იმის იმედიცა ჰქონდა, რომ ქალიშვილი მიუხვდებოდა ფიქრებს, რომლის გამჟღავნებას ვერ მოახერხებდა.

დროის მოკვლის მიზნით ბალიქფაზარისაკენ[1] გაემართა. ვიწრო ქუჩაში მტვირთავი ბიჭები გარბი-გამორბოდნენ და ერთმანეთს ეჯახებოდნენ. წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა, მოლიპულ ტროტუარზე მიდიოდა. ეს ტროტუარი ზამთარ-ზაფხულ ჭუჭყიანი იყო. მალე იაღისქელესიზე აღმოჩნდა. რკინისდარაბიანი ქვის უფერული შენობები ისე ახლოს იდგნენ ერთიმეორესთან, თითქოს აქ მოხვედრილი ადამიანის გაჭყლეტა სურთო. ყოველ დუქნიდან წყალსადინარამდე ჭუჭყიანი წყლის ზოლი გაჭიმულიყო. ცხვირში წებოვანი ზეთისა და ზღვიდან მონაბერი სინესტის სუნი გეცემოდათ.

---

[1]. ამ უბანში თევზის სავაჭროები იყო.

ომერმა იცნო ძია გალიფის დუქანი. დუქანი სარდაფში მოეთავსებინათ და ქუჩიდან ვერ მიხვდებოდით, იყო თუ არა ვინმე შიგ. ჭუჭყიან ფანჯრებში ზეითუნის ზეთის სხვადასხვანაირი ბოთლები მოჩანდნენ. კარის ახლოს დიდი კასრი იდგა, რომელსაც მტვრისა და ცხიმის წებოვანი ტალახი შემოკვროდა.

— „როგორ შეიძლება საკუთარი სურვილით დათანხმდე ამ სარდაფში მთელი სიცოცხლე პატიმრობას? — ფიქრობდა ომერი. — როგორ შეიძლება მიდიოდე ამ ქუჩაზე ისე, რომ არ გქონდეს არავითარი იმედი უფრო ნათელ, უფრო სასიამოვნო ადგილზე გასვლისა. ძია გალიფი ხომ სულ სხვაგვარად ცხოვრობდა, მისმა ბავშვობამ და სიჭაბუკემ ბაღებსა და მშვენიერ ველებზე გაიარა. ახლა კი აქ ჩაკეტილა და ელოდება, რას? სიკვდილს... ჩვენ იმის ძალაც კი არ შეგვწევს, რომ უფრო კარგ ადგილას დაველოდოთ სიკვდილს“.

ქუჩაში კაცის ჭაჭანება აღარ ჩანდა, ომერს მოეჩვენა რომ უკვე გვიან იყო და უკან გამობრუნდა. ხიდს რომ მიაღწია, ბეიოღლუსაკენ აიღო გეზი.

თ ა ვ ი X

ოთხი საათი იყო, როცა ომერი კონსერვატორიასთან მივიდა, მაგრამ რა გაეკეთებინა, არ იცოდა. არც დროზე შეთანხმებია ქალიშვილს და არც ადგილზე. კართან დაეცადა თუ შესულიყო და ძოეძებნა? ნეტა როდის მთავრდება მეცადინეობა?

„მუდამ ისეთი წვრილმანებით ვიწამებ თავს! — თავისთავს ელაპარაკებოდა ომერი. — ვერ მოვახერხე მეთქვა ის, რასაც ჩვეულებრივ პაემანის დანიშვნისას ამბობენ: შევხვდებით ამა და ამ დროს ამა და ამ ადგილას. ახლა კი იდიოტივით, ვინ იცის, რამდენი ხანი უნდა ვიდგე აქ და ვიღაცეებმა უნდა გამამასხარაონ, მაგრამ ეგ არაფერი, საჭიროა მოგვარდეს მთავარი რამ. დეტალები კი თავისთავად დაეწყობა. ყოველ შემთხვევაში, თუ ცხოვრება ლოგიკურ თანმიმდევრობას ემორჩილება, ასე უნდა იყოს. საინტერესოა, ნუთუ ასეთ სულელურ რამეებზე კიდევ ფიქრობს ვინმე ამქვეყნად და მაინც ურცხვად თავი ჭკვიან კაცად მიაჩნია?“

ომერმა კონსერვატორიის შენობაში შესვლა გადაწყვიტა. კი-

ბეს აუყვა და საკმაოდ ფართო დერეფანში შეავიდა. ოთახებიდან სხვადასხვა საკრავების ხმები მოისმოდა. ყმაწვილები და გოგონები ნოტებითა და საქაღალდეებით ხელში ჩქარი ნაბიჯებით მიდიმოდიოდნენ. ომერი ერთ-ერთ მათგანს მიუახლოვდა.

— მე დავეძებ სტუდენტ მაჯიდე-ჰანუმს, ხომ ვერ მეტყვით, სად შემიძლია მისი ნახვა?

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს და მრავალმნიშვნელოვნად ღაიცინეს.

— რომელ მაჯიდეს? — იკითხა ერთმა მათგანმა.

ომერი დიდხანს და დაწვრილებით უხსნიდა ქალიშვილებს, თუ რომელ მაჯიდეს დაეძებდა. ბოლოს „ვერაფერს გეტყვითო", უპასუხეს გოგონებმა და წავიდნენ. ომერი მსახურის მოძებნას აპირებდა, რათა მისთვის ეთხოვა დახმარება, მაგრამ ამ დროს მის ზურგს უკან ერთ-ერთი აუდიტორიის კარი გაიღო. თითქოს ვიღაცამ მოატრიალაო, ომერი უცებ შემობრუნდა.

ჩქარი ნაბიჯით მაჯიდე უახლოვდებოდა.

— აი, თურმე სად ყოფილხართ, დიდი ხანია მეძებთ? ხმაზე გიცანით, მე დამეძებდით, არა?

ომერმა თვალებში ჩახედა და არც დაფიქრებულა, ისე ჰკითხა:

— თქვენც ხომ მელოდით? — და თვითონვე გაუკვირდა ამ გაბედულებისა.

ქალიშვილმაც თვალი თვალში გაუყარა, მერე თავი დახარა და თქვა:

— გელოდით.

ქალმა ხელი გაუწოდა. ვაჟს დიდხანს ეჭირა ქალის ხელი. ორივეს ყინულივით ცივი ხელები ჰქონდათ.

— წავიდეთ! — ერთდროულად წარმოთქვა ორივემ.

კიბეს ჩაუყვნენ. მაჯიდემ ზუსტად ისე გაუკეთა ხელკავი ვაჟს, როგორც დილით, მიუხედავად იმისა, რომ ომერი კიბის ერთი საფეხურით დაბლა იყო. მაჯიდე კი მაღლა, ხელი მაინც არ გაუშვა, ცოტა ხანს უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ ქუჩაში. ომერს შეეშინდა ისევ დილანდელი უხერხული დუმილი არ ჩამოვარდნილიყო და ჩაიბუტბუტა:

— ერთი რამ უნდა მეთქვა!

— გისმენთ, — მაჯიდემ ვაჟს გაჰხედა. ამ მზერამ ვერ გაამხნე-

ვა ვაჟი. წაბლისფერი თმა შუბლზე ჩამოშლოდა და სათვალის ბუდეს ეხებოდა.

ომერი სიმპათიური და ბავშვივით სერიოზული ჩანდა. მისი პატარა თვალები სათვალის მქრქალი შუშების მიღმა უძრავად მიმალულიყვნენ.

ქალიშვილი ომერს მიუბრუნდა:

— გისმენთ, — კვლავ გაიმეორა მან.

ომერი ცოტა ხანს შეყოყმანდა:

— გუშინ დილით, გემზე თქვენთან რომ მოვედი, დეიდაჩემი არც კი შემიმჩნევია.

მაჯიდე თვალმოჭუტული შეცქეროდა ომერს: ვერ მიმხვდარიყო, რისი თქმა სურდა ამით.

—ყველაფერი მოგიყვეთ? ნუ გეშინიათ, არც ისე გრძელი ამბავია, მაგრამ გრძელია თუ მოკლე, მაინც უნდა გითხრათ, თანაც ახლავე, ამ წუთში, თორემ მეშინია — ვინ იცის, სხვა დროს მეყოფა კი გამბედაობა? მე მგონია, თქვენ პირდაპირი ადამიანი ხართ. დარწმუნებული ვარ, ჩემთან თამაშს არ დაიწყებთ. რატომღაც მჯერა, რომ ყველაფერს გამიგებთ, რაოდენ ბანალური და ბავშვურიც არ უნდა იყოს ჩემი სიტყვები, თქვენ მაინც მიმიხვდებით, რისი თქმა მსურს...

ახლა გაჩუმება აღარ შეეძლო. მაჯიდე შეცქეროდა მის მრგვალ ლოყებსა და სველ ტუჩებს. ვაჟის შუბლზე ბღუჯად ჩამოშლილი თმა თითქოს ხშირ წარბებს შეერთებოდა, აღგზნებულად იყურებოდა. ქალიშვილი გრძნობდა, თუ როგორ იტანჯებოდა ვაჟი, გულის ნადები რომ გამოეთქვა. გრძნობდა, რომ ომერს არც კი უფიქრია მისი მოტყუება. ქალმა იგრძნო, რომ მის გულში უნებურად დნობა იწყო ყინულმა, რომელსაც შეებორკა ადამიანებისადმი ნდობისა და სიყვარულის გრძნობები. ქალი სრულიად დაიმორჩილა ვაჟის გულღიობამ. ამ კაცთან, რომელსაც შეეძლო ყოველგვარი ქვენა ზრახვების გარეშე, თუნდაც ერთი წამით ჩამოეხსნა ნიღაბი და მართალი ყოფილიყო, მხნეობა იგრძნო და საკუთარი თავის რწმენა გაუძლიერდა. ამიტომაც დაებადა სურვილი, ბოლოს და ბოლოს გამოეთქვა ის გრძნობები და აზრები, რომელსაც არავის უმხელდა.

სულის ასეთი მოძრაობა სასიამოვნო მღელვარებას ჰგვრიდა. ბადლიერი იყო ადამიანისა, რომელმაც ეს გრძნობები აუშალა. ახლა უკვე არც თუ ძლიერ აინტერესებდა, რას იტყოდა ომერი, მაგრამ

ეჩქარებოდა, გაეგო თუ როგორ გამოთქვამდა თავის გრძნობებსა და ფიქრებს.

— თქვენ ძალიან გულღია ხართ ჩემთან, — თქვა მერე ქალმა.

ომერმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში ქალიშვილი, შეკითხვაც ვერ მოასწრო, რომ მაჯიდემ განაგრძო:

— თქვენ პირველი ხართ, ვინც ასე გულღიად /მეხაუბრება. მგონი, საერთოდ პირველი ადამიანი ხართ, ვინც ჩემთან ლაპარაკი ისურვა. ასე მგონია, ცუდი რამ არ უნდა მითხრათ. რატომ გაჩუმდით?

ომერმა ისე ამოისუნთქა, თითქოს რაღაც დიდ უბედურებას გადაურჩაო. მერე გაიღიმა და თქვა:

— ვითომ შემიძლია კი ცუდი გითხრათ? ნუთუ ასე ცუდი იქნება, თუ გეტყვით, რომ თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ თავდავიწყებით, მიყვარხართ ისე, რომ მზად ვარ მოვკვდე. ნუ შეშინდებით, იქნებ თქვენი სმენა ჯერ კიდევ არ შეჩვევია ამგვარ სიტყვებს, მაგრამ ეს მხოლოდ თქვენი სმენა... შეიძლება თქვენ საკუთარ თავსაც არ გამოუტყდეთ ამაში, მაგრამ ჩემი სიტყვები თქვენს სულიერ მღელვარებას ეხმიანება. აი, ხომ ხედავთ, თქვენ არც ჰყვირით, არც გარბიხართ. თქვენი სახე ზიზღს არ გამოხატავს, მაშასადამე, გამიგეთ. თქვენ ხედავთ ჩემს სულს. ხედავთ მის ყოველ მოძრაობას და არ გეუცხოებათ. ასე არ არი? არა, პასუხს არა გთხოვთ, მხოლოდ მინდა მომისმინოთ, მე მესმის, თუ რა უცნაურია ასეთი რამის მოსმენა გუშინ გაცნობილი ადამიანისაგან, რომელთანაც ორ საათზე მეტი არც გისაუბრიათ, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ არა ვცდები. არასოდეს ასე გულახდილი არა ვყოფილვარ. უფრო სწორად, ამდენს ვერ გავბედავდი, მაგრამ მე ახლა იმდენად ვარ დარწმუნებული თქვენში, რომ შემიძლია თვალდახუჭული, მშვიდად მოგენდოთ. როცა ამას გეუბნებით, არც დაცინვის ჩეშინია და არც უარისა, ეს რწმენა მაშინ გამიჩნდა, როცა პირველად დაგინახეთ. აკი გითხარით, როცა გუშინ გემზე თქვენსკენ გამოვემართე, დეიდა ემინე არც კი შემინიშნავს. თქვენს გარდა ვერავის ვამჩნევდი. მიუხედავად იმისა, რომ არც გიცნობდით, მაინც ახლობელივით მოგაშურეთ. მინდოდა გამოგლაპარაკებოდით, მაგრამ დეიდა... თუმცა ამაზე ლაპარაკი არც არის საჭირო, მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრათ და ათას ღობე-ყორეს ვედები. მიყვარხართ! ვიცი, სამყაროს შექმნის დღიდან ეს სიტყვები მრავალჯერ უთქვამთ,

მაგრამ განა ახლაც ისევე არა ყღერენ, როგორც პირველად? ეს სიტ-ყვა ახალი და სრულყოფილია, ისე რადგორც, არაფერი ამქვეყნად. იგი ყოველდღე იბადება, იბადება დახვეწილი და ლამაზი. მიყვარხართ! კიდევ რა შემიძლია გითხრათ? ნუ შეეცდებით მიპასუხოთ. რა შესანიშნავია, როცა ადამიანი გაბარებთ მთელს არსებას თავისი მშფოთვარე სულით, სხეულის ამოუცნობ ვნებებს, ჩვევებს, სურ-ვილებს და საერთოდ მთელ თავის ცხოვრებას. მე ვიცი, თქვენ კა-რგად გესმით ყველაფერი, ისიც ვიცი, რომ გულგრილი ვერ იქნე-ბით ჩემს მიმართ. არავის შეუძლია და უფლებაც არა აქვს, გულ-გრილი დარჩეს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც უყვარს. ქვეყნი-ერების ამ საოცარი მოვლენის წინაშე ვერავინ დაიჩემებს მოქმე-დების თავისუფლებას. ჩვენ უფლება არა გვაქვს ამაზე უარის თქმისა, ისევე, როგორც არ ძალგვიძს უარი ვთქვათ ჰაერზე, რომ-ლითაც ვსუნთქავთ, ადგილზე, რომელიც სივრცეში გვიჭირავს. ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ სიყვარული. მე მიყვარხართ თქვენ, ღმერთო ჩემო, როგორ მიყვარხართ! ამ წუთში რომ ხელი მომ-ჭრათ, ტკივილსაც კი ვერ ვიგრძნობ. არა მგონია, არსებობდეს ისე-თი ძალა, რომელიც წინ აღმიდგება, თუ თქვენთვის რაიმეს განვი-ზრახავ. ამ დროს სიკვდილიც კი უძლურია. შეხედეთ, ჩვენს ირგვ-ლივ ადამიანები მიმოდიან, ჩვენ შემოგვცქერიან, უკეთუ მე მიყუ-რებენ. მიბრძანეთ და რომელზეც მიმითითებთ, იმას გავგუდავ. ის მსხვერპლი, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება, როცა გაიგებს, რომ მისი სიკვდილი საჭიროა სიყვარულისათვის, მერწმუ-ნეთ, აღარ გაჯიუტდება. არა, თქვენ ჩემზე უფრო ღელავთ. ასეთი რამ, ალბათ, პირველად მოგდით, მაგრამ მითხარით, განა ყველაფე-რი ეს თქვენთვის ახლობელი არ არის? განა ეს განცდა თქვენთვის ცნობილი არ არის? მე მჯერა, ახლა თქვენთვის არ არსებობს ეს ქვაფენილი, თქვენ ვერ ამჩნევთ მას. მიდიხართ და ვერ გრძნობთ სხეულის წონას, მსუბუქად მიაბიჯებთ. ნახეთ, უკვე ბაიაზეთს მი-ვუახლოვდით, როგორ, ასე უცებ? არც კი შეგვიმჩნევია. ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ დრო შეჩერდა და მორჩილად გვიგდებს ყურს. მო-ბეცით თქვენი ხელი... თქვენი პულსი ისევე ხშირად სცემს, რო-გორც ჩემი. არა, თქვენი უფრო ძლიერად სცემს. თქვენი ოფლიანი ხელი ჩემი ხელის გულს წვავს. ამ მშვენიერი მკერდის მიღმა თქვენს გულს ვხედავ. განა ამის შემდეგ იდარდებდით, თუ ქვეყ-ნიერებიდან გავქრებით? ჩვენ ყოველთვის გვენანება ცხოვრებისგან

განშორება, რადგან ყველა სურვილი ვერ დაგვიკმაყოფილებია, მაგრამ ეს წუთი მაინც სულ სხვაა — ახლა არ არსებობს არავითარი სურვილი, არაფერი გვიზიდავს დედამიწაზე, ნუთუ არა გრძნობთ თუ როგორ აღივსო ჩვენი სულები? აი, თქვენი ხელი მორჩილად დევს ჩემს ხელისგულზე და მე შეიძლება გამაგიჟოს ამ მორჩილებამ. მთელი სხეული ფოთოლივით გიცახცახებს. მე მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ თქვენი, რომ ეს წამი განმაცდევინეთ, მადლობელი ვარ ცხოვრებისა, შემთხვევისა, იმისა, ვინც ქვეყნად გამაჩინა, ყოველივესი და ყველასი. აი, უკვე შენს სახლთან მოვსულვართ, მე არ შემოვალ. შემდეგ შეხვედრამდე კი ამ წამთა მოგონებით ვიცხოვრებ, მე არ ვიცი, რას გავაკეთებ, იქნებ ქალაქგარეთ გავიდე და განთიადთან ერთად დავბრუნდე. იქნებ აი, აგერ, თქვენი სახლის კედელთან ჩამოვჯდე და მთელი ღამე იმ ჰაერით ვისუნთქო, რომელიც თქვენ გაკრავთ. ახლა კი წადით და ნურაფერს მეტყვით... თქვენთან გატარებული ყოველი წუთი საოცარი სისწრაფით მიმაქანებს უფრო დიდი ბედნიერებისაკენ... მე მეშინია... იცით, რა არის დიდი და ნამდვილი ბედნიერება? — ეს უკვე საშინელებაა. მე მეშინია ახლა, აქ არ დავეცე, მეშინია, რომ მთელი ჩემი გრძნობები არ აფეთქდნენ და ფერფლად არ მაქციონ... ნახვამდის! ხვალ დილით მოვალ. მოვალ და გაგაცილებთ... ნახვამდის!

ომერი ციებიანივით გაოფლილიყო. უცებ მაჯიდეს ხელი ტუჩებთან მიიტანა, კოცნა უნდოდა, მაგრამ აღარ უკოცნია, ძირს დაუშვა. უცნაურად შესცქეროდა მაჯიდეს. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე მოულოდნელად შემობრუნდა და მოსახვევში გაუჩინარდა.

მაჯიდე ნელ-ნელა აუყვა კიბეს და კარზე დააკაკუნა. ფატმას უთხრა, დაღლილი და ნასადილევი ვარო, და თავის ოთახში ავიდა. მაჯიდეს ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა, ბნელოდა. უკვე ბინდდებოდა, მაგრამ ქუჩაში ჯერაც არ ენთო ლამპიონები. გოგონამ ნოტები სკამზე დააწყო და თეთრი, ვიწრო საწოლის ძგიდეზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო, დაფიქრება სურდა. არა, დაფიქრება კი არა, ყველაფრის გახსენება.

გული კვლავ მძლავრად უცემდა, თავში რაღაც ხმაურობდა. ეწადა გონს მოსულიყო და იმაზე ეფიქრა, რაც ვაქმა უთხრა, მაგრამ ვერც ერთი სიტყვაც ვერ გაიხსენა. ხედავდა ვაქს, მის გაჩეჩილ წაბლისფერ თმას, სათვალის მიღმა მოელვარე თვალებს, ლამაზ პირს, ესმოდა სიამისმომგვრელი ხმა. ქალი ხედავდა, როგორ მო-

ჰყვება ომერი გვერდით, მოდის და ლაპარაკობს მკვეთრი, ძუნწი, მაგრამ დამაჯერებელი ჟესტიკულაციით და თანდათან ძლევდა მის წინააღმდეგობას. ვაჟი ლაპარაკობდა იმაზე, რაზეც მას არასოდეს უფიქრია, ლაპარაკობდა ისეთი, ხმით, როგორიც ქალს არასოდეს სმენია, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ვაჟი სიმართლეს ლაპარაკობდა. დიახ, მაჯიდეს არასოდეს უფიქრია ასეთ რამეზე, მაგრამ იმ წუთიდან, როცა ომერმა ლაპარაკი დაიწყო, მისთვის ყველაფერი ძალზე ახლობელი გახდა და არაფერი უცხოდ არ ეჩვენებოდა. დიახ, მაჯიდეს სულში რაღაც ფარდა აიწია და გაჩნდა რაღაც ახალი და დამათრობელი, მაგრამ ომერს კიდეც რომ ეცრუა, სულ უაზრო რამეები რომ ელაპარაკნა, იგი მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ომერმა ისე გადაუშალა თავისი გული ქალს, დაეჭვება არ შეიძლებოდა.

მაჯიდე დარწმუნდა, რომ დღეს არავითარი განსჯისა და დასკვნების გამოტანის თავი არა ჰქონდა. ვერაფერს გადაწყვეტდა, რადგან ყველაფერი ჯერ ვერ აეწონ-დაეწონა. ერთი რამ კი ცხადი იყო, მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი პერიოდი და, შესაძლოა, დღეიდან ყველაფერს სულ სხვა მიმართულება მიეღო.

— რაღაც მოხდება... რაღაც მოხდება... მაგრამ რა უნდა ვქნა მე? — ბუტბუტებდა იგი.

და უცებ გაკვირვებული გამოუტყდა თავს, რომ მზად არის დათანხმდეს ვაჟს და სიამოვნებით შეხვდეს ბურუსით მოცულ მომავალს. უფრო მეტიც, ამ მომენტს ერთგვარი აღფრთოვანებითა და შიშით ელოდა, იმ შეგრძნებით, რომელიც უჩნდება მხედარს, როცა იგი მთელი სისწრაფით და ენერგიით მიაჭენებს ცხენს.

ქალისათვის ბევრი რამ გახდა ცხადი: აქამდე უმიზნო ცხოვრებას აზრი მიეცა, რაღაცით შეივსო. მას ახლა საფიქრალიც გაუჩნდა. მისი გრძნობები არ დაშრეებიან, არ დანაოჭდებიან, ვითარცა ხეზე შერჩენილი დაუკრეფავი ნაყოფი. დღეიდან ყოველ გაღვიძებისას უწინდებურად აღარ იტყვის: „ეს დღეც სხვა დღეებს დაემსგავსება, რად გავიღვიძე, რად დამთავრდა ძილი, რომელიც ყველაფერს მავიწყებს?“ დღეიდან მოთენთილად აღარ ივლის ქუჩაში.

კი, მაგრამ ვინ არის, რა კაცია ომერი? მან არაფერი იცოდა ვაჟის შესახებ, მხოლოდ გუშინ გაიცნო. არც არავისთვის უკითხავს მისი ამბავი და არც უფიქრია მასზე.

მაჯიდე კვლავ შეეცადა გაეხსენებინა ვაჟის სიტყვების არსი და

ამის მეოხებით რაიმე დასკვნა გამოეტანა. მაგრამ ამაოდ, ვერაფერი შეძლო. იგი მხოლოდ ომერის პირს ხედავდა, ზედა ტუჩზე რომ ოფლის წვეთები დაჰყროდა. მაჯიდეს კვლავ ჩაესმოდა ომერის მხურვალე სიტყვები და მისი ნაზი, ხანაც მბრძანებლური ხმა, თანდათან იმორჩილებდა.

გაუხდელად დაწვა. ჭერის კოჭებს შესცქეროდა და მალე დაეძინა.

თ ა ვ ი XI

დილით ადრე გაეღვიძა. ჩაიცვა, სახლში ვერ ჩერდებოდა, მაშინვე უნდოდა ქუჩაში გასვლა. ღელავდა, გუშინდელმა საღამომ შეაშინა, არ იცოდა, როგორი იქნებოდა ეს ახალი, მიმზიდველი, მაგრამ აბურდული და გაურკვეველი ცხოვრება. ნებისყოფამ, რომელიც ჩვეულებრივ მის ყოველ მოქმედებას წარმართავდა, ახლა კვლავ წამოჰყო თავი და აიძულებდა რაიმე გადაწყვეტილება გამოეტანა. ქალს უნდოდა ცოტა ადრე გამოსულიყო სახლიდან, რომ ომერს არ შეხვედროდა, მაგრამ ვერ შეძლო. ოთახში ბოლთას სცემდა და დროდადრო ქურდულად იხედებოდა ფანჯარაში, მერე დარბაზში ჩავიდა, რაღაც შეჭამა, კვლავ ზევით ავიდა და იმ დრომდე იცადა, ვიდრე სახლიდან გასვლის დრო არ მოვიდა და ქუჩაში სასწრაფოდ გავარდა.

ომერი არსად ჩანდა. გოგონამ გაიხედ-გამოიხედა და პროსპექტისაკენ მიმავალ გზას დაადგა. მაჯიდეს სჯეროდა, რომ ომერი არ მოვიდოდა, თითქოს თვითონაც გაურბოდა ვაჟთან შეხვედრას, მაგრამ მაინც ძალიან დაწყდა გული. წარბშეკრული მიდიოდა, მის სულში ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები იბრძოდნენ.

— ძალიანაც კარგი თუ არ მოვიდა, — არწმუნებდა თავს გოგონა, — მე მეშინია მისი, მეშინია. პასუხის მიცემის ძალაც არა მაქვს, არამცთუ უარის თქმისა, რა ბევრს, რა ლამაზად ლაპარაკობდა... მაგრამ ყველაფერი, რაც გუშინ თქვა, სახიფათოა და არ უნდა მომესმინა. ჯერ ვერ მივხვდი, რა მემართებოდა, განა იმიტომ არ შევაწყვეტინე, რომ ყველაფერში ვეთანხმებოდი. არა, მე მხოლოდ დავიბენი, თუმცა შემეძლო მეთხოვა და გამეჩუმებინა!? მაშინ გაბრაზდებოდა და წავიდოდა. რასაკვირველია, წავიდოდა. რანაირი

სახე ჰქონდა, როგორი გამომეტყველება. თითქოს პატარა საწყენიც კი გააქცევდა. ეს კი არც მე მსურდა. უბრალოდ უხერხულია, კაცი გვერდით მოგყვებოდეს, გაბრაზდეს და გაიქცეს... თანაც ცუდი ხომ არაფერი უთქვამს... ცუდი არაფერი, მაგრამ, რა შეიძლება იყოს იმაზე სახიფათო, რაც მითხრა... მიყვარხარო, მიყვარხარო...

მაჯიდე წუთით ჩაფიქრდა. შუა ქუჩაში შედგა და თვალები დახუჭა, თითქოს თავში მოზღვავებულ აზრებს ებრძვისო.

— მიყვარხარო, მითხრა, განა ასე ცუდია ვინმეს უყვარდე? აბა ვის ვყვარებივარ დღემდე? დედას და მამას? შესაძლოა. მაგრამ როგორი იყო ეს სიყვარული? საბრალო მამიკო... უკვე ორი თვეა აღარ არის, მე კი არაფერი ვიცოდი. მხოლოდ გუშინ გავიგე, დეიდას ვებრალებოდი, და მიმალავდა მამის სიკვდილის ამბავს, ვებრალებოდი, ვინ იცის, იქნებ უბრალოდ უსიამოვნო ამბების თავიდან აცილება სურდა და ამიტომაც არ მიმხელდა? ნეტა რას შვრება, როგორ არის ახლა დედიკო? ალბათ, ჩემმა დამ წაიყვანა თავისთან, იქნებ სულაც დედამ მოსწერა დეიდას, მაჯიდეს მამის სიკვდილის ამბავი არდადეგებამდე არ გააგებინოთო. საბრალო დედიკო, ვინ იცის, რა დღეში იყო. კიდევ კარგი, რომ ბალიქესირში არ ვიყავი. არა, იქნებ სჯობდა იქ ვყოფილიყავ, უკანასკნელად მეკოცნა მამისათვის და დედა მენუგეშებინა? რასაკვირველია, სჯობდა, მაგრამ რადგან გავიფიქრე, კიდევ კარგი, იქ რომ არ ვიყავი-მეთქი, მაშასადამე, არა ვარ კარგი და ერთგული შვილი. თანაც სწორედ ასეთ დღეს მოვისმინე ომერის სიტყვები, მაგრამ რა ლამაზად ლაპარაკობდა, რა ლამაზი ტუჩები აქვს...

მაჯიდეს სიწითლემ გადაჰკრა, ჩაფიქრებულმა კვლავ განაგრძო გზა ბაიაზეთისაკენ. საათს დახედა. ცხრა ხდებოდა. „ტრამვაით წავალ“, გადაწყვიტა გოგონამ და მაშინვე გაახსენდა, რომ ნოტები შინ დარჩა. „დავბრუნდე თუ უნოტოდ წავიდე? ვითომ მეც სამეცადინოდ ვარ განწყობილი,“ — უცნაური ღიმილით ჩაილაპარაკა მან.

თავი ასწია, მიმოიხედა და უცებ გუშინდელივით კანკალი აუტყდა. უნდოდა რამეს მიყრდნობოდა, კბილებს კბილებზე აჭერდა, კვლავ მიმოიხედა, საოცრად მოიკუნტა, თითქო გაქცევას აპირებსო. მერე უეცრად შემობრუნდა და ომერს ორივე ხელი გაუწოდა. ვაჟი კარგა ხანია თურმე უკან მოჰყვებოდა, რაც ქალმა მაშინვე იგრძნო. მაჯიდემ სული მოითქვა, მღელვარება ნელ-ნელა დაუცხრა. ის შინა-

განი ჭიდილი, მარტო ყოფნისას რომ ასე ძლიერად ბობოქრობდა მის სულში, უცებ მიყუჩდა და მთლიანად დაემორჩილა მის გვერდით უსიტყვოდ მიმავალ ყმაწვილს. მაჯიდეს ეს მორჩილება დედის კალთას თავშეფარებული ბარტყების სიმშვიდეს და თვითდაჯერებას ჰგავდა, მაგრამ იგი სრულიადაც არ ბღალავდა მაჯიდეს სიამაყეს. გოგონას ვერაფრით ვერ გაერკვია, ასე ადვილად რატომ ემორჩილებოდა ვიღაცას, როცა ეს სულაც არ სურდა, მაგრამ მაშინვე სხვა კითხვა დაებადა: „ნუთუ მართლა, ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვემორჩილები?“ — და თითქოს ამ კითხვას პასუხობსო, სასწრაფოდ ხელი ხელში გაუყარა. ომერმა მოკლე, მაგრამ კეთილი მზერა ესროლა ქალს და კვლავ უსიტყვოდ განაგრძო გზა. ამან სულ მთლად დაარეტიანა მაჯიდე.

„მაინც რატომ არ უნდა მინდოდეს იგი, — თითქოს ვიღაცას ეკამათებაო, ისე გაიქნია ქალმა თავი, — რატომ? როგორ შემიძლია ვამტკიცო, რომ არ მსიამოვნებს ამ ვაჟის გვერდით სიარული, მისი სიახლოვე, ლაპარაკი? მის ნათქვამში ხომ ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რად უნდა მოვიტყუო თავი? დიახ, მე ეს მსურს, მე მინდა ახლაც მითხრას რამე, მითხრას და მის ბაგეთაგან წარმოთქმულმა ცეცხლოვანმა სიტყვებმა კვლავ დამიპყრონ, დამიკარგონ სმენაცა და მხედველობაც. მინდა გუშინდელივით ისე მივაბიჯებდე, რომ ფეხქვეშ მიწასაც ვერა ვგრძნობდე, მინდა კვლავ ციებიანივით ვკანკალებდე“.

ქალმა იგრძნო, რომ ციებიანი კაცისათვის დამახასიათებელი მრწოლვა ნელი-ნელ ახლოვდებოდა. ყბა ისე აუკანკალდა, თითქოს ტირილს აპირებდა.

— რას აკეთებდით წუხელ? — იკითხა გოგონამ, რათა მღელვარებას არ აჰყოლოდა და ჩაეკლა იგი.

— ბევრი რამ უნდა გითხრათ, მაჯიდე, ძალიან ბევრი რამ... მაგრამ სად მივდივართ?

— არ ვიცი,— გაუბედავად უპასუხა მაჯიდემ. მერე მყისვე დასძინა და თვითონვე გაუკვირდა, შეეშინდა თავისი გაბედული სურვილისა, — ნოტები არ წამომიღია, დღეს კონსერვატორიაში არ წავალ.

ომერმა ხელი გაინთავისუფლა, მარჯვენა მხარეს გადავიდა და ქალს თვითონ გაუკეთა ხელი. ორიოდ ნაბიჯის შემდეგ ომერს ეს საქ-

ციელი ბავშვურ, ბანალურ მოქმედებად მოეჩვენა. მაჯიდეს ხელი უშვა და ჯიბეში ხელებჩაწყობილმა განაგრძო გზა.

ბაიაზეთის მოედანზე რომ გავიდნენ, ომერი შეჩერდა:

— მოდით, ზღვაზე გავიდეთ, ვიხეტიალოთ... რატომღაც დღეს არა მსურს ადამიანებს ვუყურო. მინდა რაღაც უსაზღვროს, თვალუწვდენელს და მხოლოდ შენ გიცქერდე.

„გუშინ ასე ცივი არ ვიყავი, — გუნებაში გაიფიქრა ომერმა. — და არც ასე სულელურად ვიქცეოდი, რა მომდის?

— როდისღა უნდა ვილაპარაკოთ „შენობით"? — მოულოდნელად მოუბრუნდა და ჰკითხა ქალიშვილს.

— როცა გენებოთ!

ომერმა გაიცინა:

— აი, ხომ ხედავთ, ახლაც „თქვენობით" მომმართეთ. კარგი, იყოს ასე და დაველოდოთ იმ წუთს, როცა შეუმჩნევლად დავიწყებთ შენობით ლაპარაკს. მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ, ნუ გეწყინებათ, თუ რაიმე შენიშვნას მოგცემთ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის სულ ერთია ბრაზიანი ხართ, კეთილი თუ ბოროტი. ჯქვენ მშვენიერი არსება ხართ.

დივანოილუს პერპენდიკულარულ ქუჩაზე ჩაუხვიეს, ხის სახლების გაყოლებით დამრეცი ფერდობი ჩაიარეს და რკინიგზის ხიდქვეშ გავიდნენ. გაუარეს ნახანძრალ ადგილებს და ბოლოს ნახევრად დანგრეულ კედლებთან აღმოჩნდნენ, კედელზე ბალახი ამოსულიყო. აქედან ზღვა მოჩანდა.

ირგვლივ არავინ იყო. ტალღები დროდადრო ხავსმოკიდებულ ქვებს ეცემოდნენ. ზღვა სუნთქავდა, მაღალი მზე პირდაპირ დაჰნათოდა მას, ამიტომ ვერ გაარკვევდით, რა ფერისა იყო. შორიდან მოჩანდნენ გემები და კატარღები. უფრო შორიდან კი, თითქოს გატენილი ხურჯინებიაო, პრინცის კუნძულებიც ჩანდნენ.

— ხედავთ, არც ზღვა არის უსაზღვრო, — თქვა ომერმა, — ჩვენი მზერაც გარკვეული ზღვარით იფარგლება. ოკეანეშიც ასეა. არ ვიცი, არის თუ არა ქვეყნად ისეთი ადგილი, სადაც ცა და დედამიწა ერთმანეთს არ ერთვოდეს, სადაც ყველაფერი უსაზღვრო იყოს...

მაჯიდემ გადაწყვიტა რაიმე ეთქვა, გუშინდელივით უტყვი არ ყოფილიყო.

— უცნაური სურვილები გაქვთ, — უთხრა მან ვაჟს და გაკვირვებით შეხედა.

ომერი ცდილობდა გონს მოსულიყო. თუ გუშინდელივით უაზროდ და სულელურად ვილაპარაკე, ჩემზე წარმოდგენა შეეცვლება, მაგრამ გუშინ რაღაც შთაბეჭდილება მაინც მოვახდინე მასზე. რატომ? იმიტომ, რომ არ ვტყუოდი, გულწრფელი ვიყავი. ახლა კი თავში ათასი უხამსი აზრი მიტრიალებს, თითქოს წინათ აქ სხვა გოგონები მომეყვანოს... ღმერთმა დაგვიფაროს... სულ ბოლოს თითქოს ერთი სოფხის გოგო მყავდა. მას დიდი მკერდი ჰქონდა და არც თუ ურიგო იყო. მაჯიდეს კი თითქოს სულ არა აქვს მკერდი. ვინ იცის, იქნებ ეს ტანსაცმელზეც არის დამოკიდებული. აი, გუშინ სვიტრი ეცვა და თითქოს ოდნავ ეტყობოდა კიდეც, რა საოცარ რამეებზე ვფიქრობ, ნუთუ არ შეიძლება თავიდან ამოვიგდო ასეთი აზრები? ცოცხით გამოვხვეტო... რაც კარგი მაქვს, დავტოვო, მაგრამ, სულ რომ არაფერი დამრჩეს მაშინ? წუხელ რას აკეთებდიო, რომ მკითხოს, რა ვუპასუხო? არც ველად გავჭრილვარ და არც მისი ფანჯრის ქვეშ გამეთევა ღამე, რაც არ უნდა იყოს, წუხელ ყინავდა. მივედი სახლში, ჭუჭყიან საბანში გავეხვიე და ხვრინვა ამოვუშვი.

ომერს გაახსენდა თავისი ბინა. ასე დაულაგებელი ოთახი მხოლოდ მარტოხელა მამაკაცებს აქვთ. გაახსენდა პანსიონის მეპატრონე ქალი, ხმაური, რომელიც ქუჩიდან შემოდის მის ოთახში და თითქმის დილამდე არ წყდება, გაახსენდა და მაშინვე შეეცვალა გუნება.

დეიდა ემინეს სახლის ერთი პატარა ოთახი, თავისი წმინდა წარწერებითა და პატეფონით, გაცილებით მყუდრო და სასიამოვნო ეჩვენა. ომერს გაახსენდა, რომ იმ ოთახის გვერდით, რომელშიც ზოგჯერ დეიდა ემინესთან სტუმრობისას იძინებს ხოლმე, მაჯიდეს ოთახია.

— თქვენ რაღას აკეთებდით წუხელ?

— არაფერს, მეძინა.

— მეც, მეც მეძინა.

ორივეს გაეღიმა. დუმილი რომ დაერღვია, ომერმა წამოიწყო:

— სახლში რომ მიგაცილეთ, პროსპექტზე გამოვედი, ბევრი ხალხი ირეოდა. ხალხმა გუნება გამიფუჭა, ასეთი რამ ხშირად მომდის ხოლმე. ზოგჯერ ადამიანების სიყვარულით მინდა ყოველ გა-

შვლელს მივვარდე, მოვეხვიო და ვაკოცო, ზოგჯერ კი კაცის დანახვაც არ მსურს. არა, ეს ზიზღი არ არის, მე ადამიანები არ მეზიზღებიან, უბრალოდ მარტოობა მიყვარს. ზოგჯერ უბრალო, პატარა მოძრაობა, ძლივს გასაგონი ხმაურიც კი მაღიზიანებს. ასე მგონია, სული ჩემი სავსეა და აგერ-აგერ უნდა გადმოიღვაროს-მეთქი. თავში ისეთი აზრები-მიტრიალებს, მათზე ძლიერი ამქვეყნად არა მგონია რა. ამ აუხდენელ ოცნებისაგან, ალბათ, ვერც განიკურნები. ოცნება ჩემი ცხოვრების განუშორებელი ნაწილია... მერე უცებ მახლობელი ადამიანის სიახლოვე მომინდება, იმ კაცის, რომელიც გამიგებს, რომელთანაც შემეძლება დიდხანს დავჯდე და დაწვრილებით ვილაპარაკო იმაზე, რაც ჩემს გონებაში ხდება. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საცოდავი სანახავი ვარ ასეთ დროს. ზამთარში ქუჩაში გამოგდებულ ცინდალივით თავს უბედურად ვგრძნობ. ჩემი ოთახის კედლები იზრდებიან. ფანჯრებს იქით გაჩირაღდნებული ქალაქი და მთელი ცხოვრება ისეთი თვალმიუწვდენი და ძლიერი რამ მგონია, რომ შიში მიპყრობს, არ დამახრჩოს-მეთქი. ჩვენი ცხოვრებაც ისე სწრაფია, ისე გარბის, რომ მასზე დაფიქრებისას თავბრუ გეხვევა. ქვეყანა მოუწყობელია და ჩვენ სრულებით არაფერი გაგვეგება მისი. მგონია, რომ ყველაფერი ეს გამაქრობს ისე, როგორც შეიძლება გააქრო პურის მარცვალი ან ჭიანჭველა. ამ დროს ჩემი ოთახის ყოველი ნივთი მომძახის, რომ უმწეო და არარაობა ვარ. ჰოდა, მეც ქუჩაში გამოვრბივარ იმ იმედით, რომ თუნდაც ერთ მახლობელ კაცს შევხვდები და მის გვერდით დუმილით გავივლი, მხოლოდ გავივლი. მაგრამ, როგორც კი მეგობარს დავინახავ, ისე ავუვლი გვერდს, თითქოს არც კი დამენახოს. არც ერთი მათგანი არ მეჩვენება ისე მახლობლად, რომ რამეში გამომადგეს, რამეთი დამეხმაროს.

არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი... გუშინ იმდენი გელაპარაკეთ, ძალიან გთხოვთ ჩემს ნათქვამს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მინდოდა შეთქვა ყველაფერი, რაც ამდენი ხნის განმავლობაში დამიგროვდა, რადგან სწორედ იმ ახლობელ ადამიანად მიგიჩნიეთ, ვისზედაც ახლა გელაპარაკებოდით. როგორც კი გემზე დაგინახეთ, იმ წუთში ვუთხარი საკუთარ თავს: აი, ეს არის, ვისაც მთელი ცხოვრება დავეძებ-მეთქი, და, მგონი, ალბომ არ მიმტყუნა. მართალი გამოვდექი. ასე რომ არა, ახლა ჩემს გვერდით არ იქნებოდით. არ არის საჭირო დიდი წინდახედულება იმის მისახვედრად, რომ თქვენ ზღვის ნაპი-

რზე სასეირნოდ პირველსავე შემხვედრ ახალგაზრდას არ გაჰყვებით. ახლა კი თქვენ ჩემთან ხართ.

ომერი შეჩერდა, მერე ქალიშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ ეს არ გახარებთ?

მაჯიდე თავისი ლამაზი, თაფლისფერი თვალებით ომერს სახეში შესცქეროდა. ომერი შეცბა. თითქოს რაღაც განაჩენს ელოდებაო. ქალიშვილი უნებურად შეეხო მის ხელს და უპასუხა:

— მოხარული ვარ.

ცოტა ხანს ნამიან ქვებზე ისხდნენ, მერე წამოდგნენ და სარაიბურუნუსაკენ გაემართნენ. რამდენჯერმე ჩიხში მოხვდნენ. მაგრამ მაშინვე უკან გამობრუნდნენ, გვერდზე უხვევდნენ და კვლავ წინანდელი მიმართულებით აგრძელებდნენ გზას. გზაზე ორი ცალი ბლითი იყიდეს.

კარგა ხანს იარეს ქვებს შორის ამოსულ მაღალ ბალახებზე. ზოგჯერ კონსერვის ქილებსაც წამოჰკრავდნენ ფეხს. ახლა ორივენი ლაპარაკობდნენ. მაჯიდე ბალიქესირზე, დედასა და ნაცნობებზე ეკითხებოდა ომერს, ხოლო თავის ოჯახსა და მამის სიკვდილზე კი არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, და ძალიან მადლიერი იყო ომერისა, რომ არაფერი ჰკითხა.

დრო გარბოდა. მზე მინარეთის მიღმა ჩაესვენა. მაჯიდე და ომერი კი კვლავ ხეტიალობდნენ, ბოლოს ნახევრადდანგრეული ციხის კედელზე აცოცდნენ. ქვებს შორის ამოსულ ველურ ლეღვის ხეებს კვირტი გაეშალა. ახალგაზრდები მაღლა ასვლისას ქვებს ეჭიდებოდნენ და თითები კირითა და ქვიშით მოესვარათ. დაღამებამდე ისხდნენ. მერე სულ სხვა გზით სახლისკენ გაემართნენ, რამდენიმეჯერ გზაც შეეშალათ. ომერი კარებთან დაემშვიდობა ქალს. ორივენი დამშვიდებულნი ჩანდნენ და ერთმანეთს უღიმოდნენ.

დილაობით ომერი სახლთან ხვდებოდა მაჯიდეს და კონსერვატორიამდე ერთად მიდიოდნენ. საღამოს კი კონსერვატორიიდან სახლამდე აცილებდა ხოლმე. ხშირად გვიანობამდე ხეტიალობდნენ. ხან მშვიდად, ხანაც აგზნებულად საუბრობდნენ. ასე გაიარა რამდენიმე დღემ.

მაჯიდეს არ გამოპარვია ის ამბავი, რომ სახლში უწინდებურად აღარ ექცეოდნენ. იფიქრა, შინ გვიან რომ მოვდივარ, ალბათ ისა

სწყინთო, მაგრამ ერთხელ სიტყვაძვირმა ძია გალიფმა ვახშმობისას ჰკითხა:

— აბა, ჩემო გოგონი, რას აპირებ ახლა?

მაჯიდე გაოცდა. ამაზე სულაც არ უფიქრია. რახან დედამისი დასთან და სიძესთან გადავიდა ბალიქესირში, მისი ჩასვლა საჭიროდ აღარ მიაჩნდა. არდადეგებამდე ბინის გამოცვლას არ აპირებდა, ზაფხულს ბალიქესირში გაატარებდა, ხოლო მომავალი სასწავლო წლიდან იქნებ რომელიმე პანსიონში მოწყობილიყო.

— არ ვიცი, გუშინ დედას წერილი მივწერე, პასუხს დაველოდები.

გალიფ ეფენდიმ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— დიდხანს მოგიწევს ლოდინი. აგერ უკვე თვენახევარია ამაოდ ველოდებით მის წერილს. განა არ იცი დედაშენის ხასიათი? ხოლო შენს დასა და სიძეზე კი ლაპარაკი ზედმეტია. დღეს ყველა თავისთავზე ფიქრობს, ზედმეტ ტვირთს ერიდებიან.

მაჯიდემ კარგად იცოდა, როგორებიც იყვნენ მისი დედა და და, ხოლო მანუფაქტურით მოვაჭრე სიძე იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნოდა, მაჯიდეს რომ ძალიან სძაგდა. სიძეც ასეთივე განწყობილებით პასუხობდა მაჯიდეს, მაგრამ გალიფ ეფენდის სიტყვებმა მაინც დაანაღვლიანა, იქნებ ამ სიტყვების წარმოთქმის მიზეზმა ატკინა გული ან თავისი ოჯახის ასე აუგად ხსენებას არ იყო ნაჩვევი. თავი ძლივს შეიკავა, რომ ვახშამი არ მიეტოვებინა და მაგიდიდან არ ამდგარიყო. არ უნდოდა თავის დეიდაშვილ, თავგასულ სემიჰას დამსგავსებოდა. იგი სწორედ ასე იქცეოდა, როცა რაიმე არ მოეწონებოდა. მაჯიდეს არ უნდოდა მისთვის მიებაძა და ტუჩებს იკვნეტდა. მთელი საღამო ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. როცა თავის ოთახში შევიდა, დედას კიდევ ერთი მოკლე წერილი მისწერა.

დღე დღეს მისდევდა, მაჯიდე ჩვეულებრივ დადიოდა კონსერვატორიაში, ხვდებოდა ომერს, მთვრალივით ბრუნდებოდა. შინ თანდათანობით გულცივად ხვდებოდნენ, განსაკუთრებით სემიჰა. დეიდა ემინეც კი სხვაგვარად ექცეოდა, თუმცა ცდილობდა უწინდებულად ალერსით მოქცეოდა.

— საიდან მობრძანდებით, ჰანუმ? — მრავალმნიშვნელოვნად ეკითხებოდა საღამოხანს დაბრუნებულ მაჯიდეს და რადგან მაჯიდე არაფერს პასუხობდა, თვითონვე დასძენდა: — ადრე ამბობდი, სე-

ირონია არ მიყვარსო, ალბათ, სტამბოლმა შეგცვალა. რას იზამ. გაზაფხულია, სისხლი ჩქეფს.

მაჯიდე წითლდებოდა.

— როგორა ხარ, დაიკო? — ირონიულად ეკითხებოდა სემიჰა და თვალებში აცქერდებოდა.

— გმადლობთ, ჭირიმე, კარგად, — ყალბად უღიმოდა მაჯიდე და იმ წუთშივე შორდებოდა მოსაუბრეს.

ერთ საღამოს კვლავ შეხვდა ომერს. ნამდვილი ზაფხულის დღეები იდგა. ომერი დაბნეული და ჩაფიქრებული ჩანდა. ორი დღის გაუპარსავი, დასუსტებული და გამოცვლილი ეჩვენა. ომერის მტკიცების მიუხედავად, მაჯიდეს სწამდა, რომ ეს უძილო ღამეების ბრალი იყო. ეს რწმენა, მიუხედავად თავისი გრძნობისა ვაჟის მიმართ და იქნებ სწორედ ამ გრძნობის გამოც, ქალს სიამოვნებას გვრიდა.

— მოდით, ნავი დავიქირავოთ, — თქვა ომერმა, როცა ხიდთან მივიდნენ, — ნახე, რა მთვარიანი საღამოა.

ერთი კვირის უკან ასეთი რამ ომერს ბანალურად მოეჩვენებოდა, მაგრამ ახლა სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა.

„ჩვენ მოგვწონს სეირნობა მთვარიან ღამეში, გვსიამოვნებს ერთად ყოფნა, — ფიქრობდა თავისთვის ომერი, — მაგრამ საკმარისია, ქალ-ვაჟის ასეთი გასეირნება აღწეროს ორმა-სამმა ყეყეჩმა რომანისტმა, რომ სასაცილოდ მოგვეჩვენოს შეყვარებული ქალ-ვაჟის ეს გასეირნება და უარი ვთქვათ ამ უდიდეს სიამოვნებაზე. ასეთი ფონებაჩლუნგობა მხოლოდ იდიოტებს კი არა სჩვევიათ, არამედ იმათაც მოსდით, ვინც ჭკვიან კაცად თვლის თავს.

ქალ-ვაჟი ფინდიქლისაკენ[1] გაემართა. ღამდებოდა. ნავების გამქირავებელი სადგურის ძებნაში საკმაოდ დიდხანს იხეტიალეს. რამდენჯერ ზღვასაც მიადგნენ, მაგრამ ნავები ვერ ნახეს, კვლავ უკან გაბრუნდნენ. ბოლოს ზღვის სანაპირო ქუჩაზე გამოვიდნენ. აქ დიდ, შემოკავებულ აუზში პატარა, ულამაზო ნავები დაცურავდნენ. ომერმა ერთ-ერთი ნავი თხუთმეტ ყურუშად დაიქირავა და მეპატრონეს გირაოდ კოსტიუმი დაუტოვა. ქალ-ვაჟი ნაპირს გაშორდა.

მათ წინ მშვიდი ზღვა იწვა, ჯერ კიდევ ადრე იყო და ადგი-

[1] ფინდიქლი — სტამბოლის ერთ-ერთი რაიონია.

ლობრივი მოძრაობის გემები მიმოდიოდნენ. მათ მიერ განაპობი წყლის ტალღები კი თავის ნავებზე ათამაშებდა პატარა ნავს.

მაჯიდე პირველად იჯდა ნავში. შიშის გამხელისა ერიდებოდა და კბილს კბილზე აჭერდა. ომერს სახეზე სანაპიროდან გამოტყორცნილი სინათლის სხივები დასთამაშებდა. ზოგჯერ მათი ნავი ღუზაჩაშვებული გემის ჩრდილში მოხვდებოდა და ორივე წყვდიადში ინთქმებოდა.

ქალაქისა და გამვლელი გემების მბჟუტავი, ყვითელი შუქის გამო ირგვლივ ვერაფერს ხედავდნენ. ეს ყვითელი სინათლე რაღაც საძაგელ შესახედაობას აძლევდა წყალს. მაჯიდემ ნავიდან წყლისაკენ გადაჰყო ხელი, მაგრამ მაშინვე ამოიღო. მოეჩვენა, თითქოს რაღაც ბინძურს და არასასიამოვნოს მიეკარა.

ცოტა შორს რომ გაცურეს, ახალგაზრდებმა ბოსფორის ხიდი და ფერდობებზე შეფენილი ქალაქი დაინახეს. ახალგაზრდების თვალწინ გადაშლილი სანახაობა იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ზეზე წამოდგნენ და აღელვებული შესცქეროდნენ ქალაქს. სტამბოლის აზიური ნაწილი სუსტად იყო განათებული, მაგრამ მოპირდაპირე, ევროპული ნაწილის და, განსაკუთრებით კი, ბეიოღლუს დანახვისას თვალს მოგჭრიდათ უამრავი ნათელი შუქი. ასე გეგონებოდათ, ზეცისაკენ წითელი მტვრის ბუღი ადისო. ქალაქს სამი მხრიდან შემოკვროდა ზღვა. იგი ციცინათელების უზარმაზარ ორმოსა ჰგავდა და გაცილებით უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე დღიზით. მას ახლა თავისი ნამდვილი ფერიც კი დაეკარგა. ისეთი ძლიერი ხმაური ისმოდა, თითქოს რომელიმე დიდ ფაბრიკაში მოხვდითო. ხიდი, რომელიც ოქროს ყურეესთან ზღვას ორ ნაწილად ჰყოფდა, ზანგის ხელზე მოელვარე ბრილიანტის სამაჯურსა ჰგავდა. ყველაფერი ისე ჰარმონიული და მომხიბლავი იყო, როგორც დიდი ოსტატის ტილო. თვით პროექტორების შუქიც კი ზღვის ზედაპირს დამაბრმავებლად თეთრი ენებით რომ ლოკავდნენ, პატარა ნავების ფარნების მკრთალ შუქს ეხამებოდხენ. რაც დღისით კონტრასტული და შეუსაბამო ჩანდა, ღამის სიბნელეს ერთ მთლიანობაში მოეყვანა და მომხიბლავ სანახაობად ექცია.

აზიური სანაპიროს მხრიდან მოულოდნელად გამობრწყინებულმა მთვარემ მთელ ამ სურათს უფრო იდუმალი და მომხიბლავი იერი მისცა. ლამპიონების შუქთა ელვარება გაფერმკრთალდა, მაგრამ ყველაფერი მაინც კვლავ მშვენიერი იყო. გარემოს რაღაც უფ-

რო ნაზი, ფანტასტიკური იერი მიეცა, თითქოს ქვეყანას ცისფერი რიდე გადააფარესო.

ომერი და მაჯიდე ნავში ჩუმად ისხდნენ, თითქოს გრძნობდნენ, ასეთ ღამეს მხოლოდ ერთხელ შეეხვრება ადამიანი ცხოვრებაში და ისიც ახალგაზრდობისასო. ნიჩბები ნებაზე მიეშვათ და ნავიც ზღვის დინებაზე ნელა ირწეოდა. გემებიც უკვე იშვიათად მიმოდიოდნენ. მთვარე მაღლა მიიწევდა. ქალაქის ხმაური ნელ-ნელა მიწყნარდა, ომერი ხანდახან თუ მოჰკიდებდა ხელს ნიჩბებს და ისიც იმიტომ, რომ ნავი ტალღების მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს შეებრუნებია. მერე ნიჩბებს ხელს უშვებდა და თავაწეული იქაურობას ათვალიერებდა.

მაჯიდემ ომერს გადახედა. ვაჟის გაუპარსავი, მთვარის შუქით ოდნავ განათებული სახე ვერცხლისაგან გამოკვეთილსა ჰგავდა. მუდამ შუბლზე ჩამოყრილი თმა ახლა თითქოს გაბაცებოდა კიდეც და ზღვის იდუმალი მღელვარება მისი სათვალის შუშებში ირეკლებოდა.

ომერმა ნიჩბებს ხელი უშვა და ძლივს გასაგონი ხმით დაიწყო:

— ჩვენ ვერასოდეს შევიგრძნობთ ამ ღამის მომხიბლაობას მთელი ჩვენი არსებით, რადგან თავი ათასგვარი სისულელეებითა გვაქვს გამოტენილი. ჩვენ რომ შეგვეძლოს ოცი-ოთდაათი საუკუნის წინათ მცხოვრები ადამიანების თვალით შევხედოთ ბუნებას, მაშინ ასე დადუმებულნი არ ვიქნებოდით. ისინი ტყუილად როდი აღმერთებდნენ მზესა და მთვარეს, ბორცვებს, ღრუბლებსა და ელვას. მათ ჩვენზე უკეთ ესმოდათ ბუნების სულის საიდუმლოებანი. ჩვენ კი ასეთი რამეებისაგან შორსა ვართ, ჩვენი პაწია ტვინი გატენილია სულელური წიგნებით, ერთი-მეორეზე უფრო ყალბი მეცნიერებებით, უსარგებლო გამოანგარიშებებითა და, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, საკუთარი მოგებებისა და ინტერესების კარგად წარმართვის სურვილით. აბა მითხარი, რომელი მეცნიერება, რომელი პოეზია, რომელი სიყვარული, რომელი სახელმწიფო შეიძლება იყოს ამ სურათზე ძლიერი და მშვენიერი? მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დავაბიჯებთ თავჩაქინდრულნი. ვინ იცის, რამდენი კაცი შესცქერის ახლა მთვარეს? ალბათ, ათასეულებიდან მხოლოდ ერთეულები, მაგრამ მთვარე კი ყველას და ყველაფერს დასცქერის და ჩვენს გულგრილობას ნაზი და კეთილი ღიმი-

ლით პასუხობს. როცა ნათელ მთვარეს ვაკვირდები, ასე მგონია, უამრავ სურათს ვხედავ-მეთქი. ამ მთვარის შუქზე ყვითელი მდინარის ნავებში სძინავთ დაქანცულ მუშებს. ინდოეთში დიდი კაკლის ხეთა ტოტებზე თუთიყუშები თვლემენ, ნილოსის წითელ ნაპირებზე გართხმული ნიანგები ისვენებენ, ხოლო რომელიმე დიდი ქალაქის ბაღში დროსსატარებლად მისული მთვრალი არისტოკრატები საყვარლებს ეხვევიან. მაგრამ ნახე, რა უცოდველი სახე აქვს ამ მთვარეს. იგი მაინც ინარჩუნებს თავის სილამაზეს და სისპეტაკეს, თუმცა ბრძოლის ველზე მომაკვდავ ადამიანებსაც ხედავს და მდიდართა სასახლეების ეზოებში ნაგვის ყუთებში ლუკმაპურის მძებნელთაც. ხედავს იმ ქალებსაც, ღამეში რომ ორ-ორ საყვარელს აძვრენენ ფანჯრებიდან, ხედავს და მაინც ასეთია... ჩვენ კი დაბეღებული გვაქვს სამუდამოდ ვატაროთ და არ დავივიწყოთ თუნდაც მცირე ნაწილი ყველა იმ სისაძაგლის, სიმდაბლისა და საზიზღრობისა, რაც ოდესმე დაგვინახავს. რა პატარანი და საბრალონი ვართ აი, ამ მთვარესთან შედარებით. ნახე, როგორ მოისწრაფვიან ჩვენსკენ ღრუბლის ნაფლეთები. შეხე, როგორ ჩაჰკვრიან ერთმანეთს ტყემლის ხეზე ახალგაფურჩქვნილ ყვავილებივით. აი, ახლა მთვარეს მიუახლოვდებიან და ანცობას დაუწყებენ. ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ იმ ქარს, ღრუბლის ფთილებს რომ ჩვენსკენ მოერეკება?.. მე კი ვხედავ... ჩვენსკენ მოისწრაფვის, ასე მგონია, რომ აგერ-აგერ მოვა, მაღლა აგვიტაცებს და გაგვაფრენს. მე ახლა ისე გულდამშვიდებული ვარ, როგორც მაშინ, როცა თქვენ პირველად გელაპარაკეთ. ახლა ყველაფერი სხვანაირად მეჩვენება. თქვენ, თქვენ როგორა გრძნობთ თავს? ყველაფერი ჩვენს ნებას ემორჩილება. შეხედეთ ამ წყალს, რომლის შეხედვაც სულ ახლახან გზარავდათ! ახლა კი რა მიმზიდველი სანახაობაა! მე არ მეშინია წყლისა, პირიქით, მინდა ჩავყვინთო კიდეც. ასე მგონია, ზღვის ფსკერისკენ მოგზაურობა იმ საოცარ სამყაროს გადამიშლის, რომელიც ბავშვობიდანვე ასე ძალიან მიტაცებდა. ნელ-ნელა დაშვებისას მიფეალერსები ყველა უფორმო და რბილ სხეულს, გზაზე ახლადშობილ ბატკნებივით რომ შემომეგებებიან. თვალს ჩავუკრავ, ჩავუცინებ დიდსა და პატარა თევზებს. ფსკერზე კი ძვირფას ქვებივით სათუთად გადავარჩევ ქვებსა და ქვიშას. ხავსსა და წყალმცენარეებს ქალის თმასავით მოვეალერსები. რატომ არ გეღიმებათ ჩემს სიტყვებზე? სულ არ გეშინიათ ჩემი? ჩემნაირად მოაზროვნე ადამიანების უნდა

გეშინოდეთ, ადამიანები, რომელთაც ასეთი თავი ადგათ კისერზე, ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი ქმნილებები არიან ქვეყნად. ნეტა რა მალაპარაკებს ამ თავებზე, ადამიანებზე. ოჰ, ეს თავები, თავები! მოდი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს და აი, ამ მშვენიერ სანახაობას ვუცქიროთ. როგორ ყველაფერი ერთმანეთს შეერწყო! განა შეიძლება ახლა ეს ზღვა და ეს ნავი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე წარმოვიდგინოთ? ეს ნავი ზღვისათვის ისეთივე დამახასიათებელი და აუცილებელი ნაწილია, როგორც თითები ხელისათვის. ვინ დაიჯერებს, რომ ამ გაჩახჩახებულ სინათლეს ხელის მოძრაობით ჩააქრობ? განა იგი ამ სანახაობის შემადგენელი ნაწილი არ არის? ჩვენ რაღა ვართ? განა ჩვენ ძალგვიძს ამ ღამისაგან გამოყოფა? მაგრამ საოცარი მაინც ის არის, რომ ჩვენ ახლა ნიჩბები უნდა მოვუსვათ, გადმოვიდეთ ნაპირზე, გავიაროთ ხალხით სავსე ქუჩები და მერე ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ გავუყვეთ. ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ ახლავე, რადგან უკვე გვიანაა, რადგან გვყავს მზრუნველი ბიძები და დეიდები.

ომერს ხმა აუკანკალდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ ატირდებაო.

— ჩვენ გვყავს მეგობრები, უფროსები, გვაქვს სამსახური, ვსწავლობთ. რა წყეულია ჩვენი ცხოვრება!

ომერი წამოხტა, ნავი შეარყია, მერე ისევ თავის ადგილზე დაჯდა და ქიმს მოეჭიდა.

— რა მოგდით, რატომ ტირით? — წინ გადაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა ქალს, — აი, ხომ ხედავთ, ამ შესანიშნავ მომხიბლაობასთან განშორების ფიქრიც კი ცრემლს გგვრით... ცრემლებს ნუ მოიწმენდთ, არც ერთ ადამიანს, და არც თქვენ, არა გაქვთ უფლება ხელი ახლოთ მთვარის შუქზე აელვარებულ ცრემლით სავსე თვალებს. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს საოცარი საღამო ასე მშვენივრად დამთავრდებოდა. მინდა ახლოს მოვიდე და ისე შევხედო თქვენს სახეს.

ომერი კვლავ წამოდგა, სკამს გადააბიჯა და მაჯიდეს წინ დაჯდა. ქალს სახე გაქვავებოდა. წინ ისე იყურებოდა, თითქოს რაღაცას მიშტერებიაო, ფერმკრთალ ღაწვებზე ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ ცრემლები.

ომერმა ქალიშვილს ხელი მოჰკიდა. მაჯიდეს თეთრი, პატარა და ნაზი ხელები ჰქონდა, და არა ფაფუკი და კარდისფერი,

გაბერილი ხელთათმანებივით, როგორც ზოგიერთ ლამაზ ქლს. ხელის შეხებისთანავე ძვლებს იგრძნობდი. მაჯიდეს ფრჩხილები არც ტირიფის ფოთოლივით გრძელი იყო და არც მინდვრის ყაყაჩოს ფურცლებივით ფართო, ისინი თითქოს ბუნებრივად ამთავრებდნენ ბოლოში დაწვრილებულ თითებს. ომერმა მაჯიდეს ხელი უსიტყვოდ მიიტანა სახესთან და ერთიმეორის მიყოლებით, ფრთხილად ყველა თითი დაუკოცნა. ქალმა უსიტყვოდ და ძალდაუტანებლად გაინთავისუფლა ხელი. მერე იგი დიდხანს აწვალებდა ვაჟის რბილსა და წაბლისფერ თმას.

ნაპირზე შეშინებული მენავე დახვდათ. ომერს არც კი უკითხავს, რამდენ ხანს დააყოვნა ნავი, უსიტყვოდ გაუწოდა 50 ყურუში, მენავემაც ასევე უსიტყვოდ დაუბრუნა კოსტიუმი.

ახალგაზრდები უხმოდ გაუყვნენ უკაცრიელ ქუჩებს. დუქნები დაეკეტათ, ალბათ, ცხრა საათზე მეტი იყო. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ყავახანებში ხელოსნები, მუშები და მეზღვაურები საუბრითა და ბანქოს თამაშით ირთობდნენ თავს. ქუჩებში გამეფებულ ღამის სიჩუმეს დროდადრო ტრამვაის გრუხუნი არღვევდა, რომლებშიც თითო-ოროლა კაციღა თუ იჯდა. კარაკოის რომ მიუახლოვდნენ, ერთ-ერთი გვერდითი ქუჩიდან პატეფონის ხმა და რაღაც კამათი მოესმათ. მიდიოდნენ და ფანჯრების შუქზე აელვარებულ ტრამვაის რელსებს აცქერდებოდნენ, წყლის ვიწრო ზოლებს რომ გვანდნენ. ამ ერთფეროვან სურათს ერთგვარად არღვევდა იქით-აქეთ მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ცარიელი კოლოფები და ნამწვავები. როცა ენიჯამის ხიდსა და თაღს ჩაუარეს, ქუჩები სულ დაცარიელებული იყო. ჩაბნელებული მაღაზიების ლამაზი ვიტრინები ხის მონჯღრეული დარაბებით დაეფარათ. უკაცრიელ ქუჩებში მაჯიდესა და ომერის ფეხის ხმას ექოდ გამოსცემდა შორეული სახლების კედლები. ბაიაზეთის მოედანს რომ მიაღწიეს, ერთხანს შადრევანთან შედგნენ და წყალში მთვარის მკრთალ ანარეკლს დააცქერდნენ. მთვარის შუქის ანარეკლი იმდენად საბრალოდ გამოიყურებოდა, რომ ახალგაზრდები გაოცდნენ, როცა ზღვაზე ნანახი სურათი გაახსენდათ, აუზის ირგვლივ სკამებზე უბინაო და „ღამის ქალები“ ამთქნარებდნენ. აუზის კიდეში მოხუცი მათხოვარი იჯდა. მოხუცს დაუვარცხნელი თმა და აბურდული წვერი ჰქონდა. მკერდზე პერანგი გადაეხსნა და მთვარისა და ქუჩის ლამპიონების შუქზე მკბენარს დაეძებდა. დიდი ხის ქვეშ ერთიმე-

ორეს ჩაკვროდა ორი გასავალებული ბიჭი და ეძინათ. ცოტა მოშორებით, ყავახანაში, შექეიფიანებული ინტელიგენტები მოჩანდნენ, გაუთავებლად კამათობდნენ და ვერ გამოფხიზლებულიყვნენ.

დაღლილი მაჯიდე ლამის მკლავზე ჩამოჰკიდებოდა ომერს. რაღაც სიცარიელესა ჰგრძნობდა. უფრო სწორად, არაფერზე არ ფიქრობდა. უბრალოდ თვალს ადევნებდა სურათებს, ერთიმეორის მიყოლებით რომ ცოცხლდებოდნენ მის წარმოსახვაში. მხოლოდ ერთადერთი რამ აკავშირებდა გარესამყაროს. გრძნობდა, რომ გვერდით ომერი მოაბიჯებდა და მისი ხელი მაგრად ეჭირა. თვალები ნახევრად მოეჭუტა. ტირილმა სულიერი სიმშვიდე მოჰგვარა ქალს. ამ შემსუბუქებას ბედნიერების შეგრძნება მოჰყვა. ხანგრძლივმა დუმილმა უფრო ადვილად გადახსნა ქალ-ვაჟის გული, ვიდრე გრძელმა ახსნა-განმარტებებმა.

შეჰზადებაშის უბანს რომ მიაღწიეს, მარჯვნივ შეუხვიეს; პაწია და ჩაბნელებული სახლები ისე მიჰკვროდნენ აკვეღუკის თაღს, გეგონებოდათ, ეს თაღი რომ არა, ახლავე წაიქცევიანო. მთვარე ხავსმოდებულ სახურავებში იკარგებოდა. მერე კი კვლავ ჩნდებოდა პაწია ფანჯრებში. მთვარის შუქზე აკვედუკის ქვებში წამოზრდილი ხეები და ბალახები ცის ფონზე ამოჭრილ ბარელიეფს ჰგავდა.

მაჯიდე და ომერი ხის ორსართულიან სახლთან შედგნენ. ორივეს რაღაც ნაღველი შემოაწვა. ლაპარაკი უნდოდათ და სიტყვები ვერ ეპოვნათ. ისეთი გრძნობა დაუფლებოდათ, თითქოს ყველაფერი, რაც ამ საღამოს ნახეს და განიცადეს, ახლა ზურგზე მძიმე ტვირთად დასწოლოდათ და გაჭყლეტას უპირებდა.

ომერმა მაჯიდეს ხელი მოჰკიდა. უნდოდა ქალის ხელს მოალერსებოდა, ჩურჩულით ეთქვა განშორების საალერსო სიტყვები, დარწმუნებული, რომ ამ სიტყვებს უცებ მოიფიქრებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალმა ვერ გაიგო, რა სურდა ომერს. ხელი მაგრად მოუჭირა და თქვა:

— კარგით, მშვიდობით.

ომერმა უსიტყვოდ ჩახედა ქალს სახეში, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, მაგრამ გადაიფიქრა და გაიღიმა:

— მშვიდობით, — წარმოთქვა მან და ქალს ხელი უშვა.

— ოჰ, ქალიშვილო, სად დაიკარგეთ... გელოდებიან, ბიძათქვენი ძალიან გაბრაზებულია, — კარებშივე შეაგება ფატმამ.

მაჯიდემ მხრები აიჩეჩა, „ჩემთან რა საქმე აქვსო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ფატმამ აღარ დააცალა.

— ზემოთ არიან, დარბაზში. დღეს წერილი მოვიდა, ვგონებ, დედათქვენის გამოგზავნილი... წერილი რომ წაიკითხეს, დიდხანს ბჭობდნენ, მერე კვლავ წერილს მიუბრუნდნენ, თვით სემიჰაც არ იძინებს, თქვენ გელოდებიან.

მაჯიდე დაინტერესდა, „ნუთუ კვლავ მოხდა რაიმე უბედურება?“ — გაუელვა თავში. კიბე სწრაფად აირბინა და დარბაზში შევიდა. ძია გალიფი და დეიდა ემინე დაბალ ტახტზე წამოწოლილი ელოდნენ. ცდილობდნენ მღელვარება დაემალათ. პატარა მაგიდასთან სემიჰა იჯდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს წიგნის კითხვით იყო გართული, და არაფერი არ აინტერესებდა.

—მისმინე, შვილო, — მკაცრად გადახედა დეიდა ემინემ მაჯიდეს, — სადა ხარ ამდენ ხანს? შუაღამე გადავიდა და სახლში არა ხარ.

მაჯიდემ დაბნეულად მიმოიხედა. სემიჰა კი თითქოს უფრო გაეტაცნა რომანის კითხვას. ხოლო გალიფ ეფენდი უჩვეულო ყურადღებით ათვალიერებდა იატაკში ჩარჭობილ დიდ ლურსმანს.

— რა ხანია, ხმას არ ვიღებ, — განაგრძობდა დეიდა ემინე,— ვფიქრობდი, დღეს არა, ხვალ მაინც მოეღება ამ ამბავს ბოლო-მეთქი, მაგრამ რა გამოვიდა? ეს ჩვენი სერიოზული, დამჯერე და სანაქებო გოგო, — ფუი ეშმაკს, არ გავთვალო, — სულ უფრო და უფრო უარესად იქცევა. სადილს სადღაც სხვაგან მიირთმევს, თითქოს ჩვენი ოჯახის საჭმელები არ ეკადრებოდეს. რომ არავინ დაინახოს, შინ გვიან მოდის, დილით კი სიტყვას არავის ეუბნება, ისე გადის სახლიდან, ღმერთმა უწყის, მეზობლები რას ლაპარაკობენ შენზე, ზოგი ბეიოღლუზე გნახულობს ვიღაც ახალგაზრდა კაცთან, ზოგმაც პარკში გნახა მამაშენისხელა კაცთან საზის მოსასმენად მისული. მართალი გითხრა, პირველ ხანებში არა მჯეროდა. რაც არ უნდა იყოს, შენ ჩვენი ოჯახის წევრი ხარ. დიდება ალაჰს, ჩვენი ოჯახის არც ერთ წევრს ჯერჯერობით ცუდი სახელი არ გავარდნია, ჯერ არ მჯეროდა, თუმცა ყველა ხომ მატყუარა არ არის. იფიცებიან, იმტკიცებიან, სიმართლეს ვლაპარაკობთო. და განა ერთი და ორი... ხმას არ ვიღებდით, ვფიქრობდით, თვითონ მოხვიდოდი გონს, მაგრამ... მეტის მოთმენა შეუძლებელია. მამაშენის წინაშე, აცხონოს ალაჰმა და, მე უნდა ვაგო პასუხი. შენი სინდის-ნამუსი

ჩვენ ჩაგვაბარა. არასოდეს არ ვიფიქრებდი, თუ ასეთი რამ მოხდეობდა.

დეიდა ემინემ მთავარი მაინც ვერა თქვა. რამდენიმეჯერ გალიფ ეფენდისაც გადახედა, თითქოს ანიშნებდა „შენ თქვიო“. მოხუცი შეირხა და ჩაფიქრდა.

დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მაჯიდე ტუჩების კვნეტით ელოდა საუბრის დასასრულს. დეიდა ემინე დარწმუნდა, გალიფ ეფენდი არაფრის თქმას არ აპირებსო, და კვლავ თვითონ მიუბრუნდა ქალიშვილს:

— მისმინე, შვილო, მამაშენი გარდაიცვალა, ალაჰმა განუსვენოს, ახლა სხვა დროა, უწინდებურად როდი ვცხოვრობთ... დღეს დედაშენის წერილი მივიღეთ, საბრალო ქალი, თვითონაც არ იცის, რასა წერს...

— ჩვენს კითხვაზე პასუხს არა გვწერს, მხოლოდ იმაზე წუხს, ღვთის გულისათვის, ჩემს ქალიშვილს ნურაფერს გააგებინებთ, თავი არ მოიკლასო, — ჩაურთო გალიფ ეფენდიმ.

— დარდი ნუ ექნება, — უმოწყალო ირონიით დასძინა დეიდა ემინემ, — მისი ქალიშვილი არცა ფიქრობს თვითმკვლელობაზე...

სემიჰამ ჩუმად ჩაიცინა. მაჯიდემ გაიგონა და უსაზღვრო ზიზღმა აუვსო სული. გულით ეწადა, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებულიყო ეს საუბარი.

— შემიძლია წავიკითხო წერილი? — იკითხა მან. ქალიშვილი ცდილობდა მღელვარება არ გამოემჟღავნებია.

— რატომ? — ქმარს გადახედა ემინე ჰანუმმა, — წერილი ჩვენ მოგვწერა, თუმცა ეს წერილი კი არა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი უაზრო სიტყვებია და მეტი არაფერი.

— კი, მაგრამ რატომ მე არ უნდა წავიკითხო? — გაბრაზდა მაჯიდე.

— თუ ძალიან გაინტერესებს, რა დღეშია შენი ოჯახი, წადი და იქ გაიგებ.

— მაშ, მაშ? — მხარი დაუჭირა ცოლს გალიფ ეფენდიმ. — ახლავე გაემგზავრე და ყველაფერს გაიგებ.

მაჯიდეს სისხლი თავში აუვარდა, სუნთქვა შეეკრა. არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. თავის ოთახში განცალკევება და დამშვიდებით მოფიქრება უნდოდა, მაგრამ წასვლაც შეუძლებელი იყო. ის ამბავი ახლავე უნდა გაერკვია. არა, უნდა დაელოდოს, მოისმინოს,

რას იტყვიან. მაშინ გაიგებს, რას ფიქრობდნენ მასზე და რას უმალავდნენ.

მაჯიდესათვის ცხადი იყო ერთი რამ: ასეთი შეხვედრა მხოლოდ შინ გვიან დაბრუნებით არ იყო გამოწვეული.

— რაო, რას იწერება დედაჩემი, მაჯიდე ბალიქესირში დაბრუნდესო? — იკითხა გოგონამ, რომელიც საოცრად ცდილობდა თავის შეკავებას.

— არა, — წამოილაპარაკა დეიდა ემინემ და მაშინვე მიხვდა თავის შეცდომას. — დიახ, ის იმდენ რამესა სწერს, მაგრამ აზრი ეს არის...

— დიახ, აზრი სწორედ ეს არის, — კვლავ ჩაერია საუბარში გალიფ ეფენდი. — სტამბოლში მარტო ჰაერი ვერ გამოგკვებავს, მართალია, ვილედე ჰანუმი ამაზე არაფერს წერს, მაგრამ აგერ უკვე ორი თვეა, რაც...

დეიდა ემინემ ბრაზით გადახედა ქმარს. გალიფ ეფენდი გაჩუმდა. — მთავარი ეს როდია, — კვლავ დაიწყო დეიდა ემინემ, — ამაზე ლაპარაკიც კი არა ღირს. ღვთის წყალობით ჩვენს ოჯახში მოიძებნება ერთი ლუკმა პური, ალაჰმა გვაშოროს ასეთი ფიქრები...

— მაშ, მაშ, — კვერი დაუკრა გალიფ ეფენდიმ, — ერთი მჭამელით მეტი იქნება თუ ნაკლები, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. აი, დედაშენიც იწერება, როგორც კი მეუღლის საქმეებში გაერკვევი, ყველაფერი გამოსწორდებაო, — და მერე ხმადაბლა ცხვირში ჩაიბუტბუტა, — განსვენებულის საქმეების მოგვარება არც ასე ადვილია და, საერთოდ, დაგრჩებათ კი რაიმე ამ მოგვარების შემდეგ?

ემინემ კვლავ ბრაზით გადახედა ქმარს. გალიფ ეფენდიმ ერთი ამოიოხრა და გაჩუმდა. მაჯიდე დეიდას დააცქერდა. ჯერ არასოდეს უგრძვნია ასეთი ზიზღი ამ მოხუცი ქალისადმი, ასე პრიმიტიულად რომ ცდილობდა თავისი ზრახვების დამალვასა და ქალიშვილის გაცურებას. ძია გალიფი გაცილებით წესიერ და პატიოსან ადამიანად ეჩვენა მაჯიდეს, მოხუცს არ შეეძლო თავისი ფიქრების დამალვა.

— აკი გითხარი, მთავარი ეს როდია, — ღირსებაშელახული ადამიანის ტონით განაგრძო დეიდა ემინემ, — საქმე ეხება ჩვენი ოჯახის პატიოსნებას, მე ვერ ავიტან, რომ მას ჩირქი მოეცხოს. გამოგიტყდები, მე თვითონ მივწერ დედაშენს, იცოდეს რაებს ჩადის

მისი ქალიშვილი. თუ მოისურვებს, დაგტოვებს. თუ არა და თვითონ იცოდეს თავის საქმისა.

მაჯიდე ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა, მერე ყველა შეათვალიერა. სახეზე ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილება მიეღო. სემიჭა მიხვდა, თავის მოჩვენება უკვე უაზრობა იყო, რომანი განზე გადადო და კმაყოფილი ღიმილით შეხედა მაჯიდეს. ძია გალიფმა პირი გააღო და დაამთქნარა. მაჯიდე უხმოდ შებრუნდა და თავისი ოთახისაკენ გაემართა.

დარბაზიდან ნაბიჯების ხმა მოისმა და მაჯიდე მიხვდა, რომ ყველანი დასაძინებლად წავიდნენ. ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. მთვარე უკვე მაღლიდან გადმოჰყურებდა ქვეყანას. მაჯიდემ შუბლი მინას მიადო და მთვარეს მიაშტერდა. ნუთუ ეს ელვარე წრე, თავისი ცივი სხივით ერთნაირი გულგრილობით რომ ანათებს ყველაფერს, დამცინავი სიმშვიდით დაჰყურებს ათასგვარ საშინელებას, სწორედ ის მომხიბლავი და დამათრობელი მთვარეა, რომლითაც სწორედ ახლახან იხიბლებოდა ომერთან ერთად!

მაჯიდე ნელა წამოდგა, მთელ სახლში სიჩუმე გაბატონებულიყო. ფეხის წვერებზე შემდგარი ფრთხილად მივიდა საწოლთან, დაიჩოქა და საწოლის ქვემოდან შავი ტარსიკონის პატარა ჩემოდანი გამოათრია. სათუთად ჩაილაგა თავისი არც თუ ისე ბევრი ნივთი. უჯრედებიანი ქვედატანი, და ყავისფერი სვიტრი ჩაიცვა. სრულებით არ ღელავდა, პალტო ჩაიცვა ოთახის შუაგულში დადგა და გარეგან-გამოიხედა. საწოლზე ნოტები დარჩენოდა. ისიც ჩემოდანში ჩაალაგა, დღეიდან იგი ამ ოთახში აღარ შემოაბიჯებს!

იმის შიშით, საჭირო და აუცილებელი ნივთი არ დამრჩესო, მაჯიდე ყურადღებით ათვალიერებდა ქუჩის ლამპიონის შუქზე მკრთალად განათებულ ოთახს. როცა დარწმუნდა, არაფერი რჩებოდა, კვლავ ფანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა და ჩანთაში შემორჩენილი ფული გადათვალა. ოცი ლირა და რაღაც გროშები იყო. წამოდგა, დამძიმებული ჩემოდანი ხელში აიღო და ოთახიდან გამოვიდა. არავის გაღვიძებას არ ერიდებოდა და თავისუფლად მიაბიჯებდა. პირიქით, უნდოდა, ყველას გაეგო მისი წასვლა. რა საძაგლად მოექცნენ, არასოდეს ასეთი რამ არ უნახავს.

წეღანდელი შეშფოთება და დაბნეულობა ახლა მტკიცე გადაწყვეტილებას შეეცვალა. ამ სახლის მცხოვრებნი ახლა მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდნენ.

„უნამუსოები!“ — გამოსცრა კბილებს შორის.

ემინესა და გალიფის სიტყვების გახსენებაც კი ზარავდა. შუქი არ აუნთია. კიბეზე ფრთხილად ჩამოვიდა, ქვედა სართულზე ფატმას ეძინა. ფეხის ხმის გაგონებაზე ქალმა თავი წამოსწია.

— თქვენ ხართ, ქალიშვილო? ეს რა, მიდიხართ?

— დიახ, — მოკლედ მოუჭრა მაჯიდემ და ქუჩაში გამავალ კიბეს ჩაუყვა.

ფატმა წამოდგა და საღამური პერანგისამარა აედევნა მაჯიდეს.

— კი, მაგრამ გეთაყვა, ასე გვიან სად უნდა წახვიდე? აბა ასე როგორ იქნება... თუმცა მაგათი სიტყვები ლოდსაც დაძრავდა ადგილიდან... რა ხალხია ...ალაჰი იყოს თქვენი შემწე!

მაჯიდემ კარი გამოაღო. ქუჩის ლამპიონის შუქი კიბეზე დაეცა და ფატმას დახეთქილი, უხეში ფეხები გამოჩნდა. მაჯიდემ ხელი გაუწოდა:

— მშვიდობით, ფატმა!

ქალიშვილმა რაღაც უხერხულად ჩამოართვა ხელი მოხუცს, ხოლო ფატმამ თავზე ხელი მოჰხვია და გადაკოცნა.

— ღმერთმა კეთილად გატაროთ, ქალიშვილო, კეთილად!

მაჯიდემ კარი გაიხურა.

თ ა ვ ი XII

მაჯიდე სახლის წინ, კიბის საფეხურზე იდგა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა, სად წასულიყო. შემონახული ფული სასტუმროში მხოლოდ ორი დღე თუ ეყოფოდა. მერე კი ბალიქესირში უნდა წასულიყო.

ჩაფიქრდა. ჩემოდანს რომ ალაგებდა და სახლიდან მიდიოდა, ბალიქესირში დაბრუნებაზე არ უფიქრია. მას მხოლოდ ამ სახლიდან გაქცევა ეწადა, მაგრამ სად? ამაზე ჯერ არც კი უფიქრია. ბალიქესირის გახსენებამ დააფიქრა... კი მაგრამ, განა უკეთესი იყო? არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ ახლა არსად არა აქვს სახლი. სიძესთან წავიდეს და დედასთან ერთად იცხოვროს? მამის დანატოვარი საქმეებიც, ალბათ, მალე მოგვარდება. მაგრამ განა ტყუილად თქვა ძია გალიფმა „დაგრჩებათ კი რამე ამ მოგვარების შემდეგ!“

და კვლავ, სწორედ ისე, როგორც დეიდა ემინესთან საუბრისას, თავში ყველაფერი აერია, გონება დაუბნელდა. დაღლილმა თვალები დახუჭა. ათასმა სურათმა ჩაუარა თვალწინ, დაინახა თავისი უფროსი დაიკო, ქმარს საშინელი ეჭვიანობით რომ აბეზრებდა თავს. იგი ეჭვიანობდა ყველაზე, ზოგჯერ საკუთარ დედაზეც კი. მერე სიძე დაუდგა თვალწინ, მანუფაქტურით მოვაჭრე, ართვალი და ქედმაღალი კაცი... წუთიც და მაჯიდეს თვალწინ ახლა უკვე ზღვა ღელავდა... ზღვა, რომელმაც პირველად ძლიერ შეაშინა. მაგრამ მერე მთვარის შუქისა და ომერის სიტყვების გავლენით ასე მიმზიდველი გახდა. ზღვის სიღრმე თითქოს ეძახდა კიდეც.

სუნთქვა გაუხშირდა, მუხლებში სისუსტე იგრძნო, ქვის კიბეზე ჩამოჯდომა უნდოდა, მაგრამ უცებ შეკრთა და თვალები გაახილა.

— თქვენ აქა ხართ? — იკითხა აღელვებული, მაგრამ სიხარულით აღსავსე ხმით. — სიდან? აქ რას აკეთებდით?

ომერი მდუმარედ შესცქეროდა და იღიმებოდა. მაჯიდეს არასოდეს ენახა ასეთი ნაღვლიანი ღიმილი. ომერმა ხელი გაუწოდა ქალს. მაჯიდემ თავისი შეაგება და საფეხურებზე დაეშვა. ისე ახლოს იდგნენ ერთიმეორესთან, რომ ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ და თვალებში ჩასცქეროდნენ ერთმანეთს. ამ რამდენიმე წამმა უფრო დააახლოვა ისინი, ვიდრე ხანგრძლივმა პაემანებმა.

— მელოდით? — თვალები დახარა მაჯიდემ.

— დიახ, — უპასუხა ომერმა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა, — დარწმუნებული ვიყავი, ამ საღამოს კიდევ განახავდით.

ნელ-ნელა გაუყვნენ ქუჩას. მხოლოდ ტრამვაის ხაზთან მოვიდა ომერი გონს:

— ღმერთო ჩემო, რა ყეყეჩი ვარ, მომეცით ჩემოდანი! — და ქალს ჩემოდანი გამოართვა. ერთხანს მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ქუჩები დაცარიელებულიყო. უკანასკნელი ტრამვაი რა ხანია პარკში შევიდა. ისვენებდნენ მოელვარე რელსები. ქვაფენილში დანით ამოკვეთილ ლარებს რომ ჰგავდნენ.

ომერი შეჩერდა, ჩემოდანი მიწაზე დადო.

— როგორ იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ ეს კია, რაღაც უცნაური გრძნობა მკარნახობდა, რომ ამაღამ თქვენ სახლს არ მოვშორებოდი. საკმარისი იყო რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა თქვენი ...უკეთუ ამ სახლიდან, რომ რაღაც ძალა მაჩერებდა, რამდენიმეჯერ მოსახვევამდე მივედი და მერე მოვბრუნდი. თითქოს ვგრძნობდი,

რომ ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენა ხართ, დიდხანს ვერ გაძ-
ლებდა დეიდა ემინეს ოჯახში. ვგრძნობდი, ყველაფერი ეს ოდესმე
დამთავრდებოდა და ძალიან ცუდადაც. გამომშვიდობებისას ვლე-
ლავდი, ნეტა როგორ შეხვდებიან მაჯიდეს-მეთქი, — ვფიქრობდი
ჩემთვის. ასეთი გრძნობა ყოველი განშორებისას მეუფლებოდა,
მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორიც დღეს.
და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ საღამოს ეს მხოლოდ წინათ-
გრძნობა არ იყო, მე უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე
მოხდებოდა.

ომერმა ჩემოდანი აიღო და გზა განაგრძო, წინ იყურებოდა და
ისე ლაპარაკობდა:

— ვერაფრით მოვცილდი სახლს — ვთქვათ და უცებ დავჭირ-
დე-მეთქი. ვიცოდი, ერთი სიტყვაც რომ ეთქვათ, რა დროც არ უნდა
ყოფილიყო, იმ წუთში წამოხვიდოდით ამ სახლიდან. ნუ გიკვირთ,
მე ისე გიცნობთ, როგორც საკუთარ თავს, იქნებ უკეთ, ვიდრე ჩემს
თავს.

ომერმა ჩემოდანი მეორე ხელში გადაიტანა. მაჯიდეს მოუბ-
რუნდა და ღიმილით უთხრა:

— აი, ხომ ხედავთ, წინათგრძნობა არ მღალატობს, ხედავთ,
როგორ ახლოს ვართ სულიერად ერთმანეთთან.

— გაოცებული ვარ, — უბრალოდ უპასუხა მაჯიდემ.

ომერი რატომღაც გაბრაზდა და ჩაიბუტბუტა, „მეც გაოცებუ-
ლი ვარ“, მერე საკუთარ თავს დაუწყო ლანძღვა: „რა სისულელე-
ებს ვროშავ, რა მაიმუნობაა... დიახ, მე მას დღესვე ველოდი.
ამჯერად ნამდვილად მკარნახობდა ვიღაც, რომ არ წავსულიყავი,
დამეცადნა... ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ, მიუხედავად
იმისა, რომ თავი მშვიდად უჭირავს, ახლა მის სულში დიდი ქარიშ-
ხალი ტრიალებს. მეც ვსარგებლობ ამ მომენტით და თავს ისე ვაჩ-
ვენებ, ვითომ არაფერი მესმის. რა მაიმუნობაა... „ისევე გიცნობთ,
როგორც საკუთარ თავს“. ამაზე დიდი სისულელე წარმოუდგენე-
ლია, განა ვიცნობ საკუთარ თავს? რა პრიმიტიული სიცრუის გზას
დავადექი. აბა რა საჭირო იყო ასეთი რამ? „ვგრძნობდი, რომ დღეს
დაგჭირდებოდით“. ასე მხოლოდ რომელიმე მოხუცი დედაბერი
იტყოდა. ვგრძნობდი, მაშასადამე, ადრევე ვიცოდი, რაც მოხდე-
ბოდა... ღმერთო! ესე იგი ვგრძნობდი! ახლა ნახეთ „როგორ ახლოს
ვართ სულიერად“, საბრალო სულები, თუ ამ გზით მტკიცდება მა-

თი სიახლოვე... რა აზრი აქვს ამ სიტყვებს? ნუთუ ჩემთვის ასე აუ-
ცილებელი იყო ამ სისულელეების წარმოთქმა? რა. მშვიდად და
თავისუფლად მოაბიჯებს ჩემს გვერდით? რად უნდა მოვატყუო
ასე ყეყეჩურად. იგი არც თუ ისე სულელია, რომ ასე ადვილად მო-
ტყუვდეს. აკი თქვა: გაოცებული ვარო, რითაა გაოცებული, — ამ
შემთხვევითი შეხვედრით თუ ჩემი ბანალური სიტყვებით? ალბათ,
ამ უკანასკნელით. „გაოცებული ვარ“, ამ სიტყვებში ჩემდამი
ნდობის ნატამალიც კი არ იყო. ჩვენ ცუდად ვიცით, რა ხდება ჩვენს
სულებში... ადამიანის სულებს შორის არსებობს გარკვეული კავ-
შირი, რომლის შესახებაც ჩვენ ასევე ძალიან ცოტა რამ ვიცით. და
ეს სწორია... ყოველ შემთხვევაში, თუ კავშირი არა, რაღაც მსგავ-
სება მაინც არის. მაგრამ ჩვენთვის უცნობი ამ სულიერი ურთიე-
რთობების სიცრუისათვის გამოყენება, საკუთარი სურვილებისადმი
მათი დამორჩილება განა კიდევ ერთი დადასტურება არ არის იმისა,
რომ ჩვენ აბსოლუტურად არაფერი ვიცით იმაზე, თუ რა ხდება
ჩვენს სულში?“

ომერი წარბშეკრული მიაბიჯებდა და დროდადრო თავს აკა-
ნტურებდა საკუთარი აზრების დასტურად. მერე ამ ნააზრევს გო-
ნებაში კვლავ ამოწმებდა, რათა ისევ განეგრძო საკუთარი თავის
გამტყუნება.

„რამ მაფიქრებინა, რომ შეიძლება ამაღამ დავჭირდე მაჯიდეს?
მე ვუთხარი, ყოველ საღამოს, შენგან განშორების შემდეგ, ასეთი
აზრები მომდიოდა-მეთქი, არცა ვტყუოდი... მე კარგად ვიცნობ
დეიდა ემინეს ოჯახს. საკმარისი იყო მაჯიდე რამდენიმეჯერ გვიან მი-
სულიყო შინ, რომ მაშინვე დაეწყო რქენა. ისიც ადვილი დასაჯე-
რებელია, რომ მამის სიკვდილის შემდეგ მაჯიდეს უმნიშვნელო ამ-
ბავიც კი გულთან მიჰქონდეს და უცებ გამოჰქონდეს საბოლოო გა-
დაწყვეტილება. ისეთი ადამიანი, როგორიც მაჯიდეა, ყოყმანს არ
დაიწყებს თავისი გადაწყვეტილების შესრულებისას. მაგრამ დღეს
რა მოხდა?

ჩვეულებრივად დავშორდით ერთმანეთს. მე შემოვბრუნდი და
ნელი ნაბიჯებით პროსპექტისაკენ გავემართე. მოულოდნელად თა-
ვში აზრმა გამიელვა, უფრო სწორედ შიშმა. ყველაფერი ეს რომ
დღეს მოხდეს, მაჯიდე მარტო დარჩება? კი, მაგრამ რამ შემაშინა
ასე? მერე, როგორც ყოველთვის, გზა განვაგრძე, ნუთუ არაფერი

იყო უჩვეულო. ნუთუ ეს საღამოც სხვა საღამოს ჰგავდა? არა, რასაკვირველია, არა!“

ჩაიცინა. ომერი არ იყო კმაყოფილი. უცებ საკუთარი თავისადმი რაღაც ზიზღის გრძნობა გაუჩნდა.

„რას ვაკეთებდი საღამოობით? მაჯიდესთან დამშვიდობების შემდეგ დინჯად გავივლიდი ორმოც-ორმოცდაათ მეტრს მისი სახლიდან პროსპექტამდე, ხანდახან შევჩერდებოდი და ვფიქრობდი: „აი, ახლა მაჯიდე კიბეზე ადის, ახლა თავისი ოთახის კართან დგას, ახლა კი ოთახშია“, და საკმარისი იყო, მაჯიდეს ოთახში შესვლა წარმომედგინა, რომ მის ოთახში შუქი აინთებოდა. ამ საღამოსაც იგივეს ვფიქრობდი, მაგრამ როცა ჩემს თავს ვუთხარი ახლა კი თავის ოთახშია-მეთქი, და შემოვბრუნდი, დავინახე, რომ მის ოთახში ბნელოდა. ცოტაც დაველოდე, მაგრამ სინათლე მაინც არ ენთო. ალბათ, სიბნელეში გაიხადა და დაწვა. ახლა ხომ გვიანია-მეთქი, — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ სინათლის აუნთებლობის მიზეზი შეიძლებოდა სხვა რამეც ყოფილიყო, — მაგალითად, სადმე შეყოვნებულიყავი და ცოტა გვიან შესულიყავი შენს ოთახში... ეს კი ვერ მოვიფიქრე... იქნებ, გავიფიქრე კიდეც, ვინ იცის, მთავარი მაინც იხაა, რომ ამ წუთიდან შიშმა შემიპყრო. იყო რამე უჩვეულო იმაში, რომ მაჯიდეს ოთახში ჩვეულებისამებრ შუქი არ ენთო? რასაკვირველია, ჩემი აზრები ჩემდა უნებურად სწორედ აქ იყრიდნენ თავს. დავიწყე მარჩიელობა, თუ რა მოხდა და თუმცა ვერაფერს მივხვდი, მაინც შემეშინდა. რა არის ამაში ზებუნებრივი?! რა კავშირი აქვს ყოველივე ამას სულთა სიახლოვესთან? იქნებ ნიჰადი მართალია, იქნებ მართლაც ცაზე ვარ გამოკიდებული? არა მგონია... სხვა ადამიანებიც ჩემსავით იყვნენ და არაფრით განსხვავდებოდნენ ჩემგან... ვითომ რამე იცვლება იმით, რომ ჩემს ნაკლოვანებებს სხვებში ვამჩნევ“.

ომერს ხელი დაეღალა, ჩემოდანი მეორე ხელში დაიჭირა და ფიქრი განაგრძო. „სად მივდივართ? რასაკვირველია, ჩემს სახლში, ჩემთან, აბა სხვაგან სად უნდა წავიდეთ? ჩვენი ცხოვრების გზები რომ უნდა შეერთებულიყვნენ, თავიდანვე განსაზღვრული იყო. მართალია, ეს ცოტა მოულოდნელად მოხდა, მაგრამ მით უკეთესი! ო, ღმერთო, რა ძლიერ მიყვარს ეს ქალი... ახლა იგი ჩემს გვერდითაა, მისი მკლავი ეხება ჩემსას, უყოყმანოდ მომყვება, მოდის ჩემთან და დაიძინებს ჩემს ლოგინში... ამაზე მეტი საოცრება რა

უნდა იყოს? რატომ აქამდე არ მივვარდი და არ დავუკოცნე ხელები, სახე. რატომ არ ვტირი და რატომ არ ვუხდი მადლობას? მომავალზე ფიქრი მაშინებს... ეს ბედნიერების შიშია. მოვეხვიო თუ ისე უბრალოდ, დიდხანს ვუცქირო, გვერდით დავუჯდე, ხელზე ვეალერსო დარწმუნებულმა, რომ მარად ერთად ვიქნებით. აწი განუყრელნი ვართ, ეს უკვე სინამდვილეა, მაგრამ დღემდე ამაზე ფიქრსაც კი ვერ ვბედავდი. ღრმად არც ახლა არ უნდა შევტოპო, თორემ რაღაც სიმდაბლე გამომივა... ქალიშვილს ახლახან მამა გარდაეცვალა და იძულებული გახდა თავისი ნათესავების სახლი დატოვოს. მე კი ჩემთან წამოვიყვანე, დახმარების ხელი გავუწოდე, საშინელება იქნება ჩემს თავს უფლება მივცე და ამ დახმარების სანაცვლოდ რაიმე მოვითხოვო მისგან, ან რითიმე ვაგრძნობინო, რომ ჩემს წინაშე ვალშია. ღმერთო ჩემო! რაზე ვფიქრობ? რა საძაგელი აზრები მომდის თავში... მან რომ ჩემს სულში ჩაიხედოს და დაინახოს, რა ქაოსი ტრიალებს შიგ, ერთ დღესაც არ გამიჩერდებოდა...".

— არ დაიღალეთ? — მოულოდნელად ჰკითხა მაჯიდეს, — ჩემს სახლამდე ჯერ კიდევ საკმაოდ შორი გზაა, ბეიოღლუს უბანში ვცხოვრობ, ტაქსიმის მოედანზე...

ომერმა უცებ თავისი „სახლი" წარმოიდგინა და ამ სურათის გახსენებამ ზიზღი მოჰგვარა. უკანასკნელ ხანს დიასახლისი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ომერის პაწია ოთახს და ისიც მუდამ დაულაგებელი იყო. როგორ შეიძლება გაბედო და ვინმე შეიყვანო საკნის მსგავს დაულაგებელ ოთახში?

„სულ შევიშალე... არაფერს ანგარიშს არ ვუწევ... ჩემს ბედს სხვა ადამიანის ბედს ვუკავშირებ და მომავალზე არ ვფიქრობ, რა უნდა მოჰყვეს ყოველივე ამას? ხვალ მაჯიდე ჩემი მეუღლე გახდება, მე კი ჯიბეში 35 ყურუშის მეტი არა მაქვს. ეს ფული ერთ კაცსაც ვერ ასადილებს. ხვალ კი ოჯახი მეყოლება, ხომ უნდა შევინახო ფული? ცოლი და მერე როგორი. საკმარისია მანიშნოს და სასიკვდილოდ დავდებ თავს, დარწმუნებული ვარ, რომ ოდნავადაც არ დავყოვნდები, მაგრამ ამ თავდადებაზე ლაპარაკი არც ღირს მაშინ, როცა დილით საუზმესაც კი ვერ ვაჭმევ, მაგრამ მაინც მიმყავს... ეს მშვენიერი და ეს უბედური ქალიშვილი მომყვება და ვერც წარმოუდგენია, თუ რა ხდება. მომყვება, სადაც მიმყავს. როცა ვუთხარი, შორს ვცხოვრობ-მეთქი, პასუხი არ მომცა. დიახ, იცის, რომ ჩემთან

მივდივართ და თანახმაც არის. ისე კი ძალიან არ მსიამოვნებს ასე იოლი დაყაბულება. იქნებ საკუთარ ბედზეა გაბრაზებული და შურის საძიებლად ყველაფერზე თანახმაა. რომ ვიცოდე, რომ სწორედ ამიტომ მომყვება, ახლავე ხელს ვკრავდი, არავის მოწყალება არ მჭირდება. თუ მაჯიდე ჩემთან იმის გამო კი არ მოდის, რომ ვუყვარვარ და ისე ძლიერ, რომ შეუძლია ყოველივე დაივიწყოს, მაშინ ყველაფერი დამთავრებულია. ახლავე ვკითხავ და ყველაფერს გავიგებ.

ომერი ქალიშვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რატომ მოდიხართ ჩემთან, ახლავე მითხარით, თორემ გავიჟღები და ეს არის.

— აბა რა ვქნა? — სევდანარევი ღიმილით თქვა მაჯიდემ და დასძინა: — თქვენ არა გსურთ, რომ წამოვიდე?

მიუხედავად მაჯიდეს სიამაყისა და თავდაჭერის დიდი უნარისა, ამ კითხვაში მაინც იმდენი ნაღველი და უღონობა იგრძნობოდა, რომ ომერს მაშინვე დაავიწყდა ის, რაზეც წამის წინ ფიქრობდა.

— მე არ მსურს? აბა, ეს რამ გათქმევინათ, განა ქვეყნად თქვენს გარდა სხვა რამე მსურს? ან რა შეიძლება მსურდეს? ამას ნუ იტყვით, მერწმუნეთ, მე ყოველთვის ვალში ვიქნები თქვენს წინაშე. არასოდეს და არაფრის გამო არ იფიქროთ, რომ თქვენთან ყოფნა არ მსურდეს. თქვენი გულისთვის რომ მოვკვდე კიდეც, მადლიერი ვიქნები, რადგან ნება დამრთეთ თქვენთვის სიკვდილისა, მაგრამ მითხარით, ღვთის გულისათვის, მითხარით, რატომ მოდიხართ ჩემთან?

ომერმა ჩემოდანი დადო და მაჯიდეს ხელი გაუწოდა, მაჯიდემ ხელი შეაგება, ვაჟი თავისკენ მიიზიდა, ახლო მიეკრო და ყურში ჩაუჩურჩულა:

— თქვენს გარდა არავისი მჯერა... მე თქვენ მიყვარხართ!

მაჯიდემ ომერის მხრებში ჩამალა თავი, თითქოს ამ სიტყვების შემდეგ თავისი სახის გამოჩენისა რცხვენიაო, და ომერმაც პირველად აკოცა ქალს საფეთქელთან.

ორივენი ჩემოდანზე ჩამოსხდნენ და შეისვენეს. თითქოს მათს სულში ატეხილი მღელვარების დაცხრომას ელოდნენ. ომერი რამდენჯერ შეეხო ქალის მხარს, ხელი გადახვია და თავისკენ მოაბრუნა, მერე დიდხანს შესცქეროდა მშვენიერი ქალიშვილის ნაზ სახეს,

ქუჩის ფარნების შუქი რომ აფერმკრთალებდა. ორივენი იღიმებოდნენ.

მათს ღიმილში მხოლოდ უსაზღვრო ბედნიერება იგრძნობოდა. მაჯიდეს მოაგონდა მათი პირველი გასეირნება. ქალი ისევე აღელდა, როგორც მაშინ, პირველ საღამოს. აკანკალდა, ხმას ვეღარ იღებდა, სისხლი ცხელ ნაკადად უვლიდა ძარღვებში... რაღაც შინაგანი ხმა დაუოკებლად იზიდავდა ამ ყმაწვილისაკენ. უნდოდა მთელი სამყარო დავიწყებოდა, დავიწყებოდა ადამიანები, საკუთარი თავიც კი. უნდოდა მთლიანად მისცემოდა ამ გრძნობას, მისცემოდა ამ სურვილს. თვალები დახუჭა და მაშინაც ომერის ტუჩებს ხედავდა. ხედავდა, როგორ მოძრაობდნენ ლაპარაკისას. ეს ტუჩები აგონებდნენ ქალს. სადღაც გაქრა, გაფრინდა ცხოვრებისადმი ზიზღი და საკუთარი უმწეობის გრძნობა. ახლა კვლავ რწმენით იყო აღსავსე, თავისი ცხოვრების საკუთარი სურვილით აშენების ძალასა გრძნობდა. აზროვნებდა, როგორც ხანდაზმული ადამიანი, როგორც ქალი.

„მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია, მე ძალა შემწევს ომერიც ვიხსნა და ჩემი თავიც. რატომ არ უნდა გავაკეთო ასე? მე ხომ მხოლოდ ის მაკავშირებს ცხოვრებასთან, მე მჭირდება იგი, მასაც ვჭირდები მისი ცხოვრების შესაქმნელად. რა უაზრო იყო ჩემი ცხოვრება, ვიდრე მას გავიცნობდი, ახლა ვხედავ, რომ ვერც ის გაძლებს უჩემოდ... იგი ყოველთვის მართალია, მართალია მაშინაც კი, როცა მისი ნათქვამი ეჭვს იწვევს, აქამდე ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი ერთმანეთის მოძებნა იყო, ორივენი ვეძებდით, ვეძებდით და არ ვიცოდით კი — რას. ახლა დამშვიდებული ვარ იმ ადამიანივით, რომელმაც იპოვნა, რასაც ეძებდა და ახლა არაფერი არ სჭირდება. განა არსებობს ამაზე დიდი ბედნიერება ამქვეყნად? ვის შეუძლია მითხრას, რომ ჩემი გრძნობები ცუდი და სამარცხვინოა მაშინ, როდესაც ჩემი ცხოვრების ყველაზე უბედურ დღეს ისინი უდიდეს ბედნიერებას მანიჭებენ?... რას იტყვიან სხვები, განა ვინმემ რამე გამიკეთა? ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი იმას ცდილობდნენ, რომ ტკივილები მოეყენებინათ, ცდილობდნენ უაზრო გაეხადათ ჩემი ცხოვრება. დღემდე ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგ დროდ მხოლოდ მარტოობაში გატარებული წუთები ითვლებოდა. ომერი პირველი ადამიანია, რომელთანაც ყოფნა მსიამოვნებს, მასთან სიახლოვე ბედნიერებას მგვრის... ვინ არიან ის სხვე-

ბი — დეიდა ემინეს ოჯახი, ჩემი დის გარყვნილი მეუღლე? თუ ჩემი საბრალო დედიკო, ამ ცხოვრების რომ არაფერი გაეგება? მათი ხათრით ბევრი ვითმინე. ახლა კი კეთილი ინებონ და თავი დამანებონ. მეც არაფრით შევაწუხებ, თუნდა მკვდრად მიგულონ, — მაჯიდეს გაეცინა და ომერს ხელი მოუჭირა. — თუ უნდათ მკვდრად მიგულონ; თუმცა მე სწორედ ახლა ვიწყებ ცხოვრებას".

უკაცრიელ ქუჩებში სიგრილე იგრძნობოდა. თენდებოდა, მაჯიდემ შეამჩნია, რომ ომერს თხელი კოსტუმი ეცვა და უთხრა:

— წავიდეთ, თორემ გაცივდები.

ქალმა პირველად მიმართა შენობით. ჯერ არავის წარმოუთქვამს ეს სიტყვა ასე დროულად. ომერი წამოხტა, სახეზე ბავშვური სიხარული ეფინა, მაჯიდეს სიგრილისაგან შეცივებული ლოყები დაუკოცნა. მერე ჩემოდანი აიღო და ქუჩას გაუდგნენ.

ბოლოს ერთ ვიწრო და მრუდე კიბიანი სახლის წინ შეჩერდნენ. ომერმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და რკინის კარი გააღო. კარებს მინა ჰქონდა დატანებული. მაჯიდე წინ გაატარა და კარი კვლავ ჩაჰკეტა. სახლში საოცრად ბნელოდა და მაჯიდემ ომერს ხელი მოჰკიდა.

— კიბე ჩაბნელებულია, — ჩურჩულებდა ომერი, — აგერ უკვე ნახევარი წელია დიასახლისი მპირდება, ნათურას ჩამოვკიდებო, მაგრამ უკვე აღარა მჯერა მისი, თუმცა კაცმა რომ თქვას, ასე ჯობია, ვერავინ ვერ ხედავს, როგორი ჭუჭყიანი კიბეა. როგორმე კარის ჭუჭყიან მინასაც რამე უნდა ავაფაროთ, რომ სინათლე არ გაატანოს... ჩვენს დიასახლისს უკვე სძინავს. სახლში სულ ოთხი ოთახია, ერთი მას უჭირავს, სამს კი აქირავებს. ერთ-ერთ ოთახში ორი ბერძენი ქალიშვილი ცხოვრობს, მკერავები არიან. ზოგჯერ, როცა სადილს შინ აკეთებენ, საოცარი სუნი დგას ხოლმე. მეორე ოთახი ახლახან განთავისუფლდა და ჯერ არავის დაუქირავებია, რატომ გიამბობთ ყოველივე ამას? ჰო, მაქვს მიზეზი. მიძნელდება ზევით ასვლა და იმ დაულაგებელ პატარა ოთახში შესვლა. ასე მგონია, ის ოთახი ჩემს თავსაც შეგაძულებთ.

მაჯიდემ კიდევ უფრო ძლიერ მოუჭირა ხელი და მხოლოდ ეს თქვა:

— წავიდეთ!

მაჯიდე ახლა სისუფთავეზე აღარ ფიქრობდა. ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სადმე შევიდოდა და ჩამოჯდებოდა, ხელიხელჩაკი-

დებულნი კიბეს აუყვნენ. კიბეზე ძველი ფარდაგი ეფინა. ქალი ამოგლეჯილ ფარდაგს რამდენჯერმე წამოედო და წაიბორძიკა. ირგვლივ სიბინძურის, მტვრისა და რაღაც სიდამპლის სუნი იდგა, რაც ასე დამახასიათებელია სახლებისათვის, სადაც წლების განმავლობაში არ შეიხედავს მზე. მაჯიდეს თავბრუ დაეხვა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ჭრიჭინი გაუდიოდა ომერის ყელიან ფეხსაცმელს. ჩემოდანს კი ხან საფეხურს მიახეთქებდა და ხანაც კედელს. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა:

— მოვედით!

სიბნელეში კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კარის სახელური მოსინჯა და შეაღო. მაჯიდეს გაუკვირდა, ოთახის კარი ღია იყო.

ომერმა ქალიშვილს ხელი უშვა და შუქი აანთო. პირველი შეხედვით ოთახი, მაროლაც, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდას სქელი ნაჭერი ეფარა, ქსოვილს თავისი ადრინდელი ფერი უკვე დაეკარგა. მაგიდაზე პირის საპარსი ჭუჭყიანი ნაწილები ეყარა, ლამბაქში საპონი ჩარჩენილიყო.

ჭუჭყიანი, ვარდისფერი აბრეშუმის აბაჟურიდან ნათურის მკრთალი შუქი მხოლოდ მაგიდასა და იატაკის ნაწილს ეცემოდა. საწოლი იქვე, კართან იდგა. ლოგინი ისე იყო არეული, გეგონებოდათ, ზედ უცეკვიათო. საბანი და საწოლის გადასაფარებლის ერთი ბოლო კიდეში იყო მიკრული, მეორე ბოლო იატაკამდე იყო გადმოშვებული.

მაჯიდე შეშინდა, ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. ომერმა ჩემოდანი კუთხეში დადო. მაჯიდეს ქსოვილგადაფარებულ სკამზე მიუთითა და თვითონ ოთახის მოწესრიგებას შეუდგა. ხელის სწრაფი მოძრაობით მაგიდიდან საპარსი, ჰალსტუხი და ტანსაცმლის ჯაგრისი აკრიფა და საწოლის ქვეშ შეყარა. ბალიშის ქვევიდან რამდენიმე ჭუჭყიანი ცხვირსახოცი და პიჟამოს შარვალი გამოიღო და შეეცადა შეუმჩნევლად ჩაედო სარკიანი კარადის ქვედა უჯრაში. კარადა მაგიდის პირდაპირ იდგა. კარადას, მაგიდას და საწოლს თითქმის მთელი ოთახი ეჭირა, ამიტომ ომერი რამდენჯერმე შეეჯახა, მაჯიდეს, სკამსაც არაერთხელ წამოედო. ქალის თვალების დანახვისას დამნაშავესავით იღიმებოდა, თითქოს პატიებას თხოულობსო.

მაჯიდე ოთახს ათვალიერებდა. ძნელი იყო გარკვევა, თუ საით გადიოდა ფანჯარა. ფანჯრებზე ჩამოფარებულ ყავისფერ თუ ნაცრისფერ ბუსუსებიან ფარდებს კარგა მოზრდილი ლაქები აჩნდა.

ლინოლიუმით მოგებული იატაკის ერთ კუთხეში ძველი, გაცრეცილი ხალიჩა ეგო. მაჯიდეს ამ ხალიჩამაც ისეთივე ზიზღი მოჰგვარა, როგორიც კიბეზე გაფენილმა ხალიჩამ.

„აქ ისე მოვედით, რომ არავის შევუმჩნევივართ, — ფიქრობდა მაჯიდე, — იქნებ მას ყოველ ღამე ასე შეუმჩნევლად მოჰყავდა ქალები. შესაძლებელია, მაგრამ მერე რა. ახლა ომერი სულ სხვაა, ვიდრე წინათ. განა მეც არ გამოვიცვალე? განა მეც იგივე მაჯიდე ვარ, რაც ადრე ვიყავი? არავითარ შემთხვევაში! ადრინდელ მაჯიდესთან არაფერი მაქვს საერთო. ახლა ჩემს თავს თვითონაც ვერა ვცნობ. ალბათ, ომერიც არანაკლებ გამოიცვალა... რახან ასეა, უაზრობაა წარსულზე ფიქრი“.

ომერმა ზეწარი გადაბრუნა, კარადა გამოაღო და ბალიშს სუფთა, თეთრი ბალიშისპირი ჩამოაცვა. იგი ყურადღებით დააცქერდა საბნის კიდეებს და უმწეოდ გადააქნია თავი. შემდეგ კარადასთან მივიდა, სუფთა პიჟამო გამოიღო და ბალიშზე დადო. მაჯიდე კვლავ ფიქრებში ჩაეფლო და გული აუჩქროლდა.

„ჰო... ჩვენ ახლა დავწვებით... ერთად? რა თქმა უნდა, ერთად... განა არ ვიცოდი, როცა აქეთ მოვდიოდი. აქ იმიტომ მოვედი, რომ ვიცოდი და მსურდა კიდეც. მაშ რიღასი მეშინია? აი უკვე რამდენი წელია მარტოდმარტო მძინავს. მაგრამ ეს სულ სხვაა... მომეხვევა? შემდეგ მე სულ ახლოს დავინახავ მის ლამაზ ტუჩებს, ვაკოცებ კიდეც... ჰო... და მერე როგორ ვაკოცებ! ოი, ღმერთო, როგორ უსირცხვილო აზრები მომდის თავში... თუმცა, რატომ უსირცხვილო! უკვე შემიძლია ჩემი თავი ქალად ჩავთვალო. განა ქალებს ასეთი აზრებისა რცხვენიათ? მე ვერ ვამჩნევ, რომ ომერი გახარებული იყოს. იქნებ ისიც იმაზე ფიქრობს, რაზეც მე? იქნებ მოუწესრიგებელმა ოთახმა შეაკრთო და დააბნია? მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას? ყოველივე ადრევე ვიცოდი. ხვალ ყველაფერს მოვაწესრიგებ, ოთახს მივალაგებ, სისუფთავის მოყვარული და გამრჯე მეუღლე ვიქნები. რას ნიშნავს „ვიქნები“, განა უკვე არა ვარ? დიახ, უკვე მისი ცოლი ვარ, მაგრამ ჯერ ხომ არ დავქორწინებულვართ? ეს კი ცუდია... ვინ იცის, რას არ იტყვიან ჩემზე. მაგრამ აკი ვთქვი, რომ არავის აზრი არ მაინტერესებს და არავის სიტყვას ყურადღებას არ მივაქცევ-მეთქი? მერე დავქორწინდებით, აუცილებლად დავქორწინდებით. მაგრამ განა ამაზე ლაპარაკი შეიძლება? ომერი რას იტყვის? სხვა დროს მოვითათბირებთ... თმა

შუბლზე ჩამოეყარა. ყოველ' დილით სველი უნდა დაივარცხნიოს, თუმცა ასე უფრო ლამაზია".

ამასობაში ომერმა პიჯაკი და ფეხსაცმელები გაიხადა, ფოსტლები ჩამოიცვა, კარადიდან სუფთა, პატარა პირსახოცი გამოიღო და ნელა გავიდა ოთახიდან. მაჯიდემ ფიქრებს თავი ანება, ადგილიდან წამოხტა, სწრაფად გახსნა ჩემოდანი, საღამური პერანგი ამოიღო და ასევე სწრაფად დაიწყო გახდა. პერანგა დარჩენილი რაღაც შიშმა შეიპყრო, გული აუჩქროლდა, ახლა რომ ომერი შემოსულიყო, ქალი მთელი ხმით შეჰყვირებდა და სადმე დამალვას შეეცდებოდა. მიუხედავად ამისა, ძლიერ უნდოდა ერთხელ კიდევ შეეხედა თავისი თავისათვის, ვიდრე საღამურს ჩაიცვამდა.

კარადის მტვრიანი სარკის წინ დადგა. პერანგი მუხლებამდე წვდებოდა. მუხლებს ქვემოთ ნატიფი ფეხები მოუჩანდა. სარკეში თავისი თავი შეათვალიერა და თმის ვარცხნილობას შეაჩერდა. თმა გაისწორა. სარკეს მიუახლოვდა. ტუჩებზე ღიმილი ეფინა. ეს თითქოსდა გამომშვიდობებისმაგვარი ღიმილი მაჯიდეს ტუჩებს მანამ არ მოშორებია, ვიდრე საღამური არ ჩაიცვა და საბანში არ გაეხვია. მერე განზე გადაგდებული საბანი თავისკენ მოსწია და ომერის ლოდინში მღელვარებისაგან ქანცმილეულმა თვალები მიხუჭა. სახეზე კი ისევ დასთამაშებდა ბავშვობასთან გამოსამშვიდობებელი ღიმილი.

თ ა ვ ი XIII

ომერმა თვალები გაახილა. მაჯიდეს უკვე ეღვიძა. ჩაეცვა კიდეც. ქალი მაგიდასთან იჯდა იმავე ტანსაცმელში, რაც გუშინ ეცვა. და დაფიქრებული იმზირებოდა. ომერი მაჯიდეს მიაჩერდა თითქოს ახლა შეამჩნია, თუ რა მშვენიერი იყო მისი ყელი, თეთრად რომ ელავდა უკან გადავარცხნილ თმებს ქვეშ. „რატომ ვერ გავიგე, როგორ ადგა და ჩაიცვა", — გული დაწყდა ომერს. ნეტა რომელი საათია? — ალბათ, კვლავ დავაგვიანე კანტორაში, ეს კი მეტისმეტია. ისღა მაკლია, ახლა გამომაგდონ სამსახურიდან. მაშინ ნახე ჩემი გასაჭირი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, დღეს კანტორაში უნდა წავიდე. ჩემს წარჩინებულ ნათესავს უნდა მოველაპარაკო. ვეტყვი, დავქორწინდი-მეთქი. თუმცა, აჯობებს, ვუთხრა ცოლის შეროვას ვაპირებ-მეთქი. იქნებ რაიმე უკეთესი ადგილი გამომინახოს, თორემ

ამ ორმოცდაორი ლირით ოჯახს ვერ გამოვკვებავ... მაგრამ ახლა დღევანდელ დღეზე უნდა ვიზრუნო. მგონი, ჯიბეში 35 ყურუშზე მეტი არც მიჭყავის, რა უნდა ვიყიდო ამ ფულით? როგორ ვუთხრა, ფულის საქმე ასე ცუდად მაქვს-მეთქი".

ომერი შეირხა, საწოლმა გაიჭრაჭუნა და ხმაურზე მაჯიდემ თავი მოაბრუნა. გაღვიძებული ომერი რომ დაინახა, გაიღიმა, ამ ღიმილმა მის ფერმკრთალ, ოდნავ გამხდარ სახეს უფრო მეტი მიმზიდველობა მისცა. „მადლობა, ომერ, მე მიყვარხარ, შენ მომანიჭე დიდი ბედნიერება", — ამბობდა მაჯიდეს ეს ღიმილი და ისე გულღიად და გულწრფელად, როგორც ვერ იტყოდა ვერც ერთი სიტყვა. ომერს მოეჩვენა, თითქოს მისი სული ყვავილთა სურნელმა გაავსო და მან ღრმად, ძალზე ღრმად ამოისუნთქა.

ომერი საწოლიდან ჩამოხტა, ჭუჭყიან ხალიჩაზე შიშველი ფეხებით გაიარა, მაჯიდესთან მივიდა, მოეხვია და სახე ლოყაზე მიადო. ასე იყვნენ ერთხანს. ყელზე ეალერსა, კეფაზე, თმის ხვეულებში თითები გაუყარა და თავისკენ მიიზიდა.

მერე ხელი გაუშვა, სწრაფად ჩაიცვა და თქვა:

— კანტორაში შევირბენ, იქნებ ცოტაოდენი ფული ვიშოვო.

მაჯიდემ კვლავ გაიღიმა:

— მე მაქვს რაღაც ფული, ცოტა ხანს გვეყოფა, თვის ბოლოც აგერაა!

ომერი ოთახიდან გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ სახლის მფლობელთან ერთად დაბრუნდა.

— ეს ჩემი მეუღლეა, ქალბატონო, — ეს კი დიასახლისი — ერთმანეთს წარუდგინა ომერმა ქალები.

შესახედავად დიასახლისი ასე, 40-50 წლის ქალსა ჰგავდა. ამ ერთთავად ცხვირჩამოშვებულ დედაკაცს მუდამ შავები ეცვა. კონად მოხვეულ თმას კეფაზე იმაგრებდა. იგი დიდხანს, მდუმარედ ათვალიერებდა მაჯიდეს, შემდეგ ომერს მიუბრუნდა და დამტვრეული თურქულით უთხრა:

— სასიამოვნოა.

მერე მაჯიდესაკენ მიბრუნდა და დაუმატა:

— გვერდით ოთახს მოგცემთ, ის უფრო დიდია. ახლა დავალაგებთ, გამოვხვეტავთ და შეგიძლიათ დღესვე გადახვიდეთ.

ომერმა მაჯიდესთან ერთად ისაუზმა იქვე, მეზობლად მდებარე პატარა სასაუზმეში. მერე ტრამვაიში ჩაჯდა და ფოსტისაკენ

გაემართა. მაჯიდე კი შინ დაბრუნდა მეორე ოთახში გადასაბარგებლად.

ომერმა ქვის საფეხურები სწრაფი ნაბიჯით აათავა და კანტორაში შეირბინა, მაგრამ იქ არავინ დაუხვდა. ყველანი სასადილოდ გასულიყვნენ. თავის მაგიდას მიუჯდა და მაგიდაზე დაწყობილი რამდენიმე ქაღალდი რეგისტრაციაში გაატარა. უსაქმობისაგან აღარ იცოდა რა ექნა და საბუღალტრო წიგნის ფურცვლა დაიწყო. უკვე დიდი ხანია ისიც კი დაავიწყდა, თუ რა დანიშნულებას ასრულებდნენ ეს წიგნები. იგი გრძნობდა, რომ დღეიდან სერიოზულად უნდა მოეკიდოს საქმესახურს, რათა ხელფასს დამსახურებულად იღებდეს. სადმე ხომ მაინც უნდა გქონდეს ფეხქვეშ მყარი ნიადაგი! საკუთარი თავისადმი ამ მოთხოვნილებას წინათ არა გრძნობდა და ახლა ამის გაფიქრებამ ჯერ ძალზე გაახარა, მერე კი ჩააფიქრა, „რა უცებ ვიცვლები!“

ჩინოვნიკებმა სადილობიდან დაბრუნება იწყეს. ისინი გაოცებით აცქერდებოდნენ ომერს, უკვირდათ მისი დღევანდელი გულმოდგინება. უსიტყვოდ ესალმებოდნენ და თავიანთ ადგილებს იკავებდნენ. ომერს უნდოდა მისულიყო თითოეულ ჩინოვნიკთან და ეთქვა: „ცოლი შევირთე, დავქორწინდით სწორედ დღეს. ახლა ოჯახი მყავს. დღეიდან მეც ბევრი თქვენგანივით იმის ფიქრით მოვალ, თუ როგორ უნდა ვიშოვნო პური არსობისა და შევეცდები უფროსობა არ გავაბრაზო“. მერე უცებ თავში გაუელვა. „რა დაქორწინება, რის დაქორწინება. არც ნიშნობა და არც ბეჭედი. დამცინებენ. ანდა რა აუცილებელია მათ ვუთხრა. განა მათ საკუთარი თავის გარდა სხვა რამ აინტერესებთ? მხოლოდ გასაჭორად თუ იკითხავენ რამეს“.

მაგრამ მას არ შეეძლო მოლარისთვისაც დაემალა თავისი სიხარული. ამასთან ერთად საჭირო იყო რამდენიმე ლირას დასესხებიდა ჰიუსამედინ ეფენდის. მართალია, მაჯიდეს - ფულით თვის ბოლომდე გაიტანდნენ თავს, მაგრამ ტრამვაის ფულსაც ხომ მაჯიდეს ვერ მოსთხოვდა?

ომერი წამოდგა და ჰიუსამედინ ეფენდის ოთახისაკენ გაემართა. კარის ზღურბლს რომ გადააბიჯა, გაოცებული შედგა. მხოლოდ ერთი კვირა არ ენახა ომერს მოლარე და როგორ შეცვლილა. თმა მოზრდოდა, თვალები ჩაცვენოდა, გამოთაყვანებული და ველური კაცის შეხედულება ჰქონდა.

— რა მოხდა ჰიუსამედინ ეფენდი, ავადა ხარ? — შეძახა ომერმა.

მოხუცმა სათვალე შუბლზე აიწია და ომერს მიაჩერდა. ომერმა იგრძნო, რომ მოხუცი მას კი არ შესცქეროდა, არამედ ერთ წერტილს მიშტერებოდა, რომ აზრები მოეკრიბა.

— მთელი კვირაა ერთმანეთი არ გვინახავს, — თქვა ომერმა, — ჩემს თავს დიდი ახალი ამბებია.

— დაჯექი, მიამბე.

აშკარა იყო, რომ ეს სიტყვები მოხუცმა სხვათა შორის თქვა, იგი სულ არ ფიქრობდა ომერის საქმეებზე და თავში სხვა ამბები უტრიალებდა.

— ჯერ თქვენ მითხარით რაშია საქმე, ვგრძნობ, რაღაც გაწუხებთ.

— მე ნურაფერს მკითხავ, შენ მოყევი, რა მოხდა, — უპასუხა მოხუცმა.

„ღმერთო ჩემო, ნეტა რა მოსდის ჩვენს ჰაფიზს? — გაოცებული ფიქრობდა ომერი, — წინა შეხვედრაზე რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა, მაგრამ დღეს სულ სხვაა. თუმცა ჩემი დაჟინება არცაა საჭირო, თვითონვე მეტყვის, გული ვერ მოუთმენს.

— იცით, მე ცოლი შევირთე!

ჰიუსამედინი ცოტათი გამოცოცხლდა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— როდის? ვინ? სადა? ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

ომერს გაეცინა:

— თქვენ აბა საიდან გეცოდინებოდათ? მეც ვერ გავიგე, ისე უცებ მოხდა ყველაფერი, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მე ახლა მყავს ცოლი, რომელსაც რჩენა უნდა.

ჰიუსამედინ ეფენდიმ თანაგრძნობით შეხედა ომერს:

— ბედნიერებას გისურვებთ, ღმერთმა ჰქნას, კეთილად დამთავრდეს ყველაფერი. მე კი... მე კი მგონია, რომ ჭკვიანი ბიჭი ხარ.

ომერმა შეამჩნია, ჰიუსამედინ ეფენდის სულ სხვა რამის თქმა უნდოდა. — „მეგონა, ჭკვიანი ბიჭი იყავიო“, მაგრამ თავი შეიკავა

— რაო, სისულელე ჩავიდინე? — ღიმილით უთხრა ომერმა.

— არა, ჩემო კარგო, მე მგონია, რომ არა.

მერე ომერი მოყვა, თუ რა გადახდა თავს. მოყოლისას ბევრი რამ შესცვალა, რათა მაჯიდე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაე-

ყენებინა. არ უნდოდა, ვინმეს ცუდი ეფიქრა მაჯიდეზე. როცა ომერი თხრობას ამთავრებდა, ჰიუსამედინ ეფენდი კვლავ თავის ფიქრებში ჩაბიძირა, ომერი დარწმუნდა, მოლარეს არაფერი ესმისო. დარდი შემოაწვა გულზე და თავის მაგიდასთან დაბრუნდა. საღამომდე ისე იჯდა, არაფერი გაუკეთებია, შრომის დიდი სურვილით იყო აღსავსე. კანცელარიის უფროსსაც რამდენიმეჯერ მიადგა, უნდოდა ნუსხის შესახებ განმარტებანი მიეღო, მაგრამ ამაოდ, კანცელარიის უფროსი ღიმილით პასუხობდა და ღიმილით ეუბნებოდა „ვის ატყუებ, გეთაყვა, მშვენივრად ვიცით, რა შვილიცა ხარ და ვისი წყალობით ზიხარ აქ“.

როცა ჩინოვნიკებმა მაგიდების უჯრები მიკეტეს და წასასვლელად გაემზადნენ, ომერი მიხვდა, სამუშაო საათები მთავრდებოდა. სასიამოვნო მღელვარებამ შეიპყრო, ახლა ისიც წავიდოდა შინ. იქ კი მაჯიდე ელოდა. მხოლოდ ახლა არ შეჭმუხნულა თავისი ოთახისა და ბერძენი დიასახლისის გახსენებაზე. სამსახურისადმი ერთგულებისა და ვონდომების ნატამალიც არ დარჩა. ქუჩაში გავარდა და შინ წასვლა მოუნდა, მაგრამ კარებში მოლარეს შეეფეთა და გაახსენდა, რომ მისგან ფულის სესხებას აპირებდა.

— თქვენთან მოვდიოდი, — იცრუა ომერმა.

— მეც შენთან მოვდიოდი, ერთად წავიდეთ.

ქუჩაში გამოსვლამდე ჰიუსამედინ ეფენდის კრინტი არ დაუძრავს. ისინი სირქეჯისაკენ[1] გაემართნენ.

— ყური მათხოვე, შვილო, ყველაფერი, რაც დღეს მიამბე, მართალია? — იკითხა მოხუცმა.

— სერიოზულად მეკითხებით? — სიცილით უპასუხა ომერმა.

— აბა რა ვიცი. როგორც ჩანს, ჩქარი ყოფილხარ.

რამდენიმე ნაბიჯი ისე გაიარეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია.

— უხერხულია ახლადდაქორწინებული კაცი აიყოლიო, მაგრამ ჯანდაბას, წამო, თითო ჭიქა დავლიოთ. შენთან სალაპარაკო მაქვს და მეტად სერიოზულიც. რამდენად ცუდად უნდა მქონდეს საქმე, რომ შენ ჭკუას გეკითხებოდე!

ომერს არ უნდოდა ამ საქმეში გარევა, განსაკუთრებით კი დღეს, მაგრამ ჰიუსამედინის სახემ შეაშფოთა. მიუხედავად თავისი

---

[1] სირქეჯი — სტამბოლის უბანია.

ახირებული ხასიათისა, ომერი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, თხოვნაზე რომ იშვიათად ამბობენ უარს.

არაერთხელ გაუჩერებია ომერი ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ რომელიმე ნაცნობ-მეგობარს. ომერს ეჩქარება, ის კი მთელი ნახევარი საათი, ზოგჯერ უფრო მეტი ხანიც სულელურ ლათაიებს ჰყვება. ომერს ერთხელაც არ გაუბედავს ეთქვა: „კმარა, საქმეზე გავრბივარ“, ამჯერად კი მასაც აინტერესებდა, რას ეტყოდა ჰიუსამედინი.

— კეთილი, წავიდეთ, მხოლოდ მე არაფერს არ დავლევ, — გადაწყვიტა ომერმა.

ტრამვაის სადგურთან პატარა ლუდხანაში შევიდნენ. მარჯვნივ დახლი იდგა, მარცხნივ კი — ერთიმეორის მიყოლებით — სამი პატარა მაგიდა. ერთ-ერთ მაგიდაზე ცალთვალა და ცალხელა კაცი იჯდა. იგი არაყს სვამდა და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. ყოველი ჭიქის შემდეგ სახე საოცრად ემანჭებოდა.

ჰიუსამედინმა უცებ მოსვა რამდენიმე ყლუპი და ომერს დაუცადა, მერე კი ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო.

— კარგა ხანია ეს ამბავი გრძელდება, ორ თვეზე მეტია... შენ კარგად მიცნობ, იმ ადამიანებს არ ვგავარ, საქმის გაზვიადება რომ უყვართ. მთელი ქვეყანა კაპიკიც არ მიღირს, მაგრამ აი, ჩემს უნებურად ერთ ისეთ საქმეში გავები, როგორშიაც არასოდეს მიმიღია მონაწილეობა, თვით შემთხვევითაც კი, მაგრამ ამ ამბავმა სულმთლად ამირია გზა-კვალი, მეშინია, სულ არ დავკარგო წონასწორობა, და ამ საქმიდან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაც ხელიდან არ გავუშვა. შენ კარგად იცი ჩემი ხასიათი, სხვისი რჩევა-დარიგებით არ ვცხოვრობ. არ მიყვარს ასეთი რამ, მაგრამ ახალგაზრდა ხარ და იქნებ შენმა ახალგაზრდულმა გონებამ მოიფიქროს რაიმე. ძალიან არ გაგიგრძელებ, მოკლედ მოგიყვები თავიდან ბოლომდე. არ ვიცი, შენთვის მითქვამს თუ არა. ერთი ცოლის ძმა მყავს, რომელიც უძრავი საქონლით საკომისიო ვაჭრობას ეწევა. მისი კანტორა აქვეა, სირქეჯიში. უძრავი საქონელი მისთვის საფარველია, თორემ არ არსებობს არავითარი საქმე, სადაც თავის ცხვირს არ ჩრიდეს. დაწყებული მიწების ყიდვა-გაყიდვით, დამთავრებული ლუდხანებისა და თეატრალური კომპანიებისათვის მოახლე და მოცეკვავე გოგონების მომარაგებით. ხან უცებ გამდიდრდება და საკუთარი მანქანით გვესტუმრება, ხან კი პოლიციელი

მიათრევს განყოფილებაში. მაინცდამაინც კარგ დამოკიდებულებაში არ ვიყავით ერთმანეთთან, მაგრამ რას იზამ, ნათესავი მაინც ნათესავია. ამ ბედოვლათს ორი ისეთი ქალიშვილი ჰყავს, ცქერით ვერ გაძღები. შვილებივით მიყვარს ორივე. საკმარისია ჩემი ცოლისძმა რაიმე თაღლითობაზე ჩავარდეს, რომ მისი დამშეული ცოლ-შვილი ჩემთან გადმოვიდეს საცხოვრებლად. ხოლო ორი სამი თვის შემდეგ ეს ჩვენი ისმაილ ბეი, ესე იგი ჩემი ცოლისძმა, იმ დროს, როცა მე შინ არა ვარ, მანქანით მოაკითხავს ცოლ-შვილს და ისევ წაიყვანს.

აგერ უკვე თხუთმეტი წელია ასე გრძელდება. უკანასკნელ ხანს ისეთი არაფერი გამიგია. ამ ორი თვის უკან კი კანტორაში ვიღაც ტიპმა მომაკითხა. თავი ადვოკატად გამაცნო და მითხრა, ისმაილ ბეი დააპატიმრეს და თქვენი ნახვა სურსო. „ესეც ახალი უბედურება“, გავიფიქრე მე. კანტორაში ცოტა ხნით დავეთხოვე და წავედი საპატიმროში. ჩემმა ცოლისძმამ გრძელი ამბავი მომიყვა. თურმე ერთი უცოლო კაცისათვის შინამოსამსახურე უშოვნია, შინამოსამსახურე მცირეწლოვანი გოგო ყოფილა. შინამოსამსახურესა და უცოლო კაცს შორის რაღაც ამბები დატრიალებულა. ასე რომ ჩვენი კეთილშობილი და პატიოსანი ისმაილ ბეი ერთ ხნიერ ქალთან ერთად დააკავეს, როგორც მეძავეობის ხელისშემწყობნი. „ძმაო, მიშველე, თუ ღმერთი გწამს, — მეხვეწება ისმაილ ბეი, — ამ საქმეში არაფერი ბრალი არ მიმიძღვის, ჩემმა მდივანმა ჩაიდინა ყველაფერი, ჩემთვის სიტყვაც არ უთქვამს, ვერაფერსაც ვერ მიზამენო“. იმ პირუტყვს ძალიან უყვარს ბაქიობა, ერთთავად გაიძახის: „ჩემმა მდივანმაო“, „ჩემმა ადვოკატმაო“, „ჩემმა აგენტმაო“, დიდ საქმოსან კაცად მოაქვს თავი. ბოლოს გავიგე, ორასი ლირა სჭირდებოდა. თუ სათავდებო ფულს შევიტანდი, გაანთავისუფლებდნენ. „ორმოცი ორგანიზაციიდან ფული მერგება, ბანკებშიც მაქვს ფული, მაგრამ ახლა ვერ ავიღებ, რადგან დაპატიმრებული ვარო, მეუბნება, თანაც არ მინდა, ვინმემ გაიგოს ეს ამბავი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, თუ ღმერთი გწამს, რაიმე გამიხერხე და როგორც კი გამოვალ, მაშინვე გაგისტუმრებო“. ვერ მივუხვდი რაში იყო საქმე, მაგრამ ის უნამუსო ბევრი მეხვეწა, მერე ისეთი სახე მიიღო, თითქოს განაწყენებული იყო და კინაღამ არ იტირა. მერე კი გაიოცა, რომ ასეთი პატარა თანხის მიცემისა მეშინოდა. „ვნახოთ, რაიმეს მოვიფიქრებ-მეთქი.“ — ვუთხარი ბოლოს. „შემიბრალე, ამდენი დასაფიქრებელი რა გაქვს, ათასი საქმეებია მოსაგვარებელი, ყოველი

საათის გაცდენა ფული მიჯდებაო“, მეც. სულელმა ავდექი და დავუჯერე. კანტორაში მივედი და დავფიქრდი. ვის დავესხებოდი ფულს. ორასი ლირა ხომ საკმაოდ დიდი თანხაა. ამ დროს გამახსენდა მისი შვილები და შემებრალნენ. ისმაილ ბეი ისე კარგად იყო ჩაცმული, ვიფიქრე, ფულებში ზის-მეთქი, თანაც მითხრა, გამოვალ თუ არა, იმ დღესვე გაგისტუმრებო. მეც ავიღე სალაროდან ორასი ლირა და მის სათავდებოდ შევიტანე. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ტრაგედია, ისმაილ ბეი რა თაღლითიც იყო, იგივე დარჩა. რომ გამოუშვეს, მივედი და უთხარი: „აბა ძმობილო, წამოდი, ფული მომეცი, ხომ იცი, სალაროში უნდა დავაბრუნო-მეთქი“. ახლა გვიანაა, ხვალ მოვიფიქრებთ რამესო, მიპასუხა და ჩემთვის უკვე ცხადი გახდა ყველაფერი, თვალები ამეხილა, მე ხომ თავიდანვე ვიცნობდი მას. ჩავები ბრძოლაში, რომლის დასასრულიც ჩემთვის უკვე ცხადი იყო. აკი გითხარი ყოველგვარი იმედი გადაწურული მქონდა-მეთქი, ამაში მაშინ უფრო დავრწმუნდი, როცა მის ეგრეთ წოდებულ კანტორაში შევედი. კანტორა კი არა, სოროს მსგავსი ოთახი იყო. ორმოცი ორგანიზაცია და ბანკები, საიდანაც მას თითქოს ფული ერგებოდა, ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა, ნემსის ყუნწში რომ გამძვრალიყო ათ ლირასაც ვერსად იშოვიდა, გასაყიდი კი, უკვე კარგა ხანია არაფერი ებადა. ახლა მე დავუწყე უაზრო ხვეწნა-მუდარა. წარმოიდგინე, მთელი ცხოვრების მანძილზე არავისთვის არაფერი მითხოვნია. ვახსენებდი ჩემს ცოლს, შვილებს, სამსახურს, სადაც ოცი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერი კაცის სახელი მქონდა, მაგრამ ეს ნამუსგარეცხილი ხომ კაცი არ არის. კიდეც რომ იყოს, რისი გაკეთება შეეძლო? ჩემი მოტყუების გარდა არაფერი დარჩენოდა, თუმცა პირველი უნამუსობა მაშინ ჩაიდინა, როცა ციხეში მომატყუა. მერე კი ყველაფერი იმის გაგრძელება იყო. ბოლოს როცა დაინახა, რომ თითქმის ვტიროდი, მითხრა: „აბა, რა უნდა ვქნა, ძმობილო, ხომ ხედავ რა დღეშიცა ვარ, ცუდადაა ჩემი საქმეები, იქნებ სხვა რამ მოიფიქრო, მერე კი ჩემი საქმე დამთავრდება, სათავდებო ფულსაც დაგიბრუნებენ და ყველაფერი მოგვარდება!“ იმ უნამუსოს არა სჯეროდა, რომ მე ფულს ვერ ვიშოვნიდი. მის საქმეს კი ბოლო არ უჩანდა, არც ისეთი საქმეა, რომ სამ კვირაში დამთავრდეს. მე კი პირველ რიცხვამდე უნდა შემეტანა ფული სალაროში. კომისია რომ მოსულიყო, მაშინ ხომ კიდევ უფრო ადრე გამომჟღავნდებოდა ჩემი ნამოქმედარი. პირვე-

ლი რიცხვიც დადგა. დროდადრო სამსახურიდან ვიკარგებოდი ხოლმე. რამაც ყველა დააეჭვა, აბა რა უნდა მექნა? რომ არაფრის იმედი არა მქონდა. წავიდოდი და დირექტორს თვითონ ავუხსნიდი საქმის ვიფარებას, მაგრამ ხომ იცი, რაც არის ეს წყეული იმედი, დიახ, იმ იმედით, რომ ისმაილ ბეის საქმე მალე დამთავრდებოდა და ფულს დამიბრუნებდნენ, კიდევ უფრო შორს შევტოპე. ბალანსის შედგენისას და სალაროში დარჩენილი ფულის ანგარიშის გამოყვანისას საბუღალტრო წიგნში რამდენიმე შეცდომა დავუშვი. უფრო სწორად, ჩავიდინე ნამდვილი სიყალბე. ვიფიქრე, თუ ფული დავიბრუნე, წიგნში შეაწორებას შევიტან, ამ საქმიდან გამოვძვრები-მეთქი. დიდი-დიდი — საყვედური ეთქვათ, მეტს ვერაფერს მიზამდნენ. მაგრამ აგერ ორი თვე გადის და ფული არა ჩანს. მის მოლოდინში უფრო მეტ სიყალბეს ჩავდივარ, რათა საქმე არ გამომჟღავნდეს და არ ჩავვარდე. ვგრძნობ, ყოველ დღე უფრო და უფრო ღრმად ვეფლობი ჭაობში, მაგრამ რა ვქნა?

— შენი ცოლისძმის სასამართლო როდის არის?

— სასამართლო? გუშინ ვიყავი ამბის გასაგებად. ჰარაბოლუდან მოწმეს ელოდებიან, ბარტინიდან კი მოწმის ჩვენებას. როგორც ჩანს, ისმაილ ბეის კვლავ ჩასვამენ, ამიტომ ახლა თვითონვე აჭიანურებს სასამართლოს დაწყებას. მე კი მინდა, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. თუ ასე არ მოხდა, დავიღუპები. სასამართლოზე ვის გაამართლებენ და ვის გაამტყუნებენ, არც მაინტერესებს.

ჰიუსამედინ ეფენდი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ზოგჯერ მინდა ყველაფერში გამოვტყდე, რომ ბოლო მოვუღო ამ წამებას, მაგრამ როგორ; ცოლსა და შვილებს რა ვუყო? ჯერ არც ერთ მათგანს თავის რჩენა არ შეუძლია, შიმშილით მოკვდებიან. ექვსი სული ცოტა ხომ არ არის, თანაც, ამ სიყალბისათვის ალბათ, ხუთ წელზე ნაკლებს არ მომისჯიან. შენ რას იტყვი, ამდენ ხანს ციხეში გავძლებ?

წარბშეკრული ომერი ხმას არ იღებდა.

— ჰო, — თქვა ბოლოს მან, — მართლაც, დიდ ხათაბალაში გაბმულხარ, გამოდის, რომ ფულს ვერსად შოულობ? რა დაგრჩენია, მხოლოდ პროცესის დამთავრებას უნდა ელოდო.

ჰიუსამედინმა ისე დააქნია თავი, თითქოს ამბობდა, ეს ხომ უშენოდაც ვიცი. ჭიქა გამოსცალა და წამოდგა. ქუჩაში გამოვიდნენ.

— ყველაფერი ეს იმიტომ კი არ გიამბე, რომ რჩევას ველი, უბრალოდ, ლაპარაკი მინდოდა, მეგონა, დარდი შემიმსუბუქდებოდა, მაგრამ პირუკუ მოხდა. როცა გიამბობდი, დავრწმუნდი, რომ ძალიან ცუდად მაქვს საქმე, იმდენად ცუდად, რომ უარესი არ შეიძლება. მივხვდი, — უკანასკნელ მომენტამდე თავის მოტყუებას ვცდილობდი. ახლა კი აღარავითარი იმედი არა მაქვს. ჩემთვის ცხადი გახდა, ველარაფერი მიშველის.

— შენ რაღაც უნდა გეთქვა ჩემთვის, — უცებ შეცვალა მოხუცმა საუბრის თემა — აბა მითხარი, რა გაწუხებს?

— მე? როდის? — უკვე დაავიწყდა ომერს, ფულის სესხება რომ უნდოდა.

— აკი, მითხარი შენთან მოვდიოდიო, ალბათ ფული გჭირდება, არა?

ომერს მხოლოდ ახლა გაახსენდა თავისი განზრახვა და უსიტყვოდ შეხედა ჰიუსამედინს.

— რამდენი გინდა? — ჰკითხა მოხუცმა.

— ორი-სამი ლირა მინდოდა, მაგრამ...

— დარდი ნუ გაქვს, — მწარე ღიმილით თქვა მოლარემ, — ხელფასიდან რაღაც გროშები დამრჩა. ნაპარევი არ არის, ჩემია, საკუთარი. წაიღე!

მოხუცმა საფულე ამოიღო, საფულეში ქაღალდის ოთხი ლირა იდო და სამი ომერს გაუწოდა. ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

თ ა ვ ი XIV

ომერს თუმცა ორ ჭიქაზე მეტი არ დაულევია, მაგრამ თავი მაინც უბრუოდა. უკვე საღამო იყო და ქუჩებში ხალხი მოძრავლებულიყო. გამვლელთა სახეებს ვიტრინების შუქი დასთამაშებდა. უკვე ყველას დაემთავრებია თავისი უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეები, მოეგვარებიათ მნიშვნელოვანი კომბინაციები და ახლა საკუთარ ოჯახებში გარბოდნენ, რათა ასევე მნიშვნელოვნად ესადილნათ და მნიშვნელოვნადვე დაეძინათ.

ქუჩა ჭიანჭველების ბუდეს დამსგავსებოდა, მხოლოდ ეს იყო, რომ აქ უფრო უწესრიგობა და არეულობა იგრძნობოდა. ომერი ნელ-ნელა მიჰყვებოდა ქვაფენილს და ხან ვის შეეჩეხებოდა და ხა-

ნაც ვის. უცებ გაახსენდა, რომ შინ აგვიანდებოდა და ლამის სირბილით გაქანდა.

„აბა ეს რასა ჰგავს, — ფიქრობდა იგი, — დღეს დავქორწინდი და დღესვე დამავიწყდა, რომ შინ ცოლი მელოდება და ვიღაცას გავყევი. მართალია, ჰიუსამედინი ცუდ დღეშია, მაგრამ ჩემი ცოლი რატომ არ მომაგონდა ან არყის დალევაზე მაინც როგორ დავთანხმდი? მაგრამ ეს როდია მთავარი. მე თვითონ რომ მსურვებოდა დალევა, მაშინ ასე არ დამქეჯნიდა სინდისი. ვიფიქრებდი სწორად მოვიქეცი-მეთქი, მაგრამ ჰიუსამედინს იმიტომ კი არ გავყევი ბარში, რომ დალევა მინდოდა, არამედ იმიტომ, რომ ვერავის ვერ ვეუბნები უარს. ნუთუ ასე ადვილია ჩემი დათანხმება. და ყოველგვარ საქმეში ჩაბმა? როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევაში ნებისყოფა მღალატობს. ან არადა, როგორ შეიძლებოდა დამვიწყებოდა მაჯიდე... ოჰ, ეს დაბნეულობა და გაფანტულობაა, უცებ რაღაც სიცარიელეში ვვარდები და ამქვეყნად ყველაფერი მავიწყდება. რაღაც უნდა მოვუხერხო თავს. მაჯიდეც დამეხმარება. ჩემს სუსტ მხარეებს გავაცნობ. ეს საჭიროა, ჯერ ერთი — იმიტომ, რომ ქალი არ მოვატყუო, მან ყველაფერი უნდა იცოდეს ჩემს შესახებ და, მეორეც, სწორედ ის უნდა დამეხმაროს ამ სისუსტეების დაძლევაში. საოცარი გოგონაა! ან რა უბრალოდ უჭირავს თავი!.. არასოდეს არავის არ ბაძავს. ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა მხოლოდ მისია, საკუთარი.

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო იზრდებოდა, მისი მოუთმენლობა. კიბე მძიმე სუნთქვით აირბინა, შესასვლელში ბნელოდა, როგორც კი ხელი კარის სახელურს წაავლო, უკნიდან ნიჰადის ხმა მოესმა:

— სად დაიკარგე, ძმობილო? აგერ მთელი საათია გელოდებით, არსად რომ არ გამოჩნდი, ჩვენ თვითონ მოგაკითხეთ. სახლის პატრონმა გვითხრა, შინ არ არისო და რატომღაც ოთახში არ შეგვიშვა. ჰოდა, აი, გელოდებით ამ სიბნელეში.

ომერმა სინათლე აანთო და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ნიჰადი მარტო არ იყო.

— ოჰ, ჰიქმეთ ბეის ვახლავარ! სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა. მობრძანდი, — ომერმა ხელი ჩამოართვა დაბალ კაცს, იგი იმდენად დაბალი იყო, რომ არ ჩანდა. ჰიქმეთი უნივერსიტეტში ერთ-ერთი აღმოსავლური ენის კურსს კითხულობდა და თავის ნაცნობების წრე-

ში საოცარი სიმახინჯით იყო განთქმული. ეს სიმახინჯე იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველად მნახველ კაცს ძრწოლას გვრიდა. ჰიქმეთს ამავე დროს იცნობდნენ, როგორც კეთილი ბუნების ადამიანს, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა მის შესახედაობას. ჰიქმეთ ბეის პაწია სახე დიდ, მოღრეცილ ცხვირს სანახევროდ დაეფარა. საოცრად აქერცლილი და ლაქებიანი სახის კანი ჰქონდა, თითქოს მუნი სჭირსო. მოკლე და კოტიტა თითებს ამობურცული ფრჩხილები შეზრდოდა. ყოველივე ეს იმდენად შემაზრზენი იყო, რომ თვალების დახუჭვა მოგინდებოდათ. ბუნებამ, ასე დაუნდობლად რომ მოექცა მის გარეგნობას, სამაგიეროდ სული დაინდოო, — ამბობდნენ მის შესახებ. ჰიქმეთ ბეი წარმოშობით მარაშიდან იყო, ყოველთვის თანამემამულეებთან ერთად დადიოდა, ეხმარებოდა მათ, აწყობდა სამსახურში, ზოგიერთს თავის სახლშიაც კი აცხოვრებდა, იყენებდა ყოველნაირ შემთხვევას, რათა თავის ნაცნობებს დახმარებოდა. მეტისმეტად დაბალ ჰიქმეთს სიარულის დროს თავი ერთთავად წინ ჰქონდა წაწეული, ქუჩაში ძვლის სახელურიანი ჯოხის კაკუნით მიაბიჯებდა, როცა სხვას უსმენდა, უწამწამო ქუთუთოებს დაბლა ხრიდა და ასე თვალდახუჭული უსმენდა... ბაიაზეთის უბნის კაფეებში შუაღამემდე იჯდა და უნივერსიტეტის სტუდენტობასა და ინტელიგენციასთან კამათში ატარებდა დროს. მსჯელობდა აღმოსავლურ ლიტერატურაზე, მისტიციზმზე, ჰეროიკულ პოემებზე. დიდად არ აინტერესებდა, უსმენდნენ თუ არა, თვალებს მოხუჭავდა და თაბარის[1] ნაწარმოებებიდან მთელ გვერდს ზეპირად კითხულობდა. ხმას ხან დაუწევდა, ხან აუწევდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი ომის სცენებს აღწერდა, პირდაპირ ყვირილზე გადადიოდა. ერთმანეთს ჯაჭვივით აბამდა კეთილხმოვან არაბულ თუ სპარსულ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმისას ტუჩებს რაღაც საოცრად გრეხდა. აღფრთოვანებული მსმენელები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, თითქოს ამბობდნენ: „რა ერუდიცია აქვს ამ კაცს, რა მგზნიერება!“ ეშხში შესული მსმენელები ზოგჯერ ყვიროდნენ კიდეც: „ბრავო, მაესტრო, ბრავო!“

ომერმა სკამი აიღო და სტუმრებს მიუჯდა.

— როგორა ხართ?

— კი, მაგრამ, სად დაიკარგე? — ჰკითხა ნიჰადმა.

---

[1] აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნ ჯარირ თაბარი (838—932) — არაბი ისტორიკოსი და ყურანის განმმარტებელი.

თითქოს რაღაც გააცხენდა, ომერი სკამიდან წამოხტა და თქვა:

— როგორ, განა თქვენ არ იცით? ცოლი შევირთე! შემიყვარდა და შევირთე!

სტუმრებს ვერაფერი გაეგოთ და გაოცებული შეჰყურებდნენ ომერს.

— რა გაოცებული შემომცქერით? ეს ყველაფერი ერთ კვირაში, ათ დღეში მოხდა... ჩემს ცოლს რომ ნახავთ, დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ და მოგილოცავთ.

— უნახავადაც მინდა ბედნიერება ვუსურვო, — წარმოთქვა პროფესორმა ჰიქმეთმა.

ნიჰადს მაინც არა სჯეროდა ომერის ნათქვამი.

— ვინ არის? როდის მოხდა ეს ამბავი!

— გუშინ საღამოს.

— შენ მთვრალი ხარ, — თქვა ნიჰადმა და პროფესორს მიუბრუნდა, — სისულელეებს როშავს, ნასვამია და რაღაცას მაიმუნობს. დაჯექი, ერთ სერიოზულ საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ.

— დამიცადეთ, — თქვა ომერმა, — ახლავე ჩემს ცოლს გაგაცნობთ. შებრუნდა და ის იყო ოთახში უნდა შესულიყო, რომ უცებ შედგა, კარი ნახევრად ღია იყო და ოთახში მაჯიდეს მოხდენილ ტანს მოჰკრა თვალი. სინათლე ქალის თმებს ეცემოდა, სახე არ ჩანდა, მაგრამ ომერმა მაინც შენიშნა, რომ მაჯიდე ჩვეულებისამებრ არ იღიმებოდა, პირიქით, ჩაფიქრებული ქალი მკაცრად იყურებოდა. ომერი მიუახლოვდა ცოლს. ვაჟი თავის დანაშაულს მიხვდა და თავს უხერხულად გრძნობდა.

— აქა ხარ?

მაჯიდემ მდუმარედ შეათვალიერა ომერი, თითქოს ეუბნებოდა: „აბა სად უნდა ვიყო?“

— აკი მეორე ოთახში უნდა გადავსულიყავით, — სცადა ნათქვამის გამოსწორება ომერმა, — დიასახლისი ხომ დაგვპირდა?

მაჯიდეს მოეწონა ვაჟის მიხვედრილობა და უპასუხა.

— უკვე გადავედით, კიდევ დამრჩა რაღაცეები, თანაც იმ ოთახში ნათურა არა გვაქვს. შენ გელოდი!

— ახლავე წავალ და ვიყიდი, — თქვა ომერმა, რომელსაც სულ დაავიწყდა, რომ სტუმრები ჰყავდა.

მაჯიდე ოთახში შევიდა, ჩანთა გამოიტანა და იკითხა:

— რა ღირს ნათურა?

— მე მაქვს ფული, — უპასუხა ომერმა და ჩაფიქრდა: „რატომ მეკითხება ნათურის ფასს? რას ნიშნავს ეს? ნუთუ ეშინია იმაზე მეტი მომცეს, ვიდრე ნათურა ღირს? საოცარია“. მაგრამ ომერს მაშინვე შერცხვა თავისი აზრებისა „სისულელეა... ამაზე ფიქრიც კი სირცხვილია. ალბათ უბრალოდ დაინტერესდა, რა ღირს ნათურა!“

— აკი მითხარი, მხოლოდ ოცდახუთმეტი ყურუში მაქვსო, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ქალმა და ხუთი ლირა გაუწოდა, — აჰა, ესეც წაიღე, თორემ, რომ არ გეყოს, რას შვრები!

ომერს კინაღამ ტირილი წასკდა. მაჯიდე ოთახში შეაბრუნა, კარი ფეხით მიხურა და ორივე ხელი კისერზე მოხვია ქალს.

— მაჯიდე... ჩემო ცოლო... რა ცუდი კაცი ვარ, რომ იცოდე... მხოლოდ შენ შეგიძლია ადამიანად მაქციო! — ჩურჩულებდა იგი.

— ომერ, რა მოგივიდა? — გაოცდა მაჯიდე.

ომერმა ვერ გაუმხილა თავის ეჭვი.

— ასე გვიან, რომ მოვედი...

— სულ ეს იყო? — იკითხა მაჯიდემ და პატარა ხნის შემდეგ დასძინა:

— ასეთ რამეებს ნუ იტყვი, რა საჭიროა.

ომერი უშალ მიხვდა, რას გულისხმობდა მაჯიდე. ქალს არ სჯეროდა ვაჟის. არც მისი თავის მართლების მოსმენა უნდოდა. ომერი დაიბნა, რა ექნა, არ იცოდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ასეთ მძიმე წუთებში მას მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდა — გაქცევა. მაჯიდეს მოცემული ფული ჯიბეში ჩაიდო და წარმოთქვა:

— წავალ, ნათურას ვიყიდი, რომ ეხლავე გადავიბარგოთ მეორე ოთახში.

კარი რომ გამოაღო, პროფესორი და ნიჰადი დაინახა.

— ოჰ, მაჯიდე, სულ არ დამავიწყდა? გამოდი, ამხანაგებს გაგაცნობ.

ომერმა მაჯიდეს ხელი გაუყარა და შემოსასვლელში გამოიყვანა. პროფესორი და ნიჰადი თავაზიანი ღიმილით წამოიჭრნენ ადგილიდან.

— ეს ჩემი მეუღლეა, ეს კი პროფესორი ჰიქმეთი და ჩემი ამხანაგი ნიჰადი! — თქვა ომერმა და მაჯიდეს მოუბრუნდა, — ერთი წუთით აქ დამელოდე, ნათურაზე გავიქცევი.

ომერმა სწრაფად ჩაირბინა კიბე. მაჯიდემ თვალი გააყოლა, მერე სტუმრებს მიუბრუნდა და გაიღიმა.

— თქვენ პირველად გემზე გნახეთ ომერთან ერთად, მგონი, ასე იყო. — ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ თქვა ნიჰადმა.

მაჯიდე გაწითლდა და თვალები დახარა. მაშინვე მოაგონდა, რომელ გემზე დაინახა ნიჰადმა პირველად. უეცრად შიშმა შეიპყრო. მას შემდეგ რა ცოტა დრო გავიდა, ორ კვირაზე ნაკლები და რამდენი რამ შეიცვალა. მაჯიდეს აზრით რამდენიმე წელიც კი არ ეყოფოდა იმის გახსენებას, რაც ამ თორმეტ დღეში მოხდა.

მაჯიდემ თავი ასწია. პროფესორი დაჟინებით მისჩერებოდა. ამ კაცის გამოხედვა, რომლის წლოვანების დადგენა ძნელი იყო, ქალს უსიამოვნო გრძნობას გვრიდა. მაჯიდეს გაახსენდა, თუ როგორი ცივი და სველი ხელი ჰქონდა პროფესორს, ალბათ, მუდამ ასე ოფლიანი აქვს.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ხმას არავინ იღებდა. ერთმანეთს დაძაბულად უღიმოდნენ. ბოლოს დუმილი პროფესორმა ჰიქმეთმა დაარღვია და იკითხა:

— შვილო ჩემო, ერთი მითხარით, სადაური ხართ!?

— ბალიქესირელი.

პროფესორმა კმაყოფილებით დააქნია თავი.

— მაშასადამე ანატოლიელი! ძალიან კარგი! ალბათ, ომერიც იქაურია, არა?

— დიახ...

— ომერი კარგი ყმაწვილია!

— კარგი ამხანაგიც, — ჩაერია ნიჰადი, — მხოლოდ ეს არის, ცოტა დაბნეულია, წარმართვა სჭირდება... ცოტა უცნაურიცაა.

მაჯიდე გაბრაზდა. იგი კარგად იცნობდა ომერს. იმასაც ელოდა, რომ შეიძლებოდა ზოგიერთს უცნაურიც ჩვენებოდა, მაგრამ მასთან ამაზე ლაპარაკი რა საჭირო იყო.

— ამავე დროს ძალიან ჭკვიანიცაა, — თქვა პროფესორმა ჰიქმეთმა, ისე, რომ მაჯიდესათვის თვალი არ მოუცილებია.

— ამ ჭკუას მოხმარა უნდა, — უხერხულად ჩაურთო ნიჰადმა, — არ იცის, რა საქმეს მოჰკიდოს ხელი, რა მიზანს ემსახუროს.

ამ დროს კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. სამივემ კიბისაკენ გაიხედა. ომერი შემოვიდა. გაჩეჩილი და დასველებული თმა სახეზე ჩამოჰყროდა.

— აი, მოვიტანე, — უთხრა მაჯიდეს.

მაჯიდე ოთახში შევიდა, კარი ღია დატოვა, ნათურა ჩამოჰკიდა და ავეჯის დალაგება დაიწყო.

დაღლილი ომერი სავარძელში ჩაეშვა და ფიქრში ჩაიძირა.

რა მოგვივიდა, რამ ჩაგაფიქრა? — ჰკითხა ნიჰადმა.

— დღეს ერთმა ნაცნობმა ძალზე სამწუხარო ამბავი მიამბო და ხასიათზე ვერა ვარ.

ომერს კითხვებისათვის არც კი დაუცდია, ისე უამბო სტუმრებს ჰიუსამედინ ეფენდის ამბავი. პროფესორი უყურადღებოდ უსმენდა, თან ცალი თვალი მაჯიდესაკენ ჰქონდა, ერთი ოთახიდან მეორეში რომ გადიოდ-გამოდიოდა. იმის რიდით, ომერმა უყურადღებობა არ შემამჩნიოსო, წარბშეკრული პროფესორი თავს ისე უკანტურებდა, თითქოს დიდი გულისყურით უსმენდა მასპინძელს. პირველად ნიჰადიც თავისი ფიქრებით იყო გართული, მაგრამ ბოლოს უცებ დაინტერესდა. წელში გასწორდა და ომერს მიუჩოჩდა, არაფერი გამომრჩესო. რამდენიმეჯერ თხრობაც შეაწყვეტინა, რომ ზოგიერთი წვრილმანი უფრო კარგად გაერკვია.

— ცოდვაა საწყალი, — თქვა ომერმა, თხრობა რომ დაამთავრა, — რომ იცოდეთ, რა კარგი ადამიანია.

— ცოდვაა? — აღშფოთდა პროფესორი ჰიქმეთი,—როგორ შეიძლება გებრალებოდეს კაცი, რომელმაც სახელმწიფოს ფული ჩაიჯიბა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა მიზეზით გააკეთა ეს.

— კი, მაგრამ, მას ხომ არ უნდოდა!

— სულ ერთია. ეს არ ამართლებს მოლარეს. მე რომ შენი ვიყო, ახლავე ვაცნობებდი, სადაც საჭიროა.

ომერი გაოცებული იყო, ვერაფრით დაეჯერებინა, რომ თავისი კეთილი და ქველმოქმედი ბუნებით საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი ჰიქმეთი ასეთი მკაცრი იქნებოდა.

— ეს კაცი დიდ ოჯახს არჩენს, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უმწიკვლოდ მუშაობს, — შეეცადა მოლარის დაცვას ომერი, მაგრამ პროფესორმა შეაწყვეტინა:

— შენ რა, ასეთი არამზადების დაცვას ცდილობ? ყველა მაგისთანას თავები უნდა წააგდებინო!

„კეთილია, მაგრამ შტერი“, — გაიფიქრა ომერმა და თქვა: — განა შეიძლება ასე იმსჯელო ადამიანებზე, რომლებთაც უბედურება დაატყდათ თავს? ნამდვილი სიკეთე უცნობი ადამიანების დახმარე-

ბაა, ჩვენ კი კეთილი ზრახვები მხოლოდ მეგობრებისთვის გვაქვს შენახული, ხოლო დანარჩენებს არამზადებს ვეძახით.

პროფესორი კვლავ ღთახს მიაჩერდა, ომერმა შეამჩნია, რომ ნიჰადიც თავის ფიქრებში ჩაეფლო.

— რაზე დაფიქრებულხარ? — ჰკითხა ომერმა.

— ეს ამბავი ჯერ არავინ იცის?

— არა. რატომ მკითხე? შენ ხომ არ აპირებ დაბეზღებას?

— რას ამბობ, გეთაყვა, ისე ვიკითხე, — თქვა ნიჰადმა და ომერს ახალი კითხვა მისცა:

— თქვენს სალაროში ბევრი ფულია ხოლმე?

— ზოგჯერ ბევრი, ასე ოთხი-ხუთი ათასი, ზოგჯერ კი უფრო მეტიც, ეს რაღაში გაინტერესებს?

—ისე ვიკითხე, დავინტერესდი. მაშასადამე, იმ ტიპს რომ უფრო მეტი მოეპარა, ვერავინ გაიგებდა?

ომერი გაბრაზდა:

— რას ნიშნავს მოეპარა? რა უცნაურ სიტყვებს ხმარობ! ადამიანებისა ჯერ კიდევ არაფერი გაგეგება! გგონია, რომ ჩვენ მანქანები ვართ და ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ, ადრევეა ცნობილი? და თუ ამ მანქანაში რომელიმე მექანიზმი მოიშლება, ჩვენი დაშლა და გადაყრაც შეიძლება. მაგრამ იმის უარყოფა ხომ არ შეიძლება, რომ თვით უძლიერესი ადამიანებიც კი სისუსტეს იჩენენ, როცა იძულებული არიან საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იმოქმედონ. და ეს არავის არაფერს არ მატებს, არც კარგად და არც ცუდად!

ნიჰადმა ხელი ასწია:

— გეყოფა! ცოტაც და ლექციას დაიწყებ ეშმაკზე, რომელიც ჩვენს სულში ზის. მე არც ცუდის თქმას ვაპირებ და არც კარგისას. მე მინდა საქმის არსში გავერკვე. ერთ რამეს კი გეტყვი — მე არა ვარ იმის მომხრე, რომ ადამიანებს სისუსტე აპატიო. უწინარეს ყოვლისა, ძლიერი უნდა იყო! ძალას შეუძლია ყოველგვარი საქციელის გამართლება. სუსტების შებრალება სიბრიყვეა!

ომერს პასუხი არ გაუცია. ნიჰადს ხშირად მოსდიოდა ასეთი რამ. ზოგჯერ აენთებოდა და, რაც გულში ჰქონდა, ყველაფერს გადმოალაგებდა. თუმცა სინამდვილეში კი საკმაოდ კარგი ამხანაგი და ჭკვიანი კაციც იყო, მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით, ყბადაღებულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ თავის სტატიებში, მისი უძლური ფიზიონომიისთვის შეუფერებელ სიავესა და ავადმყოფურ

ნერვიულობას იჩენდა. როცა თავისუფლად და ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, საკმაოდ საზრიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ომერს ყოველთვის აოცებდა, რომ ასეთ კაცს შეეძლო ბრმა ფანატიზმით აღსავსე სტატიების წერა და პრიმიტიული დემაგოგიის საშუალებით თანამოაზრეების შემოკრება. ან ანკესზე მხოლოდ გულუბრყვილო და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე სტუდენტები თუ ეგებოდნენ მხოლოდ. როცა ერთხელ ომერმა ამის თაობაზე ნიჰადს ჰკითხა, ნიჰადმა ასეთი პასუხი გასცა:

— შენ რა იცი? იქნებ სწორედ ამ გულუბრყვილო და უვიცი სტუდენტებით ვაპირებ დიდი საქმეების გაკეთებას?

მაშინ ომერმა ეს სიტყვები ხუმრობად ჩათვალა და გაიცინა, მაგრამ შემდეგ თანდათანობით დარწმუნდა, რომ ნიჰადმა სიმართლე თქვა. უკანასკნელ ხანში ნიჰადი სულ ამ უტვინო ახალგაზრდებთან იყო და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს მოურიდებლად წარმოთქვამდა.

ორივე სტუმარი ერთდროულად წამოდგა.

— ამჯერად საკმარისია, — თქვა ნიჰადმა, — ნახვამდის, შემოიარე ჩვენთან, ამ დღეებში მეც გამოვივლი, როგორც საჭიროა, ისე უნდა მოვილაპარაკოთ. ახლა კი თავიანთ ნებაზე დავტოვოთ ახლადშეუღლებულნი.

პროფესორმა ჰიქმეთმა ომერს მხრებზე მოხვია ხელი და შინაურული ტონით, ჩუმად ჰკითხა:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, როგორ არის საქმე, ფული ხომ არ გიჭირს? თუ რამე დაგჭირდეს, ჩემთან მოდი, ნუ მოგერიდება, ამბანაგების დახმარება ჩვენი ვალია. თუ გჭირდება, ახლაც შემიძლია რამდენიმე ლირის მოცემა.

ჰიქმეთმა რომ დაინახა, ომერი ხმას არ იღებდა, ჯიბიდან საფულე ამოიღო:

— რამდენი გინდა? ეს გეყოფა? — ჰკითხა მან და ათლირიანი აჩვენა.

ომერი კვლავ დუმდა. მერე გაუბედავად გაუწოდა ხელი და ფული გამოართვა.

სტუმრები ოთახის ნახევრადღია კართან მივიდნენ, მაჯიდე შესახვედრად გამოვიდა, ქალს ხელი ჩამოართვეს და წავიდნენ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთიმეორის პირდაპირ იჯდა.

ახალ ოთახს ისე ათვალიერებდნენ, თითქოს მისი განლაგების

კარგად დამახსოვრება სურთო. ორივენი თავიანთ ფიქრებში ჩაძირულიყვნენ და ამ ფიქრების გამხელას ვერ ბედავდნენ.

„მაინც რად გამოვართვი იმ ტიპს ფული, — ფიქრობდა ომერი, — არც თუ ისე ძლიერ მჭირდებოდა. მაჯიდესი და ჰიუსამედინ ეფენდისგან ნასესხები ფული თამამად გვეყოფოდა სახლში სახარჯოდაც და ჩემი ჯიბის ფულადაც. მე კი თავი ვერ შევიკავე, უარი ვერ ვუთხარი. რისთვის ავიღე ეს ფული? ეს კიდევ არაფერი, ისე უბედურ კაცად მოვაჩვენე თავი, რომ შევეცოდე კიდეც. მასაც ეს უნდოდა. დიდი ამბავი, რამდენიმე ლირა თუ დაჰკარგა სამაგიეროდ კიდევ ერთი კაცი რაღაცით დაავალდებულა. კიდევ ვიღაც შეაქებს მის სიკეთეს და იგი კმაყოფილი იქნება. ერთი შეხე, სიკეთის მთესველის მოარულ ძეგლად არ სურს გახდომა? მაგრამ განა ეს ასე ცუდია? ყველას რომ ასეთი სისუსტე ახასიათებდეს... ვინ იცის, იქნებ ადამიანს მართლა სწყურია სიკეთის თესვა და ამას უანგაროდაც აკეთებს? ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია კეთილი საქმე ვაკეთოთ და ამიტომაც ვცდილობთ სხვა ღირსეული საქმის დამცირებას. ასეთ ხალხს თვითრეკლამის სიყვარულსა და ცბიერებას ვდებთ ბრალად. გვგონია, რომ სიკვდილის შემდეგ კეთილად ხსენებისათვის იღვწიან“.

„ვუთხრა თუ არა ომერს, რომ მისი მეგობრები თვალში არ მომივიდნენ?“ — ფიქრობდა ამ დროს მაჯიდე. — ერთი მათგანი უბრალოდ მახინჯია. ეს, რასაკვირველია, მისი ბრალი არ არის, მაგრამ რას იზამ, არც ჩემი ბრალია. რა მიბლეტილი თვალები აქვს! მეორე ისეთივეა, არც მისი თვალები მომეწონა, ისე უყურებს ადამიანს, თითქოს მისი ყიდვა სურდეს. მერე როგორი თავხედია! როგორ ბედავს, და მეუბნება, ომერი უცნაურიაო. თუმცა ჩვენ ხომ მხოლოდ რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ. როგორ შემიძლია ვიმსჯელო ხალხზე, რომელთაც წესიერად არც კი ვიცნობ და უფრო მეტიც, ომერსაც გავუზიარო ჩემი აზრი? რაც არ უნდა იყოს, მაინც ომერის ამხანაგები არიან. რაღაც ღირსებებს რომ არ ხედავდეს მათში, არც იმეგობრებდა. არა, მე არაფერს ვეტყვი. ამ წრეს უნდა შევეჩვიო. იქნებ ზოგიერთი რამ სწორედ იმიტომ მაშინებს, რომ ჯერ უცხო ვარ“.

ამ დროს მათ ერთმანეთს გადახედეს და ქვეყანაზე ყველაფერი დაავიწყდათ. მხოლოდ იმასღა გრძნობდნენ, რომ ამ ახალ და საკმაოდ კარგ ოთახში მარტონი იყვნენ. ახლა მხოლოდ ერთმანეთზე ფიქრი და ამ სიმარტოვის გამოყენება შეეძლოთ.

ალბათ, მაინც გრძნობდნენ ერთგვარ ნაღველს, რადგან პირვე-

ლად მთელი ნაცნობობის მანძილზე დუმილი ამჯობინეს გულის ფიქრის გამხელას. მათ შეეძლოთ საკუთარი თავისთვის დაემალათ ეს განცდა, მაგრამ ეს მაინც ასე იყო.

თ ა ვ ი XV

რამდენიმე დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა. არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ომერი მიდიოდა სამსახურში, ცდილობდა შინ დროზე მოსულიყო და ყოველდღე თავისთვის იმეორებდა, უზომოდ ბედნიერი ვარო. მაჯიდემ განაახლა კონსერვატორიაში სიარული, ახლა იგი ცოტა ადრე ბრუნდებოდა მეცადინეობიდან, რათა მაღაზიაში შეევლო ყველის, ჩაისა და სხვა პროდუქტების საყიდლად. მერე მოდიოდა შინ, სუფრას აწყობდა და ქმრის დაბრუნებას ელოდებოდა.

ძალიან ცდილობდნენ ფული ხელმომჭირნედ ეხარჯათ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, აუცილებელი ხარჯების გვერდის ავლა არ ხერხდებოდა. სასადილოში კვება ძვირი უჯდებოდათ, ხან სად სადილობდნენ და ხან სად. ზოგჯერ იაფფასიან სამწვადეს ეწვეოდნენ ხოლმე, ხოლო საღამოს ჩაითა და მსუბუქი ვახშმით კმაყოფილდებოდნენ, რომელსაც დიასახლისის სამზარეულოში აკეთებდა მაჯიდე. ამისათვის კი აუცილებელი გახდა რამდენიმე თეფშის, ლამბაქის, კოვზისა და სხვა წვრილმანის ყიდვა. მართალია, ეს ჭურჭელი ცალ-ცალკე იაფი ღირდა, მაგრამ ყველა ერთად საკმაო ფული დაჯდა. თვის ბოლომდე კარგა ათი დღე დარჩა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სულ ექვსი ლირა შემორჩათ.

ომერმა თავისი გავლენიანი ნათესავი მოინახულა, ფოსტაში რომ მუშაობდა და სთხოვა, უკეთეს ადგილზე მომაწყვე ან ხელფასი მომიმატეო. ნათესავმაც აღუთქვა: როგორც კი ხელსაყრელ დროს ვიპოვი, რაიმეს მოვიფიქრებო. ახალგაზრდა მიხვდა, რომ ნათესავს მის შესახებ ცუდი რამეები ჰქონდა გაგონილი. „არამზადაა ჩვენი დირექტორი, — გაიფიქრა მან, — როგორც ჩანს, უკვე რაღაცეები ჩაულაპარაკა. ბოლო ხანებში ხომ მაინც მუყაითად ვმუშაობ. ყოველთვის ასეა, ჩვენი კეთილი ზრახვები არაფრად არა ღირს“.

მთელი წლის განმავლობაში დედისთვის ერთხელაც არ მიუწერია წერილი. ახლა კი ფულის თხოვნა უხერხული იყო. თუმცა დედას, შეიძლება ეპატიებინა კიდეც და არც ეფიქრა, რომ ომერმა წერილი მხოლოდ ფულის სათხოვნელად გამოგზავნა.

ფულის შოვნა კი აუცილებელი იყო. ფული უწინაც სჭიროდა ხოლმე, მაგრამ მისი ნაკლებობა ასე მწვავედ არასოდეს განუცდია. წინათ რაღაც ბედნიერი შემთხვევების წყალობით ყოველგვარი გასაჭირი თავისთავად გვარდებოდა... ახლა ომერს აღარც კი ახსოვს, როგორ ხდებოდა ეს. ამას გარდა, წლობით გამომუშავებული ჩვევის წყალობით ქესატობას ბუნებრივ მოვლენად თვლიდა. ორი-სამი დღე უსადილოდ დარჩენა სრულიადაც არ მიაჩნდა ტრაგედიად, არც ის აღელვებდა თუ ოთახის ქირის გადაუხდელობის გამო დიასახლისი აყალმაყალს აუტეხდა. მაგრამ ახლა ყოველგვარი წვრილმანი აწვალებდა და სევდას ჰგვრიდა. მაჯიდეს შერთვამდე არასოდეს არ უფიქრია: „რას გავაკეთებ ხვალ?“. ახლა კი ყოველდღე იმაზე დარდობდა, როგორ გაეთრია დრო თვის ბოლომდე. უწინ არაფერი იყო უჩვეულო იმაში, რომ ამხანაგისათვის ოცი-ოცდაათი ყურუში დაეცინცლა, მაგრამ ახლა ცოლიანი კაცი იყო და ასეთი საქციელი ულირსობად მიაჩნდა. მისი აღგზნებული ფანტაზია ათასგვარ უიმედო გეგმებს და პროექტებს აწყობდა. ბეიოღლუს მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილი ყოველი ნივთი კიდევ უფრო აწამებდა და ახელებდა. იგი ხშირად იმაზეც ფიქრობდა, — როგორ მოეხერხებინა ღამით ჩაემტვრია რომელიმე ვიტრინა და გაეძარცვა მაღაზია. ან კიდევ, შეეძლო თუ არა, ჩაედინა რაიმე მოხერხებული თაღლითობა ან ქურდობა, რომელთა შესახებაც სატირულ გაზეთებში და სიასლის სამართლის ქრონიკაში კითხულობდა ხოლმე.

ერთხელ თამბაქოს დუქნის მეპატრონემ შეცდომით ოთხი ლირა და რაღაც ხურდა გადმოაყოლა. პირველად ომერს არაფერი შეუმჩნევია, მაგრამ როცა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მუჭში მოქცეულ ფულს გაოცებით დააცქერდა. მაშინვე ამუშავდა ტვინი, რაღაც ხმა თითქოს შესაძლებელ სიფრთხილეს სდევნისო, ყურში ჩასჩურჩულებდა. „ხომ არ შეიშალე, რად უნდა დაუბრუნო! აბა შეადარე ერთმანეთს შენი მოგება და გამყიდველის ზარალი. მან იქნებ ვერც კი შეამჩნიოს ამ ოთხი ლირის დაკარგვა, შენ კი შეგიძლია რამდენიმე დღე უზრუნველად იცხოვრო, ხომ არ გასულელდი, ჩაიდე ეგ ფული ჯიბეში და წადი. ვინ იცის, დღეში რამდენ საბრალო კაცს ატყუებს ეგ გამყიდველი? ომერმა თავი გაიქნია, თითქოს იმ ხმას კასუხობდა: ჩემო კარგო, შენ მართალი ხარ, მაგრამ ტყუილსაც რომ ამბობდე, მე მაინც არ ვაპირებ ამ ფულის დაბრუნებას“.

ამის შემდეგ ომერი სულ იმის მოლოდინში იყო, იქნებ ვინმეს

კიდევ გადმომაყოლოსო ფული, მაგრამ ბედი არ ჩქარობდა წყალობის თვალით გადმოხედვას. ცოლის შერთვამდე მას შეეძლო ძველი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გაეყიდა და რამდენიმე ყურუში ეშოვნა, მაგრამ ახლა, მაჯიდესთან ამის გახსენებისაც რცხვენოდა. ამ რამდენიმე დღეში გულჩათხრობილი გახდა, ომერს იმის გაფიქრებაც კი აშინებდა, რომ შეიძლებოდა მაჯიდე ნაწილობრივ მაინც მიმხვდარიყო მის ახირებულ გეგმებს.

მაგრამ მაჯიდე ვერაფერს ამჩნევდა. იგი კონსერვატორიაში მეცადინეობითა და საოჯახო საქმეებით იყო გართული. როგორც კი დროს იხელთებდა, ოთახს ალაგებდა, ომერის თეთრეულს რეცხავდა. თავისუფლებას მხოლოდ დილით გრძნობდა, კონსერვატორიაში წასვლისას და საღამოს, უკან დაბრუნებისას, როცა საკონდიტროში უნდა შეევლო პროდუქტების საყიდლად.

მაჯიდე ხშირად შედიოდა ერთ კარგად მოწყობილ საკონდიტროში, სადაც ხუთ-ათ ყურუშად ჩაიზე მისაყოლებელ ნამცხვარს ყიდულობდა. ვიდრე გამყიდველი გოგონები ნამცხვარს ქაღალდში ახვევდნენ, მაჯიდე დივანზე ჩამოჯდებოდა და თავისუფლად ათვალიერებდა იქაურობას.

საკონდიტროს ორი დარბაზი ჰქონდა. ერთში მოთავსებული იყო კაფე, სადაც მაგიდები და სავარძლები იდგა, ხოლო მეორეში — მაღაზია. მაღაზიის შუაგულში ფართო მაგიდასთან ფეხზედგომელა სვამდნენ და ერთობოდნენ.

მართალია, აგერ უკვე ნახევარი წელია, რაც მაჯიდე სტამბოლში ცხოვრობს და თითქმის ყოველდღე დადის ბეიოღულუზე, მაგრამ ამგვარი ხალხი ასე ახლოს და ამ რაოდენობით არასოდეს უნახავს. კუთხეში დივანზე ჩამომჯდარი მაჯიდე ნახევრად პირდაღებული დიდხანს შესცქეროდა ამ ახალგაზრდებს, თუმცა გახვეული ნამცხვარი უკვე ხელში ეჭირა.

აქ უმთავრესად იყრიდა თავს ახალგაზრდობა — თოთხმეტიდან ოცდახუთ წლამდე. ქალიშვილები ისე იყვნენ გამოპრანჭული, მეჯლისიდან გამოქცეულებსა ჰგავდნენ. ისე იმანჭებოდნენ და იგრიხებოდნენ, თითქოს ვიღაც გამუდმებით უღიტინებდათ. თან ნაყინს ლოკავდნენ. მათი უხეში, თავხედური და გაშტერებული შესაწედაობით თუ ვიმსჯელებდით, სპორტსმენები უნდა ყოფილიყვნენ. ერთმანეთს გამომწვევად შესცქეროდნენ. თერძების წყალობით გაგანიერებული მხრების ქნევით, ყოველგვარი მრრიდების გარეშე მიდიო-

დნენ ქალიშვილებთან და ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ. ეს ახლად გაქალიშვილებული, მაგრამ უკვე სახეშეღებილი გოგონები საგულ-დაგულოდ კოხტაობდნენ. აბსოლუტურად ცარიელი და არარაობის გამომხატველი მზერა ჰქონდათ, რომლის დაფარვას მიბნედილი გამოხედვით ცდილობდნენ. მაჯიდეს არ ესმოდა, თუ რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, მაგრამ ყოველი სიტყვის შემდეგ ატეხილი სიცილ-კისკისი უაზროდ და შემზარავად ეჩვენებოდა.

მაჯიდეს ყურადღებას განსაკუთრებით გოგონები იპყრობდნენ, ისე ჭყურებდა მათ, როგორც საოცარ ქმნილებებს. გოგონები გამომუშავებული სწრაფი მოძრაობით თავს აქეთ-იქით აქანებდნენ, რათა კარგად მიმოერხიათ შეღებილი და დახვეული ნაწნავები. იმის წყურვილით, ლამაზი გამოვჩნდეთ და კინოვარსკვლავებს დავემსგავსოთო, ტუჩებს კოკეტურად ბრიცავდნენ. მიუხედავად მათი ყოველგვარი ცდისა, მაჯიდე ხვდებოდა, რომ ეს გოგონები ძალზე უბედურნი იყვნენ და ვიღაცის როლს თამაშობდნენ. ამავე დროს ეს გოგონები მაჯიდეს საოცარ ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა. ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ასე უარყო საკუთარი თავი. მათ შორის ერთი გოგო იყო, სახელად ფერი[1] ერქვა. რა დროსაც არ უნდა მოსულიყო მაჯიდე, ფერი აქ ხვდებოდა. როგორც ჩანდა, ფერი საკმაოდ ავტორიტეტული იყო ამხანაგებში. ნუთუ მართლა ფერი ერქვა? იქნებ ეს დამახინჯებული ფერიხანი იყო? შეიძლება, არც ერთი და არც მეორე. ეს გოგონა არც ისე სულელი ჩანდა, როგორც სხვები, მაგრამ მასში აღარაფერი დარჩენილიყო ადამიანური და ფერიასებური. ყოველთვის — იყო ეს ჯიბიდან საფულის ამოღება, ღვეზელის ჭამა, მამაკაცის ხელის ჩამორთმევა თუ სხვა რამ, ყველაფერს არაბუნებრივად ყალბად აკეთებდა. იგრძნობოდა, რომ ყველა მოძრაობა შესწავლილი და ცუდად ათვისებული ჰქონდათ.

ჭაბუკები კიდევ უფრო ნაკლებ მიმზიდველნი იყვნენ. თითქმის ყველა რეზინს ღეჭდა. პირის საზიზღრად მანჭვა და ყბებს შორის რეზინის აქეთ-იქით ტრიალი დიდ ელეგენტურობად მიაჩნდათ. მათი ავტორიტეტი ღონესა და წონაზე იყო დამოკიდებული. ვინც უფრო მაღალი და მძიმე იყო, მით უფრო დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ამხანაგებში. ეს ღონიერი აყლაყუდე-

---

[1] ფერი — ფერია, კეთილი სული.

ბი ულონო და ჩია ადამიანებს, რა ასაკისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ეს უკანასკნელნი, მოწყალედ „შვილიკოებს“ ეძახდნენ. საკმარისი იყო ამ ძალოსან და წონოსან ვაჟებს ორი-სამი შტერული, მაგრამ მბრძანებლური მზერა შეევლოთ ქალიშვილებისათვის, რომ მათი ყურადღება დაპყრობილი იყო. უფრო უძლურნი კი ყურადღების მისაპყრობად მთელი ხმით ყვიროდნენ, ხოლო რომელიმე სულელურ საქციელზე ხმამაღლა ხარხარებდნენ.

მაჯიდე არ იყო დიდი წარმოდგენისა თავის თანაკლასელებზე, კონსერვატორიაში კი კურსელებთან ნაკლები ურთიერთობა ჰქონდა, და მათზე ჯერ არაფრის თქმა არ შეეძლო, მაგრამ ერთ რამეში კი დარწმუნებული იყო — ისეთი ახალგაზრდობა, როგორიც აქ იყრიდა თავს, არასოდეს უნახავს.

კონსერვატორიის გოგონები, ასე თუ ისე, რაღაც საქმეს აკეთებდნენ. ავად თუ კარგად, ნაძალადევად, გულწრფელად, თუ სხვათა შორის, მაინც ხელოვნებასთან იყვნენ დაკავშირებულნი. მისი თანაკლასელები საერთოდ არაფერს არ წარმოადგენდნენ მაგრამ ესენი... ესენი უფრო უარესნი, უფრო საშინელნი იყვნენ. ყოველი მათი მოძრაობა შოლტის დაკვრასავით მოქმედებდა მაჯიდეზე.

— ნუთუ შეიძლება ამათთან ცხოვრება? — ფიქრობდა იგი, — ნუთუ ყველა ასეთია? იქნებ უარესიც? შეიძლება... აქამდე ყოველი ახალი წრე, რომელშიც კი მოვხვდი, წინაზე უარესი აღმოჩნდა. ავიღოთ, მაგალითად, სკოლა. მართალია, გოგონებს ჭორაობა და სისულელეების ჩმახვა უყვარდათ, მაგრამ გაჭირვებისას მაინც მეგობრულად თანაგიგრძნობდნენ. თვით დირექტორიც, მისი ხრიკების მიუხედავად, მაინც არ იყო მთლად გაფუჭებული კაცი. ჩვენს ცარიელ და დიდ სახლშიც იყო რაღაც კარგი. მაგრამ აქ? განა დეიდა ემინეს ოჯახის წევრები სჯობდნენ იმათ, ვინც ბალიქესირში ჩემს ირგვლივ ტრიალებდა? არავითარ შემთხვევაში, ისინი ათჯერ უარესნი იყვნენ! გალიფ ეფენდით დაწყებული სემიჰათი დამთავრებული ყველა რაღაცას ჩემულობდა, ყველას დიდ რამედ წარმოედგინა თავი, მეზობლებიც ხომ ასეთივე ჭორიკნები და სულელები ჰყავდათ. ახლა კი აქ მოვხვდი, ეს ყველაზე უარესია, რაც მინახავს, არც ბალიქესირსა და არც შეჰზადებაშის უბანში არსად შეხვდებით ასეთ თავცარიელ და დამთხვეულ ხალხს და თანაც ასე ბევრს. მე ნამდვილად ვერ ვიცხოვრებდი ამათთან ერთად. ომერი რომ არა, ერთ წუთსაც ვერ გავჩერდებოდი აქ. უნდა მოველაპარა-

კო ომერს და როგორც კი მოვახერხებთ, სადმე უფრო მშვიდ და მყუდრო უბანში გადავალთ.

ერთი წამით ფიქრი გაებნა. ერთხანს თვალდაუხამხამებლად იჯდა, მერე კვლავ განაგრძო ფიქრი: „სად უნდა წავიდეთ? განა შეიძლება ქვეყნად ადამიანებისაგან მოწყვეტით იცხოვრო? მაგრამ ადამიანები ხომ პოულობენ მეგობრებს. ვის დავუმეგობრდები, სად ვიპოვი მას? აი, ომერის ამხანაგებიც არ მომივიდნენ თვალში. არ მომწონს ეს ხალხი. იქნებ მე თვითონ ვარ უცნაური, იქნებ ჩემს ნაცნობებსაც მეც შტერ და მოსაწყენ ქალად მივაჩნივარ? მაგრამ ომერი კი სხვანაირად ფიქრობს. მაგრამ მაშინ რა ვქნა, ოდესმე მასაც რომ მოვწყინდე?“

მაჯიდემ უმწეოდ მიიტანა ხელი პირთან. თითქოს საკუთარ თავს უბრძანებსო: „გაჩუმდი! გაჩუმდი!“

მაჯიდე კი ომერს არამცთუ მოწყინდა, პირიქით მასთან სიახლოვემ ბევრი რამ აატანინა. ერთ წუთსაც ვერ ძლებდა უიმისოდ. იმის გახსენებაზე, რომ შინ დაბრუნებული მთელს თავის გულს ქალს გადაუშლიდა, ქალი კი მოეალერსებოდა, ომერს ძალა ემატებოდა.

სამსახურში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა, თვის ბოლოსთვის ერთი ყურუშიც კი არ რჩებოდა. ერთხელ თავისი გავლენიანი ნათესავიც მოინახულა, მაგრამ, ცოლი შევირთეო, ამის თქმა ვერ გაუბედა. „მუყაითად იმსახურე, უფროსების კეთილგანწყობილება დაიმსახურე. დაე, თვითონ მოიწადინონ შენი დაწინაურება და მერე ჩემზე იყოს“, — ასეთი სიტყვებით გამოისტუმრა მან ომერი. ამ დაპირებამ საბოლოოდ დაამსხვრია ყმაწვილი კაცის იმედი. უნივერსიტეტის დიპლომი რომ ჰქონოდა, ალბათ, უფრო ადვილად მონახავდა კარგ ადგილს, მაგრამ, თუ ამდენ წელიწადს ვერ მოახერხა დამთავრება, ახლა ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ არც დიპლომს ეშველა. რა უნდა აკეთოს ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა? ალბათ, მასწავლებლად უნდა წასულიყო ანატოლიის რომელიმე პატარა ქალაქში და 60—70 ლირა აეღო თვეში. ომერს კი სტამბოლიდან წასვლაზე ფიქრიც არ უნდოდა. გრძნობდა, რომ ამ ქალაქთან მთელი თავისი არსებით იყო დაკავშირებული.

ვიდრე თავს ცოდნით არ გამოიტენის, მოაზროვნე კაცი სტამბოლს ვერ დატოვებს — ცდილობდა თავის მართლებას ომერი. —

სამწუხაროდ, ჩვენში კულტურის ცენტრი ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ სტამბოლია. კარგად ვხედავთ, როგორ აჩლუნგებს პროვინცია ადამიანის გონებას. ამისათვის საკმარისია არდადეგებიდან ახალდაბრუნებულ ანატოლიელ სტუდენტებს დავუკავშირდეთ".

მაგრამ, როცა ომერი საკუთარ თავს უფრო გულღიად ესაუბრებოდა ხოლმე, რწმუნდებოდა, რომ სტამბოლის, როგორც კულტურული ცენტრის შეფასებაში, მეტისმეტად აჭარბებდა. „კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, — ეკამათებოდა იგი რომელიმე მეგობარს, რომელსაც მასზე ძლიერ უყვარდა სტამბოლი, — უბრალოდ აქედან წასვლა არ გვინდა და ეგ არი. ერთი ეს მითხარი, აქ, კულტურის ამ ცენტრში თუ ვართ, წელიწადში რამდენჯერ შევდივართ ბიბლიოთეკაში, რას ვხედავთ აქ, გარდა ორი-სამი პროსპექტისა და ყავახანისა? დაგვიჩემებია, სულიერი ცხოვრება გვინდაო, მაგრამ ჩვენს შორის ყველაზე ჭკვიანიც კი ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებს. ვფიქრობ, სისულელეა ფიქრი, თითქოს ყავახანაში გამართული კამათი და ერთმანეთის გინება ავითარებდეს ჩვენს გონებრივ შესაძლებლობებს, უბრალოდ ჩვენ მივეჩვიეთ სტამბოლს. უმიზნოდ და უაზროდ ვცხოვრობთ და ასე გვგონია, თითქოს საზრიანად და სასიამოვნოდ ვატარებთ დროს. მხოლოდ ეს გვაკავებს სტამბოლში. აქ ყოველ უტვინო კაცს შეუძლია საკუთარი თავიცა და სხვაც დაარწმუნოს, თითქოს მოაზროვნე პიროვნება იყოს. აი, ამით არის მიმზიდველი ჩვენი ცხოვრება სტამბოლში".

მიუხედავად ამ სწორი მოსაზრებისა, ომერს მაინც არ შეეძლო თავისი წრის მიტოვება. უწინ, ვიდრე მაჯიდეს შეხვდებოდა, მეგობრებთან ერთად ხშირად იჯდა ხოლმე დაბალჭერიან ლუდხანაში, სადაც არყის სმისას ხშირად ისმენდა ათასგვარ ოხუნჯობასა და ფელ, ბრძხულ გამონათქვამებს, თუმცა ყველაფერი ეს სულელურად და არაფრის მაქნისად ეჩვენებოდა. ომერს მთელი გულით სურდეს ყვარებია თავისი მეგობრები და კარგი აზრისა არასოდეს ყოფილა მათზე, მაგრამ ასეთ თავშეყრასა და საუბრებს მუდამ დიდი სიამოვნებით იგონებდა და ამგვარი შეხვედრების გარემოების ორგანულ მოთხოვნილებას ვრძნობდა.

ოჯახური ცხოვრების დაწყებიდან ძეორე კვირაშიც იგრძნო ასეთი მოთხოვნილება. როცა სამსახურში დირექტორი, თავისი გავლენიანი ნათესავი, ყეყეჩური საფოსტო ოპერაციები ან კიდევ მოხუცი ბოლარიუ საცოდავი შესახედაობა ნერვებს მოუშლიდა, მაჯიდესთან

გულის გადაშლა და თავისი ტკივილების გამხელა მოუნდებოდა. მაგრამ არანაკლებ სურდა კვლავ ამხანაგებში ჯდომა, ჭიქა არაყი და ბაასი. ომერმა მშვენივრად იცოდა, რომ ამ შეკრებებზე ვერავის გადაუშლიდა გულს. ყველა, ვინც კი შეეცდებოდა სერიოზულ საკითხზე საუბრის დაწყებას, გულგრილობასა და დაცინვას წააწყდებოდა. ეჭვი არ იყო, ყველა მისი მეგობარი საუბარს კეთილი აზრებით იწყებდა, მაგრამ გონებრივი სიცარიელე, ფიქრის უუნარობა და სულიერი უნდობლობა ყოველ თემას, ყოველ საკითხს აბიაბრუებდა. ამ ახალგაზრდებს, მართლაც, გულწრფელად წყუროდათ ეფიქრათ და თავისი აზრები ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ, ამიტომაც ყოველთვის დაიმედებულნი ამბობდნენ: „საღამოს შევხვდეთ, ვისაუბროთ“, ის კი ავიწყდებოდათ, ყველაფერი აყალმაყალითა და გინებით რომ მთავრდებოდა.

უკანასკნელ ხანში ასეთი საუბრებისაკენ ლტოლვა ერთი მიზეზის გამო გაუძლიერდა. მას აღარ შეეძლო სამსახურში უწინდებურად გულგრილად ჯდომა. იგრძნო, რომ მისი გონება ფულის შოვნაზე ფიქრს მოეცვა, რაც უწინ სასაცილოდ ეჩვენებოდა. ახლა ხვდებოდა, რომ მისი თავისუფლება შეზღუდული იყო და მასში პროტესტის გრძნობა იღვიძებდა. ჰოდა, ისეთ შემთხვევებს დაუწყო ძებნა, რაც იმაში დაარწმუნებდა, რომ იგი თავისუფალი კაცია და რაც მოესურვება, იმას გააკეთებს. ერთხელ ყავახანაში შემთხვევით შეიხედა და გვიანამდეც დარჩა. დარჩა კი იმიტომ, რომ გამობრუნებისას ერთმა ამხანაგმა გესლიანად წამოიძახა: „გაუშვით, თორემ სახლში ცოლი მიტყეპავსო“.

ომერმა იცოდა, რომ ასეთი სულელური ხუმრობანი გახვრეტილ გროშად არ ღირდა, მაგრამ მისთვის გაურკვეველი გრძნობის გავლენით, იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ამხანაგის რეპლიკისათვის. ყოველთვის, როცა რაიმეს გაკეთებას აპირებდა, იძულებული იყო ასეთი ხუმრობისათვის ყურადღება მიექცია.

თ ა ვ ი XVI

თვის დასაწყისში საშინელი ურჩხულივით წამოადგათ თავს უფულობა. ლოგინის რამდენიმე წყვილი თეთრეულის ყიდვის შემდეგ, რომლის შეძენა აუცილებელი იყო, ომერის ხელფასისგან თი-

თქმის აღარაფერი დარჩა. დარჩენილი ფულით ერთ კვირას ვერ გაიტანდნენ თავს. დიდი მომჭირნეობა დასჭირდათ, რომ ფული ათ დღეს დაეზოგათ.

ყოველთვის, როცა თავის თანამშრომლებს შეხედავდა ან ქუჩაში ნაცნობებს შეხვდებოდა, ომერი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „რომელი მითანაგრძნობს და დამეხმარება?“ — აი, რა აზრები უტრიალებდა თავში. რაც უფრო ცუდად მისდიოდა საქმეები, რაც უფრო უიმედოდ ესახებოდა თავისი მდგომარეობა, მით უფრო დიდი ფანტაზიის უნარს ამჟღავნებდა, აწყობდა განუხორციელებელ გეგმებს.

სურდა ყოველ ჩასუქებულსა და კარგად ჩაცმულ კაცს ყელში სცემოდა და ეთქვა: „აბა ჩამოდევით, რაც ჯიბეში ფული გაქვთ! მე არც ქურდი ვარ და არც მძარცველი. მაგრამ ფული მჭირდება და მომეცით. მომეცით ჩემი შიშით კი არა — არამედ სიბრალულით!“

მაგრამ ომერი იძულებული იყო საკუთარ თავს გამოტყდომოდა, რომ ეს მათხოვრობა იყო და არა ორიგინალური რამ, როგორც ადრე ეგონა. ყოველივე ამაში ახალი მხოლოდ ადამიანზე ასე მივარდნა გახლდათ და თანაც საკითხავი იყო — გამოუვიდოდა თუ არა აქედან რამე?

მაღაზიის ვიტრინებში გამოწყობილი სამშვენისები, რომელიც ომერს წინათ ათასჯერ ენახა და ერთხელაც არ უფიქრია მათი შეძენა, ახლა სიცოცხლისათვის საჭირო ნივთებად ეჩვენებოდა, და სასოწარკვეთილი მუშტებს ხარბად კუმშავდა. სანაოსნო სააგენტოს ვიტრინაში გემის მოდელის დანახვისას გუნებაში გაიფიქრა, „ფული რომ მქონდეს, ახლავე ვიყიდიო“. აუტანელი ნაღველის გამომხატველი თვალებით შესცქეროდა ყველაფერს, დაწყებული ფუნთუშითა და ჭილის ქუდით, დამთავრებული არყის ბოთლებითა და ვერცხლის სათუთუნეებით. ქუჩაში ფისტის გამყიდველს რომ გაუვლიდა, ხელი უნებურად დახლისკენ მიუდიოდა. მერე ჭირის ოფლად უღირდა თავის შეკავება.

ერთხელ, საღამოხანს, შინდაბრუნებისას დაინახა, რომ ბეიოღლუს ერთ-ერთ დიდ მაღაზიაში საქონლის გაიაფება გამოეცხადებინათ. ერთი აურზაური იდგა. ხალხი მუჯლუგუნის კვრით შედი-გამოდიოდა. ომერს ჯიბეში ათი ყურუში ჰქონდა. ამ ფულით ვერაფერს იყიდდა, მაგრამ ძალიან მოუნდა ფულიანი ხალხისათვის ეცქირნა. მოუნდა იმ საქონლის დანახვა, რომელიც მათთვის გამოეფინათ.

ომერმა სურვილი ვერ დაიოკა. ეს სურვილი ახლა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე მაშინ, როცა ჯიბეში ფული ჰქონდა. ვიწრო კაოში შექუჩებულ ჩასუქებულ ქალებს შორის ძლივს გაეტია და მაღაზიაში შევიდა.

ზაფხულის პირი იდგა. მაღაზიაში ისე ცხელოდა, რომ ხალხი ოფლად იღვრებოდა. აბრეშუმის თხელ კაბებში გამოწყობილ ქალებს სველი იღლიებიდან მძაფრი სუნი ასდიოდათ. სახეზე ცხოველი ინტერესი აღბეჭდოდათ. ბევრ მათგანს მამაკაცი ახლდა, რომლებიც ცხვირსახოცით მალიმალ იწმენდდნენ გაოფლილ სახეს. მათაც არანაკლებად მძიმე სუნი სდიოდათ. მამაკაცები სულაც არ ცდილობდნენ გაღიზიანების დაფარვას და ქალებს უკმეხად პასუხობდნენ.

ომერი დინჯად მიმოდიოდა მაღაზიაში, უნდოდა, ყველაფერი დაენახა და დაეთვალიერებინა. ჩასუქებული დახლიდარები ყალბი თავაზიანობით აცქერდებოდნენ თვალებში მყიდველთ. მაგრამ საკმარისი იყო მათი მიტრიალება, რომ კვლავ გულგრილი სახით თავიანთი საქმე განეგრძოთ. დახლებზე უწესრიგოდ ეყარა სხვადასხვაგვარი საქონელი — ქალის წინდების შეკვრა ძუძუმწოვარა ბავშვების თეთრეულის გვერდით ეწყო, ხოლო რეზინის ბურთები — აბრეშუმის ხალათებთან დაეყარათ. ომერმა მაღაზიის შუაგულამდე მიაღწია, უნდოდა, ყველასათვის შეევლო ხელი. დიდხანს ატრიალა ქალის ფართო ფარფლებიანი ქუდი. იკითხა რა ღირსო აბანოს ზეწარი. მერე ერთ-ერთ დიდ დახლზე ქალის წინდების გროვა დაინახა. ხალხი შექუჩულიყო, ახლოს მივიდა. სიცხისა და მიხლა-მოხლისაგან სახეზე ოფლი სდიოდა. ჯიბეში ცხვირსახოცი მოძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა, სათვალე მოიხსნა, ჯიბეში ჩაიდო და ხელისგულით სახე მოიწმინდა. მძაფრი სუნისაგან თავბრუ დაეხვა. სათვალე კვლავ გაიკეთა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თითები იქ შეიწმინდა. მერე დახლისკენ გაძვრა და სათვალის მქრქალი შუშებიდან წინდების თვალიერება იწყო. ცოტა ხნის შემდეგ წინდების ამ დიდი გროვიდან ერთ წყვილს წაავლო ხელი. წინდები ხავერდის პატარა, რბილი ნაჭერივით დაუსხლტა თითებშუა და დაბლა ჩაეშვა. ომერის სულში კვლავ იფეთქა ფარულმა სურვილმა „ფული რომ მქონდეს, მაჯიდეს ვუყიდდი“, გაიფიქრა და გაახსენდა, რომ თავისი ცოლისათვის ჯერ არაფერი უყიდნია, — არც ყვავილი, არც ხილი, ცხვირსახოციც კი არ უჩუქნია მაჯიდესათვის. ომერს წინდების დახლზე დადგა და წასვლა უნდოდა, მაგრამ უცებ ერთ ადგილზე გაიყინა. სწორედ

იქ, სადაც ხელი მოჰკიდა, წინდებს ლაქები დამჩნეოდა. შეეშინდა, „ვაითუ ლაქები შეამჩნიონ და წინდების ყიდვა მაიძულონ?“ მიიხედ-მოიხედა, გამყიდველი ქალები სხვა მყიდველებით იყვნენ გართულნი და ომერს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მერე გაიფიქრა წინდებს ისე დავკეცავ, ლაქები შიგნით მოყვეს და დახლიდარმა ვერაფერი შეამჩნიოსო. მაგრამ ამასობაში ომერმა ვერც კი იგრძნო, ეს რბილი, აბრეშუმი როგორ მოექცა მის მუშტში.

ომერმა ხელი ძირს დაუშვა. სულ მთლად სველი, ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. უნდოდა მუშტი გაეხსნა, წინდები დახლზე დაეყარა და ქუჩაში გაქცეულიყო. როგორ არ დაძაბა თავისი ნებისყოფა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეძლო. ერთ ადგილას მიჯაჭულივით გაშეშებულიყო. მარჯვენა ხელი თითქო სულ წაერთვა. ასე ეგონა, საკმარისია ერთი გავინძრე, რომ იმ წუთში ხელს წამავლებენ და მკითხავენ: „აბა, ერთი გვიჩვენე მჯიღში რა გიჭირავსო“ — ომერმა შეშფოთებით გაიხედ-გამოიხედა და უფრო ძლიერ აცახცახდა. რამდენიმე ნაბიჯზე ერთი მაღალ-მაღალი, უკან თმაგადასვლეპილი მწითური კაცი იდგა და მრისხანედ შეჰყურებდა სახეში. ომერმა გადაწყვიტა, ეს კაცი ალბათ, ერთ-ერთი იმ აგენტთაგანია, რომლებთაც მყიდველებზე თვალყურის დევნება აქვთ დავალებულიო. თითქოსდა გულგრილი გამომეტყველებით ომერმა მარცხენა ხელი დახლზე მიმოფანტულ წინდებში შეჰყო. თან მალიმალ აქეთ-იქით იხედებოდა. გრძნობდა, რომ ის მაღალი კაცი კვლავ იქვე იდგა. ახლა ომერს მყიდველებმაც მიაქციეს ყურადღება, ამდენ ხანს ასე უსაქმოდ რომ იდგა დახლთან. მთელი გამბედაობა მოიკრიბა, წინდები ჩაიჯიბა და გასასვლელისაკენ ნელ-ნელა გაემართა. მაღალი კაცი კვლავ იქვე იდგა და თითქოს სულ სხვა მხარეს იყურებოდა, მაგრამ, ომერის რწმენით, მაღალი კაცი შეუმჩნევლად ზვერავდა. კარს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯებს აუჩქარა და თითქმის სირბილით გამოვარდა ქუჩაში.

ქალაქს ბინდი ეფინებოდა. წინ და უკან მქროლავ მანქანებისა და ტრამვაების მიუხედავად ომერმა ქუჩა გადასჭრა. გული ისე სწრაფად უცემდა, ასე ეგონა, აგერ-აგერ მკერდიდან ამოვარდებაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. როგორც კი ზღურგს უკან ვინმეს ფეხის ხმას გაიგონებდა, გული კიდევ უფრო აუჩქროლდებოდა. ბოლოს გვერდით ქუჩაზე შეუხვია და გაიქცა.

ვიწრო ქუჩა მთას გასდევდა. ომერი ყორეებისა და ჩაბნელე-

ბული სახლების გაყოლებით გარბოდა. ყოველ ოც მეტრზე მოსახვევს პოულობდა და უხვევდა. ბოლოს, როცა იგრძნო, მეტი სირბილი აღარ შეეძლო, რომელიღაც ბაღის ყორეს მიეყრდნო. ხშირ-ხშირად და მძიმედ სუნთქავდა, გულის კოვზთან ტკივილსა გრძნობდა. იმის შიშით, არავინ მომდევდესო, უკან ვერ მოიხედა და იქვე ქვაფენილის დამტვრეულ ქვებს დააშტერდა. ჯიბეში ჩაყოფილი მუშტი ისე ძლიერ შეეკრა, რომ მარჯვენა ხელი სულ გაჩერებოდა, თითები ტკიოდა. ხელი ჯიბიდან მაშინვე ამოიღო. წინდების ერთი ბოლო მჯიღიდან მოუჩანდა. „დავიღუპე. ნაღდად შემამჩნიეს! — ჩაიბუტბუტა მან.

ომერი კედელს მოშორდა, ხელი მოიქნია და მსუბუქი ქსოვილი მაღლა ააგდო. წინდები ჯერ ჰაერში გაიშალნენ, მერე კედელს ჩამოეკიდნენ. ომერმა იგრძნო, რომ ფეხზე ძლივს იდგა, ჭუჭყიან ქვებზე უმწეოდ დაეშვა და თვალები მიხუჭა. მაღლა მის თავზე კი მსუბუქად ფრიალებდნენ მოპარული წინდები.

გონს რომ მოვიდა, კარგა ჩამობნელებული იყო და მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში უკვე ყვითელი შუქი ციმციმებდა. ქვაზე ჯდომა სხეულსა ტკენდა. სველი საცვლები, განსაკუთრებით კი ხალათის საყელო უსიამოვნოდ მიჰკვროდა სხეულზე. ომერი წამოდგა. კედლისაკენ არც კი მიუხედავს. ისე გაემართა პროსპექტისაკენ.

მაჯიდე ქმარს ელოდა. ზურგით კარისკენ ფანჯარასთან იდგა, ურდულს ჩასჭიდებოდა, თავი მკლავზე დაედო და ქუჩას გასცქეროდა. ფერმკრთალი და აღელვებული ჩანდა.

კარის გაღების ხმაური რომ გაიგონა, შემობრუნდა. ომერმა გაიღიმა და თავისი მღელვარება რომ არ გამოემჟღავნებინა, მშვიდად ჰკითხა:

— კვლავ დავიგვიანე?

— არა, — მოკლედ მოუჭრა მაჯიდემ და დაჟინებით დააცქერდა.

ომერი მაგიდასთან მივიდა. შუქი შუბლსა და სახეზე სცემდა. შუქფარისაგან, რომელიც აქ უფრო დიდი იყო, ვიდრე იმ ოთახში, სადაც წინათ ცხოვრობდნენ, მის დაოფლილ თმებს მოწითალო ელფერი დასდებოდა. სკამი ახლოს მოიწია, უღონოდ დაეშვა და თავი ჩაქინდრა.

მაჯიდე მდუმარედ ადევნებდა თვალს მეუღლეს, მერე მაგიდასთან მივიდა და ჰკითხა:

— ავადა ხარ?

— არ ვიცი!

მაჯიდე მისკენ დაიხარა, თმაზე მოეალერსა და მსუბუქი, ნაღვლიანი ღიმილით უთხრა:

—უკანასკნელ ხანს რაღაც უცნაური გახდი.

— რაზე მატყობ?

მაჯიდე ჩაფიქრდა. მართლაცდა, რატომ გახდა ომერი ამ ბოლო დროს ასე უცნაური? ამის სიტყვებით გადმოცემა საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ მაჯიდეს არ შეეძლო არ შეემჩნია ომერის შეცვლა. ხშირად უძრავად მჯდარი ომერი ხანგრძლივად მიაჩერდებოდა ხოლმე ერთ წერტილს და თითებში დიდხანს აწვალებდა მაგიდის გაღასაფარებელს ან რაიმე ნაჭერს. მაჯიდე იმასაც ამჩნევდა, რომ ომერი შეკითხვებზე დაგვიანებით პასუხობდა ან სულ ავიწყდებოდა პასუხის გაცემა. საუბრისას, და ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ეხვეოდა, ომერი რაღაც მოუთმენლობასა და მღელვარებას ამჟღავნებდა. თითქო რაღაც სასწრაფო საქმეებზე მიეჩქარებაო. ახლა მაჯიდეს ყველაფერი ეს თვალწინ დაუდგა, მაგრამ თქმა ვერ გაბედა.

— ვხედავ, რომ ძალზე უგუნებოდ ხარ, — ჩაილაპარაკა მაჯიდემ, — რატომ? ყველაფერი კარგად მიდის, ნუთუ ასე დიდი საშინელებაა უფულობა? მშიერნი ხომ არასოდეს ვყოფილვართ? რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებთ.

ომერმა თავი ასწია და ცოლს შეხედა. მაჯიდემ ამ მზერაში რაღაც ყალბი, თითქოს მტრულიც კი შეამჩნია და შეკრთა. ომერი ნელნელა წამოდგა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო, წინ გადაიხარა.

— შენ ამას გულწრფელად ამბობ? — ომერს თვალები მოეჭუტა, ტუჩები მობრეცვოდა.

მაჯიდე გაოცდა, ასეთ დღეში არასოდეს ენახა ქმარი. შეშინდა. — რას ამბობ, ომერ, რას ამბობ? — წამოიძახა მან, — ნუთუ სერიოზულად მეკითხები ამას?

ომერი არც შერხეულა, ყოველი სიტყვა დამარცვლით გაიმეორა: — ჩემი შეცვლის მიზეზი შენ მართლა უფულობა გგონია?

მაჯიდე თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა, მერე ომერივით ხელებით მაგიდას დაეყრდნო, სახე ქმრის სახეს მიუახლოვა და უთხრა: — სხვა მიზეზიც არის? — იმ კაცის ტონით ჰკითხა მაჯიდემ, რომელსაც თავდაჭერა შეუძლია, მაგრამ საკუთარი მღელვარებისა

და ინტერესის დაფარვა კი არა, — რატომ არ მეუბნები, რა მოხდა? თუ უკვე საჭიროდ აღარ მიგაჩნია, ყველაფერი მითხრა?

ომერი ცოლს კვლავ დაჟინებით მისჩერებოდა. გეგონებოდათ, თითქოს სათვალის დამტვრეული და დანამული შუშის მიღმა ცეცხლი გიზგიზებდა. ომერმა კბილები ერთმანეთს დააჭირა და ტუჩები მოკუმა. იგი მთელი ყურადღებით მისჩერებოდა მაჯიდეს აღელვებულ, მაგრამ მიუხვედრელ სახეს. ომერს თითქოს უნდოდა ქალის სახეზე რაღაც დაენახა, წაეკითხა, მოეძებნა და... გაენადგურებინა.

მაჯიდეს ხელი ნელ-ნელა შეეხო ქმრის ხელისგულს. კვლავ დაჟინებით აცქერდებოდა ცოლს, მაგრამ საბრალო ქალის სახეზე მაინც ვერაფერი შეამჩნია ისეთი, რაც ეჭვს გაუძლიერებდა და დარცხვენილი დაეშვა სკამზე. ქალს მიანდო თავისი ხელი, თავი მაგიდაზე ჩამოსდო და ჩაფიქრდა: — „მე უკვე ყველასი მეშინია და, ალბათ, მალე ყველას ეჭვის თვალით შევხედავ. ასე როგორ წავხდი, როგორ გავიფიქრე, რომ შეიძლება მაჯიდე მატყუებდეს, რა სისულელეა! საიდან უნდა იცოდეს, თუ რა საძაგელი კაცი ვარ! რა სულელურ საქმეებში გავეხვიე, როგორ საფრთხეში ჩავიგდე თავი? როგორც ყოველი დამნაშავე, მეც ჩემივე ეჭვების მსხვერპლი გავხდები. მაღაზიაში იმ მაღალ ტიპს რომ რაიმე შეემჩნია ან თუნდაც დაეჭვებულიყო, უმალვე ყელში მწვდებოდა. მით უფრო, რომ ჩემი შესახედაობა დიდ ნდობას არ იმსახურებდა. მე კი ვიფიქრე, სახლამდე მომდევს-მეთქი — და ყოველივე ამის შემდეგ როგორ ვეჰყრობი ჩემს მეუღლეს, რომლის დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ მელოდა? ჩემი სულის სისაძაგლე და სიმდაბლე ზედ მეტყობოდა. მან კი ყოველივე ეს ისე გულუბრყვილოდ გაიგო, რომ ლამის ავტირდე. უფულობის გამო ხასიათის გაფუჭება სასაცილოა, ასე თქვა, მე კი წარმოვიდგინე, რომ ყველაფერი იცოდა და ჩემი საცოდავი შესახედაობით ერთობოდა. ვფიქრობდი, რომ მაჯიდეს სიახლოვე გადამარჩენდა და სიბინძურისაგან გასწმენდდა ჩემს სულს, მაგრამ რა გამოდის? მე მას უფრო და უფრო ვითრევ ჩემი საშინელი სულის სამყაროში. მაგრამ მე რაღაში ვარ დამნაშავე? განა რაიმე ცუდი მიზანი მქონდა? არა, ამის შემდეგ როგორ უნდა ვიფიქრო, რომ უფულობა აქ არაფერ შუაშია, მაშინ, როცა ისაა ყოველგვარი უბედურების სათავე... თან ეს წყეული ეშმაკი, რომელიც ჩემს სულში ზის... საშინელი გრძნობა დაუფლებია ჩემს სულს, — გრძნობა ყოველივე შეუძლებელის გაკეთებისა. ჭმუნვა იმაზე, რაც შეუძლებელია. და

ეს ვარ მე, ის კაცი. რომელიც ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ უფულობა გულს ვერ გამიტეხს-მეთქი. ერთმა წყვილმა ქალის წინდამ, ღმერთო ჩემო! ერთმა წყვილმა ქალის წინდამ... არა, არ არის სწორი. მე სულაც არ მჭირდებოდა ეს წინდები. უბრალოდ მოხდა რაღაც საშინელება, რომელიც ჩემზე არ იყო დამოკიდებული. ოფლიანი თითები... თხელი ქაოვილი... მუჭაში რომ ადვილად ძოექცა... არა, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ რატომ თავის ადგილზე არ დავდე? ჩემი სულის ძალიან შორეულ, თვალისათვის მიუწვდომელ ადგილას ზის ეშმაკი, რომლის ხელში მე პატარა სათამაშო ვარ და მეტი არაფერი. ვუამბო ყველაფერი ეს მაჯიდეს? არა, ამაზე რომ რამე ვუთხრა, პირში მომაფურთხებს, მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებს. თუ ჩვენი სულები სხვადასხვა ცხოვრებით იცხოვრებენ, მაშინ რაღა საჭირო იყო მისი მოყვანა?"

ომერს აზრები აერია, ერთმანეთში გადიხლართა. დღევანდელი ამბების შემდეგ ტვინი ცუდად მუშაობდა. თავი წამოსწია და ხელები, რომელიც ამდენი ხანი მაჯიდეს ეჭირა, გაინთავისუფლა. სიბნელეს მიჩვეული თვალები შუქმა მოსჭრა. ერთხანს ასე იჯდა, მერე დაღლილი მზერა ცოლს მიაპყრო და უნებურად იგრძნო, რომ სახის კუნთები აუმოძრავდა. ეს მოძრაობა ნელ-ნელა ღიმილში გადადიოდა, თუმცა ფიქრობდა, რომ მომხდარი ამბებისა და მისი სულიერი მდგომარეობის გამო ეს შეუძლებელი იყო. ომერი მთლიანად მიეცა ამ გრძნობას.

მაჯიდეს სახე უმალვე გაუბრწყინდა, თუმცა მისი გამოხედვა შეტყველებდა, რომ ქალი კვლავ შეშფოთებული იყო.

— როდის მეტყვი, რაზე ფიქრობ, რა გაწუხებს? — ჰკითხა მაჯიდემ, — მე ხომ ვხედავ, რაღაც ისეთზე ფიქრობ, რაზედაც წარმოდგენა არა მაქვს. ფიქრობ და იტანჯები. დამეთანხმე, დიდი ვერაფერი სიამოვნებაა ამ ტანჯვის ცქერა.

ამ ნაზსა და საალერსო სიტყვებში ომერმა სადღაც მწარე საყვედურიც იგრძნო. გაშმაგდა კიდეც, მაგრამ თავი შეიკავა.

— შენ მართალი ხარ. მე მთელი ჩემი ხასიათის ცუდი მხარეები უნდა გაგაცნო — დაიწყო ომერმა, — მხოლოდ ამის შემდეგ შენ... — ომერი შეჩერდა, იგი ფიქრობდა; რომელი სიტყვა ეთქვა: „შემიძულებ", „ჩემი შიში გექნება", თუ „შეგზიზღდები". მაგრამ ეს სიტყვები მეტად მკაცრად ეჩვენა. თუმცა, იქვე გადაწყვიტა, შერბილება ცრუ სიამაყე იქნებაო, და უხეში პირდაპირობით თქვა: — მე

მეშინია, რომ ამის შემდეგ შემიძულებ, შემიზიზღებ, ჩემი შეგეშინდება!

მაჯიდემ უნდობლად გადახედა ქმარს.

— არა მგონია, — ხმადაბლა თქვა ქალმა, და მერე თითქოს თავისი ნათქვამის ახსნა უნდოდაო, უმალვე დასძინა: — არა მგონია, ასეთი საშინელი რამ გაგეკეთებინოს...

ომერი უცებ შეიცვალა, კვლავ განმარტოებული კაცის გამომეტყველება მიიღო და თქვა.

— მაშ, მე თუ გიამბობ და დაგარწმუნებ...

მეტის თქმა ვეღარ შეძლო. შესაფერი სიტყვა კვლავ ვერ გამონახა. მაჯიდე სახეში შეცქეროდა მეუღლეს და ვერაფრით ეხმარებოდა

ეს მდგომარეობა, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, კარზე რომ არ დაეკაკუნებინათ. არც ერთ მათგანს არ უთქვამს, „მობრძანდითო", მაგრამ კარი მაინც გაიღო და ზღურბლზე ნიჰადი გამოჩნდა. ომერი შესაგებებლად წამოდგა:

— რა მოხდა?

— არც თუ ისე სტუმართმოყვარული შეხვედრაა, — ღიმილით წარმოთქვა ნიჰადმა.

— როგორ გეკადრება, ჩემო კარგო, — თითქოს ბოდიშს უხდისო, ისე წაილაპარაკა ომერმა, — უკვე შუაღამეა და მე მეგონა, რამე მოხდა.

— რა დროს შუაღამეა! ჯერ მხოლოდ ცხრა საათია, შენთან საუბარი და სეირნობაც კი მინდოდა, რასაკვირველია, შენი მეუღლე თუ ნებას დაგრთავს, — ნიჰადი მაჯიდეს მიუბრუნდა.

მაჯიდემ ზურგი აქცია და მხრები აიჩეჩა.

ომერს ცოლისთვის არც შეუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

— კარგი წავიდეთ, — მერე მაჯიდეს მიუბრუნდა და ჰკითხა: —

— შენ ხომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო?

მაჯიდემ თავი გააქნია.

ომერი და ნიჰადი წავიდნენ.

კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ნიჰადმა ომერს ხელი გაუყარა და უთხრა:

— ფული გვჭირდება, მეგობარო.

— შეც მჭირდება ფული.

— შენ საკუთარი სიამოვნებისთვის გჭირდება, ჩვენ კი საქმისთვის!

ქუჩაში გამოვიდნენ, ომერი დაბნეული იყო და ძლივს იკრებდა გონებას.

— სად მივდივართ? — იკითხა ბოლოს, — ფულის საშოვნელად? ვინმეს გავძარცვავთ თუ ვიქურდებთ? — ომერმა კბილი კბილს დააჭირა და მწარე ღიმილით ჩაიდუდუნა, — მე აქამდეც კი მივედი...

ნიჰადმა სიბრალულით გადახედა მეგობარს.

— შენ ცუდი ბიჭი არა ხარ. შენი გამოყენება შეიძლებოდა, სულელური ცხოვრება რომ მიგეტოვებინა და რაიმე სერიოზული საქმისა და დიდი მიზნისათვის მოგეკიდა ხელი, მაგრამ ეს თვითონ არ გინდა. მე კი მებრალები. ნუთუ ფიქრობ, რომ მაგ ორგროშიანი სამსახურით ოჯახს შეინახავ?

ნიჰადმა ომერს თმაზე გადაუსვა ხელი.

— ეს თავი უფრო სერიოზული საქმეებისთვისაც გამოდგება. შენ საკუთარ ტალანტს მიწაში ასამარებ. ამის უფლება კი არა გაქვს. შენ სხვებს არ ჰგაგხარ. მათზე მაღლაც დგახარ და მათზე ნიჭიერიცა ხარ. შენ გაქვს უფლება მათ მბრძანებლობდე. უფრო მეტიც, შენ ვალდებული ხარ. მთავარია მოინდომო! უნდა მოინდომო ძლიერ, იმდენად ძლიერ, რომ სხვა ყველაფერი დაივიწყო და ერთ მიზანს შეეწირო მსხვერპლად. ეს მიზანია მბრძანებლობა ადამიანებზე მაღლა დადგომა, მაგრამ შენი ფანტაზიები ბავშვურია, უფრო სწორად, ქალური გრძნობები შენში ჰკლავენ მამაკაცს. გაოცებული ვარ, როგორ შეირთე ცოლი, ქალს როგორ დაუკავშირე შენი ცხოვრება. რა არის ქალი? სათამაშო! იყავი მამაკაცი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. უხეში, მკაცრი მამაკაცი, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სენტიმენტები და მხოლოდ ძალაზე ამყარებს იმედს. უნდა შევქმნათ ისეთი სამყარო, როგორიც მხოლოდ ჩვენნაირ ადამიანებს სურთ. ხალხი ცხვრის ფარაა, იგი მორჩილი უნდა იყოს. დაიმახსოვრე ყველაფერი ეს და მერწმუნე, თუ მთელს შენს ფიზიკურ და სულიერ ძალებს ამის განხორციელებას მოახმარ, გაიმარჯვებ. ამ საქმეში დამარცხება შეუძლებელია, უფრო სწორად — გამორიცხულია.

ომერმა ირიბულად გადახედა მეგობარს, პირველად ნახა ნიჰადი ასე აგზნებული:

— შენ უთუოდ ავადა ხარ, ძმობილო.

ნიჰადმა ისე ასწია ხელი, თითქო ყელში უნდა სწვდესო, და გაჯავრებულმა წამოიყვირა:

— ყეყეჩო! გელაპარაკებოდი როგორც კაცი კაცს, მაგრამ შენ არასოდეს წამოხვალ ჩვენთან...

ომერმა ნიჰადის სიტყვებში ზიზღი იგრძნო და ქწყინა.

— რა იცი, რომ არ წამოვალ? უბრალოდ გამიკვირდა, რომ შენისთანა გულცივი კაცი ასე უცებ მგზნებარედ ალაპარაკდი. აბა რა იცი, იქნებ შენს ბევრ მოსაზრებას მეც ვიზიარებ.

— სერიოზულად მელაპარაკები?

— იქნებ ადამიანებზე ბატონობა მართლაც არ არის ცუდი საქმე, მაგრამ ამაზე მე არ მიფიქრია. მე მგონია, რომ ხელისუფლებისაკენ ლტოლვა უაზრობაა. ირგვლივ იმდენი ჭუჭყია, რომ სუფთად ყოფნის მხოლოდ ერთი გზა არსებობს — განმარტოება და საზოგადოებასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა. ყოველ შემთხვევაში, მათთან სულიერად არაფერი უნდა გქონდეს საერთო.

— გაჩუმდი, კვლავ სისულელეების თოშვა დაიწყე. რას ბოდავ? როგორ უნდა გასწყვიტო ხალხთან კავშირი? ნუ დაგავიწყდება, რომ შენ მიწაზე დადიხარ და როცა მე მელაპარაკები, კეთილი ინებე და ეგ ჰალუცინაციები შენთვის შეინახე.

ომერს დიდხანს არ გაუცია პასუხი. ნიჰადს ეგონა, მისმა სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მეგობარზე. ომერი კი სულ სხვას ფიქრობდა:

„ადამიანები, მართლაც ჭუჭყიანი ცხოველები არიან. აბა რა უფლება მაქვს სისპეტაკესა და მარტოობაზე ფიქრისა. მე! მე! რა ვარ მე? რას ჩმახავს ნიჰადი. მე ვიცოდი, რომ მას აქვს რაღაც ხუშტურები. მაგრამ მხოლოდ ახლა ვიგრძენი — იგი განდიდების მანიაა შეპყრობილი, მსოფლიოზე ბატონობა სურს! რა არის მსოფლიო? განა არსებობს სხვა სამყარო, ვიდრე ჩემი საკუთარი თავი? ყოველ ადამიანს თავისი სამყარო აქვს და ეს სამყარო თვითონ არის. სხვა დანარჩენი კი ფიქრადაც არ ღირს. რა საჭიროა ჭკუა და განათლება, თუ ეს მაინც არ იძლევა სასურველ ბედნიერებას? ჯობდა, განსჯის უნარი სულაც არა გვქონოდა. ბალახის, ცხოველის, ღრუბ-

ლისა და კლდეების ცხოვრება უფრო ბედნიერი, საზრიანი და ნაკლებ მომქანცველი მეჩვენება... მაგრამ ნიჰადთან ამაზე ლაპარაკი უაზრობაა. ერთი გავიგებ, რა სურს ჩემგან და შინ დავბრუნდები. მაჯიდე, ალბათ, ღელავს!“

უცებ გულისცემა აუჩქარდა.

„რა ჩავიდინე? რა უნამუსო და სულელი კაცი ვარ! ცოლი სახლში მელოდება, მე ჯერ საძაგელი ეჭვიანობით შევაშინე, მერე კი იქამდე მივედი, რომ ყველა ჩემი ბინძური საქციელი და აზრები მისთვის მინდოდა დამებრალებინა. მერე ერთი კეთილი, დამამშვიდებელი სიტყვაც არ ვუთხარი, ისე გამოვყევი ამ გზააბნეულ ნიჰადს. მაჯიდე ვახშმად მელოდა. ახლა, ალბათ, იმ წითელი აბაჟურის ქვეშ, ერთმანეთის პირდაპირ ვისხდებოდით და ჩაის სმით ვიქნებოდით გართულნი. ვილაპარაკებდით უფულობაზე, ცოტას მოვიწყენდით და მერე გული რომ არაფერზე დაგვწყვეტოდა, ვიხუმრებდით, ვიცინებდით. ბოლოს ნახევრად შიშველნი ერთმანეთს ჩახუტებულნი დავიძინებდით. განა ეს არა სჯობია ნიჰადის ბჟუტურის მოსმენას, დამშეული მგლის თვალებით ვიტრინებში ცქერას და გონების შემარყეველი სურვილებით ტანჯვას? რა ძალა მაკავებს აქ?“

— სახლში მივდივარ, მაჯიდე ვახშმად მიმელის, — მიუბრუნდა მეგობარს.

ნიჰადმა ხელი ხელზე წაავლო და უთხრა:

— ომერ, შენ ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობარი ხარ, შენ შეგიძლია მოგწონდეს ან არ მოგწონდეს ჩემი იდეები, მაგრამ ვალდებული ხარ დამეხმარო... ჩვენ ფული გვჭირდება!

— გაგიჟდი და ეგ არი! ვინ გითხრა, რომ მე ფულის შოვნა შემიძლია და თანაც რაში გჭირდებათ ფული?

— ამას ნუ მკითხავ... შენ კარგად იცი, ჩვენ ჟურნალსა და წიგნებს ვცემთ. მართალია, ეგ წიგნები ძალიან პატარა მოცულობისაა, მაგრამ არა უშავს. ახალგაზრდობა ჩვენს მხარეზეა, შენც კარგად იცი, მათ ფული არა აქვთ. ზოგჯერ იძულებული ვართ წიგნები უფასოდ დავარიგოთ. ჟურნალებიც ყოველთვიურად ასობით ლირა გვიჯდება, მაგრამ ეს არ გვაშინებს, დუმილის უფლება არა გვაქვს. მტრების გამოხდომებს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ. ვალდებული ვართ ვებრძოლოთ მიმდინარეობებს, რომლებიც ჰუმანიზმზე, ადამიანის უფლებებსა და სამართლიანობაზე ლაქლაქით ახალგაზრდობის გო-

ნების მოწამვლას ცდილობს... ყველაფერი ეს ფული ღირს... შენ კი ფულის შოვნა შეგიძლია...

— ვიცი, რომ ჟურნალს სცემთ და მადლობა ღმერთს, დიდი ხანია ჩამოგცილდით, — შეაწყვეტინა ომერმა, — მაგრამ ის ბედკრულ ბიჭბუჭები, რომლებსაც ირგვლივ იკრებ, სიამოვნებით მოგცემენ მამიკოების ნაბოძებ ყოველ ყურუშს, ოღონდაც თავიანთი გვარი და სახელი იხილონ ჟურნალში.

— ყბედობას მოეშვი, მაგ გროშებით საქმეს ვერ გააკეთებ, — ნიჰადი შეჩერდა, ომერს ხელი მხარზე გადახვია და განაგრძო, — ის შენი მოლარე ვერ გვიშოვის ფულს?

— გაგიჟდი?

— თქვენს მოლარეს შეუძლია გვიშოვოს ფული... თანაც იმდენი, რამდენიც გვჭირდება — ხუთასი, ათასი ლირა...

— ხვალვე გადავცემ თქვენს თხოვნას. იგი წავა ბანკში, ფულს გამოიტანს და თქვენს მიერ მითითებულ ადგილზე დასტოვებს... მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ, — რაიმე წერილი დასწერეთ და გამატანეთ, რომ შევაშინო.

— მაშ რა გეგონა? ცოტა უნდა შეაშინო კიდეც... ეს ფული იმ მოლარისათვის დიდი მსხვერპლი არ იქნება. გაფლანგვა გაფლანგვაა, ორას ლირას წაიღებ თუ ორი ათასს, სასჯელი ორივეზე ერთი და იგივეა, სამაგიეროდ სამუშაოზე დარჩება. ფულს თუ მოგვცემს, არ გავამხელთ, ეს დიდი პატივია მისთვის.ასეთმა საქმეებმა ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ იჩინოს თავი — ან კიდევ—არასოდეს, მაგრამ ჩვენ თუ გავამხილეთ, ყველა უმალ გაიგებს, მიმიხვდი? ეს არც თუ ისე ძლიერ ცუდი საქციელი იქნება ჩვენი მხრივ, რადგან ფული საკუთარი ინტერესებისათვის არა გვჭირდება. შენ იმდენად ჭკვიანი ხარ, რომ ამას ჩვეულებრივ გამოძალვად არ ჩათვლი. ნუ დაგავიწყდება, რომ ასეთ რამეს მხოლოდ დიდი მიზნის მისაღწევად ჩავდივართ. ეს საკუთარი, მიწიერი სურვილების დასაკმაყოფილებლად რაღაც ცხვირსახოცებისა და წინდების ქურდობა როდია!

ომერი გაფითრდა. მეგობარს ხელი მხარში ჩაავლო, და თვალებში ჩააცქერდა.

— შენ საიდან იცი? არამზადავ, დიდი ხანია, თვალყურს მადევნებ? გასაგებია... მაშ შენ მოლარეს კი არა, მე მემუქრები, არა? არაფერი შეგეშალოს!

ნიჰადი გაოცებისაგან ერთ ადგილას გაშეშდა, თან ომერის ფერ-

წასულსა და გაოფლილ სახეს მიაჩერდა. ქუჩის ლამპიონების შუქზე რომ ბრწყინავდა.

— უნდა გამოგიტყდე, შენი ვერაფერი გამიგია... ახლა მე გეკითხები, — ავად ხომ არა ხარ?

ომერმა თვალები დახარა.

— თავი დამანებე, მართლა ავად ვარ, სახლში უნდა წავიდე!

ნიჰადს დარჩენა არ დაუძალებია — ომერის გამომეტყველებამ შეაშფოთა.

— რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს, კარგად დაფიქრდი. იმისათვის, რომ ცხოვრებაში ღირსეული ადგილი დაიკავო, ყველა საშუალება კარგი და კანონიერია, არაფერს არ უნდა მოერიდო. უკვე დროა დაივიწყო მოდიდან გამოსული მორალის კანონები.

ნიჰადი შებრუნდა, ომერთან გამოუმშვიდობებლად წავიდა.

ომერი მიმავალ ნიჰადს შესცქეროდა. დაინახა, როგორ შევიდა ერთ-ერთ უახლოეს ყავახანაში. ფანჯარასთან მჯდარი ჭაღარა კაცი სკამიდან წამოდგა და ნიჰადი მაგიდასთან მიიწვია.

თათრებისათვის დამახასიათებელი თვალის ჭრილითა და წინ წამოწეული ღაწვებით ომერმა იცნო ის საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ამ ბოლო ხანებში დაუახლოვდა ნიჰადი და რომელზეც ცუდი ხმები დადიოდა. ამასწინათ ომერმა სადღაც გაიგონა მისი გვარი, მაგრამ ახლა ვერაფრით მოიგონა. ამ მოღვაწის ერთი ახლო ნაცნობი უამბობდა, რომ მას რომელიღაც ჯუჯა მარიონეტულ სახელმწიფოში პრეზიდენტისა თუ მინისტრის პოსტი ეჭირა. ასეთი სახელმწიფოები ხომ მრავლად იბადებოდა და ქრებოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოღვაწე კაცის სახელმწიფომ კი რამდენიმე თვეს თუ ორ-სამ წელიწადს იარსება. შემდეგ კი ყოფილი პრეზიდენტი თუ მინისტრი სახელმწიფოდან სახელმწიფოში დადის და ავანტიურას ავანტიურაზე აწყობს.

„ნიჰადს მაინც რაღა საქმე აქვს ამ ტიპთან?“ — ფიქრობდა შინ მიმავალი ომერი.

თ ა ვ ი XVII

გაიარა რამდენიმე დღემ. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ომერი ჩაფიქრებული და მდუმარე იყო, თითქოს გადატანილი კრი-

ზისისაგან სულს ითქვამსო. მაჯიდემ ქმარს აპატია უცნაურობანი, რისხვისა და ნაღველის აუხსნელი მოძალება. ქალს სჯეროდა, რომ ომერი ძალიან კარგი და კეთილი ყმაწვილი იყო. მთელი სულითა და გულით მეუღლის გართობასა და მასში კეთილი მომავლის იმედის ჩანერგვას ცდილობდა.

მაგრამ ერთმა გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ მთლიანად აუფორიაქა აზრი და გრძნობა და ერთხანს ომერის თავი დაავიწყა.

ერთხელ ომერი შინ ადრე დაბრუნდა, იღიმებოდა, თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს რაღაც სასიხარულო ამბავი მოეტანა.

— დღეს სახლში არ ვივახშმებთ, წავალთ, დროს გავატარებთ, მუსიკას მოვუსმენთ, ამხანაგებმა მიგვიწვიეს, — თქვა მან.

მაჯიდემ რატომღაც იფიქრა, ომერი, მართლაც, დიდ სასიხარულო ამბავს მეტყვისო და როცა ეს უთხრა, გული დაწყდა.

— მე კი მეგონა, მართლაც კარგი ამბავი მომიტანე!

ამ სიტყვებზე ომერი თითქოს გაბრაზდა კიდეც, მაგრამ როცა დაფიქრდა, მიხვდა, მეუღლე მართალს ამბობდა და გაიღიმა:

— აბა ისეთი რა უნდა მომხდარიყო. ალბათ, იფიქრე, დირექტორად თუ დანიშნესო?

— არა... არ ვიცი, ვისთან მივდივართ?

— დიდძალი ხალხი იქნება. პროფესორმა ჰიქმეთმა მიგვიწვია. ხომ გახსოვს, ჩვენთან რომ გაიცანი, „ამ საღამოს დროს სატარებლად წავალთ და წამოდითო," მითხრა. მე ვაგრძნობინე, რომ ფულზე ქონატად ვარ-მეთქი, აბა, როგორ არა გრცხვენია, შენცა და შენი მეუღლეც ჩემი სტუმრები ხართო, — გამიბრაზდა ჰიქმეთი. მართალია, დიდად არ მომწონს ეს კაცი, მაგრამ იმას მაინც ვერ უარვყოფ, რომ კეთილი ადამიანია. აბა, ჩაიცვი წავიდეთ!

მაჯიდეს სამი კაბა მოჰყვა აქ. ახლა ეს კაბები სარკიან კარადაში ეკიდა. გადაწყვიტა, დღეს შალის კაბა ჩაეცვა, ამ ალუბლისფერ კაბას საყელოზე ხავერდის არშია ჰქონდა მოყოლებული. მართალია, ახლა შუა ზაფხულის პაპანაქებაში შალის კაბით თავის მოწონება ცოტა უცნაური იყო, მაგრამ აბა რა ექნა? როცა ბალიქესირიდან წამოვიდა, ზამთრის ბერი იდგა და სწორედ ზამთრის კაბები შეუკერეს, მერე კი საზაფხულო კაბებისათვის ფულის თხოვნა ვეღარ მოასწრო.

ახალგაზრდა ქალმა ამოიოხრა, ალუბლისფერი კაბა ჩაიცვა და მაგიდასთან დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაიდო და გარღვეული წინდის

ამოკემსვას შეუდგა. წინდა გვერდულად ჩამოიცვა, რომ ამოკემსილი ადგილი არ გამოჩენილიყო.

მერე თმა დაუსველებლად დაივარცხნა. ერთადერთი ქუდი აიღო: ხელში დიდხანს ატრიალა — დავიხურო თუ არაო — ბოლოს მაინც უქუდოდ წასვლა ამჯობინა.

ქუჩაში გამოვიდნენ. ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო. ადრეაო, იფიქრეს და ქალაქში გასეირნება გადაწყვიტეს. ხალხმრავალი პროსპექტიდან ჩაუხვიეს და საკმაოდ ფართო, ჩრდილიან და წყნარ ბულვარში შევიდნენ. სწორედ აქ იგრძნეს, რომ სიცხით გათანგულ ქალაქში სეირნობასაც აქვს თავისი მომხიბლაობა.

— რატომ ხშირად არ ვსეირნობთ ხოლმე? — ჩაიბუტბუტა ომერმა, — მე ფოსტაში ვზივარ, შენ კი — სახლში. იქ კი მხოლოდ და მხოლოდ სამზარეულოს სუნი ტრიალებს. აბა, ასე როგორ შეიძლება. ყოველ საღამოს ცოტ-ცოტა მაინც უნდა ვისეირნოთ!

მაჯიდემ არაფერი უპასუხა. იგი დუმილით შეეცქეროდა ომერის პროფილს. ამ ერთ წამში მან უცებ გაიაზრა და განიცადა ყველაფერი ის, რაც ომერის გაცნობის დღიდან, ამ ორი თვის განმავლობაში გადახდა თავს. მაჯიდემ იგრძნო, თუ რა ძვირფასია მისთვის ადამიანი, რომელიც ახლა მის გვერდით მოაბიჯებდა. ქალს მეუღლის ხმაც კი ათრობდა.

ომერს თმა კვლავ შუბლზე ჩამოჰყროდა. სათვალის შუშები დაორთქლოდა, ხოლო ტუჩები, ისე როგორც ყოველთვის, ლაპარაკისას ამჯერადაც ძალზე. ძალზე ლამაზად მოუჩანდნენ. მიუხედავად ამ ხელმოკლეობისა, რომელსაც მაჯიდე შეუღლების შემდეგ განიცდიდა და, რომელმაც ფანტაზიის უნარიც კი წაართვა, — მაინც ძლიერ უყვარდა ომერი და ვერ წარმოედგინა, თუ რას უნდა გაეყარა ისინი.

„არ შეიძლება ისეთი ნაკლი ჰქონდეს, რომელსაც არ ვაპატიებდი. მე შემიძლია ყველაფერი მივუტევო მას“, — გაიფიქრა მაჯიდემ.

ომერი თავის ფიქრებში ჩაძირულიყო და დუმდა. მაჯიდემ ხელი მოუჭირა ქმარს. ერთმანეთს გადახედეს. მღელვარებისაგან ქალს ტუჩები უცახცახებდა.

ომერი ვერაფერს ამჩნევდა.

— კმარა. უკვე წასვლის დროა, კარგა ხანი ვიხეტიალეთ—თქვა ძან.

ომერი და მაჯიდე თაქსიმის მოედანსა და ჰარბიეს კვარტალს შუა მდებარე ერთ-ერთ ბაღში შევიდნენ. კარგა ხანს იარეს. ქვიშამოყრილ ბილიკზე, ვიდრე მუსიკის წყნარი ჰანგები და ქალის ხმამაღალი სიმღერა არ შემოესმათ. მოედანზე პატარა სცენის წინ, რომელიც გვირილების ველსა ჰგავდა. თეთრ მუშამბაგადაფარებული რკინის მაგიდები იდგა. მაგიდებს მამაკაცები და ქალები შემოსხდომოდნენ. ხნიერი და ჩასუქებული ქალები აქეთ-იქით იცქირებოდნენ. შიშით, ქუდი არ გადაგვძვრესო, თეთრ ხელთათმანიანი ხელებით ფართოფარფლებიან ქუდებს იჭერდნენ. ქალების გვერდით მორიდებულად ისხდნენ ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონები. ამ პატარა გოგონებს საქციელზე ეტყობოდათ, რომ დედებზე ნაკლებ არ იცხობდნენ ცხოვრებას და თავიანთი გაგებულობის დასამტკიცებლად ხან გამოცდილი ქალებივით იწონებდნენ თავს, ხან კიდევ უმწიკვლო ბავშვების გამომეტყველებას ღებულობდნენ. ბიჭუნები უფრო პატარები იყვნენ და მოწყენილობას გრძნობდნენ. ჭირვეულობდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ დედებსა და უფროს დებს. მამაკაცები, საერთოდ, არ უსმენდნენ მუსიკას. ან არ ეცალათ, ან კიდევ მუსიკა არაფერში ეპიტნავებოდათ. სამაგიეროდ, ოფიციანტებს ეძახდნენ ხშირად. კისერს წაიგრძელებდნენ, აქეთ-იქეთ იყურებოდნენ და ოფიციანტებს ხელით ვიღაცაზე უთითებდნენ. მერე ხალხის თვალიერებით მოქანცულნი, ნახარჯის ანგარიშს ყურადღებით აცქერდებოდნენ და გაოცებით კითხულობდნენ „კაცო, ეს რა არის, რამდენი ულუფა ყველი შევუკვეთეთ არ გახსოვთ?“ პასუხის მიღებამდე კვლავ ანგარიშს აცქერდებოდნენ, ან კიდევ ოფიციანტის საძებრად გარბოდნენ.

სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა უცოლშვილო მამაკაცთა კომპანიები. ცოტას დალევდნენ თუ არა, ყველა უცილობლად საკუთარ თავზე წამოიწყებდა ბაასს. დაწვრილებით ყვებოდა რომელიმე მომღერალ ქალთან რომანის ამბავს, ამბობდა, თუ როგორი გამტანია მეგობრისა და როგორ ეჯავრება რომელიმე არამზადა. ჯერ კიდევ ადრე იყო და უმრავლესობა საუბრით ერთობოდა. აქა-იქ მთვრალებიც ერივნენ. ძილმორეულნი თავს უკანტურებდნენ მოსაუბრე მეგობრებს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მუსიკის მოსასმენად მხოლოდ რამდენიმე ხანშიშესული კაცი მოსულიყო. ისინი ზედ მუსიკოსების ცხვირწინ ისხდნენ. დიდებულად იყვნენ ჩაცმულნი,

ჭაღარა უკან ვულმოდგინედ გადაევარცხნათ და საკუთარი ღირსების დიდი შეგრძნებით არაყს შეექცეოდნენ. მუსიკისა და სიმღერის მოსმენისას მოგონებათა ზღვაში ჩაძირულნი თვალებს ლულავდნენ. ხოლო მორიგი ნომრის დასრულების შემდეგ თავიანთი ბებრული ხელებით დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

მაჯიდე და ომერი იქით-აქეთ იყურებოდნენ და პროფესორ ჰიქმეთის მაგიდას დაეძებდნენ, მაგრამ ვერც ერთი ნაცნობი სახეც კი ვერ დალანდეს. გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი. ოფიციანტები სკამებს ძლივს უვლიდნენ გვერდს, თავიანთი მაგიდებისაკენ ეპატიჟებოდნენ და მაშინვე უჩინარდებოდნენ.

— ალბათ, ჯერ არ მოსულან, — თქვა ომერმა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ამ რესტორანში მოვიდოდნენ?

— მე მგონი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე.

სწორედ ამ დროს ორკესტრთან მდგარი ერთ-ერთი მაგიდიდან ვიღაცამ ხელი დაუქნია.

— იქ უნდა იყვნენ, — თქვა ომერმა — ხომ ხედავ, ემინ ქიამილი გვეძახის, წავიდეთ!

ოთხი-ხუთი პატარა მაგიდა ერთი-მეორეზე მიედგათ და ისე ისხდნენ. ომერისა და მაჯიდეს მოსვლაზე ყველანი აფუსფუსდნენ, მაჯიდეს რიგრიგობით გაეცნენ, ორი ადგილი გაანთავისუფლეს და ოფიციანტს თხოვეს, ორი კაცისათვის თეფშები და ჩანგლები მოიტანეო. ასეთი მიღებით ომერი ნასიამოვნები და გაოცებული დარჩა. ყველას მადლიერების გრძნობით შეცქეროდა. აქ ყველას იცნობდა, გარდა ერთი პირმსუქანი კაცისა, რომელიც პროფესორ ჰიქმეთის გვერდით იჯდა. ამ კაცს ჰალსტუხზე ბრილიანტის ქინძისთავი ეკეთა და მუქი მოლურჯო კოსტუმი ეცვა. მბრძანებლური ტონი ჰქონდა, გამელოტებულ თავზე ისეთი რიხით ისვამდა ხელს, რომ ეტყობოდა, ვიღაც დიდი კაცი უნდა ყოფილიყო.

— ვინ არის ეს ბატონი? — ჰკითხა ომერმა პუბლიცისტ ისმეთ შერიფს, რომელიც ხელმარჯვნივ ეჯდა.

— განა არ იცნობ? ჟურნალისტი ჰუსეინ ბეია, — უპასუხა ისმეთ შერიფმა და შებრუნდა.

ისმეთ შერიფი რაღაცაზე განაწყენებული იყო და მაგიდაზე თვალმიშტერებული გამუდმებით არაყს სვამდა. თანაც ომერმა ვერ მოიგონა ჟურნალისტი ჰუსეინ ბეი და ჰიქმეთ ბეის, რომელიც მაჯიდეს გვერდით იჯდა, ჰკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— ახლახან გამაცნეს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა პროფესორმა ჰიქმეთმა, — რათა მეზობელს არ გაეგონა.

მერე კი ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი ჰუსეინ ბეის პიროვნებაზე. ომერმა ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ მოიგონა, რომ ჰუსეინ ბეის ხელმოწერით გაზეთებში ხშირად წაუკითხავს მეტად სერიოზული წერილები ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხებზე. მაგრამ თავის პოპულარობას, უფრო სწორედ — გავლენას, ჰუსეინ ბეი ჟურნალისტიკას კი არა, თავის მაღალ მდგომარეობას უმადლოდა. მის ყოველ სიტყვასა და მოძრაობაში იგრძნობოდა საკუთარი თავის რწმენა და ძალდაუტანებლობა უმაღლესი რანგის დიდებულისა. თავის მიერ გამოთქმულ ყოველ აზრს ღიმილით ამთავრებდა. რასაც არ შეიძლებოდა არ დაეტყვევებინა მოსაუბრე. თუ ვინმე შეეკამათებოდა, დუმილით პასუხობდა ან არც კი უსმენდა.

საკმარისი იყო სუფრის წევრებისათვის თვალის ერთი გადავლება, რომ მიხვედრილიყავით, თუ ვინ იყო მასპინძელი. ჰუსეინ ბეი ოფიციანტებს მოკლე-მოკლე ბრძანებებს აძლევდა. მევიოლინისა და მომღერალი ქალის მისალმებას აგდებულად უქნევდა თავს. ხანაც თანამეინახეებს მოუბრუნდებოდა და მასპინძლის იერით ეპატიჟებოდა:

— რა უქმად ზიხართ, მიირთვით, დალიეთ!

სუფრის წევრები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ. ყოველი მათგანი მეზობელთან ჩურჩულებდა და ხითხითებდა. პროფესორი ჰიქმეთი სერიოზულ საკითხზე ესაუბრებოდა მაჯიდეს: „სად სწავლობდით?

— რა უქმად ზიხართ, მიირთვით, დალიეთ!

დუმილი რომ მობეზრდა, ომერი კვლავ ისმეთ შერიფს მოუბრუნდა და ჰკითხა:

— ვინ გვმასპინძლობს?

— დღეს ჰუსეინ ბეიმ ლიტერატორები მოიწვია, — მოწყენილად უპასუხა ისმეთ შერიფმა, — ახლახან ჰუსეინ ბეის სტატიების წიგნი გამოვიდა. ეს სტატიები უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ახლა უნდა, რომ ლიტერატორებმა და ჟურნალისტებმა ამ წიგნზე ქების რეცენზიები დაწერონ. ეს ჰუსეინ ბეის აქვიატებული ავადმყოფობაა. ასობით ლირას იღებს, მაგრამ ისე კი არ ფლანგავს, როგორც ყოველი ნორ-

მალური ადამიანი, არამედ ამ ფულს ლიტერატურული ავტორიტეტის მოსაპოვებლად იყენებს.

მაჯიდე მოკლედ და თავაზიანად პასუხობდა პროფესორს. ათვალიერებდა სტუმრებს, აკვირდებოდა ორკესტრს. სცენაზე ორ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ შავთმიანი მუსიკოსები. ფერ-უმარილ-წასმული მომღერალი ქალები წელში წყდებოდნენ, რომ ხალხის ყურადღება მიექციათ. როგორც ჩანს, სიმღერის დედოფლის — ლეილას გამოსვლის ჯერი არ დამდგარიყო. ამ ქალის სახელი პარკის ელექტროფიშაში კიაფობდა. მომღერალთა გამოსვლებს შორის სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოებები სრულდებოდა. ამ ნაწარმოებების შესრულება თვით მუსიკოსებსა და მომღერლებს ნაკლებ იზიდავდა, ვიდრე მსმენელებს. მომღერლები ერთიმეორეს ეხუმრებოდნენ და იცინოდნენ. მევიოლინე დაკვრისას დარბაზში ვიღაცას ესალმებოდა, ციტრის დამკვრელი კი ჯიბეში ხურდას ეძებდა.

ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა. მომღერლები წითელი, მწვანე და ჭყეტელა ყვითელი ფერის კაბების შარიშურით ხის ბატარა კიბეზე დაეშვნენ და ბუფეტში გაუჩინარდნენ. დამკვრელებმაც ინსტრუმენტები შალითებსა და ბუდეებში ჩაალაგეს და შესასვენებლად დაიშალნენ. მაჯიდეს, აქამდე გულგრილად რომ ადევნებდა მათ თვალს, ახლა უცებ ფერი წაუვიდა, თავი ვერ შეიკავა და ომერს ხელი ჩასჭიდა. ფიქრებში ჩაძირული ომერი მოულოდნელობისაგან შეტოკდა:

— რა მოხდა, რა მოგდის, შეგცივდა?

— ალბათ, შემცივდა, — თავს ძლივს იკავებდა მაჯიდე, — ცოტა აგრილდა, კიდევ დიდხანს დავრჩებით?

— მოიცა, ლეილას მოვუსმინოთ, თუმცა მეშინია, არ მოგწყინდეს, შენ ალბათ არ გიყვარს თურქული მუსიკა, მაგრამ ლეილა ძალიან მომხიბვლელ თურქულ ხალხურ სიმღერებს მღერის. ამ სიმღერებს აქვთ თავიანთი სილამაზე.

— არა, არა, — ჩაიბუტბუტა მაჯიდემ, თან ვიღაცას თვალს არ აშორებდა, — ხალხური სიმღერები და თურქული მუსიკა ძალიან მომწონს.

დაცარიელებულ სცენაზე მხოლოდ მაღალ-მაღალი, გამხდარი შავკოსტიუმიანი მუსიკოსი დარჩა. იგი ყველაზე უკან მაყურებლისაკენ ზურგით უჯდა და ამიტომაც აქამდე არავის შეუმჩ-

ნევია. მერე ნოტები შეაგროვა, კიბეზე დაეშვა და ჟურნალისტების მაგიდისაკენ გაემართა.

ომერმა მაჯიდეს ხელი გააშვებინა და დაიძახა: — ბედრი, ბედრი! აქეთ მოდი!

შავკოსტიუმიანი ახალგაზრდა შეჩერდა და ომერს გახედა. მაჯიდე ვაჟს დააცქერდა, გული აუფანცქალდა. თავში თითქოს რაღაც გუგუნებდა, თვალთ დაუბნელდა. მერე ომერის ხელს ხელი ჩაავლო და მაგრად მოუჭირა. მაგრამ მაშინვე თავი გაიქნია და გაიფიქრა: „რისთვის? ასაღელვებელი, ან შესაშინებელი რა არის? არაფერი! განა მან ომერს რამე დაუმალა? არაფერი! განა მათ შორის ისეთი რა იყო, რომ შეხვედრისას მაჯიდეც და ბედრიც გაწითლდნენ? არაფერი! მაშ ასაღელვებელიც არაფერია!“

მაღალ-მაღალი, ადრინდელთან შედარებით ცოტა გამხდარი, უწინდებურად მრგვალი პირისახის მომღიმარი ბედრი ოდნავ დარცხვენილი მოდიოდა და გზადაგზა ჟურნალისტებს ხელს ართმევდა. ომერს მაგრად ჩამოართვა ხელი და მაჯიდეს გაოცებით გადახედა.

— თქვენ აქა ხართ? — ჰკითხა ხელის ჩამორთმევისას.

მაჯიდემ თვალებში შეხედა და უპასუხა:

— დიახ!

— შენ იცნობ ჩემს ცოლს, — გაოცდა ომერი, — განა შენც დადიხარ კონსერვატორიაში?

— არა, კონსერვატორიაში არ გამიცვნია, ბალიქესირში მუსიკას ვასწავლიდი — მშვიდად უპასუხა ბედრიმ — აი, ასეთი პატარა იყო, ერთი ციცქნა — ხელი ძირს დაუშვა.

— არც ისე პატარა, — ღიმილით შეეპასუხა მაჯიდე, — მაშინ უკვე თექვსმეტი წლისა ვიყავი, მას მერე ორი წელიც არ გასულა.

ომერმა ბედრის კოსტიუმის კალთაში წაავლო ხელი და უთხრა: — დაჯექი, როგორ არის შენი საქმეები? დედა როგორ არის, დაი რასა იქს?

— ყველაფერი ძველებურადაა.

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, ბედრიმ გვერდულად გადახედა მაჯიდეს და ჰკითხა:

— დიდი ხანია დაქორწინდით?

ომერი ჩაფიქრდა და უპასუხა.

— მგონი, ორი თვეა.. ასე არ არის, მაჯიდე?

ახალგაზრდა ქალმა შენიშნა, რომ ბედრის ოდესაც ფერი წაერთ-

ვა და მის მოღიმარ სახეს ბავშვური ნაღვლიანობა დაეტყო. ქალმა ვაჟისადმი ღრმა სიბრალული და ამავე დროს დაინტერესება იგრძნო. დიდი ხანია მასზე არ უფიქრია, თუმცა მიხვდა, რომ არც თუ ისე დავიწყნია იგი, როგორც ეგონა. ომერის კითხვები რომ მოითავა, ბედრი მაჯიდეს მიუბრუნდა.

— ახლახან ბალიქესირში ვიყავი, სკოლაში შევიარე, ჩვენ რომ მუსიკას ვმეცადინეობდით, იმ დარბაზში შევიხედე და თქვენ გამახსენდით... საოცარი პროფესიაა პედაგოგობა. მასწავლებლობას თავს რომ დაანებებ, მოგონებები აღარ გეშვებიან და მოსვენებას არ გაძლევენ. სკოლაში რომ მივედი, ცრემლები მომერია. ახლა რას აკეთებთ... უკრავთ?

— იშვიათად... კონსერვატორიაში ვსწავლობ. მაშ, თქვენ უკვე აღარ ისწავლით?

ბედრიმ მაჯიდეს უამბო, რომ დის ავადმყოფობის გამო სტამბოლი ვეღარ მიატოვა და ამიტომ იძულებული გახდა პროფესია გამოეცვალა. ახლა კერძო გაკვეთილებით შოულობდა ლუკმაპურს, საღამოობით კი აქ, ბაღში როიალზე უკრავდა.

— ნამდვილი მუშაობის დრო არ მრჩება. ეს სამსახური კი არა, თვითმკვლელობაა!

ისმეთ შერიფი, აქამდე ჩაფიქრებული რომ იჯდა, მოულოდნელად ჩაერია საუბარში. ასეთ დროს გაჩუმებას შერცხვენად თვლიდა.

— ნუთუ თქვენ წინააღმდეგი ხართ თურქული მუსიკისა? ნუთუ თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ზიზღის მომგვრელია ჩვენი საკუთარი, უდავოდ ორიგინალური კლასიკური ეროვნული მუსიკა, რომლის მელოდიებიც დაბადებიდან ჩაგვესმის ყურში? რაოდენ განათლებული და გენიალურიც არ უნდა იყოს მუსიკოსი, თუ იგი ჯეროვნად, მთელი სულით არ ჩაწვდა ჩვენს მუსიკას, ვერაფრით ვერ შექმნის ეროვნულს და, თუ გნებავთ, ეგრეთწოდებულ თანამედროვე მუსიკასაც. მე ჩემს ყოველ სტატიაში...

ბედრიმ ვერ მოითმინა, სახეზე სასიამოვნო ღიმილი აუთამაშდა და სიტყვა შეაწყვეტინა:

— დიდო მაესტრო! როგორც ჩანს, სუსტი მეხსიერება გაქვთ! ამას წინათ ჩვენ ამ საკითხზე ვლაპარაკობდით და ეს აზრი სწორედ მე გამოვთქვი. ასე რომ, ჩემთან ამის გამეორება არა გჭირდებათ. მაგრამ მოდით, წარსულს ნუ დავუბრუნდებით. მე იმის მომხრე ვარ,

რომ მუსიკაში და საერთოდ ხელოვნებაში ფორმათა მრავალფეროვნება არსებობდეს, მხოლოდ ერთი პირობით — ამ მრავალფეროვნებაში უნდა იყოს რაღაც კარგი, სასარგებლო და ემოციური. ხელოვნება გამოსახვის საშუალებაა, ყოველი ეპოქისა და ყოველი კულტურის ადამიანები სხვადასხვაგვარად შეიგრძნობენ და სავსებით ბუნებრივია, რომ სხვადასხვანაირად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს. ჩემი აზრით, ყველაზე პრიმიტიული ზანგური მუსიკაც კი ხელოვნების ნაწარმოებია. ხოლო რაც შეეხება, მუსიკას, რომელსაც ჩვენ თურქულს ვუწოდებთ, თავისი განვითარების გზაზე მან მნიშვნელოვან სრულყოფას მიაღწია. როცა ჩვენ უარს ვამბობთ ძველ კულტურაზე, როგორც განვლილ ეტაპზე, მისთვის დამახასიათებელი გამოსახვის საშუალებებიც უნდა უკუვაგდოთ, თუმცა მისი მთლიანად უარყოფა ბარბაროსობა იქნებოდა. მე ზიზღს მგვრის არა თურქული მუსიკა, არამედ ის, რასაც აქ უკრავენ... ეს არც თურქულია, არც ევროპული. ეს საერთოდ არ არის მუსიკა! ვიდრე აღმოსავლურსა და დასავლურს ავირჩევდეთ, ჯერ უნდა გაირკვეს ორივეს ავი და კარგი. აგერ უკვე ოცდაათი, ორმოცი წელიწადია, ჩვენში რიგიანი მუსიკალური ფრაზა არ დაწერილა. ის კი, რასაც აქ უკრავენ, მხოლოდ უხამსობის, უნიჭობისა და უღონობის გამოხატულებაა.

— როგორ, — აღშფოთებით წამოიძახა ისმეთ შერიფმა, თითქოს დანაშაულზე წაასწრო თანამოსაუბრეს, — თქვენ ის ხალხური სიმღერებიც არ მოგწონთ, რომელსაც ლეილა მღერის!

— არ მომწონს... ეს სიმღერები მეტად მომხიბვლელია, მაგრამ, როცა მათ ბალაგანში ქუჩის მომღერლები აცრუულებენ, თავის უშუალობასა და ბუნებრივობას ჰკარგავენ. მიუხედავად უხამსი შესრულებისა, ამ სიმღერებში თქვენ მოგწონთ ის, რაც მხოლოდ ნამდვილი და ჭეშმარიტია. ერთ რამესაც გეტყვით—ეს სიმღერები არც არის ხელოვნების სრულყოფილი ქმნილებანი, ეს მხოლოდ მასალაა მხატვრობისათვის. იმ ხალხური მელოდიის შესრულება, რომელიც პირველქმნილი სახით მხოლოდ ორსიმიანი საკრავისათვის არის გათვალისწინებული, ყოველგვარი დამუშავების გარეშე, მისი ფორტეპიანოსა და კლარნეტის თანხლებით შესრულება, უბრალოდ, ბოროტმოქმედებაა!

მუსიკოსებმა კვლავ თავიანთი ადგილები დაიკავეს სცენაზე, მაყურებლებს შორის ატეხილი ჩოჩქოლი იმაზე მეტყველებდა, რომ მალე სიმღერის დედოფალი გამოვიდოდა. ბედრი წამოხტა.

— სხვა დროს ვილაპარაკოთ.

მერე მაჯიდეს მიუბრუნდა და მოიბოდიშა:

— მაპატიეთ, მტკივნეულ საკითხს შეეხენ და იმან გამაბრაზა!

— გამოგვიარე, — ხელი დაუჭირა ომერმა, — იმავე პანსიონში ვცხოვრობთ.

— კარგი, კარგი, აუცილებლად შემოგივლით, — ჩაილაპარაკა ბედრიმ და სცენაზე აირბინა.

მალე თვით სიმღერის დედოფალი ლეილაც გამოჩნდა. ტანმაღალ ქალს ვარდისფერი, გრძელი კაბა ეცვა. მაგიდებს შორის აუჩქარებლად მიდიოდა. ირგვლივ ღიმილს აფრქვევდა და შეღებილ დახვეულ თმას მალიმალ ისწორებდა ხელით, რომელზეც თითქმის ნახევარკილოიანი ოქროს სამაჯურები უელავდა! როცა მომღერალი სცენისაკენ მიმავალ ხის კიბეს შეუყვა, მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა. ლეილა თავის თაყვანისმცემლებს მოხდენილად მიესალმა. მერე ოფიციანტს, უკან რომ მისდევდა, მარგალიტებით გაწყობილი ვარდისფერი ხელჩანთა გამოართვა. მხრიდან გამჭვირვალე მოსასხამი მოიხსნა და ოფიციანტს გადაუგდო. ორკესტრს ანიშნა დავიწყოთო, ხელები მკერდს ცოტა ქვემოთ შემოიწყო და ლამაზი, მგზნებარე ხალხური სიმღერა დაიწყო. ლეილას მაღალი, საკმაოდ ძლიერი ხმა ჰქონდა და არც თუ ცუდად მღეროდა. ანატოლიის ველების ეს მელოდია, თითქოს შორს, ზღვის ტალღებამდე აღწევდა და ხეზე ფოთლებს აშრიალებდა. მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი სიმღერის მკვეთრ და მკაცრ ადგილებს ესტრადის ყაიდაზე არბილებდა, მისი ხმის სილამაზე და სიმღერის ნაღვლიანი მორჩილება მსმენელებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. თვით სიმღერა ან იქნებ მომღერლისადმი აღძრული საერთო ინტერესი ყველას აიძულებდა, რომ ყურადღებით ესმინათ. სკამებზე მთვლემარე ბავშვებმა თვალები დაჭყიტეს და გაოცებული აქეთ-იქით იყურებოდნენ.

ლეილამ კიდევ რამდენიმე სიმღერა შეასრულა. ბევრმა სიმღერამ იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ მეორეჯერ ამღერეს. ბოლოს სცენიდან ჩამოვიდა. „ბრავო“, „ბრავოს“ შეძახილებით გააცილეს. სიმღერის დედოფალმა მოწიწებით მომლოდინე ოფიციანტს მოსასხამი გამოართვა, თავისი ჩანთა მიაწოდა და ბუფეტისაკენ გაემართა.

ჟურნალისტების სუფრაზე სიჩუმე სუფევდა. ჰუსეინ ბეი უკვე აღარავის ეპატიჟებოდა, მისი სტუმრებიც ფიქრს მისცემოდნენ.

უსაქმობისაგან თავმობეზრებულმა ომერმა ისმეთ შერიფს ჰკითხა: — რატომა ხარ დღეს ასე მოწყენილი, რა მოხდა?

ისმეთ შერიფმა მხრები აიწურა.

— რას ჩაციებიხარ მაგ საბრალოს, მეტი ვერავინ ნახე? — ჩაერია საუბარში ემინ ქიამილი, რომელიც ომერის წინ იჯდა, — ისმეთ შერიფი აგერ რამდენიმე დღეა ასე ეწამება.

ისმეთ შერიფმა ღვინომორეული, ზიზღით სავსე თვალებით შეხედა მეგობარს:

— ბოლოს და ბოლოს მოკეტავ თუ არა?

ემინ ქიამილმა გაიცინა, სუფრის წევრები გამოცოცხლდნენ. თითქოს ყველანი რაღაც უჩვეულოსა და საინტერესოს ელოდნენ.

— კარგა ხანია გაზეთებს აღარ ვკითხულობ... ხომ არ წაიჩხუბნენ ემინ ქიამილი და ისმეთ შერიფი? — ხმადაბლა ჰკითხა ომერმა პროფესორ ჰიქმეთს.

პროფესორმა ხელი ჩაიქნია, თითქოს ამბობდა, ეს არაფერიაო, მერე კი მანაც ხმადაბლა უპასუხა:

— ემინ ქიამილი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, მას ძალიან უყვარს ისმეთ შერიფის გაბრაზება.

მერე პროფესორმა ომერს უამბო ისმეთ შერიფის ამბები: უსაქმურობისაგან თავმობეზრებული ისმეთ შერიფი თავს დაესხა ერთ ცნობილ რომანისტს. დაიწყო ერთმანეთის საზიზღარი გინება, ბოლოს რომანისტმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდებოდა, რომ ისმეთ შერიფის მამა გმირულად კი არ დაიღუპა, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ თვით თავისიანებმა დაახალეს ტყვია ხურგში, როცა ტყვედ უნდა დანებებოდა მოწინააღმდეგეს. ამის შემდეგ ლიტერატურული დისკუსია ახალი ძალით გაიშალა. ორივე მხარე პრესაში აქვეყნებდა ყველაფერს, რაც იცოდა, ან გაეგო მოწინააღმდეგის პირად ცხოვრებაზე. ერთი წერდა: „მამაშენი გმირი კი არა, გამყიდველიაო“, და ამ ამბის მნახველებს იმოწმებდა, ისმეთ შერიფი კი ამტკიცებდა, რომ იმ რომანისტის დედა ერთ კაცთან სამი წელი ცხოვრობდა უკანონოდ, ხოლო მეორესთან — ხუთი, თან პოლიციაშიც კი იყო რეგისტრირებულიო. ორივენი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ თითოეულის მნიშვნელობა აზროვნებისა და ლიტერატურის სფეროში ნულს უდრიდა.

— კი, მაგრამ ემინ ქიამილი რა შუაშია? — ჰკითხა ომერმა.

— იგი ყოველთვის ცეცხლზე ნავთს ასხამს, მისთვის გართობაა მთავარი.

ახლა ისმეთ შერიფი მართლა გაბრაზდა. კარგი იქნებოდა ის სურა ეთხლიშა თავში ემინ ქიამილისათვის.

— კმარა, წავიდეთ, — მხარი გაკრა მაჯიდემ ომერს.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა... ისეთი არაფერი... მგონი, ცოტა შეუძლოდ ვარ.

თ ა ვ ი XVIII

ცოტა ხნის შემდეგ მაჯიდეს სადარდებლად ექცა, რამ შეცვალა ასე უცებ მისი და ომერის დამოკიდებულება, მაგრამ ვერაფრით აეხსნა. ქალს ნამდვილად უყვარდა ომერი. იქნებ ამ სიყვარულში მისი სხეული უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე გონება. როცა ქალი წვერგაუპარსავ ღაწვებზე ეალერსებოდა ქმარს ან მის ოდნავ ამობურცულ ბავშვურ ტუჩებს შესცქეროდა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა ხოლმე. ქალი მორცხვად, მაგრამ ვნებით ეხვეოდა ომერს, რაც თვითონაც კი უკვირდა.

მაჯიდეს მხოლოდ სიყვარული არ აკავშირებდა ომერთან. ერთად ცხოვრების ამ რამდენიმე თვის მანძილზე ქალმა ვაჟის ხასიათის ბევრი სუსტი მხარე აღმოაჩინა. უწინარესად ომერი თავისი ნაუცბათევი სურვილების სათამაშო თოჯინა იყო. ეს თვისება მაშინაც კი იჩენდა თავს, როცა ორივენი რაიმეს საყიდლად წავიდოდნენ. თუ ჭურჭლის მაღაზიაში ფინჯნის საყიდლად შევიდოდნენ და ომერი ჭრელ ეგრეთ წოდებულ იაპონურ სურას დაინახავდა, იმ წამსვე მის ყიდვას მოისურვებდა. მაჯიდეს უჭირდა თქმა, რომ ამის საყიდელი ფული არა აქვთ, რომ სურა ახლა სულაც არ სჭირდებათ. ომერს კი სწყინდა, ამ დროს მაჯიდეს ძალიან სურდა მოხვეოდა ქმარს და პატარა ბავშვივით დაემშვიდებინა იგი.

ომერის ეს წუთიერი სურვილები, მათი დათრგუნვის შეუძლებლობა, უფრო სწორად, საკუთარი დამორჩილების უცოდინარობა ხშირად ძალზე აუტანელი ხდებოდა. არც თუ იშვიათად შინ გვიან ბრუნდებოდა, არყის სუნი ასდიოდა და როცა მაჯიდე ჰკითხავდა, სად იყავი, რად დაიგვიანეო, ასე პასუხობდა: — „ამხანაგებმა მთხოვეს და უარი ვეღარ ვუთხარი“, ან კიდევ — „დალევა მომინდა

და თავი ვეღარ შევიკავე". მაჯიდემ იცოდა, რომ იგი მართალს ამბობდა. ომერის ყოველი საქციელის გამართლება სამი სიტყვით შეიძლებოდა „თავი ვეღარ შეიკავა". მაჯიდე დარწმუნებული იყო, — რომ ეკითხა, ცოლად რატომ შემირთეო, ასე უპასუხებდა: „დაგინახე და თავი ვეღარ შევიკავე".

სუსტი ნებისყოფისა იყო ომერი. თავის შეკავება ძალიან უჭირდა — რომ არ დაცემულიყო და გაუბედურებულიყო, სხვისი დახმარება სჭირდებოდა. მაჯიდემ იცოდა ყველაფერი ეს და რაღაც სიამაყეს გრძნობდა, რომ სწორედ მას უნდა ეთამაშნა ასეთი დამხმარე ადამიანის როლი. ეს უფრო ძლიერ აკავშირებდა ომერთან. ქალი გრძნობდა, რომ მძიმე მოვალეობა დააწვა მხრებზე. მართლაც და, სასიამოვნოა, როცა გრძნობ, რომ მეორე კაცის ცხოვრება შენზეა დამოკიდებული.

ომერი თუმცა ცდილობდა, ეს გარემოება არ შეემჩნია, არ ეგონდა საკუთარ თავს გამოტყდომოდა, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ მაჯიდე სჭიროდა. ხშირად, კანტორაში თუ ქუჩაში, საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ადრინდელივით თავისუფალი არ არის და ახლა ვიღაცასთანაა დაკავშირებული, ვიღაცასთან უნდა წავიდეს და მაშინ იგი საშინლად ბრაზობდა მაჯიდეზე, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, თითქოს გამოფხიზლდაო, საკუთარ თავს ეუბნებოდა: „რა იქნებოდი შენ უიმისოდ? მაჯიდეს გულისათვის შეიძლება მსხვერპლად გაიღო არა რაღაც საცოდავი თავისუფლება, არამედ უფრო დიდი, სერიოზული რამ". ომერს უმაჯიდეოდ ვერ წარმოედგინა თავისი ცხოვრება. მას ვერ წარმოედგინა ქალთან განშორება და უკვირდა, წინათ როგორ ცხოვრობდა უიმისოდ.

როცა უცოლო მეგობრები ხუმრობით თავისუფალი ცხოვრების უპირატესობასა და მამაკაცური თავისუფლების მომხიბლაობის დამტკიცებას ცდილობდნენ, ომერს ბრაზი მოერეოდა, შინ მოწყენილი ბრუნდებოდა და მაჯიდეს უხეშად პასუხობდა, თუმცა მის გაბრაზებას მაჯიდეს სიმშვიდე უპირისპირდებოდა. როგორც კი იგრძნობდა, თუ როგორ განიცდიდა ქალი მის ყოველ ასეთ საქციელს, უცებ იცვლებოდა, ცოლს ხელს მოხვევდა, სახესა და მხრებს უკოცნიდა და ლამის ტიროდა.

— ნუ გამიბრაზდები! მაპატიე! მე მხოლოდ ქმარი კი არა ვარ, შენი შვილიც ვარ, — ემუდარებოდა ომერი.

ომერმა დაარწმუნა მაჯიდე, რომ ყოველ ადამიანს, — ზოგს მე-

ტად, ზოგს ნაკლებად სულში რაღაც ეშმაკი უზის და ეს ეშმაკი გვაიძულებს მოვიქცეთ არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, არამედ სულ სხვაგვარად. მაჯიდემ რიგიანად ვერ გაიგო, თუ რა ეშმაკი უნდა ყოფილიყო ეს, რადგან დღემდე მას თვითონ არ უგრძვნია მისი არსებობა, მაგრამ ქალს ეშინოდა, რომ ოდესმე მის სულშიც გაიღვიძებდა ეშმაკი და მასაც ომერივით დაიმონებდა.

ბედრიმ მოუხშირა ოჯახში სიარულს. თავისუფალ დროს სულ მათთან ატარებდა. უფრო საღამოობით მოდიოდა ხოლმე. თუ ომერიც შინ დახვდებოდა, სამივენი სასეირნოდ მიდიოდნენ, ხოლო როცა ომერს აგვიანდებოდა, მაჯიდესთან ერთად იჯდა და სხვადასხვა ამბებზე მუსაიფით ელოდა მეგობარს.

— ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, — უთხრა ომერმა მეუღლეს.

— ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ აგერ, ეს ერთი წელია ერთმანეთს არ შევხვედრივართ. მეგონა, კვლავ პროვინციაში მასწავლებლობდა, ის კი რა დღეში ყოფილა!

და ომერი მოჰყვა ბედრის უფროსი, ავადმყოფი დისა და მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი და მშრომელი დედის ამბავს.

როცა მაჯიდე ამ ამბებს ისმენდა, ცდილობდა განსაკუთრებული დაინტერესება არ გამოემჟღავნებინა. მას რატომღაც სიამოვნებდა, რომ ასეთი სიყვარულითა და აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ბედრიზე, მეგობრისადმი მის დიდ სიყვარულზე და იმაზე, რომ თავის დროზე ბედრი დიდი მუსიკოსი დადგებოდა.

ერთხელ ომერს წამოცდა, ბედრის ორი ლირა დავესესხეო. მაჯიდე გაოცდა და განაწყენდა. ქალმა კარგად იცოდა ომერის ხასიათი და ეშინოდა, ფულის შემოლევისას კვლავ არ დასესხებოდა საბრალო ბედრის. მას არ სურდა, რომ ბედრი სიბრალულის გრძნობით გამსჭვალულიყო ქალისადმი და უბედურად მიეჩნია იგი. როცა საღამოობით ომერის მოლოდინში ბედრის ესაუბრებოდა და სიტყვა მათ შეუღლებაზე ჩამოვარდებოდა, ქალი ფრთხილობდა ბედისადმი უკმაყოფილების გამომხატველი სიტყვები არ წამოცდენოდა. ცდილობდა შეუღლის მხოლოდ დიდი სიყვარული გამოეხატა. მაჯიდემ ისიც კი დაუმალა ბედრის, რომ ომერის უდარდელობის გამო მათი ქორწინება ჯერაც არ იყო ოფიციალურად გაფორმებული, თუმცა შეუღლებიდან კარგა ორ თვეზე მეტი გავიდა და განცხადების ჩაბარების დღიდან საჭირო ვადამაც გაიარა. ბედრი დარწმუნებული იყო,

რომ ისინი კანონიერად ცხოვრობდნენ და შეუღლებაც მშობლების თანხმობით მოხდა. ბედრის არაერთხელ უკითხავს მაჯიდესათვის:

— როგორ მიდის ომერის საქმეები? ფული თუ გაყოფნით, ბალიქესირიდან რამეს თუ გიგზავნიან? — მაჯიდე ყოველთვის თავს არიდებდა პირდაპირი პასუხის გაცემას.

ბედრი გულწრფელად იყო დაინტერესებული ომერისა და მაჯიდეს ბედით. მაჯიდე ადვილად ხვდებოდა, რომ ვაჟს გული შესტკიოდა მასზე. რამდენიმე დღის უნახავი ბედრი შეხვედრისთანავე იტყოდა ხოლმე:

— მე თქვენზე ვწუხდი, როგორ მიდის თქვენი საქმეები?

ბედრის ასეთი ყურადღება სასიამოვნო მღელვარებას გვრიდა მაჯიდეს. ომერს არასოდეს უთქვამს, რომ მაჯიდეზე ფიქრობდა. ხშირად იგი თითქოს ქალს არც კი ამჩნევდა. ომერის სიყვარული ისე, როგორც მისი ყველა სხვა გრძნობა, მეტად ძლიერი, მაგრამ მხოლოდ წამიერი იყო. ომერი უცებ შედიოდა ექსტაზში და მაჯიდეს სუნთქვაც უჭირდა სიყვარულის ასეთ ქარიშხალში, რომლის გაჩენის უნარი მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ომერს ჰქონდა. გავიდოდა სულ ცოტა ხანი და ომერი კვლავ თავის ფიქრებში იძირებოდა. რამდენიმე დღე ისე გულგრილად უყურებდა ქალს, თითქოს მეუღლე კი არა, რომელიმე შორეული ნათესავი ან სახლის მეპატრონე ყოფილიყო. სიყვარულის ასეთი აფეთქების შემდეგ რაოდენ ძლიერადაც არ უნდა შეთვისებოდა მაჯიდე ქმარს, ყოველთვის მტკივნეულად გრძნობდა, რომ ბევრი მისი სურვილი და სულიერი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

მაჯიდე სულაც არ ჰგავდა ომერს. ზომიერსა და მშვიდ ქალს ყველაზე უფრო მძიმე წუთებშიც კი შეეძლო თავშეკავება. ამაყობდა იმით, რომ საჭიროების შემთხვევაში ნებისყოფის გამომჟღავნება შეეძლო. ქალს ქმრის სწორედ ის ვნებიანობა და აღტაცება მოსწონდა, რომელიც თვითონ არ გააჩნდა, მაგრამ მას სწყინდა, რომ ომერს არ ჰქონდა ის თვისებები, რომელსაც თვითონ ფლობდა. თუმცა იქნებ ამდენი არც უნდა მოთხოვო ერთ ადამიანს, მაგრამ მაჯიდეს ისეთ ადამიანთან სიახლოვე სწყუროდა, რომელიც მუდამ იფიქრებდა მასზე და მხოლოდ ნდობის სურვილს და სიყვარულს კი არ გაუღვიძებდა, არამედ ღრმა პატივისცემასაც. მას მხოლოდ ჭირვეული ბავშვი კი არ სჭიროდა, არამედ უფროსი ძმაც, რომელიც ცხოვრების იმედი იქნებოდა.

ეს სურვილი განსაკუთრებით გაუძლიერდა მას შემდეგ, რაც ბედრიმ მათთან სიარულს მოუხშირა. მუსიკის ყოფილ მასწავლებელთან მაჯიდეს მხოლოდ ბავშვობის მოგონებები აკავშირებდა, მაგრამ ამავე დროს ქალს სურდა ომერს ბედრის ყველა დადებითი თვისება ჰქონოდა და რაღაც უცნაური, ეჭვიანობისა თუ შიშის მსგავსი გრძნობით ეხვეოდა ქმარს, რითაც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. ქალი თითქოს ბრაზობდა კიდეც ბედრიზე. მაჯიდეს კარგად ესმოდა, თუ როგორ ექცეოდა იგი მას და არაფერში არ ადანაშაულებდა. მაგრამ სწორედ ბედრის უნდა უმადლოდეს, რომ ასე ნათლად დაინახა ომერის ნაკლოვანებები, რომელთა შემჩნევაც აქამდე არ სურდა. მისდაუნებურად ბრაზობდა ბედრიზე, ეშინოდა, არ დაეკარგა სულიერი წონასწორობა, რომლის შენარჩუნებაც ასე ძნელი იყო.

მაგრამ გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მაჯიდეს მახსოვრობაში ჩაახშო ერთი და ამოსწია მეორე. უკანასკნელ ხანებში ომერი კვლავ მოღუშული და ბრაზიანი დადიოდა. ყველაფერი ნერვებს უშლიდა და აღიზიანებდა. რადგან უფულობა ყელში მობჯენოდა. მაჯიდე არაფერს ეკითხებოდა, ვაითუ, ჩემი შეკითხვებით კიდევ უფრო გავანაწყენოო. მაჯიდეს თავშეკავების დიდი უნარი ჰქონდა, თანაც შეეძლო ცხოვრებისათვის მუდამ კარგი და მადლიერი თვალით ემზირა, მაგრამ ისეთ კაცთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, რომელსაც ნერვები მუდამ დაჭიმული ჰქონდა და დაძაბული იყო, მასზეც იმოქმედა.

ერთხელ, საღამოხანს მაჯიდე ღია ფანჯარასთან იჯდა. ქუჩაში მტვრის ბუღი იდგა. იქვე, ფანჯრის ქვევით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვების ხმაური იკლებდა იქაურობას. დღეს კონსერვატორიაში არ წასულა, მაგრამ ისეთ დაღლილობას და მოქანცულობას გრძნობდა, რომ განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. თავი სკამის საზურგეზე გადაედო, ფეხები იატაკზე დაეყრდნო, სკამზე ქანაობდა და გონების თვალით ხან ერთ საგანს გადაწვდებოდა, ხანაც მეორეს, თითქოს ტოტიდან ტოტზე მხტომარე ჩიტი ყოფილიყო, მაგრამ ყველაფერს, რაზეც არ უნდა ეფიქრა, მაინც ერთ ამბავს უკავშირებდა. უნდოდა ახლა ბედრი მოსულიყო. ამ სურვილმა თვითონვე შეაშფოთა, ხოლო როცა გაახსენდა, რომ ბედრი ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ შეჰპირდა ომერს დღეისათვის მოსვლა, ქალმა სულ მთლად დაიმორცხვა.

„ძალიან ცუდად ვიქცევით, მეც და ომერიც, — ფიქრობდა მაჯიდე, — მე ბედრის ნამოწაფარი ვარ, ვუყვარვარ და სურს ბედნიერი ვიყო. ეს ძალიან კარგად ვიცი. ომერიც ძალიან უყვარს. შეიძლება ჩემი ქმარი მისი ერთადერთი მეგობარიც იყოს, მაგრამ ვიქცევით კი სწორად? აგერ უკვე ერთი თვეა ფულით გვეხმარება. ვინ იცის, თვითონ როგორ უჭირს, უფულობა კოსტიუმზეც ეტყობა. რატომ ვითხოვთ მისგან ასეთ მსხვერპლს? ნუთუ მისი უმწიკვლო მეგობრობის გრძნობა უფლებას გვაძლევს, მის ხარჯზე ვიცხოვროთ! ვინ იცის, როდის გამოსწორდება ომერის საქმეები! მე ხომ ვგრძნობ, როგორ უჭირს ბედრისგან ფულის სესხება. რასაკვირველია, ასეთი მეგობრისაგან ვალის აღება, მით უმეტეს მაშინ, როცა არ იცი, როდის გაისტუმრებ, ძალზე ცუდია... მაგრამ ბედრი უბრალოდ გამგეში კაცია. იგი ისე გვეხმარება, თითქოს ვალდებული იყოს. რა კარგი ადამიანია!“

მაჯიდემ გადაწყვიტა საკუთარ თავს გამოტყდომოდა:

— საინტერესოა ბედრისა და ჩვენი ოჯახის ურთიერთობაში რა როლს ვთამაშობ მე. ბედრი ხშირად იხსენებს ბალიქესირს და ამ დროს სახეს ისე მოაბრუნებს ხოლმე, თითქოს ეშინია, სახემ არ გასცეს. მაგრამ მე ხომ ვხვდები ყველაფერს. როგორც არ უნდა ეცადოს ამის დაფარვას, მისი სული მაინც სავსეა ამ მოგონებებით. მე კი ყველაფერი დამავიწყდა... არა, დავიწყებით კი არ დამავიწყდა, უბრალოდ ეს მოგონებები ისეთ დიდი შთაბეჭდილებას აღარ ახდენს ჩემზე... განა ასე არ არის? კაცმა რომ თქვას, ჩვენს შორის ან კი რა იყო? ორი სიტყვაც კი არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, მე მხოლოდ მისი გამოხედვა მახსოვს, მახსოვს, როგორ იდგა კარს იქით და მიყურებდა. თვალები ცეცხლივით უელავდა, ახლა კი თითქმის ყოველთვის ჩაფიქრებული და დარდიანია... სახლში ავადმყოფი და ჰყავს, ცხოვრებაც უჭირს და ყველაფერი ეს აწამებს. ახლა კი ჩვენც მის კისერზე..

ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა, კარი გაიღო და ოთახში ბედრის გრძელი კისერი გამოჩნდა. მაჯიდე შესაგებებლად წამოდგა.

— გთხოვთ, მობრძანდით!

— გმადლობთ. ომერი კიდევ არ მოსულა? — ამ კითხვაში თითქოსდა გაოცებაც იგრძნობოდა და ოდნავ შესამჩნევი კმაყოფილებაც. მაჯიდემ სკამი მიაწოდა და უპასუხა:

— არა, ჯერ არ მოსულა, დაბრძანდით!

ვაჟი ჩვეულებისამებრ ქალის წინ დაჯდა, ოთახში სინათლე ქუჩიდან შემოდიოდა და ამიტომ შუქი არც აუნთიათ.

არც ერთი ხმას არ იღებდა. მაჯიდე სახეში შესცქეროდა სტუმარს და ქვედა ტუჩს იკვნეტდა. ეშინოდა რომ მისი ყოველი სიტყვა ცხოვრების სამდურავი არ ყოფილიყო. ბედრიმ კი არ იცოდა, რაზე ელაპარაკნა. იგი ჯერ კარგად არ იცნობდა ომერისა და მაჯიდეს ცხოვრებას და თავისი დამოკიდებულებაც ვერ გაერკვია ამ ოჯახისადმი. მართალია, ომერს კარგა ხანია იცნობდა და უყვარდა კიდეც, მაგრამ მისი დაქორწინება და ისიც მაჯიდეზე, უცნაურად და, ცოტა არ იყოს, უაზროდაც კი მოეჩვენა. მიუხედავად დიდი სურვილისა, ამ ადამიანების ერთად ცხოვრება ვერაფრით ვერ წარმოედგინა. ომერი და მაჯიდე თავიანთი ხასიათებით სულ სხვადასხვა ადამიანები იყვნენ. მიუხედავად მოჩვენებითი კეთილდღეობისა, ბედრი გრძნობდა, რომ ამ ოჯახის ცხოვრება სადღაც გაიბზარებოდა. ამისი კი გულწრფელად ეშინოდა. განსაკუთრებით მაჯიდეზე წუხდა. „ჩვენმა დამთხვეულმა რაიმე უბედურება არ დაატეხოს თავს! — ფიქრობდა იგი, — ან როგორ გაბედა დაქორწინება?“ მართალია, მაჯიდეს არასოდეს დაუჩივლია, მაგრამ ბედრი გრძნობდა, რომ ქალი დარდობდა. ბედრის შეკითხვებზე მაჯიდე ერთთავად იმას ირწმუნებოდა, ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარო, მაგრამ ბედრის ეჭვებს ეს კიდევ უფრო აძლიერებდა.

ამ უკანასკნელ წლებში ბედრის ცხოვრება საშინლად აირია, მხოლოდ ზრუნვითა და ნაღვლით იყო სავსე. ჰოდა, ერთხანს მაჯიდე კიდეც მიავიწყდა, მაგრამ როცა ბალიქესირში ჩავიდა, ნაცნობი ადგილები მოიარა და თავის ყოფილ მუსიკალურ კლასში შეიხედა, გული კვლავ აუძგერდა. წინსაფრიანი მოსწავლე გოგონები, ახლა მის გვერდით რომ გარბი-გამორბოდნენ, ბედრის იმ ამბავს აგონებდა, რაც აქ ორი წლის უკან გადახდა თავს, აგონებდა გოგონას, რომელიც მაშინ მისი ცხოვრების აზრს წარმოადგენდა. ბედრის ყოველთვის უბრალო, უმნიშვნელო განცდაც კი აღელვებდა ხოლმე და ახლა, როცა მაჯიდეს ისევ შეხვდა ბაღში, შთაბეჭდილებები ადრინდელი ძალით გაცოცხლდნენ.

ბედრის სურდა თავისი ძველი მეგობრის, ომერის წინაშე წმინდა ყოფილიყო და არაფერი დაემალა მისთვის, მაგრამ რა უნდა ეამბნა, რა უნდა ეთქვა, როცა არაფერი არ ყოფილა? იგი ახლა ისევე მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული მაჯიდესადმი, როგორც

თვით ომერისადმი, თუმცა ცოტა განსხვავებაც იყო — მაჯიდესთან დამოკიდებულებაში ეს გრძნობა ცოტა უფრო ძლიერი და ნაზი იყო. ეს იყო და ეს. და ასეც უნდა ყოფილიყო! ბედრი დილიდან საღამომდე მუშაობდა და მონაგარი ფულის ნახევარს მაჯიდესა და ომერს აძლევდა. ამას მხოლოდ იმიტომ როდი აკეთებდა, რომ მაჯიდეს არაფერი გაჭირვებოდა. მეგობრის დიდი პატივისცემა ჰქონდა და არ უნდოდა, მეუღლის თვალში შერცხვენილიყო. ბედრის ეშინოდა უფულობას თავგზა არ აებნია ომერისათვის. ბედრი მოვალე იყო ეზრუნა თავის ავადმყოფ დაზე, მაგრამ ეს ზრუნვა ხელ-ფეხს უკრავდა. მას მობეზრდა მორჩილება შინაურებთან. მათი სურვილების ასრულება, მორჩილება. მაჯიდესა და ომერს მოვალეობის გამო როდი ეხმარებოდა, ამ კეთილი საქმის გაკეთებით ეგოისტურ სიამოვნებას განიცდიდა და როცა მეგობრებს რაიმე გასაჭირისაგან დაიხსნიდა, მათთან ერთად ხარობდა. სამაგიეროდ არაფერს ითხოვდა. ბედრის ცხოვრებას, რომელიც თითქოსდა მხოლოდ ჯაფისა და ზრუნვისაგან შედგებოდა, რაღაც აზრი გაუჩნდა. ეს კი საკმაო საჩუქარი იყო მისთვის. თანაც მაჯიდეს გვერდით ჯდომაც შეეძლო. მართალია, ქალი თავის წუხილსა და გაჭირვებას უმალავდა, მაგრამ იგი მაინც ძალზე ახლობელი იყო. განა ბედრისთვის ცოტას ნიშნავდა მაჯიდესთან სეირნობა? ზოგჯერ, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ქალის გამოხედვასა და ღიმილში იგი ადრინდელი მეგობრის ანარეკლს ხედავდა და გრძნობდა, რომ ცხოვრება გაცილებით სისხლსავსე და მიზანსწრაფული გახდა. განა ეს ცოტა იყო?

ალბათ, საკმაო დრო გავიდა და ისინი კვლავ მდუმარედ ისხდნენ ერთიმეორის წინ. ოთახში სულ ჩამობნელდა, ერთმანეთის სახეებს ძლივს ამჩნევდნენ. ორივე დარწმუნებული იყო, რომ თითოეული მათგანი ხვდებოდა მეორის ფიქრებს. ამიტომაც ვერ გაებედნათ სინათლის ანთება, ვერ გაებედნათ სახეში შეეხედნათ ერთმანეთისათვის.

შემოსასვლელში ნელი და ყრუ ნაბიჯების ხმა გაისმა. კარი გაიღო და ომერი შემოვიდა. ვიდრე ომერი კიბეზე ამოვიდოდა, სიბნელეს შეაჩვია თვალი, ამიტომ ახლა, ქუჩის ფარნით განათებულ ოთახში ყველაფერი კარგად შეამჩნია. ხან ბედრის მიაშტერდებოდა უაზროდ, ხანაც მაჯიდეს.

მაჯიდე წამოდგა, გვერდი აუარა და სინათლე აანთო. — კვლავ დააგვიანე, ომერ, უკვე ერთი საათია ბედრი ბეი გელოდება.

აბაჟურის წითელი შუქით დაბრმავებულმა ომერმა თვალები აახამხამა. მაჯიდე ყურადღებით დააცქერდა მეუღლეს და განზე გადგა: ომერი ასეთი არასოდეს ენახა. ჯერ იფიქრა, მთვრალიაო. უცნაურად გამოიყურებოდა, ადამიანის სახე არა ჰქონდა, მაჯიდეს ასეთ დღეში მაშინაც კი არ უნახავს იგი, როცა ძალზე მთვრალი მოდიოდა ხოლმე, ამან კიდევ უფრო შეაშფოთა მაჯიდე. ღაწვები შევარდნოდა, პირის კიდეები თავზე ხელაღებული კაცივით მოშვებოდა, დაღლილი თვალები ამღვრეოდა, მოღლილი უღონოდ ჩამოკიდებული ფერდაკარგული ხელები უკანკალებდა. თვალებს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა, კბილს კბილზე აჭერდა, ეტყობოდა, თავის შეკავებას ცდილობდა. ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, სკამი დაიდგა და კი არ დაჯდა, დავარდა.

— რა მოგივიდა, ომერ? — მიცვივდნენ ბედრი და მაჯიდე.

ომერმა ხმა არ ამოიღო და თავი ხელებში ჩარგო. ასე იყო რამდენიმე წუთი. მერე უცებ ასწია თავი და გაიხედ-გამოიხედა, ველურივით იყურებოდა. გეგონებოდათ, ოთახში ადამიანები მხოლოდ ახლა შეამჩნიაო. ბედრის გადახედა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით იკითხა:

— შენ აქ ხარ?

ბედრი გააოცა ამ უაზრო კითხვამ, ომერს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— კმარა ჩვენი დაშინება, ომერ, გვითხარი რა მოგივიდა?

ომერი ხან მაჯიდეს შეცქეროდა, ხან ბედრის, მერე თითქოს თავში რაღაც მოულოდნელმა აზრმა გაუელვაო, ხმადაბლა იკითხა:

— ვინ არის ეს „ჩვენი“ — შენა და აი, ესა? — მაჯიდეზე მიუთითა — როდის შემდეგ ამბობთ „ჩვენ“.

მაჯიდემ ისე დააღო პირი, იფიქრებდით, აგერ-აგერ ყვირილს მორთავსო, მერე ნაბიჯი წადგა და ხელი წინ გაიშვირა, თითქოს ომერს პირზე ხელი უნდა დააფაროსო. ამასობაში ომერი წამოხტა, ბედრის საყელოში ხელი ჩაავლო და ახლა სულ სხვა, უფრო რბილი, თითქმის მავედრებელი ტონით თქვა:

— შენ ჩემი ამხანაგი ხარ, ასე არ არი?

ბედრიმ აუღელვებლად, მშვიდად უპასუხა:

— რა მოგდის, ომერ, ამ ბოლო დროს ძალიან გამოიცვალე, როგორი გულჩახვეული გახდი. შეხედე, სანამდე მიხვედი, გონს მოდი, თორემ გაგიჟდები!

— შენ კარგი კაცი ხარ, — კვლავ რბილად თქვა ომერმა, — ძალიან კარგი ამხანაგი, — ახლა ომერის ხმაში ნაღვლიანი ტონი ჭარბობდა. — უკანასკნელ ხანებში ჩვენი მფარველი გახდი, რა დასამალია და მწყალობელიც, და თუ შეიძლება დღეს ვინმეს ენდო, შენ მითუმეტეს უნდა გენდოს კაცი,

ომერი ცოლს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ასე არ არის, მაჯიდე?

მაჯიდეს ხმა არ ამოუღია. აშკარა იყო ეს სცენა აწამებდა. ომერი კი ვერაფერს ამჩნევდა და კვლავ ბედრის მიუბრუნდა:

— ბედრი, ერთი ეს მითხარი, შეიძლება ადამიანი გენდოს? ხომ არ შევცდები, თუ ყველაზე ძნელ წუთებში, შენი დახმარების იმედი მექნება? ჰა, მითხარი!

ბედრიმ საყელოდან ნელ-ნელა მოიშორა ომერის ხელი და ალერსით თქვა:

— თავი დაანებე მაგნაირ ლაპარაკს, თუ რაიმე გჭირდება, პირდაპირ მითხარი... კვლავ უფულოდა ხარ?

ომერს თითქოს მათრახი დაჰკრესო. ხელები უკან შემოიწყო და ბედრის მიუახლოვდა.

— მაშ ასეა? შენ ისევ ფულზე დაიწყე, არა? შესაძლებელია... ფული, მართლაც, არა მაქვს. რასაკვირველია, ფული ყველაფერია. მართალია, ფული ამაღლებს ადამიანებს, ისვრის წუმპეში... ფული... აბა რა ვიცი, იქნებ კიდევ მჭირდება ფული, რასაკვირველია, მჭირდება, ჯიბეში ხუთი ყურუშიც არ მიჭყავის. მომეცი!

ბედრიმ ჯიბეში ჩაიყო ხელი. ძველი, გამუქებული ტარსიკონის საფულე ამოიღო და გახსნა. ომერი თვალს არ აშორებდა ბედრის ყოველ მოძრაობას. დაინახა, რომ ბედრიმ თავისთვის რაღაც ხურდა ფული დაიტოვა და მაგიდაზე ქაღალდის სამი ლირა დასდო. ომერი ისე აკვირდებოდა მეგობრის ხელებსა და სახეს, თითქოს რაიმეში ცდისო. მერე სკამი კვლავ თავისკენ მოსწია, საზურგეს დაეყრდნო და კბილებში გამოსცრა:

— მშვენიერია... შენთვის არაფერი დაგიტოვებია, ახლა რაღა უნდა ჰქნა? რა საჭიროა ასეთი მსხვერპლი, ჩემო კარგო, განა შემიძლია დავიჯერო ასეთი სიკეთე? იქნებ ადრე დამეჯერებინა კიდეც, მაგრამ დღეს, როგორ შეიძლება დღეს ასეთი რამ დავიჯერო? რას უნდა ელოდო ადამიანებისაგან გარდა საზიზღრობისა? ვის მოტყუებას აპირებთ? ნუ მიყურებთ ასეთი ცბიერი თვალებით! შეიძლება

გამაგიჟოს კიდეც. თქვენმა უცოდველმა გამოხედვამ. მეც შემიძლია უცოდველი კაცის სახე მივიღო! მაგრამ ვიცი, რა იმალება ყოველივე ამის მიღმა. გაიგეთ? ბოლოს და ბოლოს მივხვდი, თუ რა სულმდაბალნი არიან ადამიანები. საკუთარ კანზე ვიგრძენი მათი მსუსხავი სისაზიზღრე. ახლა წმინდანის ნიღაბიც კი ვერ მომატყუებს... შენ კი, ბედრი... შენ არაფერში არ გადანაშაულებ... შენც ისეთივე ხარ, როგორც ჩვენ ყველანი. არც უფრო ცუდი და არც უფრო კარგი. მაგრამ ჩემს წინ ნუ დადგები როგორც სათნოება... აი, ამ მაგიდაზე რომ სამი ლირაა, ისიც არ გაძლევს მაგის უფლებას... არ გაძლევს, გაიგე? მას შემდეგ, რაც ჩაბნელებულ ოთახში შემოგიწვარით, თქვენი ბავშვივით უცოდველი სახეების დანახვაზე მეცინება! თქვენ რას იტყვით ამაზე, ქალიშვილო? ალბათ, გგონიათ, ძალიან მოხერხებულად გააკეთეთ ყველაფერი?...

ომერი თანდათან უწევდა ხმას და ახლა თითქმის ყვიროდა. მაჯიდე იდგა, თვალები ნახევრად მოეხუჭა და თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, მხოლოდ ერთი სურვილი: „ნეტა მალე დამთავრდეს ეს სცენა! ნეტა მალე დამთავრდეს“.

ბედრი ჯერ მშვიდად იყო, იღიმებოდა კიდეც, ნეტა რა მოუვიდაო, ფიქრობდა და თანაგრძნობით შესცქეროდა ომერს, მაგრამ მერე თანდათან მასაც მოერია სიბრაზე. რაც არ უნდა მოსვლოდა, როგორ შეიძლება ასეთი თავდავიწყება? ასეთი რამის გამოსწორება ხომ ძალზე ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება. როგორ გაბედა ასეთი დაუსაბუთებელი, ასეთი შეურაცხმყოფელი დანაშაულის წაყენება მაჯიდესათვის? ასეთი რამ ყველას გამოიყვანდა მოთმინებიდან. ბედრიმ წარბები შეიკრა, მისი აღშფოთება უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ომერმა კვლავ ყვირილი დაიწყო. — ბრალს არა გდებთ იმიტომ, რომ ფაქტზე ვერ წაგასწარით. მაგრამ მე მეტად აღარ მჯერა ადამიანებისა... განსაკუთრებით მათი მეგობრული ზრახვებისა აღარ მწამს და არც არასოდეს ვირწმუნებ. სწრაფად, ახლავე გადი აქედან ბედრი. გადი, თორემ დაგარტყამ...

ომერი გაექანა. ბედრიმ უნებურად თავდასაცავად ასწია ხელი, ომერს უნდოდა მხრებში ჩაევლო ხელი მისთვის, მაგრამ ვერ შეძლო, ხელები აღარ ემორჩილებოდნენ. გაფითრებულმა ომერმა მთელი ძალით უბიძგა კარებისაკენ. ამ წუთამდე მაჯიდე გაქვავებულივით უხმოდ იდგა, ახლა კი ვეღარ მოითმინა და შეჰყვირა. ბედრიმ

სცადა არ წაქცეულიყო, კედელს მიეყრდნო და თან კარის სახელურს ჩაავლო ხელი. ბედრიმ დაინახა, რომ აკანკალებული ომერი სკამზე დაეშვა, თავი ძირს დახარა, მხრები უცახცახებდა და ქვითინებდა. ბედრის გულწრფელად შეეცოდა მეგობარი და იგრძნო, რომ თვალები მასაც ცრემლით აევსო. აღარ იცოდა ვინ უფრო უნდა შებრალებოდა — ომერი, საკუთარი თავი თუ მაჯიდე? ერთი წუთით შეყოვნდა, წასულიყო თუ არა, მერე მაჯიდეს გადახედა და თქვა:

— ხომ ხედავთ, მე ვერაფრით გეხმარებით, როცა მარტონი დარჩებით, თვითონ უნდა მოელაპარაკოთ, მშვიდობით!

თ ა ვ ი XIX

მაჯიდე ერთხანს გაუნძრევლად იდგა. კიბის საფეხურებზე ბედრის ნაბიჯების ხმა მიწყდა. დროდადრო მხოლოდ ომერის სლუკუნი ისმოდა. ქალი დიდხანს შესცქეროდა მტირალ ქმარს და მის სულში თანაგრძნობისა და შეწყალების გრძნობასთან ერთად, პირველად მრისხანებამაც გაიღვიძა. ძალიან უნდოდა ქმართან მისულიყო და გაერტყა. თავში ერთადერთი კითხვა უტრიალებდა, რომელზედაც ვერაფრით გაეცა პასუხი: „რა უფლების ძალით? რა უფლება აქვს ასე მოექცეს? საამისო რა გავაკეთე? ნუთუ ყველასთვის სათამაშო თოჯინა ვარ, ვინ მისცა ამის უფლება?“

მრისხანება თანდათანობით იზრდებოდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, ომერს ხელი მხარში ჩაავლო და შეანჯღრია.

— ადექი! — იყვირა სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა ომერმა ბედრის ჰკრა ხელი, — ადექი და დაედევნე! ყეყეჩო, როგორ გაბედე იმ კაცის შეურაცხყოფა, რომელსაც სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია შენთვის? დაედევნე! დაედევნე, თორემ შენთვის ხმის გამცემი არა ვარ, ვიდრე ბედრის არ იპოვნი და ბოდიშს არ მოუხდი, არ დამენახო! ო, ღმერთო, რა სულმდაბალი ყოფილხარ, წარმოუდგენლად სულმდაბალი... ყველასაგან მოველოდი ასეთ რამეს— დედისგან, მამისგან მაგრამ შენგან კი არა... თუ გრძნობ, მაინც რა გააკეთე, რა თქვი, ამაზე მეტ შეურაცხყოფას შენ ვერ მომაყენებდი... რა უნდა გითხრა... სიტყვებიც ვერ მიპოვნია... შენ ძალიან ცუდად მოიქეცი, ომერ... ცრემლები ვერ გიშველის...

ომერმა თავი ასწია, თვალები ჩაწითლებოდა. ერთხანს ცოლს მიაჩერდა, მერე წამოდგა, მხარზე ხელი დაადო და თქვა: „შენ, ალ-

ბათ, მართალი ხარ! როგორ შემიძლია ვიცხოვრო შენთან, თუ შენი რწმენა არ მექნება, უფრო სწორად კი — თქვენი. შენი სიტყვები სხვას კიდევ უფრო გააცოფებდა, მაგრამ მათ მე დამიმტკიცეს, რომ მართალი ხარ. შენ მეუბნები, რომ წავიდე და ბედრის ბოდიში მოვუხადო. გასაგებია, თქვენ არა გრძნობთ უხერხულობას... მე წავალ, ადამიანებს უნდა ენდო...

მაგრამ ომერი უცებ კვლავ შეიცვალა, თვალები ჩაუბნელდა და აემღვრა.

— მაგრამ სხვებს როგორ უნდა ვენდო, როცა საკუთარი თავისა არა მჯერა! — იყვირა რაღაც ფიზიკური ტკივილით ყელში, — განა შეიძლება ვენდო სხვებს მას შემდეგ, რაც ერთი დღის, სულ რაღაც რამდენიმე საათის განმავლობაში ასე ნათლად დავინახე ჩემი სულის საძაგლობა, რომლის დამალვასაც 26 წელი ვახერხებდი?! როგორ შეგიძლიათ თქვენ ასეთი რამ მოითხოვოთ ჩემგან... მაგრამ შენი ხათრით მე წავალ და ბედრის შევევედრები, რომ მაპატიოს. განა ყველა ჩემსავით ბილწი უნდა იყოს? იქნებ თქვენ სულ სხვა ადამიანები ხართ. რა არის იმაზე უარესი, ვიდრე უსაფუძვლო დაეჭვება? ეს არ უნდა გააკეთო... მივდივარ!

კართან მიირბინა, მერე უკან გამობრუნდა, მაჯიდეს ხელები დაუჭირა და დაუკოცნა. ომერმა შენიშნა, რომ მაჯიდე ნელი, მაგრამ დაჯერებული მოძრაობით განზე გადგა.

— ვაი ჩემს თავს! შენ ამას პირველად აკეთებ და ყველაზე საშინელი ის არის, რომ ყველაფერი უნებურად ხდება... მაჯიდე... თანდათანობით მეკარგები, რასაკვირველია... ან კი როგორ არ დამეკარგები, თუმცა რისთვის უნდა გიყვარდე? კარგი ხასიათისათვის? იმ ღირსებებისათვის რომელიც არ გამაჩნია? ჩვენ სრულიად სხვადასხვა ადამიანები ვართ... მაგრამ მე მაინც მიყვარხარ, გაგიჟებით მიყვარხარ... ეს არის და ეს... მაგრამ ახლა? მაქვს კი ახლა ამის თქმის უფლება? შენ მართალი ხარ, შენგან რაიმეს იმედი მანამ შეიძლებოდა მქონოდა, ვიდრე დაუეჭვებლად მიყვარდი... ახლა კი შენ შორსა ხარ ჩემგან... მე ამას ვერ ავიტან. მითხარი, რა გავაკეთო და ვიმოქმედებ. მაჯიდე, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო. გეკითხები, როგორც მეგობარს — რა უნდა გავაკეთო, რომ კვლავ დაგიბრუნო? მითხარი, ოღონდ მითხარი და ყველაფერს შევასრულებ. თუმცა აკი მითხარი... ახლავე მივდივარ, მივდივარ და თუ საჭირო იქნა, ფეხებში ჩავუვარდები... ბედრის ვეტყვი, რომ ამას შენი გულისათვის ვაკეთებ... შენ

მართალი ხარ, ბედრი იმდენად კარგი კაცია, რომ მასში დაეჭვება არ შეიძლება... მივდივარ.

ომერი ოთახიდან გავარდა და კიბეზე სირბილით დაეშვა.

მაჯიდე საწოლზე წამოწვა და რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იყო. არც არას ფიქრობდა და არც არას ხედავდა. მერე უცებ ცრემლებით აევსო თვალები, ეს არ იყო სასოწარკვეთილი ადამიანის ხმამაღალი, გულის მოსაოხებელი, ძლიერი ტირილი. უბრალოდ, სადღაც დაგუბებულმა ცრემლებმა გამოსასვლელი გზა იპოვეს და ახლა ნელა, ალერსითაც კი გადმოდიოდა მაჯიდეს ღაწვებიდან ბალიშზე. ცრემლები უსველებდნენ საფეთქლებსა და ყურის ბიბილოებს და ეს მაჯიდეს ისევე უცნაურად ამშვენებდა და ადუნებდა, როგორც მოდუნდება ვენებგადაჭრილი კაცი სისხლიდან დაცლის შემდეგ. თანაბრად და ღრმად სუნთქავდა. ყოველი ჩასუნთქვისას მის ყელში ჰაერი მსუბუქად ირხეოდა, მაგრამ ეს ქვითინი კი არა, შვების მოპოვება იყო.

მაჯიდეს თვალებში წითელი აბაჟური ხან პატარავდებოდა და ხანაც დიდდებოდა. ცრემლებში აციალებული ლამპის შუქი ცისარტყელას ფერებით ელავდა და ჭერზე ნაირფერ დიდ და პატარა წრეებად ირეკლებოდა. სიჩუმე ზრიალებდა მის ყურში, მარტოობა მძიმე ლოდივით აწვა შუბლზე და თითქოს ბალიშს აკრავდა.

მაჯიდე დროის მსვლელობასაც ვერ გრძნობდა. რაღაც ხმაურმა გამოაფხიზლა და საწოლზე წამოჯდა. პირველი რაც დაინახა, ეს საკუთარი ფეხები იყო. კაბა მაღლა ასწეოდა, შიშველი ბარძაყები და რეზინებით დამაგრებული ხორცისფერი წინდები უცხოდ მოეჩვენა. საწოლიდან ჩამოვიდა და სარკესთან მივიდა, რათა საკუთარი თავი შეეთვალიერებინა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს, მაჯიდე მიხვდა, თუ რა ხმაურმა მოიყვანა გონს. კარს ნელა მიუახლოვდა, გამოაღო და უკან დაიხია.

შემოსასვლელში გამხდარი ასე 35—40 წლის საკმაოდ ფაქიზად ჩაცმული ქალი იდგა და შემოსვლა ვერ გაებედნა. ქალს სახეზე ყვითელი ავადმყოფური ფერი გადაჰკრავდა. მაჯიდეს მოეჩვენა, რომ ეს ქალი სადღაც ენახა. გულში ცუდმა წინათგრძნობამ გაჰკრა.

— ვინ გნებავთ?

ქალმა ოთახი სწრაფად შეათვალიერა, მერე კი გაბედულად და მკვახედ წარმოთქვა:

— თქვენ!

—შემობრძანდით, რაიმეს სათქმელად მოხვედით?

ქალი ოთახში შევიდა. ამ მკრთალ სინათლეზეც კი კარგად ჩანდა, თუ რა ღარიბულად ეცვა. მისი შავი, აბრეშუმის კაბა სკამის საჯდომივით გაქექილიყო და პრიალებდა. ვიწრო თასმიანი ფეხსაცმელები გაცვეთილი, მაგრამ სათუთად გაწმენდილი ეცვა, ხშირი სუნთქვა ჰქონდა და თითქოს ტკივილისაგან იჭმუხნებოდა. მაჯიდეს ვერაფერი ეთქვა და უსიტყვოდ მიჩერებოდა ქალს, რას იტყვისო. ბოლოს ქალის ამდენი ხნის დუმილი ვერ აიტანა და შებრუნდა.

— მე ბედრის და ვარ — თქვა ქალმა.

მაჯიდე უცებ შემოტრიალდა.

— დიდი ხანია აქ მოსვლა მინდა, — კვლავ ალაპარაკდა ქალი, — მხოლოდ თქვენი დანახვა მსურდა, მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი სერიოზული და გონიერი ადამიანი იყავით, ამიტომაც ვიკავებდი თავს — სკანდალისა და ძმის განაწყენებისა მეშინოდა.. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ვინა ხართ თქვენ? ახლა ვხედავ, რომ ცუდი ყოფაქცევის ქალი არ უნდა იყოთ, მაგრამ ნუთუ მოგწონთ ის, რასაც აკეთებთ?

მაჯიდე გაოცებული უსმენდა და ვერაფერი გაეგო. ქალმა სკამს ხელი მოჰკიდა, დაჯდომა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ჩემო შვილო, განაგრძო ქალმა, — მე არ მსურს სხვის საქმეში ჩავერიო, იცხოვრეთ ისე, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ნურც სხვებს შეუშლით ხელს. თქვენ ალბათ იცით, რომ ბედრიმ ოჯახი უნდა არჩინოს და თუ ეს იცით, რა სინდისით ართმევთ ფულს, რომელიც მხოლოდ მის დასა და დედას ეკუთვნის. ნუთუ გგონიათ, უსასრულოდ ისარგებლებთ მისი კეთილი ბუნებით?

მაჯიდე შეაძრწუნა ამ სიტყვებმა, თავის შეკავება უნდოდა, მაგრამ მრისხანებისაგან გაწითლებულმა მაინც წამოიძახა:

— უკეთესი ხომ არ იქნებოდა ამაზე თქვენს ძმას მოლაპარაკებოდით?

ქალი თრთოდა. გეგონებოდათ, აგერ-აგერ ყვირილს დაიწყებსო.

— ბედრის მოველაპარაკო? განა მასთან ლაპარაკი შეიძლება? იგი ახლა თავისი ფანტაზიებითაა ატაცებული. საკმარისია რაიმე ვუთხრა, რომ იმ წუთში მპასუხობს: „თქვენ რა, გშიათ?“ შიშველ-ტიტველი დადიხართ? თუ არა და მაშ, თავი დამანებეთ“, მაგრამ განა მარტო პურით კმაყოფილდება ადამიანი... და მერე რა უფლების ძალით? იგი ჩვენი ძმაა, ჩვენი შვილი და თქვენ რა უფლება გაქვთ ლუ-

კმა წაგვართვათ? თქვენ და თქვენმა ქმარმა შტერი ნახეთ და ატყავებთ? მე კი მეგონა, რომ წესიერი ქალი იყავით... მთელი ორი წელიწადია მხოლოდ ამას იძახდა: „დედიკო, ოჰ, დაიკო, ბალიქესირში ერთი ისეთი ლამაზი და კეთილშობილი მოსწავლე გოგონა მყავდა, რომ იმისთანას მთელ ქვეყანაზე ვერ იპოვი“. მაშინ ვშიშობდით, — ვაი, თუ შეუყვარდა ის გოგო და ცოლადაც შეირთოსო. დრომ თავისი გაიტანა, ბალიქესირიდან დაბრუნების შემდეგ ისე ხშირად აღარ გახსენებდათ. თვალი თვალს რომ დაშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო, — ვფიქრობდით, მაგრამ რას ამბობ, მთავარი თურმე წინ ყოფილა. უცებ კვლავ დაიწყო თქვენზე ლაპარაკი, მაგრამ ახლა ისეთი აღფრთოვანებით აღარ გველაპარაკებოდა: „დედა, — თქვა ერთხელ, — ის გოგო გათხოვდა და მერე იცით, ვის გაჰყვა? ჩვენს ომერს — ღმერთმა აბედნიეროს ორივე“.

დედაჩემიცა და მეც ვამჩნევდით, რომ თქვენზე ფიქრით ჭკნებოდა და მერე კვლავ დაიწყო: „როგორც ეტყობათ, ცუდად ცხოვრობენ, ან ეს ომერი მაინც რას ირთავდა ცოლს, თუ რჩენის თავი არა ჰქონდა. ცოდვაა ის ქალი, არა? კარგი ადამიანები კი არიან, ღმერთმა სიკეთე მისცეთ“. ერთხელ ისიც წამოცდა, რომ თქვენ ფულს გაძლევთ: „მართალია, ცოტა ვეხმარები, მაგრამ მათი საქმიხ გამოსწორება მაინც ძალიან ძნელიაო“. ბედრი პატიოსანი კაცია და არაფერს გვიმალავს. ოჰ, სისხლი თავში აგვივარდა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარით. არ გვინდოდა გაბრაზებულიყო... ბოლოს სულ გამოიცვალა. უწინ არც ერთ კაპიკს არ იტოვებდა თავისთვის, მაგრამ ახლა ძალიან მოუჭირა ხელი, თითოეულ ყურუშს ანგარიშობს, ფულს რომ ვთხოვთ, რად გინდათო, გვეკითხება. რამდენჯერმე დილაადრიან ჯიბე გავუსინჯე, სამ-ოთხ ლირას ვპოულობდი, საღამოს კი საფულე ცარიელი ჰქონდა. ან ხურდა ფულიღა ეყარა მხოლოდ. დიდება ალაჰს, ლოთი არასოდეს ყოფილა. რომ დაქორწინებულიყო, უკეთესი იქნებოდა. ცოლი ისე ვერ წაგვართმევდა მის თავს, როგორც თქვენ. აბა, რასა ჰგავს ეს? ხალხში ვართ, ტყეში ხომ არა ვცხოვრობთ.

ქალს მღელვარებისაგან სუნთქვა უჭირდა, იძულებული გახდა სკამზე ჩამომჯდარიყო. მაჯიდე მის წინ იდგა, უსმენდა და ვერაფერი გაეგო. ყოველ სიტყვას დაბეჯითებით ისმენდა. სიტყვები რაღაც გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდნენ, მაგრამ მათ შორის კავშირის დამყარებას და დასკვნის გამოტანას კი მაინც ვერ ახერხებდა. ამიტომაც არ იცოდა, რა ეპასუხნა, ხელებით მაგიდას დაყრდნობოდა.

დაუკატიჟებელ სტუმარს შეეცქეროდა და აზრის მოკრებას ცდილობდა.

ბედრის დამ კვლავ დაიწყო. ახლა იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა, ხშირად ჩერდებოდა და საუბარს ისეთი ტონი ჰქონდა, თითქოს მეგობარს საინტერესო ჭორებს უამბობსო.

— ავადმყოფი ვარ, მაგრამ მაინც წამოვედი, რადგან ვიცი, ეს ამბავი ჩემი ძმის მომავალს ეხება. სად არ ვიყავი ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში. თქვენთან მოსვლამდე მინდოდა გამეგო, თუ ვინ იყავით, რას წარმოადგენდით. მთელი შეჰზადებაში მოვიარე და ძლივს ვიპოვნე ემენის სახლი. მგონი, თქვენი დეიდა უნდა იყოს. მაჯიდე ჩვენი ოჯახის ნამუსი და პატიოსნება იყო, ახლა კი გროშადაც არ გვიღირს, რახანია ჩემს დიშვილად აღარ ვთვლიო, — მითხრა დეიდა ემინემ. საბრალო ქალი, ნერვიულობისაგან ლამის ცუდად გახდა. ბიძათქვენიც ვნახე, მეტად კეთილი კაცია, ისიც ძალიან განაწყენებულია თქვენზე „ორი თვე მუქთად ვარჩენდით, ოთხმოცი ლირა ჩვენი ვალი ჰქონდა და ისე გაიპარა სახლიდან, არც ბოდიში მოუხდია და არც მადლობა უთქვამსო“, — მითხრა განრისხებულმა და დასძინა: „საიქიოში რომ შემხვდეს, იქაც კი გავუხსენებო“.

მეტის ატანა შეუძლებელი იყო — მაჯიდეს თვალთ დაუბნელდა, უნდოდა მაგიდას მოსჭიდებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო, შუბლი მაგიდის კუთხეს ჩამოარტყა და გრძნობადაკარგული ჭუჭყიან ხალიჩაზე დაეცა. ბედრის დას გული შეუქანდა, მაჯიდეს რომ რაიმე მოუვიდეს, მას დაადანაშაულებენ. მაჯიდესთან მიირბინა. მაგიდასთან დავარდნილ მაჯიდეს თმა სახეზე გადმოჰყროდა. ქალი დაიხარა, მაჯიდეს თავი წამოუწია და მარჯვენა წარბის ქვეშ შეწითლებული კოპი შენიშნა. იფიქრა, ლოგინში ჩავაწვენო, მაგრამ ძალა აღარ ეყო და შეძრწუნებული შემოსასვლელში გამოვარდა.

— თუ ხართ ვინმე ადამიანები, მოგვეშველეთ!

ერთ-ერთ ოთახში ნაბიჯების ხმა გაისმა, მალე კარიც გაიღო და დიასახლისი გამოვიდა. როგორც ყოველთვის, მას ამჯერადაც შავი ტანსაცმელი ეცვა და მოღუშული იმზირებოდა.

— რა მოხდა?

ორივენი ოთახში შევიდნენ.

— მოულოდნელად ცუდად გახდა, როგორც ეტყობა, ნერვებმა უმტყუნეს, იქნებ ქმართან იჩხუბა...

დიასახლისის ძლიერმა ხელებმა მაჯიდე იატაკიდან საწოლზე გა-

დაიყვანეს. დიასახლისმა მაჯიდეს გულისპირი გაუხსნა და მაჯა დაუზილა. მერე შუბლზე კოპი შენიშნა და იყვირა:

— საბრალო ქალი, თავი დაურტყამს, — თქვა და ძმრის მოსატანად თავის ოთახში გავარდა.

ახლა ბედრის და უზილავდა მაჯას და თან ბუტბუტებდა:

— ბედრი გიჟივით შემოვარდა, თავის ოთახში ჩაიკეტა და დივანზე მიწვა. კარებთან მივედი, ყური მივუგდე და კარგად მესმოდა, როგორ ტიროდა, ამ ხნის კაცია და ბავშვივით იქცევა, ამას კი აქ გული შეუწუხდა. იქნებ, მართლაც, უყვართ ერთმანეთი? ღმერთმა ნუ ქნას!... ამის მაწანწალა ქმარი კი, რა თქმა უნდა, რქიანი ვინმეა.

კვლავ შემობრუნდა სახლის დიასახლისი. ბედრის და აღარ დაელოდა მაჯიდეს გონს მოსვლას, — ნელა გაიძურწა ოთახიდან.

თ ა ვ ი XX

შინდაბრუნებულ ომერს მაჯიდე საწოლზე დაუხვდა. თვალები გაეხილა, მაგრამ ჯერ კიდევ უგონოდ მიშტერებოდა ჭერს. სახლის მოღუშული დიასახლისი ისევ დარბოდა ოთახიდან ოთახში და მაჯიდეს ათასნაირ შინაურ წამლებს ასმევდა. იცოდა, თავისი ჩიქორთული თურქულით ომერს ვერაფერს გააგებინებდა, ამიტომ რაღაც წაბლაპარაკა და კვლავ თავისი საქმე განაგრძო. ომერი ვეღარ ითმენდა, გაეგო, ვინ იყო ის გამხდარი ქალი, მაჯიდეს გული რომ შეუწუხა.

ერთ ხანს მაჯიდე მინაბული თვალებით იცქირებოდა, მერე თავი ომერისაკენ მოაბრუნა; საწოლთან მდგარი ომერი ცოლის ხელებს სწვდა და შეშფოთებული წარმოთქვა:

— ჩემო კარგო, ჩემო ცოლიკო, გამაგებინე, რა მოხდა?

პირველად მაჯიდემ ვერაფერი გაიხსენა, მერე გაიღიმა და თვალები დახუჭა. სახლის დიასახლისმა აკრიფა წამლიანი ბოთლები, ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და გავიდა. ომერი და მაჯიდე უხმოდ შეცქეროდნენ ერთმანეთს.

შუაღამე ახლოვდებოდა. გრილი ნიავი სქელ და ჭუჭყიან ფარდებს არხევდა. ქუჩიდან ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა.

— გაცივდები! — თქვა ომერმა, — საბანი დაიხურე, ცოტა აიწი, გაგხადო!

ომერმა ცოლს ფრთხილად გახადა კაბა, ფეხსაცმელები, წინდე-

ბი. საბანი დაახურა და ისე, რომ შუქი არც გამოურთავს, თვითონაც დაწვა.

ომერმა მაჯიდეს თავი მკლავზე დაიდო. დიდხანს იწვნენ ასე გასუსულნი. ქალი კედელს მისჩერებოდა. ომერი კი მის სახეს. მაჯიდეს ფერი წასვლოდა, ნიკაპი ჩამოშვებოდა, მაგრამ მაინც ლამაზი ჩანდა. იქნებ უფრო ლამაზიც, ვიდრე სხვა დროს. აბაჟურის შუქი წამწამებზე წითლად ეფინებოდა, დროდადრო ტუჩები უკრთოდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი ქმრისკენ მოატრიალა.

— რა ჰქენი? — თითქმის ჩურჩულით ჰკითხა ქმარს.

ომერმა ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. იქნებ უნდოდა ეთქვა „ეს რა ჩაიდინე, რა საჭირო იყო, ნახე რა დღეში ჩამაგდეო". ან იქნებ იმას ეკითხებოდა, „იყავი, თუ არა ბედრისთან, ელაპარაკე თუ არა?"

ომერმა გადაწყვიტა, რომ მეორე კითხვაზე უფრო ადვილი იყო პასუხის გაცემა:

— სახლში დამხვდა. როცა დავინახე, რა დღეში იყო, მართლა შემრცხვა, ასე მხოლოდ ის განიცდის, ვისაც უსამართლოდ მიაყენეს შეურაცხყოფა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისე შემხვდა, როგორც ამხანაგსა და მეგობარს. საბრალოს სახეზე ეტყობოდა, რომ ჩემი საქციელის გამართლების საბაბს ეძებდა, ხოლო როცა ყველაფერი მოვუყევი, ვერ გეტყვი, რომ მაპატია-მეთქი, შებრალებით კი შევებრალე... ოჰ, მაჯიდე, ყველაფერი რომ იცოდე, შენც შეგებრალებოდი,.. ვინ ქალი მოვიდა აქ? — მოულოდნელად იკითხა ომერმა.

— მისი და.

— და? ბედრის და?! რა უნდოდა?

მაჯიდეს სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ იმ სცენის გახსენებაც კი წამებას გვრიდა და ქმარს თვალი აარიდა:

— არ ვიცი! მგონი, ბედრისა და ჩვენი მეგობრობა არ მოსწონს. უკმაყოფილოა, რომ ბედრი გვეხმარება... ჩვენ ამით ვიტანჯებითო. მითხრა.

— პირუტყვი! — წამოიძახა ომერმა და თვითონაც არ იცოდა, რამდენად გულწრფელი იყო, — რა მაგისი საქმეა?

მაჯიდე შეუმჩნევლად გაჩოჩდა გვერდზე.

—იმ ქალმა იგივე თქვა, რაც წეღან შენგან გავიგონე, — მაჯიდეს მღელვარებისაგან ხმა უცახცახებდა. ასე ცუდად არ შევიქნებოდი, შენც, იმ ქალივით რომ არ ფიქრობდე. ამ ავადმყოფსა და გაუზრდელ

ქალს ყურადღებასაც კი არ მივაქცევდი, მაგრამ თქვენ ორივე ერთნაირად ფიქრობთ და ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. როცა მის შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და წარმოუდგენელ საზიზღარ ცილისწამებას ვისმენდი, თვალწინ შენ მედექი. გაბრაზება და იმ ქალის სახლიდან გაგდება ვერ გავბედე, რა უფლება მქონდა? განა შენც იგივე არ მითხარი? ბედრის დაი სულ არ არის ვალდებული უფრო უკეთ მიცნობდეს, ვიდრე შენ. მე მისთვის სიტყვაც არ შემიბრუნებია, მერე უცებ თავბრუ დამეხვა. თურმე დეიდაჩემთან ყოფილა და ყველაფერი მომიყვა, რასაც იქ ჩემზე ლაპარაკობენ... ჰოდა, მომეკვეთა კიდეც მუხლები.

მაჯიდემ თავის შეკავება მეტად ვეღარ შეძლო და კვლავ ატირდა. მაგრამ ახლა ცრემლები ღვარივით ჩამოდიოდა, ქალი ქვითინებდა, და ცრემლებიც ისე იღვრებოდა ბალიშზე, როგორც სისხლი ჭრილობიდან. ტიროდა შეურაცხყოფილი, განრისხებული, უღონო ქალი.

ომერს მაჯიდეს დამშვიდება უნდოდა და სველ ღაწვებზე უსვამდა ხელს, მაგრამ მაჯიდე შებრუნდა, არ სიამოვნებდა ეს ალერსი. ომერი აცახცახებული ხელებით უსწორებდა თმებს. ასე გეგონებოდათ, საცაა თვითონაც ატირდება ანდა ფანჯრიდან გადახტებაო.

— მე ყველაზე სულმდაბალი ადამიანი ვარ ამქვეყნად, — ფიქრობდა იგი, — არავის არ ვჭირდები, არც ჩემს თავს და არც სხვას, რაც უფრო ადრე მივაფურთხებ ეშმაკს და ჩემს თავს ბოლოს მოვუღებ, მით უკეთესი!

მაგრამ იმასაც გრძნობდა, ეს სიტყვები ხმამაღლა რომ წარმოეთქვა, მუქარას დაემგვანებოდა.

— შენ მართალი ხარ, მაჯიდე,—ბუტბუტით დაიწყო ომერმა.— ბედრისთან დავრწმუნდი, თუ რა თანაგრძნობითა და მეგობრულად ეპყრობა იგი ადამიანებს და მაშინ საკუთარი თავიც დამავიწყდა. ბედრიმ ბევრი მელაპარაკა, ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ჯერ კიდევ არცთუ ისე ცუდი კაცი ვარ. მაშინ მე დავუჯერე, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეს სისულელეა! ნამდვილი ადამიანი ის არის. შენ მართალი ხარ... იქნებ მისი გესლიანი და ზარმაცი დაიკო და მე ერთი მასალისაგან ვართ შექმნილი... ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, მაჯიდე. მე კიდევ ცოტა ხანს ვივლი ამ ქვეყნად ჩემს სულში ჩაბუდებული ეშმაკით, მერე კი ყველაფერს მოვუღებ ბოლოს, შენ რაღად უნდა გაგიყოლიო, ამ წამების გზაზე. ყვე-

ლასათვის ნათელია, რომ ჩვენ სულ სხვადასხვა ბუნების ადამიანები ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე რომ მაინც უგონოდ მიყვარხარ, ესეც იმ ეშმაკის ნახელავია, ჩემს სულში რომ ზის, ესეც მისი ფანდია. ჩვენი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, დღეს კი ისეთი რამ გავაკეთე, რასაც ვერასოდეს გავიფიქრებდი. ამიტომ არავითარი უფლება არ მაქვს შენს გვერდით ვიწვე და გელაპარაკო როგორც ნამდვილი პატიოსანი კაცი. ო, მაჯიდე, შენ უკვე გამომიტანე განაჩენი. თუმცა ბევრი რამ იცი, ხოლო ის, რაც დღეს გაიგე, არაფერს ნიშნავს, ეს საქციელი მოსატევებელიცაა. მე საკუთარი თავი მეზიზღებოდა და ამას ვერ ვიტანდი, მინდოდა ყველა ჩემნაირი ყოფილიყო, მხოლოდ ზიზღის ღირსი. ჩემო ცოლო... ჩემო კარგო... შენ რომ იცოდე, რა ჩავიდინე... უფრო გამიბრაზდებოდი, შეიძლება გამქცეოდი კიდეც ან შეგბრალებოდი. აბა, ერთი შემომხედე, არა ვარ საბრალო?

მაჯიდემ უნებურად თავი მოაბრუნა და დაინახა, რომ ომერი, მართლაცდა, ისე საწყალობლად გამოიყურებოდა, თითქოს უკანასკნელი ღონე გამოაცალესო. ქალს გაახსენდა: ამ საღამოს პირველად რომ ნახა ომერი, ასე მოეჩვენა, რომ მასში რაღაც შეცვლილიყო. გაახსენდა, რომ ერთხელაც არ უკითხავს, რა მოხდაო, არ მიუქცევია რაიმე ყურადღება და მთელი საღამო მხოლოდ თავის განცდებზე ფიქრობდა. ახლაც მასში სიბრალული კი არა, ცნობისმოყვარეობა ალაპარაკდა.

— რატომ არ მითხარი, ან ახლა რატომ არაფერს მეუბნები. აგერ ერთ თვეზე მეტია რაღაცას მიმალავ... ყველაფერს აკეთებ, რათა ჩამომიშორო. დღეს მაინც მითხარი, რა მოხდა.

ომერი დუმდა, ნელ-ნელა წამოწითლდა. მაჯიდე მღელვარებით შეჰყურებდა ქმარს. ომერის გამომეტყველებამ კვლავ თანაგრძნობისა და სიბრალულის გრძნობა აღუძრა.

ომერი სწრაფად წამოდგა და საწოლზე ჩამოჯდა, თითქოს სურდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო მეუღლისაგან, ზურგით კედელს მიეყრდნო და მძიმედ წარმოთქვა:

— დღეს ჩვენს მოლარეს, ჰიუსამედინს ორასი ლირა დავტყუე.

მაჯიდე გაუნძრევლად მისჩერებოდა ქმარს სახეში, თითქოს პირველად ხედავდა და ცდილობდა ამ სახეზე ძველი, ნაცნობი ხაზები მოენახა, თვალები მოეჭუტა და გრძელი წამწამები უფრო ხშირი და უფრო შავი უჩანდა.

ქალის გამომეტყველებამ შეაშინა ომერი, მისკენ დაიხარა და თქვა:

— თუ არ გინდა, არაფერს გეტყვი... ჩავიცვამ, წავალ და დაგტოვებ, ან ზურგს შეგაქცევ და ისე დავიძინებ... გინდა ასე!...

ისე ლაპარაკობდა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი და დამთავრებული ყოფილიყო. მაჯიდემ ხელი წაავლო და გვერდზე მოიწვინა.

— ყველაფერი მიამბე, — ხმადაბლა თქვა მან, — განა სხვებზე ადრე არ უნდა ვიცოდე? ჩემსავით ვინ მოგისმენს, ან ჩემს გარდა სხვა ვინმე მოგისმენს კი? ჭირში ვინ იქნება შენთან, თუ არა მე?

ომერი დაფიქრდა, გონების თვალი გადაავლო იმ დღევანდელ ამბებს და ნელ-ნელა, ხმადაბლა დაიწყო. მათი თავები ერთმანეთს თითქმის ეხებოდნენ. მაჯიდე მაღლა ჭერს მისჩერებოდა, ომერი კი გვერდულად იწვა და მეუღლის ღაწვებს, ცხვირსა და წამწამებს ხედავდა.

— კარგად იცი, როგორ მიჭირდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, იქნებ ყველაზე უფრო რთული სწორედ ის იყო, რომ ჩემი გაჭირვება არ შეგემჩნია. დაწყნარდი, დაწყნარდი!... არა, მე იმას როდი ვამტკიცებ, თითქოს ყველაფერს შენი გულისათვის ვაკეთებდი. ჩემს ყოველ საქციელზე პასუხს თვითონვე ვაგებ. ეს ჩემმა სულიერმა სიმდაბლემ ჩამადენინა და თავის მართლება საჭირო არ არის და ვერც ვერაფერი გამამართლებს. თვეობით უფულობამ ჭკუაზე შემშალა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავ — ქუჩაში თუ კანტორაში, თავს ყველგან ერთსა და იმავეს ვეკითხებოდი: „რატომ, ასე რატომ გვიჭირს ცხოვრება?“ მაგრამ გონიერ პასუხს მაინც ვერ ვპოულობდი. ხიდზე რომ ხორაგით ოჯახისაკენ მომავალი კაცი შემხვდებოდა, საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „შენ რითი ხარ ნაკლები? შენ რატომ არ შეგიძლია რაიმე იყიდო და სახლში მიიტანო? შენ რატომ არ შეგიძლია რაიმე მოიტაზრო, განა განუხორციელებელი გეგმების შედგენისა და ამხანაგებისაგან ფულის სესხების მეტი არაფერი გეხერხება? იქნებ ყველაფერი ეს არც თუ ისე დიდი საშინელებაა, იქნებ, ის ადამიანებიც, ხიდზე რომ ვხვდებოდი ხოლმე, ჩემსავით ან თითქმის ჩემსავით ცხოვრობენ, მაგრამ ჩემი თავი გამადიდებელ შუშასა ჰგავს. ყველაფერი, რაც თვალში მომხვდება, უსათუოდ უნდა გადიდდეს, ყველაფერს ვაზვიადებ, მე მეტი არაფერი ძალმიძს. აქეთ ნიჰადი შემომიჩნდა, რაღაც ფარული საქმეებისათვის ფული გვჭირდებაო და ჩვენი მო-

ლარე მიხსენა... მე, რა თქმა უნდა, ფეხებზე მკიდია, სჭირდება თუ არა ფული ნიჰადს... მისი სიტყვებისათვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. მაგრამ მოლარეზე ფიქრი კი მუდამ თან მსდევდა, ჯერ მეგონა, ამის გაკეთებას ვერ შევძლებდი, მაგრამ მერე თანდათანობით შევეჩვიე ამ აზრს. მე რომ სრულ გონზე ვყოფილიყავი, ასეთი რამისა შეშრცხვებოდა და დანაშაულად ჩავთვლიდი, მაგრამ როდესაც ყველაფერი ვცადე და ყველგან ყრუ კედელს წავაწყდი, ეს საქმე გაჭირვებისაგან ხსნის ერთადერთ საშუალებად მომეჩვენა. იქნება ამ დროს ჩემმა ჩვეულებამაც ითამაშა როლი. ცოლის შერთვამდე, როცა უფულოდ ვიყავი და მიჭირდა, ყოველთვის მოლარეს მივადგებოდი ხოლმე. მისმა გულუხვობამ და სიკეთემ დიდი საქმე გამიკეთა, მიხსნა საბოლოო დაცემისაგან. მას არც ამჯერად უთქვამს უარი ჩემთვის, მაგრამ დღეს სულ სხვაგვარად მივედი. უნდა გითხრა, რომ არასოდეს არ მეგონა, თუ გავბედავდი და ძალით წავართმევდი ფულს. მეგონა, ასეთ რამეებზე მხოლოდ ფიქრი შემეძლო და სხვა არაფერი. ყველაფერი დღეს, დილით კანტორაში შესვლისთანავე გადავწყვიტე. რა მოხდება? მივალ და პირდაპირ მოვთხოვ ფულს-მეთქი, ვფიქრობდი, ვითომ, მის გაიძვერა ცოლისძმაზე უარესი რითა ვარ? არ ვიცი, როგორ გადავწყვიტე ასეთი რამ, როგორ გავბედე ასეთი საზიზღრობა, მაგრამ ეს კია, რომ კანტორაში შესვლისთანავე ყველაფერი უცებ მომწიფდა ჩემს სულში. ეს იყო და ეს. რომელიღაც ეშმაკი თავის ნებაზე მათამაშებდა, რამდენიმეჯერ მივედი ჰიუსამედინ ეფენდის ოთახის კართან, მაგრამ შიგნით შესვლა ვერაფრით ვერ გავბედე, ბოლოს, ერთმა კოლეგამ შემაგულიანა „ჰიუსამედინ ბეი თავის ოთახშიაო". ამის შემდეგ უკვე აღარ ვყოყმანობდი... ოი, მაჯიდე, რომ გენახა, რა დღეში ჩავარდა საბრალო. იგი ხომ აგერ რამდენიმე თვეა, ძალიან შეშინებულია. მგონი, ამ ორი თვის წინ, ჩვენი შეუღლების დღეს კიდეც გიამბე ყველაფერი.

— არაფერიც არ გიამბნია, — ხმადაბლა ჩაურთო მაჯიდემ.

— მართლა? მე კი მეგონა, რომ ყველაფერი იცი. პროფესორ ჰიქმეთსა და ნიჰადს კი ყველაფერი ვუამბე, განა მაშინ შენც ჩვენთან არ იყავი? ერთი სიტყვით, ასეთი რამ მოხდა: ციხიდან ცოლისძმის გამოსახსნელად, ჰიუსამედინმა სალაროდან აიღო და ორასი ლირა გირაოდ შეიტანა. სალაროდან ფულის გატანა რომ დაემალა. ჰიუსამედინმა უწყისებში ციფრები აურდაურია და სიყალბე ჩაიდინა. ცოლისძმა კი ფულს არ აძლევდა. ის რომ გაესამართლებინათ, ჰიუსამე-

დინს ფულს დაუბრუნებდნენ, მოლარეც ფულს სალაროში შეიტანდა, უწყისებში რიცხვებს ჩაასწორებდა და ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სასამართლო კიდევ არ ყოფილა. დღეს მოლარის ოთახში რომ შევედი, ნაღვლიანად შემომხედა და გამიღიმა, თითქოს მეუბნებოდა: „არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ძველებურადაა“ო მაგრამ მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა ჩემი მიზანისათვის მიმეღწია და მანქანასავით არც არაფერი მესმოდა და არც ვაზროვნებდი, რათა განზრახვა არ შემცვლოდა. კარგად არც კი მახსოვს, რა ვუთხარი, როგორ ვუთხარი, ერთი რამ კი მახსოვს, ვმოქმედებდი ისევე, როგორც სიზმარში, თითქოს ეს მე კი არა, ვიღაც სხვა იყო. სიტყვა-სიტყვით ვიმეორებდი ნიჰადის ნათქვამს. მოლარე ჯერ შეაშფოთა ჩემმა მუქარამ, მერე ტუჩებზე რაღაც საოცარი ღიმილი აუთამაშდა, იმ წუთში ხახა გამიშრა და ენა ჩამივარდა. ჰიუსამედინი წამოდგა, მომიახლოვდა. ვიფიქრე, აი, ახლა ჩამავლებს ქეჩოში ხელს და კინწისკვრით გამაგდებს კარში-მეთქი. მაგრამ არა. „ყოჩაღ შვილო! ბრავო!“ — ისეთი თავხედური გამომეტყველებით მითხრა, რომლის მსგავსი მის სახეზე არასოდეს მინახავს. მერე გადაიხარხარა. ეს ხარხარი საშინელებად და ძალზე უადგილოდ მეჩვენა. „კარგი დრო შემირჩიე, — განაგრძო მოხუცმა, — სამწუხაროდ არაფერი მაქვს ისეთი, რომ თავში ჩაგცხო, მაგრამ არა უშავს რა, ჩვენ ერთი ამქრისანი ვართ, ამიტომ შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ. გუშინ რომ მოსულიყავი, პანღურს მიიღებდი, ხოლო ხვალ — აქ ვეღარ მნახავდი. რაღაც ეშმაკმა გიკარნახა, რომ სწორედ დღეს მოსულიყავი, ყოჩაღ! მე მეტის ატანა აღარ შემიძლია, ყველაფერი უნდა დამთავრდეს... დღეს დილით გადავწყვიტე. სალაროში ბევრი ფული მაქვს. ნაწილს, რამდენის წაღებასაც მოვახერხებ, სახლში წავიღებ, ბავშვებს პურის ფულს დავუტოვებ, თვითონ კი... გადვიკარგები. წავალ ჯანდაბაში და ყველაფერს დაესმება წერტილი! ამქვეყნად სხვანაირად ვერაფერს გახდები! ქვეყანას ჩემი ცოლისძმისნაირი ადამიანები დაეპატრონენ. ამაოა ყველა ცდა. ან მე რა უფლება მაქვს ქვეყნად გავუშვა ჩემი ხუთი შვილი. შენმა სიტყვებმა საბოლოოდ განამტკიცეს ჩემი გადაწყვეტილება. მოვალე ვარ მადლობა გადაგიხადო. შვილო, შენ დაბეჯითებით დამანახე, თუ რა არის ეს სამყარო. ეს ქვეყანა ფურთხის ღირსიც არ არის. კაცი არ მეგულება, შეფურთხების ღირსი რომ იყოს და თუ ვინმემ დაიმსახურა იგი, მხოლოდ შენ. მაგრამ ახლა ამაშიაც ვეჭვობ. ადრე მეგონა, რომ ჩვენს

ცხოვრებაში იქნებ არის რაღაც კარგი, მაგრამ ჩვენ არ გვერგო მისი დანახვის ბედნიერება-მეთქი. ასე ვფიქრობდი და მუდამ შენ მახსენდებოდი ხოლმე. კიდევ ერთხელ გიხდი მადლობას, რადგან შენი საქციელით დამარწმუნე, რომ ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიები იყო. შენ დამარწმუნე, რომ არც ერთს ჩემს მიერ ჩადენილ საქმეზე არ უნდა ვიდარდო. მე კი მეგონა, ადამიანების ცნობა შემეძლო. რომ გიყურებდი, ვშიშობდი, არ დამენახა სიმდაბლით სავსე შენი სული, მეშინოდა, რომ ცუდი საქმე არ მოგეწყო ჩემთვის... რა ყეყეჩი ვარ... აჰა, წაიღე ეს 250 ლირა და არსად დამაბეზღო. ამ თანხას დუმილისათვის გაძლევ, ხვალამდე არსად არაფერი თქვა, ხოლო შემდეგ, თუ გინდა იერიქონის საყვარი აიღე და მთელს ქვეყანას აუწყე ჩემი ამბავი. თვით ყოვლისშემძლე უფალიც რომ პოლიციელად იქცეს, ისიც ვერ მომნახავს. ერთ რამეს კი გთხოვ, შენს სინდისს ვერ ვენდობი, — თუმცა ამაზე ლაქლაქი არც შენ მოგცემს ხელს, — იცოდე, არსად წამოგცდეს, რომ ფული სახლში წავიღე! გკითხავენ, საიდან იცი, ვინ გითხრაო და შეიძლება ამ საქმეში შენც გაგხვიონ. ასე რომ შენს ნამუსს გაუფრთხილდი. საკმარისია, შენ თვალები ამიხილე და ამაზე მადლობელი ვარ. ახლა კი დაიკარგე, აღარ მსურს უსირცხვილო ადამიანებს ვუყურო. მე ჩემიც მეყოფა, რას აყუდებულხარ, წადი, გაეთრიე, გაეთრიე!"

მთვრალივით გამოვედი ჰიუსამედინის ოთახიდან. მისი ყოველი სიტყვა ყურში ჩამესმოდა. ყოველ წუთს თვალწინ მედგა მისი დიდი თვალები, აგერ-აგერ რომ უნდა გადმოვარდნილიყვნენ. მესმოდა მისი ხმა, ადამიანებისა და ცხოვრებისადმი ზიზღით რომ ავსილიყო. დარდისა და მწუხარებისაგან მოცახცახე ხმა. გეფიცები, მაჯიდე, შენს თავს ვფიცავარ, ისე სულმდაბალ და საზიზღარ ადამიანად მეჩვენებოდა ჩემი თავი, რომ მინდოდა სილა გამერტყა საკუთარი თავისთვის, მაგრამ ვბრაზობდი, რადგან ვიცოდი, რიგიანად ვერ მოვირტყამდი. ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე ჯიბეში, მუჭში მოქცეული ბანკნოტები ხრაჭუნებდნენ და ეს ისე მიმღვრევდა გუნებას, თითქოს რაღაც ბინძურს ვეკარებოდი. კანტორიდან გამოვედი, ფულის გადაყრა მინდოდა, მაგრამ შემეშინდა, ვინმე უბედურს არ აეღო იგი. ყველაზე ცუდი და ყველაზე საზიზღარი კაცის ხელებიც არ უნდა დაეკაროს ამ ფულს-მეთქი, — ვფიქრობდი. რა მექნა? სანამ ის ფული ჯიბეში მქონდა, ყოველი წუთი წამებად მეჩვენებოდა, მაგრამ ეს წამება საკუთარი თავისადმი შურისძიებადაც მიმაჩნდა. ქუჩაში მივდიოდი და

ვერაფერს ვამჩნევდი. ბეიაზეთზე ისე აღმოვჩნდი, ვერაფერი გავიგე. და სწორედ აქ ბეიაზეთის მოედანზე გამახსენდა, რომ ახლოს ნიჰადი ცხოვრობდა. სწორედ ის იყო ამ ფულის ღირსი, მეტი არავინ. ნიჰადი არც კი დაფიქრდება, საიდან, როგორ და კმაყოფილიც კი იქნება. მივხვდი, რომ სწორედ ნიჰადი უნდა ყოფილიყო ამ ფულის პატრონი და ძალიანაც გამეხარდა. იგი კუმკანისაკენ მიმავალ ერთ-ერთ ქუჩაზე ცხოვრობს. მივედი, შინ არ დამიხვდა. ფული დავამრგვალე და კარის ქვეშიდან ოთახში შევაცურე. ჯიბეში ხურდა ფულიც კი არ მეგდო, მაგრამ რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი, სახლამდე ფეხით წამოვედი...

ომერს ოფლმა დაასხა, თითქოს ღონეც სულ გამოეცალა, თუმცა ჩურჩულით ლაპარაკობდა. ერთი წუთით თვალები დახუჭა და იგრძნო, რომ მაჯიდე ალბათ, თავისდაუნებურად, მისგან გაჩოჩდა. თვალებდახუჭულმა, თითქოს ბოდავსო, კვლავ განაგრძო:

— სახლში კი თქვენ დამხვდით. პირველად არც არაფერი მიფიქრია, მაგრამ მერე ჩემში უცებ აფორიაქდა ჩემი სულის მთელი სიბინძურე და თავი ვეღარ შევიკავე. რომელი უზნეო კაცი დაიჯერებს სხვა ადამიანების სიწმინდეს?

ომერმა თვალები გაახილა. დაინახა, რომ მაჯიდე საწოლის კიდესთან მიჩოჩებულიყო და შეშინებული თვალებით მისჩერებოდა.

— ოი, მაჯიდე რატომ მაამბობინე ყველაფერი ეს? შენ არ გესმის ჩემი, ვერ გამიგე, რომ გაგეგო, ასე არ შეშინდებოდი. რომ გაგეგო, მაშინ შენთვის ნათელი გახდებოდა, რომ ეს სიმდაბლე ჩავიდინე არა თვით მე, არა ნამდვილად ომერმა, არამედ ვიღაც სხვამ, რომელიც ჩემს სულში ზის და ყოველთვის ხელსაყრელ მომენტს ეძებს. ვერ გამიგე, თორემ შეგებრალებოდი, დახსნას შეეცდებოდი, ბედრი... ბედრიმ კი გამიგო... როგორ, რანაირად? მაინც როგორ მეალერსებოდა? მე ხომ საძაგლად მოვექეცი... მაჯიდე, ნუ მიმატოვებ, მაჯიდე!...

თავი ბალიშში ჩარგო. ხელები მიცვალებულივით ჩამოუცვივდნენ საწოლიდან, არ ტიროდა, ხმას არ იღებდა, თითქოს არც სუნთქავდა. ამან შეაშინა მაჯიდე, თავზე ხელი მოჰკიდა და შეანძრია, უნდოდა თავისკენ გადმოებრუნებინა.

— ომერ! ომერ! მისმინე ომერ!... ჩემო კარგო, ჩემო კეთილო... ომერ... გამაგრდი ომერ... შემომხედე...

მაგრამ ომერი ხმას არ იღებდა. მაჯიდე უფრო შეშინდა, დაიხა-

რა და ყურში საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, უკოცნიდა ლოყებს და კისერს. მას არ შეეძლო ასე განადგურებული ქმრისათვის ეცქირნა. ომერთან სიახლოვის გრძნობამ, იმის რწმენამ, რომ იგი ძალიან, ძალიან სჭირდებოდა ომერს, ქალს სიამაყე მოჰგვარა და ყველაფერი დაავიწყდა. ქალი ეკვროდა კაცს. შიშველი ფეხებით ეხებოდა და ყოველ ასეთ შეხებაზე საოცრად ცახცახებდა. ომერმა, როგორც იქნა, თავი მოაბრუნა, ფერი წასვლოდა, ავადმყოფივით მისუსტებულიყო, სახეზე კეთილშობილი ღიმილი დასთამაშებდა და ეს მიმზიდველსა ხდიდა. მაჯიდემ მონახა მეუღლის ბავშვის მსგავსად თვინიერი ტუჩები, ხელები კისერზე მაგრად მოხვია და ძლიერ ჩაეკრა.

თ ა ვ ი XXI

მომდევნო ათი დღის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. თვე ახალი დაწყებული იყო და ფული არც თუ ისე უჭირდათ. ნიჰადმა მათთან სიარულს მოუხშირა, რასაც არ ელოდა მაჯიდე.

ნიჰადმა ახლა უცნაური ახალგაზრდა ბიჭების მოყვანა დაიწყო. მისი თქმით, ეს ბიჭები უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე სწავლობდნენ. ახალგაზრდები ხმამაღალი, გამომწვევი ლაპარაკით იქცევდნენ ყურადღებას და საუბრისას ჟესტებს იშველიებდნენ. ეს ჭაბუკები ომერის ბინის ბნელ შემოსასვლელში იკრიბებოდნენ და ისე ხმაურობდნენ, რომ რამდენიმეჯერ დიასახლისმაც გამოჰყო ოთახიდან თავი და მრისხანედ გადახედა შეკრებილთ. იხილავდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემებს, მსჯელობისას ახალგაზრდები სავსებით ეთანხმებოდნენ ნიჰადს და იშლებოდნენ.

ზოგჯერ სტატიებიც მოჰქონდათ და ერთმანეთს უკითხავდნენ ან თავიანთი ჟურნალებისა და ბროშურების კორექტურას ათვალიერებდნენ. ამ სტატიებში ეს ახალგაზრდები აგინებდნენ თავიანთ მტრებს, რომელთა სახელებსაც არ ასახელებდნენ და თუ ასახელებდნენ კიდეც, აუცილებლად რაიმე მუქარის ეპითეტებს მოაყოლებდნენ თან. ზოგჯერ, ნიჰადის ხათრით, ომერიც ესწრებოდა მათ საუბრებს და ირონიული ღიმილით ისმენდა ახალგაზრდების მგზნებარე ქმნილებებს. ამათთვის რომ დაგეჯერებინათ, ისე გამოდიოდა, რომ თურქეთის ყოველი მოაზროვნე და პატრიოსანი კაცი, ასე თუ ისე, სახელ-

გატეხელი იყო. ერთს უცხოეთის აგენტობას სდებდნენ ბრალად, მეორეს კი გამყიდველობას. — ფულის ხათრით თავის იდეას უღალატაო, მესამე მხდალი და მლიქვნელი იყო, ხოლო მეოთხის ძარღვებში, როგორც ისინი ირწმუნებოდნენ, შერეული სისხლი ჩქეფდა. ომერი, კამათში მონაწილეობის მიუღებლად მიხვდა, რომ ამ ახალგაზრდებს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ იმ ადამიანებსა და იდეებზე, რომლებსაც ებრძოდნენ. ერთხელ უთხრა კიდეც ნიჰადს:

— ძალიან მწყინს, ძმაო, შეგეძლო უფრო ჭკვიანი ხალხი შემოგეკრიბა!

— ჭკვიანი ხალხი ჩვენ არ გვჭირდება, — ეშმაკური ღიმილით უპასუხა ნიჰადმა, — მათთან ვერაფერს გააწყობ. ჩვენ მოქმედების ხალხი გვინდა, ისეთები, ვისაც ბრმად სჯერა, რასაც ეუბნები. ასეთი ბიჭების ხელზე დახვევა ადვილი საქმეა. საკმარისია, მიუთითო რომანტიულ მიზანზე, აგრძნობინო, ავანტიურობის მომხიბლაობა, რომ ყველაფერზე დაგეთანხმონ და გამოგყვნენ.

მერე კი, თითქოს მეგობრებთან თავისი გულახდილობა ინანა, მიხვდა, რომ მისი ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ამაო იყო და დაუმატა:

— ომერ ჩემო, ცხოვრება მხოლოდ თაღლითობაა და მეტი არაფერი!

ნიჰადთან კამათისას ომერი ხვდებოდა, რომ ნიჰადი ცდებოდა, იგი არ ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ადამიანის ცხოვრება თაღლითობა და ბინძური საქმეების ჩადენა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ამავე დროს მას არ შეეძლო, არ შესწევდა ძალა დაეცვა საკუთარი შეხედულებანი. რასაკვირველია, ცხოვრება თაღლითობა არ არის, მაგრამ რა არის? ადამიანის ცხოვრებას უნდა ჰქონდეს რაღაც აზრი, იგი მხოლოდ ჭამის, სმის და გამრავლებისათვის როდი ჩნდება ქვეყნად. ხომ უნდა არსებობდეს სხვა, უფრო დიდი და უფრო ადამიანური მიზანი? მაგრამ ომერის გაზარმაცებულ აზროვნებას არ შეეძლო მასში გარკვევა. უბრალოდ, ძიებაც არ სურდა და ირგვლივ გამეფებული სიცრუისა და სისაძაგლისაგან თავს იმით იხსნიდა, რომ ცხოვრებას გაურბოდა, საკუთარ თავში იკეტებოდა. ბოლოს ომერი შეეჩვია დიდი აზრებისა და შინაგანი ბრძოლისაგან თავის დაღწევას. ფიქრის, აზროვნების ნაცვლად ილუზიები და ყველაფრის მიმართ დაეჭვება დასჩემდა. იმ იდეური მიმდინარეობებიდან, რომლებიც ასე მომრავლებულიყვნენ, მას არც ერთისა არ სჯეროდა. ხედავდა, რომ

მისი მეგობრებისა და მასწავლებლების მაღალფარდოვანი და ლამაზი სიტყვების მიღმა, ბნელი საქმეები იმალებოდა. ამიტომაც გაურბოდა ყველას და ყოველივეს და საკუთარი ფანტაზიებით ცხოვრებას ამჯობინებდა, მაგრამ რადგანაც დღეს ფანტაზიებით ცხოვრება შეუძლებელია, ომერი რეალური ცხოვრების შემთხვევითობისა და საკუთარი სურვილების სათამაშო თოჯინა გახდა.

ომერი საკმაოდ ჭკვიანი იყო და კარგად ხვდებოდა, რომ ნიჰადის ბიჭებს მოაზროვნეებად მოჰქონდათ თავი, ჰეროიზმით შეპყრობილი ადამიანების როლს თამაშობდნენ, თავს თავგანწირულ ადამიანებად სახავდნენ. ომერი კი უიდეო და პესიმისტ კაცად მიაჩნდათ, რომელიც არასოდეს არ ცდილობს რაიმე ირწმუნოს. ომერი კი ფიქრობდა: „გიცნობთ, კარგად გიცნობთ, კეთილშობილო ბიჭუნებო, როგორც კი თბილ ადგილებზე მოკალათდებით, ყველა თქვენი იდეა საპნის ბუშტივით გაქრება“.

ერთხელ, გაცხარებული კამათისას ერთ ახალგაზრდას უთხრა:

— აი, შენ, მეგობარო, სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებ. რას გააკეთებ დიპლომის მიღების მერე, სოფელში წახვალ?

— ვითომ და რატომ უნდა წავიდე? — მყისვე უპასუხა ახალგაზრდამ, მაგრამ იქვე უხერხულობა იგრძნო და გამოსწორება სცადა, — თუ საქმე მოითხოვს, რასაკვირველია, წავალ.

— როგორ, თუ საქმე მოითხოვს, სოფელს ექიმი სჭირდება, მეტი რაღა გინდა, თუ წახვალ, არავინ დაგაკავებს, რას ელოდები?

ახალგაზრდას რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ომერმა აღარ დააცალა.

— ყველაფერი ცხადია, გეთაყვა. მე უკვე ვიცი, რასაც მიპასუხებ, — ჯერ ერთი, ექიმები მხოლოდ სოფელში კი არა, ქალაქშიც არისო საჭირო. მეორეც, სოფელში შიშველა ხელებით ისეთ სარგებლობას ვერ მოვუტან ხალხს, როგორსაც ქალაქში, მესამეც, ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ ასეთი პატარა გარემოთი — სოფლით შემოვფარგლოთ ჩვენი მოღვაწეობის არე, რადგან სახელმწიფომ უამრავი თანხა დახარჯა ჩვენი განათლებისათვისო. ასე არ არის? კეთილი. ასე იყო, მაგრამ მაშინ რაღად უმღერით სოფელს, რატომ სწერთ სტატიებს თავგანწირვასა და მსხვერპლის გაღებაზე. გინდა ჩამოგითვალო, რაც გსურს? — უპირველესად, პროტექცია, — მოიცა, ნუ მაწყვეტინებ, შენ ეს გსურს და მიაღწევ კიდეც, რადგან უკანასკნელ კურსზე სწავლობ. მერე შენ გწადია კარგი ადგილის ხელში ჩაგდე-

ბა, ისეთი ადგილი, რომელზეც ყველა შეგამჩნევს და კვალიფიკაციის აპაღლების საშუალებაც გექნება. მერე დაიწყებ ფულის მოხვეტას. გინდა დააგროვო ბევრი, ძალიან ბევრი, ლამაზი ცოლიც გინდა, არა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, იქნება თუ არა, შენი თანამოაზრე, საკმარისია მის დანახვაზე ხალხმა წამოიძახოს: „ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი ცოლი ჰყავს ამ კაცს“. მხოლოდ ამ საკითხში ხართ იდეალისტები. ერთადერთი რამ, სადაც მატერიალისტურ თვალთახედვას ემიჯნებით, არის ისეთი ცოლის შერთვა, რომ სხვები შურით გულზე გასკდნენ... მერე გინდათ მანქანა, სასახლე, ხოლო მერე კი ღიპი, პოკერი და სხვა ამგვარი რამეები. ჩემი ხუთი თითივით გიცნობთ. ვიცი, რა გინდა და არც არაფერი ჰაქვს საწინააღმდეგო. დაე, ასე იყოს, მაგრამ როცა ასეთი კარიერა გაინტერესებთ, რატომ ირჩევთ ასეთ შეუფერებელსა და უცნაურ დასაწყისს? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ხვალ, სიბერის ჟამს თქვენს მეგობარს უთხრათ: „ახალგაზრდობაში ჩვენც დიდი იდეალისტები ვიყავით, მაგრამ რას იზამთ, ცხოვრება თავისას შვრება და ცვლის ადამიანებს, ახლა რეალისტები გავხდით. ეჰ, სად არის ჩვენი ცეცხლოვანი სიჭაბუკე?“ ნუთუ იქედი გაქვთ, რომ ახალგაზრდობისას თუ ილაყბებთ, შემდგომი ცარიელი და ბინძური ცხოვრება გეპატიებათ?

ნიჰადმა იცოდა ასეთი შეგონებანი კარგს არაფერს მოუტანდა და პროფესორ ჰიქმეთთან ერთად, ამ ბოლო ხანებში ხშირად რომ ბოდიოდა ომერთან, ცდილობდა მასპინძლის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა და ჭორაობას იწყებდა. მაგრამ ომერი ხელიდან არ უშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას და სიტყვაზე გამოჭერილ ახალგაზრდას უმალვე შეეპატიჟებოდა:

— ერთი აქეთ მომხედე, მეგობარო, შენ ახლა რას აკეთებ? იურისპრუდენციას სწავლობ? მშვენიერია, ძალიან კარგია. ახლა ირანთურანის იდეებითა ხარ გატაცებული, მაგრამ ხვალ, როცა პროკურორის თანაშემწედ დაგნიშნავენ, მერწმუნე, ყველაფერი დაგავიწყდება, — ირბენ სოფლიდან სოფლად და ბოროტმოქმედს დაუწყებ ძებნას. მკაცრ სასჯელებს ისე მოითხოვ, რომ მასალებს წესიერად არც გაეცნობი და მერე, ვითომ ცხოვრების არსის ჩასაწვდომად საღამოობით მეგობრებთან იქეიფებ. ნახავ, რამდენიმე წელიწადში როგორ შემოიფარგლება შენი მისწრაფებები, ნასახიც არ დარჩება შენი ახლანდელი მგზნებარე აღფრთოვანებისაგან. გმირულ საქმეებს თავს მოარიდებ, რადგან იგი ჩინის მომატებაში ხელს შეგიშლის,

ყოველი უფროსის დანახვაზე მხოლოდ ერთ რამეს გაიფიქრებ: რადაც უნდა დამიჯდეს, თავი უნდა მოვაწონოო. ამიტომაც ისარგებლე შემთხვევით და ახლა დახარჯე შენი ჭაბუკური ცეცხლის ძალა, ვიდრე სტუდენტი ხარ, შეგიძლია ყოველი პროფესორი უვიცად ჩათვალო, ყოველი მასწავლებელი—ყეყეჩად. აკრიტიკე, რამდენიც გსურდეს, ეს არაფერს გავნებს. პირიქით, რაც გინდა უყავი იმას, ვინც ვერაფერს გავნებს, სულმდაბალი და გამყიდველი უძახე. ახალგაზრდობა ცეცხლია, მოითხოვე პროგრესი და ენთუზიაზმი, მიდი! მაგრამ ერთი რამ კი არ დაივიწყო—არაფერი დაუშავო შენს მომავალ კარიერას!...

— ომერ ბეი, — მიმართა ერთხელ ერთ-ერთმა ახალგაზრდათაგანმა, — თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს ძალზე ხნიერი იყოთ. ჩვენ ხომ ერთი თაობის ხალხი ვართ, თქვენ მხოლოდ სამი-ოთხი წლით თუ იქნებით ჩვენზე უფროსი?

ომერმა არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ დაფიქრდა და თქვა:

—შენ მართალი ხარ, ჩვენ ერთი რამ გვაერთიანებს: ლაქლაქი. მაგრამ განსხვავებაც არის ჩვენს შორის—თქვენ გგონიათ, რომ რაიმეს ჰქმნით, მე კი მშვენივრად ვიცი, რასაც ვაკეთებ, უფრო სწორად, რასაც არ ვაკეთებ. თანაც... მე უფრო შინაგანი ცხოვრებით ვცხოვრობ. აი, რატომ შემიძლია ვიფიქრო, რომ თქვენზე დიდად უფროსი ვარ.

ამ გაცხარებული საუბრებისას და სტატიების კითხვისას, მაჯიდე ჩვეულებრივად ოთახიდან არ გამოდიოდა, ხოლო როცა ზოგჯერ პროფესორი ჰიქმეთი იტყოდა: „სად არის ჩვენი დობილი, გამოსულიყო ჩვენთან?“ ომერიც გამოიყვანდა ხოლმე. პროფესორს მაშინვე სულ სხვა საკითხზე გადაჰქონდა საუბარი, ხან არაბი ისტორიკოსების ამბავს მოჰყვებოდა, ხანაც სელჯუკების შეიარაღებისას. პროფესორს შეეძლო საათობით ელაპარაკნა ამ საკითხზე . და იმედოვნებდა, რომ თავისი განსწავლულობით მაჯიდეს აღაფრთოვანებდა. უკანასკნელ ხანს ცოლინ შერთვაზედაც ალაპარაკდა. სტუდენტები უამრავ ქალიშვილებს აცნობდნენ, მაგრამ საქმე მაინც არაფერი შველოდა.

ნიჰადი ხშირად ეკითხებოდა ხოლმე მაჯიდეს.

— მაჯიდე ჰანუმ, ერთი ეს მითხარით, ნუთუ კონსერვატორიაში არა გყავთ ვინმე შეგობარი გოგონა, პატიოსანიც იყოს და ლამაზიც?

მაჯიდეს ეს კითხვა სერიოზულ დაინტერესებად მიაჩნდა და სიწითლემორეული პასუხობდა:

— არ ვიცი, არასოდეს დავკვირვებივარ.

პროფესორ ჰიქმეთს სურდა, რომ მისი მომავალი მეუღლე ლამაზიც ყოფილიყო, განათლებულიც და აუცილებლად კარგი ოჯახის შვილიც, რადგან დარწმუნებული იყო, თავისი უსაზღვრო განსწავლულობა მომავალი მეუღლისადმი ყველა ამ პრეტენზიის წაყენების უფლებას აძლევდა.

ახალგაზრდებმა თანდათან მოუხშირეს სიარულს. მართალია, მაჯიდეს არ უნდოდა ომერისთვის ეწყენინებინა, მაგრამ უკვე ვერ ფარავდა ომერის მეგობრებისადმი ზიზღს. კონსერვატორიიდან დაბრუნების შემდეგ ოთახს ალაგებდა, ვახშამს აკეთებდა და ცოტას ისვენებდა კიდეც, იმ სამახსოვრო საღამოს შემდეგ მასა და ომერს შორის კვლავ ადრინდელი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არაფერი იყო, ორივენი გრძნობდნენ, რომ საჭირო იყო მოლაპარაკება და ბევრი რამის გარკვევა, ახლადგაცნობილებივით უნდა გადაეშალათ ერთმანეთისათვის თავიანთი სულები, რათა ურთიერთსიყვარულისთვის მეტი გამართლება მოენახათ, ჯერჯერობით კი მათი ურთიერთობა დაზავებას ჰგავდა, დაზავებას, რომელიც ურთიერთნდობაზეა დაფუძნებული. ასე დიდხანს გაგრძელება შეუძლებელი იყო. კვლავინდებურად რაღაცას უმალავდნენ ერთმანეთს, ამას კი უკმაყოფილება მოსდევდა ხოლმე. მაგალითად, მაჯიდეს სურდა, ერთხელ და სამუდამოდ გაერკვია ომერის დამოკიდებულება ამ ახალგაზრდებთან. თუმცა იმასაც კი ამჩნევდა, რომ ომერი მაინცდამაინც ძლიერ არ ილტვოდა მათკენ, მაგრამ არც კავშირის გაწყვეტა სურდა, რადგან საამისო მიზეზს ვერ ხედავდა. ამის შესახებ მაჯიდე გულახდილად ვერაფერს ეუბნებოდა ქმარს. იმ საღამოს, ბარში მუსიკას რომ ისმენდნენ, მაჯიდემ რამდენჯერმე გადაწყვიტა ადგომა და წამოსვლა, რადგან ვერ იტანდა ამ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანების ყეყეჩურ ლაქლაქს. თანაც მის გვერდზე მჯდომი პროფესორი ჰიქმეთი, რაც მეტს სვამდა, უფრო თავხედობდა. მალიმალ მაჯიდესაკენ გადმოიხრებოდა და ათასგვარ საზიზღრობას ეუბნებოდა, მისი ამყრალებული სუნი მაჯიდეს სუნთქვას უკრავდა. პროფესორი ჰიქმეთი თავს უფრო მეტად იმთვრალებდა და ხელებს მაგიდის ქვეშ აფათურებდა, რათა მაჯიდეს ფეხებს წაწყდომოდა და მოალერსებოდა. მძიმე ავადმყოფივით საფეთქლები თანდათანობით

უწითლდებოდა და მაჯიდეს მკერდში ჩახედვას მოურიდებლად ლამობდა.

მაჯიდემ რომ ეს ამბავი ომერს უამბოს, იგი უდავოდ დაუჯერებს და ამ ხალხსაც ზურგს შეაქცევს, ჰიუსამედინ ეფენდის ამბის შემდეგ მაჯიდეს კიდეც უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ შეიძლებოდა, ომერს მთელი აურზაური აეტეხნა პროფესორისათვის. ყოველი უსიამოვნო ამბის შემდეგ ომერი დიდხანს ნერვიული და დაბნეული იყო ხოლმე. დავუშვათ და რაიმე საქმეში ომერი მართალი ყოფილიყო და მაჯიდეც დათანხმებოდა. იგი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ხასიათი გამიფუჭეთო. მაჯიდემ ისიც იცოდა, რომ ომერი გაურბოდა უსიამოვნო საკითხების გარკვევასა და საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანას. როცა გაახსენდებოდა, რომ რაიმე საქმეს სერიოზულად უნდა მოჰკიდებოდა, რაღაც გზას უნდა დასდგომოდა და რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო, — სულ ერთი იყო—კარგი იქნებოდა იგი თუ ცუდი — აცახცახდებოდა ხოლმე. მიჰყვებოდა ცხოვრების მდინარებას, ვიდრე ეს მდინარება ჩიხში არ მოამწყვდევდა. ჰოდა, ასეთ დროს, ყველაფრისგან თავის დასაღწევად აკეთებდა იმას, რაც უცებ მოუვლიდა თავში.

მაჯიდე სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ვერაფერი გადაეწყვიტა. იმ საღამოს შემდეგ ბედრი მხოლოდ ერთხელ მოვიდა და ისიც ომერთან ერთად. რამდენიმე წუთი იჯდა და წავიდა. ეტყობოდა, თავისი დის აქ მოსვლის ამბავიც იცოდა და ახლა მაჯიდესთან დამნაშავედ გრძნობდა თავს. მხოლოდ ეს უთხრა მაჯიდეს: ჩემი ბალიქესირელი მეგობარი ვნახე და მითხრა, დედამისი ძალიან სწუხს მაჯიდეზეო.

— მართლაც და, ცუდი ქალიშვილი ვარ, — გულახდილად თქვა მაჯიდემ, — სამი თვეა, არაფერი მიმიწერია...

ან რა უნდა მიეწერა? დედას ვერაფრით ვერ აუხსნი და ვერ დაარწმუნებ შენი საქციელის სიმართლეში. ქორწინება რომ რეგისტრირებული იყოს, მაშინ კიდევ არა უშავდა რა. მაჯიდეს იმისიც კი ეშინოდა, რომ მის დასა და სიძეს სისულელე არ ჩაედინათ და მაჯიდეს მოსაძებნად პოლიციისათვის არ მიემართათ. მართალია, ომერის გვარი ახლა გაკოტრებული იყო, მაგრამ მაინც ერთ-ერთ წარჩინებულ და პატივსაცემ გვარად ითვლებოდა ბალიქესირში. ამ გვართან დამოყვრების ხათრით მაჯიდეს ბევრ რამეს აპატიებდნენ.

მაგრამ მოვლენები ისეთი სისწრაფით განვითარდა, რომ ერთი დღე-ღამის განმავლობაში მაჯიდეს ცხოვრებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო.

თ ა ვ ი XXII

პროფესორმა ჰიქმეთმა, ნიჰადმა და მისმა ამფსონებმა ომერი და მაჯიდე საქველმოქმედო საზოგადოების საღამოზე მიიპატიჟეს. იმ დღეს ომერი დაღლილი დაბრუნდა შინ. ფული არა ჰქონდა, სადილი არ უჭამია და თაქსიმის მოედნიდან სირქეჯამდე ფეხით მოვიდა, ჰოდა, არც სურდა საღამოზე წასვლა. ეგონა, არც მაჯიდე მოისურვებდა წასვლას და ჰიქმეთისათვის უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ჰიქმეთმა დაასწრო:

— ჩვენს მაჯიდე ჰანუმსაც უნდა წამოსვლა და იქაურობის დათვალიერება. ბიჭები ძალიან ეცადნენ, რომ ყველაფერი რიგიანად მოეწყოთ... დაუკრავენ, მერე სპექტაკლი იქნება... ხომ იცი, უნდა გავამხნევოთ... თორემ ასე რა გამოვა, ჩვენ რაც შეგვიძლია ვეხმარებით და თქვენ წამოსვლას მაინც ნუ დაიზარებთ.

ომერმა დაჩივლება დააპირა, ფული არა მაქვს, სამსახურიდან სახლამდე ფეხით მოვედიო, მაგრამ ჰიქმეთმა უცებ ჯიბეში ჩაიყო ხელი და ორი ლირა ამოიღო.

— თუ ფული არ გქონდათ, რატომ აქამდე არ მითხარით? რამდენჯერ მითქვამს, ნუ დამერიდებით-მეთქი, — თქვა ჰიქმეთმა და ომერს ფული მისცა.

— თუ საჭიროა, მეც მოგცემ, — ჩაერია ნიჰადი.

ომერი შეკრთა. ეგონა, ნიჰადი მოლარის ფულს აძლევდა და ზიზღით გადახედა. ნიჰადს კი არავითარი ყურადღება არ მიექცევია ამისათვის და წამოიძახა:

— ჰოდა წავიდეთ!

ყველანი ერთად გამოვიდნენ სახლიდან. ტრამვაიში ჩასხდნენ და შეჰზედებაშის უბნისაკენ გაემართნენ. დეიდა ემინეს სახლისაკენ მიმავალ მოსახვევს რომ ჩაუარეს, მაჯიდე შიშმა შეიპყრო, ბოლოს ვერ მოითმინა და სახლისკენ გაიხედა. არცერთი ფანჯრიდან შუქი არ გამოდიოდა. „ალბათ, დარბაზში თუ ვახშმობენ“, — გაიფიქრა ქალმა.

ძველი, დიდი სახლის ბაღში შევიდნენ. უზარმაზარ, ნაირფერად მორთულ ვესტიბიულში სკამები ჩაემწკრივებინათ. ვესტიბიულის ბოლოში, სადაც სცენა უნდა ყოფილიყო, ფარდად თივთიკის პლედები დაეკიდათ.

— მგონი, ადრე მოვედით, — თქვა ომერმა.

— მეც ასე მგონია, — დაეთანხმა პროფესორი, — წავიდეთ თავმჯდომარის კაბინეტში, იქ ალბათ, უკვე შეიკრიბნენ ჩვენი მეგობრები. ცოტა წავიმასლაათოთ.

საკმაოდ მოზრდილ ოთახში შევიდნენ. იქ, მართლაც, ბევრი ხალხი იყო. თამბაქოს კვამლში მაჯიდემ ოცამდე ადამიანი გაარჩია. ბევრი მათგანი რესტორანში გაიცნო მაშინ, როცა ომერმა მუსიკის მოსასმენად წაიყვანა. კარის მოპირდაპირე მხარეს, დიდ საწერ მაგიდასთან მაღალი, შუახნის ქერა კაცი იჯდა. სახე ცხენს მიუგავდა, ხუჭუჭი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. როგორც ეტყობოდა, ეს უნდა ყოფილიყო ამ საზოგადოების თავმჯდომარე. ალუბლისფერ ძველმოდურ ტარსიკონის სავარძელში ერთი ხნიერი, თხელთმიანი, პირმრგვალი, წვრილთვალება კაცი იჯდა. კაცი რიხიანად ლაპარაკობდა და ისე წყობისად იქნევდა ხელს, თითქოს რჩევა-დარიგებას ან კიდევ რაიმე ბრძანებას იძლევაო.

ომერი მაჯიდეს მოუბრუნდა და უთხრა:

— ადრე ეს კაცი ძალზე ცნობილი პიროვნება იყო, სახელმწიფო აპარატში მეტად მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირა, ახლა კი პენსიაზე გავიდა, მაგრამ უფროსობის ჩვევა მაინც ძველებური შერჩა, ყურადღებით უსმინე და ნახავ, რა ენამომართული კაცია.

ახლადმოსულნი სკამებზე ჩამოსხდნენ. ორატორმა თავისი სიტყვა განაგრძო. იგი დიდხანს და ყველაფერზე ლაპარაკობდა. ამ საუბარში იმდენ თემას შეეხო, რომ ძნელი იყო გაგება, თუ რისი დამტკიცება სურდა. იგი ლაპარაკობდა, როგორც სტამბოლის ქვაფენილების შეკეთების, ისე ევროპაში მოსწავლე თურქი. სტუდენტობის ბარებში დროსტარების საკითხზე, გლეხობის ტრაქტორებით მომარაგებასა და გერმანიაში თუთუნის ექსპორტზე. მერე სიტყვა იმაზე ჩამოაგდო, რომ სახელმწიფოს მმართველად პრივილეგირებული ადამიანების ჯგუფი უნდა მომზადდესო. და რადგან ჩვეულებრივი გზით ამის გაკეთება შეუძლებელიაო, ამბობდა იგი, ამიტომ ყოველ სასწავლებელში ამოვარჩიოთ თითო ხელმძღვანელი და სპეციალური პროგრამის მიხედვით მოვამზადოთო, ყოველი მოსაზრების დასადას-

ტურებლად საკუთარი ცხოვრებიდან მოჰყავდა მაგალითები. ეტყობოდა, რომ ადმინისტრაციული მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა.

ყოფილი სახელმწიფო მოღვაწე ერთი წამით შეჩერდა. უნდოდა სული მოეთქვა. ამით ისარგებლა ისმეთ შერიფმა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი პირში და ლაპარაკი დაიწყო. ისმეთ შერიფი ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, სიტყვებსა და ფრაზებს ერთმანეთს აბამდა, რათა თავისი წინამორბედის ბედი არ სწვეოდა და სიტყვა არავის წაერთმია. მანაც ბევრ რამეზე ილაპარაკა, ათას ერთ თემას შეეხო. მსმენელების გასაბრუებლად ბუნდოვნად ლაპარაკობდა და უფრო მაღალფარდოვან სიტყვებს ხმარობდა. თანაც ნათქვამის დასადასტურებლად მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან კი არ მოჰყავდა, არამედ თავისივე ნაწარმოებებიდან.

ისმეთ შერიფის ლაპარაკის დროს მაჯიდემ დაინახა, რომ ოთახში ბედრი შემოვიდა, ომერმა ბედრის ხელი დაუქნია.

— დაჯექი ჩვენთან, — უთხრა მან ბედრის, როცა ბედრი მოვიდა, — მიუხედავად ასეთი ხელმოცარულობისა, ისმეთ შერიფმა მაინც ვერ ისწავლა ჭკუა და კვლავ განაგრძობს პეიტრობას. ჰოდა, მისმინე ახლა როგორ გამოვიჭირო!

—ჩემს რომანებში მე დაწვრილებით გავაანალიზე,—განაგრძობდა დიდი პუბლიცისტი, — თუ როგორ ეფექტს ახდენენ ბრბოს ფსიქოლოგიასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ეს მონაცემები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი სოციალური ცხოვრების პროგრესისათვის...

— მაპატიეთ, მაესტრო, — გაოცებით იკითხა ომერმა, — განა თქვენ რომანებიცა გაქვთ?

— განათლებულ ადამიანებს ჰკითხეთ, — მკვახედ უპასუხა ომერის გასაოცარი უვიცობით გაოგნებულმა ისმეთ შერიფმა.

— ხანდახან თქვენი სტატიებისათვის მომიკრავს თვალი, მაგრამ რომანებს არ შევხვედრივარ, — მშვიდად უპასუხა ომერმა, — ალბათ, არავინ კითხულობს.

ემინ ქიამილმა კმაყოფილებით გაიღიმა და ისმეთ შერიფის დასაცავად თქვა:

— მისმინე, მეგობარო, მართალია, რომანი „ჭრილობა“ დიდად პოპულარული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მაინც შევიდა.

მართლაც და, ისმეთ შერიფის ნაწარმოებებს შორის ამ რომანს ხშირად ახსენებდნენ. რომანში უმთავრესად ლაპარაკი იყო ჭრილობაზე, რომელმაც ბავშვობა და სიჭაბუკე მოუწამლა მის ავტორს და არც ახლა აძლევდა მოსვენებას.

— „ჭრილობა“ არცთუ ისე ცუდი რომანია, — არ ცხრებოდა ომერი,—ახლა მახსენდება, ოდესღაც წამიკითხავს... მაგრამ, მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, განა ერთი რომანი საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი რომანისტი გახდეს? მე მგონია, ასეთი ნაწარმოების შექმნა არ გაუჭირდება ისეთ ადამიანს, რომელსაც ახალგაზრდობა ამგვარ ვაებაში გაუტარებია, ბევრი განუცდია და მხოლოდ საკუთარ უბედურებაზე უფიქრია. ამას მიუმატეთ მრავალრიცხოვანი სტატიები, რომლითაც იკვებება, წერის ტექნიკის დაუფლება და აზრის დალაგება: ასეთ ადამიანს შეუძლია თავისი ცხოვრება ისე გადმოგვცეს, რომ მკითხველი ააღელვოს და დააინტერესოს, რომანი „ჭრილობა“ ნორმალური შრიფტით რომ დაბეჭდონ, 60-70 გვერდზე მეტი არ გამოვა. ყველამ ვიცით, რომ ამ რომანის მხატვრული ღირსება არცთუ ძლიერ დიდია. ნუთუ თქვენ ეს ნაწარმოები სრულყოფილად და ჩვენი ხელოვნების მიღწევად მიგაჩნიათ? მეც რომ იგივე განმეცადა, რაც ისმეთ შერიფმა, მერწმუნეთ, არანაკლებ ნაწარმოებს შევქმნიდი, მაგრამ ეს როდია მთავარი, ადამიანი მაშინ ხდება ხელოვანი, როცა თავს ანებებს საკუთარ თავზე წერას.

ისმეთ შერიფს მოღრეცილ კისერში სისხლი მოაწვა, აცახცახდა და იყვირა:

— ასე მხოლოდ ის მსჯელობს, ვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე ორი სტრიქონიც კი არ დაუწერია! ჩვენ რატომღაც არასოდეს არ ვერევით ქუჩის ბიჭის, ფეხსაცმლის მწმენდავის საქმეებში, მაგრამ აუცილებელ მოვალეობად მიგვაჩნია ხელოვნების საქმეში ცხვირის ჩარგვა. ცხვირის ჩაყოფა იმ საქმეში, რისაც სულ არა გაგებია, ეს მხოლოდ მოინტელიგენტო ხალხისათვის არის დამახასიათებელი. ომერმა ჩაიცინა.

— ფეხსაცმლის მწმენდავის ხერხები და პრინციპები მე არაფრად მაინტერესებს, მაგრამ, როცა დავინახავ, რომ ფეხსაცმელები წესიერად ვერ გამიწმინდა, სრული უფლება მაქვს შევედავო, თუ მხატვარიც საკუთარი ქმნილების განსჯას მხოლოდ თავის კოლეგებს მიანდობს და სხვას არავის, მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს, რადგან ისინი უფრო მიკერძოებულნი იქნებიან, ვიდრე ჩვენ!

დარბაზში ხარხარი ატყდა. სიტყვა ემინ ქიამილმა აიღო. მან ხალხს ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ისმეთ შერიფის დაცვა უნდოდა, მაგრამ მერე საუბრის თემა შეცვალა. ჯერ ვერავინ გაიგო, რა სურდა, თანდათანობით ბოლოს ყველა მიხვდა, რომ მუსლიმანურ მისტიკაზე ლაპარაკობდა, ემინ ქიამილი ამ ბოლო ხანს ძალიან გატაცებული იყო მისტიკით. უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა პოეტმა ჯერ ძირფესვიანად გადაქექა ბუდა, მერე ლაო ძი და ბოლოს მუჰიდდინ არაბსა და ჰალაჯი მანსურსაც შეეხო. ლაპარაკის დროს მუჰიდდინ ახლად შესწავლილ არაბულ ფრაზებს ჩაურთავდა ხოლმე, რომელთაც დამახინჯებით წარმოთქვამდა. ზოგჯერ კი, საჭირო იყო თუ არა, არაბულ ბაიათებს მოიშველიებდა ხოლმე.

მე ვარ ჰეშმარიტება! — ღაღადებს მანსური
და მისი ბაგეებით ღაღადებს ჰეშმარიტება!

ამის წარმოთქმის შემდეგ თვალები მოჭუტა და მსმენელებს გადახედა, რომ გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ბრძნულმა სიტყვებმა დარბაზში შეკრებილ ხალხზე.

— ემინ ქიამილ, წაგვიკითხეთ თქვენი ლექსები, — სთხოვა პოეტს ქერათმიანმა კაცმა, თავმჯდომარის ადგილას რომ იჯდა.

თავმჯდომარეს მხარი დაუჭირეს ახალგაზრდა პოეტის თაყვანისმცემლებმა და ემინ ქიამილის შეხედულებათა ხშირი ცვალებადობის პატივისმცემლებმა. პოეტმა ადგილიდან წამოუდგომლად, საკმაოდ სასიამოვნო ხმით გრძელი ლექსი წაიკითხა.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამ ლექსში თავმოყრილი იყო ყველა შემზარავი სიტყვა და მცნება, რაც კი საერთოდ არსებობდა თურქულ ენაში. ცხადი იყო, რომ ლექსის ავტორს ერთი მიზანი ჰქონდა — ადამიანების დაშინება. ლექსში ლაპარაკი იყო ცეცხლოვან წარმოსახვასა და იმქვეყნიურ ხმებზე, სისხლიან განთიადებსა და ჯოჯოხეთურ ალზე, მომაკვდინებელ საწამლავებსა და ფანტასტიკურ მოჩვენებებზე. ლაპარაკი იყო აგრეთვე კაცზე, რომელიც ვილჰელმ ტელივით ისარს ვაშლს ახვედრებდა. მხოლოდ ისარი ცეცხლის ალი იყო, ხოლო ვაშლი კი — სული. ლექსის კითხვის დამთავრებისთანავე ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას შავი ღრუბელივით ჩამოაწვა ლექსისაგან მიღებული მძიმე შთაბეჭდილება.

საჭირო იყო ცოტაოდენი დრო, რომ ეს განწყობილება გაფანტულიყო.

ბოლოს თავმჯდომარეს გაახსენდა, რომ პირველად აზრი მას უნდა გამოეთქვა და წამოიძახა:

— არაჩვეულებრივია, აი ეს არის ლექსი, მოგილოცავთ! — მაგრამ მერე ისიც გაახსენდა, რომ პოეზიის შეფასებაში საკუთარი კომპეტენტურობის დასამტკიცებლად კრიტიკა იყო საჭირო და მანაც გადაწყვიტა რაიმე შენიშვნა გამოეთქვა.

— ეს კი უნდა გითხრა, რომ ერთი სტრიქონი კარგად ვერ გავიგე. მე მგონია, აქ ერთი სახე... აი, როგორ გამოვხატო, არ ვიცი... აი, იცით რა... ერთი სახე მეტისმეტად ძლიერია... არ ვიცი, ჩვენი მეგობრები რას იტყვიან ამ სტრიქონზე:

და მძივებივით გადავაფურთხე ჩემი თვალები...

მყისვე ცხარე კამათი ატყდა, ყველა თავის აზრს გამოთქვამდა. პოეტი კი სიბრალულით შეცქეროდა უვიცებს, მისი ქმნილების აზრის გასაგებად ასე რომ იტეხდნენ თავს, მაგრამ ვერც თავის გაღიზიანებას ფარავდა იმ კრიტიკული შენიშვნის გამო, თავმჯდომარემ რომ მისცა.

— მოგეწონა? — ჰკითხა ბედრიმ ომერს.

— არ ვიცი... აბა რა გითხრა. ვერაფერი გავიგე, მაგრამ არც ისე ურიგო უნდა იყოს. ეს კია, რომ საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს!

ბედრიმ თავი გაიქნია და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ემინ ქიამილსაც სწორედ ის უნდა, რომ თავისი ბუნდოვანებით მოახდინოს შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ასეთი უვიცები ვართ. ამ ლექსს წესიერად რომ ჩავუკვირდეთ, მივხვდებით, რომ ამ ნაწარმოების შექმნა ჩვეულებრივი შარლატანობაა და მეტი არაფერი, ამ ლექსებში არც ძლიერი გრძნობებია და არც დიდი, მომხიბვლელი აზრები. ისინი მხოლოდ ადამიანების გასაბრუებლად არიან დაწერილნი. პოეტს სურს იდუმალ არსებად მოგვაჩვენოს თავი, მაგრამ ეს სტრიქონები იმდენად ბანალურია, რომ პირველი კურსის სტუდენტსაც კი არ ეპატიება. პოეტმა მხოლოდ ის იცის, რომ ჩვენ ცოტა რამ გვაკმაყოფილებს და ამიტომ ორი-სამი იაფფასიანი პოეტური ხერხით კმაყოფილდება. მთავარი ამათ შორის მისტიკური განწყობილებაა. როგორც საერთოდ გამოცდილება გვიჩვენებს, ეს განწყობილება მუდამ ახდენს შთაბეჭდილებას. საოცარი რამ ხდება, რამდენიმე ფარული, ამოუცნობი ფორმულა, რომელსაც უვიცი და მოთაღლითო მოლა ხალხის გასაბრიყვებლად ხმარობს ხოლმე, ორი-სამი რელიგიური ალეგორია, ორიოდე ბუნდოვანი გამოთქმა და ჩვენს

დროშიც აბნელებს ადამიანის გონებას. არცთუ ძლიერ დიდი ეშმაკობაა, რომ დაბნეული ჭკუის კაცმა გონებაგახსნილად მოგვაჩვენოს თავი. ჩვენ დავივიწყეთ, რომ ყოველი სულით ღარიბი, მაგრამ თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე კაცი, ამ ხერხს მიმართავს და წარმატებასაც კი აღწევს. ემინ ქიამილმა შეძლო ჩვენი დაინტერესება, გაცურება და ამით თავისი პიროვნება და მუდამ ცვალებადი ყეყეჩური რწმენა რაღაც იდუმალი შარავანდედით შემოსა. ჩვენ ახლა გენიალურად გვეჩვენება უაზრო სიყეყეჩე, თავხედობა, სხვების მიმართ უპატივცემულობა და ზიზღი. ასეთი რამ სხვა შემთხვევაში სიცილით დაგვხოცავდა. ჩვენ რატომღაც არ ვამჩნევთ, რომ ამ კაცს არ გააჩნია ყოველი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი პიროვნებისათვის საჭირო თვისებები. მას არა აქვს ურყევი რწმენა, სულიერი წონასწორობა, ადამიანისა და ხალხისადმი დიდი პატივისცემა და საერთოდ ყველა ის თვისება, რომელიც უფლებას არ მოგცემს შენს ირგვლივ შემოკრებილი ხალხი იდიოტებად მიიჩნიო. ერთი შეხედე ამ ხალხს, ისინი არც ისე შტერები არიან, მაგრამ მთელი სერიოზულობით კამათობენ ერთ სტრიქონზე — „და მძივებივით გადავაფურთხე ჩემი თვალები", — ხოლო პოეტი, რომელსაც თვითონ სჯერა თავისი გენიალობისა, მადლიერი თვალებით შეჰყურებს მათ. მაგრამ აბა კარგად დააკვირდი მის სახეს და შენ ამოიკითხავ უდიდეს სიცრუეს, რომელიც მისი სულის სიღრმეში იმალება. ეს სიცრუე კი ყველაზე უფრო დიდი საშინელი სიცრუეა, რადგან ფარულია, იგი ისე ღრმად გამჯდარა ჩვენს ბუნებაში, რომ საკუთარ თავთანაც კი ვცრუობთ ხოლმე. აი, ამ საშინელმა სიცრუემ აიძულა იგი განდგომოდა საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობს. პოეტმა ზურგი შეაქცია იმ ცხოვრებას, რომელიც მის ირგვლივ ჩქეფს და ბუდიზმთან მივიდა, ჩინურ და მუსლიმანურ მისტიკას ჩაუვარდა ხელში. თავისი ხრიკებით, რომლებიც თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს მატერიალისტურ სამყაროსთან, ისე ხშირად დასცინცლავს ხოლმე ფულს თავის ბეხრეკ მამას და იმდენად ეშმაკურად, რომ რაც არ უნდა იმტვრიო თავი, ვერც მოიფიქრებ. მისმა მოხუცმა მამამაც ირწმუნა შვილის გენიოსობა. მაგრამ მოხუცი უყოყმანოდ მაინც არ ხარჯავს ფულს. რა ფანდებს არ მიმართავს ხოლმე ემინ ქიამილი, რომ მამას ფულები დასცინცლოს. ხან განუცხადებს, მთელი ქვეყნის გულზე გასახეთქად ახალი ჟურნალის გამოცემას ვაპირებო, თანაც ვიღაც-ვიღაცეებს მიიყვანს მამასთან და ეუბნება, მწერლები არიანო. სტუმ-

რებს კი თავიდანვე აფრთხილებს, მამაჩემთან ქებით ცამდე ამიყვანეთო. ზოგჯერ იმასაც კი უცხადებს მამამისს, ევროპაში მწერალთა კონგრესზე ვარ მიწვეული, ხან კიდევ იმით სარგებლობს, რომ მოხუცმა უცხო ენები არ იცის, რაღაც წერილებს აჩვენებს, რომლებშიც თითქოს ევროპელ გამომცემელთა წინადადებებია წამოჭრილი, ვითომ უცხოელი გამომცემლები სწერენ, ძალიან მოგვწონს, შენი თხზულებებიო. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს კაცი, რომელიც ისე ოსტატურად ტყუის, გენიოსი, დიდი პოეტი და ჩინებული მოაზროვნეა. თანაც იმიტომ, რომ თავის მამულში ფეხშიშველი დაიარება. დაუფიქრებელი და განუსჯელი ნდობა ყველაზე დიდი ადამიანური სისუსტეა. ამგვარ ცრუწინასწარმეტყველთათვის ასეთი ბრმა და დაუფიქრებელი ბრბო ზედგამოჭრილია.

ბედრი ხმადაბლა, ნელ-ნელა, მშვიდად ლაპარაკობდა. ომერისა და მაჯიდეს გარდა არც არავინ უსმენდა. მათ სულ დაავიწყდათ, რომ დარბაზში კვლავ გრძელდებოდა ემინ ქიამილის კამათი იმ ერთი სტრიქონის გამო. არც მაჯიდეს და არც ომერს არ ეგონათ, თუ ბედრის ასე შთაგონებით და ასე დიდხანს შეეძლო ლაპარაკი. ომერი ახლა მიხვდა, რომ მისი უთქმელი მეგობარი ბევრ რამეს ახლებურად განიცდიდა და ბევრი რამ უკვე გადაეწყვიტა კიდეც.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთი სტრიქონის ირგვლივ ატეხილი კამათი დამთავრდა და ნიჰადმა გადმოალაგა ცნობილი მოსაზრებები, რომ ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიან, რომ არიან ძლიერნი და სუსტნი, ჭკვიანნი და უგუნურნი, და ცხოვრებაც ამის მიხედვით უნდა მოეწყოსო. ნიჰადის სიტყვას ყველამ დაუჭირა მხარი. ყოველ მათგანს ეგონა, ძალაც და გონებაც მხოლოდ მე მაქვსო, და ცისფერი მძივები[1] ჩემს ხელთ არისო. ამიტომ ნიჰადის სიტყვები სავსებით სამართლიანად მიიჩნიეს. როგორც ჩანდა, ამ საღამოს ბედრი ლაპარაკის ხასიათზეც იყო და იგი კვლავ მიუბრუნდა ომერს.

— კიდევ ერთი მშვენიერი აზრი! — აბა, ყურადღება მიაქციე მის სიტყვებს. იგი თავად აღმერთებს ძალას და მერე იწყებს მის თაყვანისცემას. მისი ყველაზე თავგამოდებული მომხრეები, გარდა იმ ბიჭბუჭებისა, დღე-ღამე კუდში რომ დასდევენ, ისმეთ შერიფი და

---

1 ეს გამოთქმა დაკავშირებულია ჰოჯა ნასრედინის სახელთან. ნასრედინის სამ ცოლს დაუმთავრებელი ჩხუბი ჰქონდათ ერთმანეთში. ნასრედინმა, ამ ჩხუბისათვის ბოლო რომ მოეღო, ყოველ მათგანს ცისფერი საყურე აჩუქა და უთხრა, ცისფერ საყურეს მხოლოდ იმას ვაძლევ, ვინც ყველაზე ძლიერ მიყვარსო.

პროფესორი ჰიქმეთი არიან. სამივეს აქვს რაღაც საერთო — სამივეს შემოსწყრომია ღმერთი. სამივე რაღაცით საბრალო და უბედურია. ნიჰადს შენც კარგად იცნობ, ერთი შეხედვაც საკმარისია... უძლური სხეული, პაწია, თხელი ხელები, გამომეტყველება ნერვიულად დაავადებული კაცისა... ჯამბაზივით საბრალო ქმნილება. ყოველდღე რაღაც ტკივა — ხან თირკმელები, ხან — ფილტვები. სახლში ნამდვილი აფთიაქი აქვს გამართული... ისმეთ შერიფს კი უბედურმა შემთხვევამ ცხოვრება გაუმწარა, სული დაუმახინჯა. ხეიბარი გახდა და ახლა მთელ ქვეყანაზეა გაბრაზებული. როცა სალაპარაკოდ პირს აღებს, ან საწერად ხელში კალამს იღებს, გულში წლობით დაგროვებულ შხამსა და ბოღმას ანთხევს. პროფესორი ჰიქმეთი კი ღმერთმა სულ დაჩაგრა. რაიმე ისეთი პატარა თვისებაც კი არ უბოძა, რომ თავისი მრავალი სურვილიდან ერთ-ერთი თავშეუკავებელი ვნება მაინც დაიკმაყოფილოს. კარგად იცით, მთელი თავისი ცხოვრება ქალებზე ფიქრობს, მაგრამ რა? თვით იმ ქალებსაც კი, რომლებიც ფულის ხათრით უწვებიან ლოგინში, მისი სახე ზიზღსა ჰგვრით, როგორც ხედავთ, სამივეს სძულს ცხოვრება, სამივე ეტრფის ძალას, რომელიც არასოდეს არ ჰქონიათ და ახლა იქამდე მივიდნენ, რომ ლამის ერთმანეთი დაჭამონ. მთელი ცხოვრების მანძილზე შურითა და სასოწარკვეთით შეპყრობილნი ნამდვილად ძლიერ ადამიანებს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი რამ მხოლოდ ძალა, რომელსაც უნდა თაყვანი სცე. უღონობაა მათი ფილოსოფიის დედა, ეს არის ფილოსოფია კლასისა, რომელიც უკვე მიხვდა, თავის განწირულებას. ისინი ყვირიან, ღრიალებენ და თუ ოდესმე მიაღწევენ, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ამ უფლებას ყველაზე ველური საქმეებისათვის გამოიყენებენ. მაგრამ ბოლოს ისტორიისა და ცხოვრების მარადიული კანონები მათაც უღებს ბოლოს.

ამ დროს ყველანი წამოდგნენ და დარბაზისაკენ გაემართნენ. კონცერტი თუ იწყებოდა.

— წავიდეთ, კონცერტს ვუყუროთ, — თქვა ბედრიმ.

მაჯიდე, განსაკუთრებით კი ომერი, ჯერ კიდევ ბედრის სიტყვების გავლენის ქვეშ იყვნენ. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ეს, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, რომ ომერმა არ მოინდომა დაეცინა ადამიანისთვის, რომელიც სერიოზულ რამეებზე ლაპარაკობდა.

თ ა ვ ი XXIII

დარბაზი სავსე იყო ხალხით. ლიცეუმის მოსწავლე გოგონები და ვაჟები, ქველმოქმედი საზოგადოების წევრთა ნათესავები და უნივერსიტეტის სტუდენტები ხმამაღალი ლაპარაკითა და ხმაურით იკავებდნენ ადგილებს. თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსულმა საპატიო სტუმრებმა არ მოისურვეს იმათი ფეხზე წამოყენება, ვისაც უკვე მათი ადგილები დაეჭირათ პირველ რიგში და დარბაზის ბოლოსაკენ გაემართნენ. ვიღაც თავგამოდებულმა ახალგაზრდებმა აქ მოუტანეს სკამები.

ქველმოქმედი საზოგადოების ორკესტრმა, რომელიც ექვსი მოყვარული მუსიკოსისაგან შესდგებოდა, „დამოუკიდებლობის მარში“[1] დაუკრა.

შემდეგ კათედრაზე საზოგადოების თავმჯდომარე ავიდა. კათედრა ფარდის წინ იდგა, ფარდად კი დიდი თხელი ნაჭერი გამოეყენებინათ. თავმჯდომარემ გვეოდზე გადასწია წყლით სავსე სურა და ბროლის ჭიქა, რომლის კათედრაზე დადგმა უკვე ტრადიციად იქცა. მერე დაიწყო გრძელი მოხსენების კითხვა იმაზე, თუ რა გააკეთა ამ საზოგადოებამ ერთი წლის განმავლობაში.

მოხსენების მსვლელობისას, როგორც უდიდესი სიახლე, დიაპოზიტივებიც უნდა ეჩვენებინათ. ორმა ახალგაზრდამ ფარდა გადასწია და ცუდად გამართული და გაუჭიმავი თეთრი ეკრანი გამოჩნდა. ვერც აპარატს მოუხერხეს ვერაფერი. იგი მაყურებელთა ზურგს უკან იდგა და რატომღაც ვერ აემუშავებინათ. დიაპოზიტური ფილმების ნახვის დროც მოვიდა. თავმჯდომარე დადუმდა და კუთხეში დადგა. მორიგის მოვალეობის შემსრულებელმა შუქი ჩააქრო და დარბაზში მსუბუქი ხმაური გაისმა. აპარატთან მდგარი ბიჭები ხმადაბლა ეკამათებოდნენ ერთიმეორეს; მერე კი თანდათან აუწიეს ხმას და ყვირილიც დაიწყეს: „აქ მოჰკიდე ხელი, ეს გადასწიე“. პირველი რიგებიდან რამდენიმე კაცი წამოდგა და ახალგაზრდების მისაშველებლად გაემართა. ვერც თავმჯდომარემ მოითმინა, სცენიდან ჩამოვიდა და ისიც გაჯიუტებული საპროექციო აპარატისაკენ გაეშურა, მაგრამ აპარატი მხოლოდ თეთრ შუქს სტყორცნიდა. თეთრ ეკრანზე

---

[1] **დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ა რ შ ი** — თურქეთის რესპუბლიკის ჰიმნია. ჰიმნი შექმნილია ცნობილი თურქი პანისლამისტი პოეტის მეჰმედაკიფის სიტყვებს მიხედვით.

აბურძგნილი ლანდები დარბოდნენ, დროდადრო უზარმაზარი თითები ჩნდებოდა, ელექტროშუქი კათედრიდან ფარდაზე გადარბოდა. ბოლოს ლაქა განათდა და დამსწრეებს ეკრანიდან გაუღიმა აპარატის წინ ჩამწკრივებულმა რამდენიმე ბავშვმა და მოზრდილმა. მოზრდილები ბავშვების წინ უხერხულად ჩამომსხდარიყვნენ სკამებზე და არ იცოდნენ, სად წაეღოთ ხელები და ფეხები. შუაში თვით თავმჯდომარე ჩამჯდარიყო.

თავმჯდომარემ ეკრანთან დიდი, საჩვენებელი ჯოხი მიიტანა და თქვა:

— ეს ის ბავშვები არიან, რომლებიც ჩვენმა საზოგადოებამ შემოსა!

ომერი, მაჯიდე და ბედრი გვერდიგვერდ ისხდნენ. უკნიდან ისმეთ შერიფის ჩურჩული გაისმა:

— ბავშვებს ყოველ წელიწადს ერთი და იგივე ტანსაცმელი აცვიათ, მხოლოდ დღესასწაულის დღეებში აცმევენ ასე, მერე ისევ ხდიან და ინახავენ, მომდევნო დღესასწაულზე კი სხვა ბავშვებს აცმევენ და ახლა იმათ უღებენ სურათს.

— ნუთუ მართლა ასეა? — გაიოცა ომერმა.

— არ ვიცი, მაგრამ, მგონი... ასე უნდა იყოს.

ბედრი ომერისკენ დაიხარა და უთხრა:

— იტყუება... კრიტიკულად მოაზროვნე და გონებამახვილ კაცად სურს მოგვაჩვენოს თავი.

— რა მაიმუნობაა, — ჩაიბუტბუტა ომერმა.

ეკრანზე სულ ახალ-ახალი სურათები და ხედები ჩნდებოდა. თავმჯდომარეს კვლავ საჩვენებელი ჯოხი ეჭირა ხელში და ახსნა-განმარტებას იძლეოდა:

— ესენი არიან სტუმრები, რომლებიც გვეწვივნენ ჩვენი საზოგადოების მიერ გამართულ საგაზაფხულო მეჯლისზე... ეს კი აჰმედბეია, რომელმაც 40 ლირა შესწირა საზოგადოებას... ახლა თქვენ ხედავთ ცხრილს, სადაც აღნიშნულია ჩვენი კლუბის სტუმართა რაოდენობა. ციფრები შედარებულია წარსულ წლებთან. მოკემულია ჩვენს მიერ გამოკვებილ უქონელ ბავშვთა რაოდენობა. ყველას ცხელი საუზმე ეძლეოდა.

მოხსენების დასასრულს, განსაკუთრებით კი ცხრილის დემონსტრირებისას, დარბაზი ახმაურდა. თავმჯდომარეს მოხსენება ჯერ არ დაესრულებინა, რომ თვალისმომჭრელმა შუქმა იფეთქა. მაყუ-

რებლებმა გაოცებით დაახამხამეს თვალები. მანქანაზე გადაბეჭდილი პროგრამის მიხედვით მოხსენებას იუმორისტული მოთხრობა უნდა მოჰყოლოდა. ფარდის მიღმიდან ერთი დაბალ-დაბალი ყმაწვილი გამოვიდა. ყმაწვილს გაბრტყელებული ცხვირი და ჩამპალი კბილები ჰქონდა. მის სახეზე ჭკუის გარდა ყველაფერს ამოიკითხავდით. ბიჭმა იუმორისტული მოთხრობის კითხვა ენამოჩლექით დაიწყო. მას იმ ხუმარას თვითდაჯერებული ტონი ჰქონდა, რომელიც მიჩვეულია ხალხის გაცინებას.

ეს იყო მოთხრობა სახალხო სეირნობებზე, რომელიც ადრე იმართებოდა ხოლმე. მოთხრობაში ნაამბობი იყო, თუ როგორ პაექრობდნენ და კამათობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და ჯურის ადამიანები მეეტლეებთან, ხალვისა და შარბათის გამყიდველებთან. ბიჭი ჯერ ალბანელს ანსახიერებდა და მეტად უხეიროდ ბაძავდა ალბანელთა აქცენტს. წარმოთქვა იუმორისტულ გაზეთებში ამოკითხული რამდენიმე ფრაზა... შემდეგ იმავე ფრაზებს იმეორებდა ასევე უხეიროდ განსახიერებული არაბი, ლაზი, ჩერქეზი, ებრაელი, სომეხი, ბერძენი და ქურთი.

თვით ყველაზე პრიმიტიული და ყმაწვილისადმი კეთილგანწყობილი მსმენელებიც კი გულით ელოდნენ, როდის დაამთავრებდა იგი თხრობას და როდის გავიდოდა სცენიდან. ბოლოს ეს მომენტიც დადგა და ყმაწვილი აპლოდისმენტებით გააცილეს.

ვიდრე იგი სცენაზე იდგა, ისმეთ შერიფი მაჯიდეს განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებდა ყურში არანაკლებ უკბილო ხუმრობებს. ისმეთ შერიფის იუმორი დიდად არ განსხვავდებოდა იმ ყმაწვილის იუმორისაგან.

„ამ კაცს მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ. ახლახან ომერს ეკამათებოდა და ახლა კი... საიდან მოდის ასეთი ფამილარობა? — ეკითხებოდა მაჯიდე თავის თავს. საერთოდ ეს ინტელიგენციის ნაღები ძალზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მაჯიდეზე. ომერთან შეუღლების პირველივე დღიდან მაჯიდე ცდილობდა ის მაღალი, არაჩვეულებრივი თვისებები და ღირსებები დაენახა ამ ცნობილ ადამიანებში, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავთ არ გააჩნდათ. მაგრამ აი, რა აღმოაჩინა მან. ამ ხალხს უბრალო მოკვდავთაგან მხოლოდ ის ანსხვავებდა, რომ თავიანთი სურვილების სასარგებლოდ ცდილობდნენ ზრდილობის მიღებული ნორმების დარღვევას. იმ ნორმებისა, რომელთა დაცვა სხვებს აუცილებლად მიაჩნდათ, მაგრამ

ნუთუ ეს ასე დიდი ღირსებაა? ნუთუ ნიჭიერებაზე მეტყველებს ის, რომ არ მოუსმინო, დასცინო და უხეშად მოექცე თანამოსაუბრეს? ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და ისე უსმინო მუსიკას, იღრიალო და შეურაცხყოფა მიაყენო სხვებს? მთელი სამი თვის განმავლობაში, რაც მაჯიდე ამ ხალხს აკვირდებოდა, მხოლოდ ერთ რამეს ამჩნევდა, — ისინი ამტკიცებდნენ, რომ სხვები შტერები და სულელები არიან, ხოლო ჩვენ კი მუდამ სიმართლეს ვლაპარაკობთო. თუმცა რამდენჯერაც არ ეცადა მაჯიდე, ერთხელაც ვერ გაიხსენა მათ მიერ გამოთქმული ერთი სწორი აზრი. მას მხოლოდ ერთი რამ დაამახსოვრდა — ესა და ეს კაცი იმას წაეკინკლავა, ამან ის აგინა და ასე. კიდევ ერთი რამ ანსხვავებდა ამ ხალხს მათგან, ვისაც მაჯიდე ადრე იცნობდა. ესენი სხვებს რაღაც თავხედურად, უტიფრად უყურებდნენ, თითქოს თავიდან ფეხებამდე ზომავენო, და სრულიადაც არ ცდილობდნენ ჩაექროთ მათ თვალებში ანთებული ავხორცობის ნაპერწკალი. არც ეს მიაჩნდა მაჯიდეს მათი სიდიადის გამომხატველად. აგერ, მაგალითად, წინა რიგში პუბლიცისტი ჰუსეინ ბეი ზის, ამ დღეს რესტორანში ყველას რომ გაუმასპინძლდა. იგი ისე მოურიდებლად ეკვრის ახალგაზრდა, გამხდარ და სათვალიან მეზობელ გოგონას, თითქოს ირგვლივ არავინ იყოს. საუბრისას ისე უყურებს, თითქოს ეს-ეს არის უნდა ეცესო და იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა ინტელიგენტი ქალის სერიოზულ სიტყვებს მოუსმინოს, ამღვრეული თვალებით უსირცხვილოდ მისჩერებია მის ყელსა და ტუჩებს.

ემინ ქიამილმაც გოგო მოისვა გვერდით. ჯერ სერიოზულ თემებზე ლაპარაკობდნენ, მერე კი ჩვეულებრივ ჭორებზე გადავიდნენ. გასულ კვირას, ბოსფორზე სეირნობის დროს ჩადენილ რაღაც უხამს ამბებს იხსენებენ და იღიმებიან. ახალგაზრდა პოეტი გადაკრულად ესაუბრება ქალიშვილს, რაც არაფრით არ ჰგავს მის მიერ ახლახან წაკითხულ ლექსებს. როგორც ჩანს, ბოსფორზე გასეირნების შემდეგ ქალიშვილი არც თუ უცოდველი დაბრუნდა შინ და ახლა კეკლუცად ხითხითებს, თითქოს სკამის საზურგე უღიტინებსო.

ამასობაში ფარდა კვლავ გაიხსნა და სამმოქმედებიანი გულისგამგმირავი ტრაგედიის ჩვენება დაიწყო. ეს იყო უნიჭო, ძალად დრამატურგის მიერ შექმნილი ნაწარმოები, რომელშიც უვიცი, მოხალისე მსახიობები თამაშობდნენ. თუმცა ყველას უნიჭოდ მონათვლა ცოდვა იქნებოდა, რადგან ზოგიერთი მათგანი ცდილობდა რაღაც გრძნობების გადმოცემას, ცდილობდა რითიმე მოეხიბლა მაყურებე-

ლი. მაგრამ უვიცობა, გამოუცდელობა და სხვათა წაბაძვის მისწრაფება სანახაობას მაინც უბადრუკ იერს აძლევდა. ამ მოყვარულ მსახიობთა ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ მსახიობმა მხოლოდ ცხვირში უნდა ილაპარაკოსო, მეორენი კი ყვირილით ცდილობდნენ შთაბეჭდილ[illegible]ბის მოხდენას. ახალგაზრდა კაცი, თეთრ საწოლზე რომ იწვა და პიესის მიხედვით შიმშილითა და ჭლექით უნდა მომკვდარიყო, ყოველ წუთში ნერწყვს ყლაპავდა და ისე იჭმუხნებოდა, თითქოს გული ერევაო. ხოლო დიალოგებს შორის დუმილის დროს მაყურებელთა დარბაზს თვალმოჭუტული მისჩერებოდა იმის გამოსაცნობად, თუ როგორ ეფექტს ახდენდა მისი მიმიკა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდის ხნიერი დედის როლის შემსრულებელ მსახიობს გრძელი კაბა ეცვა და გრიმი ეკეთა, მაინც აშკარად ჩანდა, რომ ახალგაზრდა, თავისნება ქალიშვილი იყო. პიესის დასასრულს, შვილის ცხედართან ისეთნაირად დაიყვირა, რომ ხმა წაუვიდა. ლამის მთელი დარბაზი აახარხარა.

სპექტაკლის დასასრულს მაინც მაგრად დაუკრეს ტაში. მაჯიდემ კვლავ მოიწყინა, წავიდეთო, უნდოდა ომერისთვის ეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ იგი ვიღაც ქალიშვილს, როგორც ეტყობოდა, თანაკურსელს ებაასებოდა და გაჩუმდა. ამ დროს სცენაზე ორკესტრიც გამოჩნდა. მაჯიდე დაინტერესდა, ნეტა რას შეასრულებენო. გაისმა ყურისწამღები ხმაური და მუსიკოსებმა ერთი მოდური საცეკვაო მელოდია აახმიანეს. მაჯიდე შეძრწუნდა. ამ ნაწარმოების მელოდია იმდენად უსიამოვნო იყო, რომ ყველას აღემატებოდა. მუსიკოსები როგორც ჩანდა, ძალღონეს არ იშურებდნენ, რომ ეს მელოდია უფრო აუტანელი გაეხადათ, თითქოს ის არ კმაროდა, რომ ყალბად და ვისაც როგორ მოეპრიანებოდა ისე უკრავდა, ყოველნაირად ბაძავდნენ ბეიოღლუს ბარების ჯაზისტებს. ერთი მათგანი, მედოლე ჯოხებს მაღლა ისროდა, ხოლო მეორე კი, ინგლისური აქცენტით ჩაჰყვიროდა ქაღალდის რუპორში:

„შემოდი ჩემს ოთახში, შემოდი ჩემს სულში, შემოდი ჩემს სისხლში!“

ყალბად იღრიჭებოდა და მაყურებელთა დარბაზს დროდადრო მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრავდა ხოლმე თვალს.

ბოლოს, როცა ეს „მელოდია“ დამთავრდა, მაჯიდემ თავისუფლად ამოისუნთქა და ისე იგრძნო თავი, თითქოს ეს-ეს არის ვიწრო

ფეხსაცმელები გაიხადაო. ომერი კვლავ თავის ნაცნობთან საუბრობდა.

— ბოლომდე დავრჩებით? — გააწყვეტინა საუბარი მაჯიდემ. ისმეთ შერიფი უფრო ადრე ჩაერია საუბარში, ვიდრე ომერი უპასუხებდა:

— მაპატიეთ, ჰანუმ. ასე ადრე სად მიგეჩქარებათ? სახლში არავინ გელოდებათ. მართალია, აქ არც ძლიერ საინტერესოა, მაგრამ გულმოწყალე უნდა იყოთ, ესენი ხომ მოყვარულები. არიან, ხომ ცდილობენ.

— ერთი ესეც ყოფილა, — გაიფიქრა მაჯიდემ, — თვითონ არ იყო, ჩემს ზურგს უკან ყოველ წუთში რომ ხითხითებდა და ყველას დასცინოდა?

ამ დროს პროფესორი ჰიქმეთი ომერს მიუბრუნდა:

—აბა ერთი მომისმინე, ერთი მშვენიერი აზრი მომივიდა. მოდი, ჩვენს სტუმარს, მაჯიდე-ჰანუმს ვთხოვოთ რაიმე დაგვიკრას, ასეთ მშვენიერ მუსიკოსს ადვილად როდი იპოვნი!

შეშფოთებულმა მაჯიდემ ომერს ხელი წაავლო:

— ხომ არ გაგიჟდი! აქ როგორ უნდა დავუკრა?

— მე არც მითხოვნია დაუკარი-მეთქი, ეგ ჰიქმეთს უთხარი.

საზოგადოების თავმჯდომარემ, გაიგონა თუ არა კამათის მიზეზი, მაჯიდესთან თვითონ მოვიდა და თხოვნა დაუწყო. მაგრამ როცა ნახა, მაჯიდე მტკიცე უარზე იყო, გაჩუმდა. ამ დროს წინა რიგებში ერთი ჩოჩქოლი ატყდა. რამდენიმე კაცი თავგამოდებული ეხვეწებოდა ერთ მაღალ კაცს, რომელსაც გრძელი, თეთრი წვერი ჰქონდა და ზაფხულისათვის შეუფერებლად პალტოში იყო გამოწყობილი.

— ეს ალი ჰაიდარია, ყოფილი შეიხი! — თქვა ჰიქმეთმა. — თქვენ უარი გვითხარით, მაგრამ ის კი დაგვთანხმდება... მშვენიერად უკრავს ფლეიტაზე!

საბრალო მოხუცი, რომელსაც თითქმის ყველა იცნობდა, რადგან აქვე ახლოს ცხოვრობდა, თითქმის ძალით გაიყვანეს სცენაზე და სკამი დაუდგეს. მოხუცს ნაღვლიანი ღიმილი დასთამაშებდა ფერწასულ და თხელ ტუჩებზე. მოხუცმა აქლემის ბეწვის ფერი პალტო გაიხსნა. შალითიდან ფლეიტა ამოიღო, მერე ფლეიტაზე თითები აათამაშა და დაკვრა დაიწყო. მაჯიდემ მთელი ყურადღება მოხუც შეიხზე გადაიტანა. მოხუცმა პირველი ბგერებიდანვე დახუჭა თვალები და

ისე უკრავდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, თითქოს აქედან სულ სხვა სამყაროში გადავიდაო. მას რომ თუნდაც ერთი წამით გაეხილა თვალები, დაინახავდა, რომ დარბაზში მსხდომთ არაფრად აინტერესებდათ ეს მუსიკა. ისინიც კი არ უსმენენ, ვინც ახლახან ძალისძალად გაიყვანა სცენაზე. ზოგი მოწყენილი ცქმუტავდა ჭრაჭუნა სკამებზე, ზოგი კვლავ მეზობლებს ესაუბრებოდა თუ ეხუმრებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ მაჯიდეს სავსებით ესმოდა მოხუცის დაკვრა, მაგრამ ეს კია, რომ მისი მოსმენა საოცარ სიხარულს ჰგვრიდა.

მართალია, ახალგაზრდა ქალისათვის უჩვეულო იყო ის ხმები, რომელსაც ფლეიტა გამოსცემდა, მაგრამ უსიამოვნოდ მაინც არ ეჩვენებოდა. საწყენი და გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ასეთი სახუმარო მუსიკის შემდეგ მოხუცი დაკვრას დათანხმდა და ახლა მთელი გულითა და სულით ასრულებდა. მაჯიდეს ებრალებოდა მოხუცი, ხედავდა, თუ როგორ ირხეოდა მისი თეთრი წვერი, როგორ უცახცახებდა შავ საკრავგაჩრილი ბებრული ტუჩები.

ვინც არ უნდა ყოფილიყო ეს კაცი და რაც არ უნდა ეფიქრათ მასზე, მოხუცი თავის საქმეს სულითა და გულით, მთელი მონდომებით ასრულებდა. ეს იყო ცოცხალი საყვედური იმ ბრბოს მიმართ, რომელიც ყველაფერს აგდებულად უყურებდა და მხოლოდ გამოსაჩენად, თვალის ასახვევად თუ აკეთებდა რამეს.

მაჯიდემ მსუბუქად გაჰკრა ქმარს მხარი და უთხრა:

— საბრალო მოხუცი... მე მეცოდება იგი, რა უფლება აქვთ ასე აწამონ და დასცინონ?

— შენ მართალი ხარ, — მიუგო ომერმა და მაშინვე ზურგი აქცია.

ქმრის უყურადღებობით ნაწყენი მაჯიდე ოდნავ წინ გადაიხარა. დაინახა, რომ ომერი რაღაცას გაცხარებით ჩასჩურჩულებდა ქალიშვილს. აქამდე ასეთ ფამილარობას ყურადღებასაც კი არ მიაქცევდა, მაგრამ ახლა ნაწყენი დარჩა და შინ წასვლა მოუნდა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. მოხუცმა დაკვრა დაამთავრა. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, დინჯად მოისმინა ოდნავ დამცინავი ქათინაურები, და თავის ადგილზე დაჯდა.

თავმჯდომარემ დამსწრეთ მადლობა გადაუხადა და საღამო დამთავრდა.

თ ა ვ ი XXIV

მაჯიდეს ძალიან გაეხარდა საღამოს დამთავრება. ბოლოს და ბოლოს სახლში წავიდოდნენ. ქალს სწყინდა, რომ ის არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება, რომელიც ომერის მეგობრებმა თავიდანვე დასტოვეს მასზე, ამ საღამოს უფრო გაძლიერდა. მაჯიდე წამოდგა და ბაღში გავიდა.

„ომერის გვერდით რომ ქალიშვილი იჯდა, ალბათ მისი ძველი ნაცნობია, — ფიქრობდა მაჯიდე და ქმარს ელოდა — არც კი გამაცნო, რა უზრდელობაა! იქნებ დაავიწყდა, რა უცნაური კაცია!“

კარში ომერი და მისი მეგობარი გამოჩნდნენ. ომერი მაჯიდესაკენ გაემართა.

— უკვე გვიანაა, ტრამვაი აღარ დადის, ფეხით უნდა წავიდეთ. გავისეირნებთ, სუფთა ჰაერს გადავყლაპავთ, თანაც ბევრი ჩვენსკენ მოდის.

ომერის მეგობრებს შორის მაჯიდემ ის ქალიშვილიც დაინახა.

— ისინი ჩვენს უბანში ცხოვრობენ?

— არა... არ ვიცი, ალბათ, გასეირნება თუ უნდათ...

მაჯიდე ყურადღებით დააცქერდა ქმარს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— მაპატიე, ჩემო ძვირფასო, — დამნაშავე კაცის ხმით ჩაილაპარაკა ომერმა, — უყურადღებოდ მიგატოვე, მაგრამ ხომ იცი, ესენი ჩემი ძველი მეგობრები არიან. რამდენი თვეა ერთმანეთი არ გვინახავს. ხუთი წელი ერთად გავატარეთ, ლექციებსა და ლექტორებზე ვსაუბრობდით... ვიმასლაათეთ... იმ ქალიშვილს უმიტი ჰქვია... განა შენთვის არ მითქვამს? ერთ დროს პროფესორი ჰიქმეთი ძალიან ეარშიყებოდა.

— არა, არაფერი გითქვამს, — თქვა მაჯიდემ.

ქალი გრძნობდა, რომ ომერს ასეთი დეტალები არ უნდა ეცნობებინა მისთვის, ქალს არ სჯეროდა ომერისა. უფრო სწორად არ სურდა დაეჯერებინა. ყოველ შემთხვევაში, ომერისთვის წარსულის გახსენება სახიფათო იყო — შეიძლებოდა ახლანდელი ცხოვრება მძიმე ტვირთად მოჩვენებოდა. „ვინ იცის, იქნებ უკვე ემძიმება კიდეც ახალი ცხოვრება“ ,— გაიფიქრა მაჯიდემ.

მაჯიდემ მალევე შენიშნა, რომ ომერი ნელ-ნელა ფეხს ითრევდა და მეგობრებს შეუერთდა.

ისინი ბეიაზეთისაკენ მიდიოდნენ. არც თუ ისე გვიანი იყო. ქუჩაში გამჭოლი სინესტე იგრძნობოდა.

მაჯიდე შეჩერდა. ნელ-ნელა მიმავალმა ომერის მეგობრების ჯგუფმა წინ ჩაუარა, ომერს არაფერი შეუნიშნავს. იგი უმიტს მიჰყვებოდა და ჩვეული გატაცებით რაღაცაზე ელაპარაკებოდა. როგორც ყოველთვის, თმა შუბლზე ჩამოჰყროდა. მაჯიდეს უკანა მხრიდან ვიღაცის ნაბიჯების ხმა მოესმა. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ბედრი იყო. ბედრი და მაჯიდე მდუმარედ მიაბიჯებდნენ და უკან მიჰყვებოდნენ ომერის მეგობრებს. მაჯიდეს გაახსენდა, რომ მოხსენების შემდეგ ბედრი აღარ უნახავს....

— სულ იქ იყავით?

— კი, იქ ვიყავი, მაგრამ როცა პიესა დაიწყო, ვერ ავიტანე და გავედი. ფლეიტის ხმა რომ გავიგონე, შემოვედი, მაგრამ შეიხი იმდენად საბრალო ჩანდა, კვლავ გავედი. ძალიან არ მიყვარს ასეთ თავყრილობებზე სიარული, მაგრამ პროფესორმა ჰიქმეთმა მითხრა, რომ თქვენ უნდა მოსულიყავით და... რატომ წამოჰყევით მათ? — ისეთი ტონით იკითხა ბედრიმ, თითქოს რაიმე იცის და დამალვა აღარ შეუძლიაო. — რატომ ვერ დააღწიეთ თავი ამათ? — მაჯიდემ მხრები აიწურა.

— აბა რა ვიცი, ომერმა ასე ისურვა. როგორც ჩანს, ესენიც უნდა გადავიდნენ „ოქროს რქაზე“.

ბედრი ყოყმანობდა. „რაღაც საეჭვოდ მომეჩვენა პროფესორ ჰიქმეთის სიტყვები, თითქოს ცუდი რამ აქვს ჩაფიქრებული, ვითომ გავყვე ამათ“? — გაიფიქრა მან და თავისდაუნებურად ჩაიბუტბუტა:

— რა უფლება მაქვს ჩავერიო? ქმარი თან ახლავს!

— რა თქვით? — ჰკითხა მაჯიდემ.

— არაფერი, ისე ჩემთვის ვფიქრობდი... მე მივდივარ, ნახვამდის, — დაბეჯითებით თქვა ბედრიმ.

ხელს რომ ართმევდა, ბედრი კვლავ ყოყმანობდა, წავიდე თუ არაო. მისი აზრით, მოვალეობა შეუსრულებელი დარჩებოდა, თუ მაჯიდეს მარტო დასტოვებდა ამ ხალხში. თან ისიც გაიფიქრა, რომ ასეთი მოვალეობა მისთვის არავის დაუკისრებია, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც გააფრთხილა.

— თვალი ადევნეთ ომერს. თქვენ უნდა გაუფრთხილდეთ მას. — მერე ხმადაბლა, სწრაფად დასძინა: — თუ რამეში დაგჭირდეთ,

ყოველთვის მზადა ვარ გემსახუროთ. ჰოდა არ დაივიწყოთ,—ეს წარმოთქვა და მაშინვე ისე, რომ სხვებს არც კი დამშვიდობებია, იქვე ერთ-ერთ მოსახვევში შეუხვია.

მაჯიდე დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ჯერ ბედრის სიტყვები მოაგონდა. მან ხომ კარგად გაიგონა როგორ თქვა ვაჟმა, „ქმარი თან ახლავსო“. მერე და, რას ნიშნავს „ომერს გაუფრთხილდიო“, ან ბედრი რად უნდა დასჭირდეს მაჯიდეს? მერე ისიც გაახსენდა, რომ ბედრი აქ კი არა, ბეიოღლუზე ჯიჰანგირის უბანში ცხოვრობს მათთან ახლოს. რატომ გაიქცა, განა ყველას ერთი გზა არა ჰქონდა?

მაჯიდესა და ომერის მეგობრებს შორის მანძილი ოცდაათ ნაბიჯამდე გაიზარდა. ისინი მარჯანის ქუჩის თავდაღმართზე დაეშვნენ და ბინდბუნდში, ქვემოდან მათი ხმამაღალი ხარხარი მოესმა მაჯიდეს.

„ომერს მთლად დავავიწყდი, — გაიფიქრა მან, — უკვე აღარც ვუბრაზდები, მივეჩვიე, მართლაც, უბრალოდ, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე ვავიწყდები და მეტი არაფერი. ის მოლარეც რა სწრაფად დაავიწყდა. ერთხელ ვკითხე, რა მოუვიდა საბრალოს-მეთქი და სიტყვა შემაწყვეტინა... მეგონა, იმ შემთხვევის შემდეგ ნიჰადსა და მის მეგობრებს ზედაც არ შეხედავდა. პირიქით კი მოხდა, უფრო დაუახლოვდა და განა იმიტომ, რომ ძალიან მოსწონს ისინი — უბრალოდ ვერაფერი ვერ გადაუწყვეტია. განა საკუთარი თავის პატივისმცემელი კაცი გადაწყვეტილების გამოტანას შეუშინდება? შეიძლება... რატომ ვფიქრობ ასე ომერზე? განა ზოგჯერ მეც არ ვუფრთხი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას?

ქალმა იგრძნო, რომ გვერდით ვიღაც მოჰყვება და შეკრთა. პროფესორი ჰიქმეთი ამხანაგებს ჩამორჩენოდა და სახლის ჩრდილისათვის შეეფარებინა თავი.

— მარტო რატომ მოდიხართ? ასე უცებ რად გაგშორდათ ბედრი?

„მაშასადამე, დამინახა ბედრისთან ერთად რომ მოვდიოდი?“ — გაუელვა მაჯიდეს. მერე კი ჰიქმეთის შეკითხვაში დამალული მუქარა იგრძნო — ვერაფერს გამომპარებთ, ზოგი რამ ვიცი.

— ძაღლო, — გამოსცრა კბილებში და პასუხის ღირსიც არ გახადა.

მაჯიდეს არ სურდა ომერს გაბრაზებოდა, მაგრამ წყენას მაინც გრძნობდა. პროფესორმა ჰიქმეთმა მაჯიდეს გულგრილობა რომ შენიშნა, მაშინვე სერიოზულ მეცნიერულ საკითხებზე გადაიტანა ლაპა-

რაკი. მისი აზრით, ამ საკითხებზე საუბარს ყოველთვის უნდა გამოეწვია მსმენელთა აღფრთოვანებული პატივისცემა. ახლა იგი მსჯელობას აფერადებდა ფრაზებით მეგობრული გრძნობების კეთილშობილებაზე, სიკეთესა და იმ სულიერ სიხარულზე, რომელსაც შვება მიაქვს გაჭირვებულებთან. ლაპარაკისას ჯოხს ქვაფენილზე ურტყამდა, რითაც თავის ბრძნულ აზრებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებდა.

ასე მიაღწიეს ხიდამდე. მაჯიდემ შენიშნა, რომ წინწასულები შეჩერდნენ და გაჩერებიდან მათთან რამდენიმე მანქანა მისრიალდა, მაჯიდემ ფეხს აუჩქარა. მისვლისას შენიშნა, რომ ორი კაცის გარდა ყველანი წასულიყვნენ. შეშფოთდა, მაგრამ არ უნდოდა ჰიქმეთს რაიმე ეგრძნო და არაფერი უთქვამს.

ამ დროს ჰუსეინ ბეის ხმა შემოესმა. იგი მანქანასთან იდგა მათგან ათი ნაბიჯის დაშორებით.

— პროფესორო, დაუჩქარეთ!

მაგრამ როცა ჰუსეინ ბეიმ ჰიქმეთთან ერთად მაჯიდეც დაინახა, წამოიძახა:

— ოო, მაშასადამე ჰანუმსაც ჩვენთან ერთად მოუხდება წამოსვლა. ომერი უკვე წავიდა... მაგრამ ეს არაფერი, ახლავე დავეწევით

მაჯიდეს მოეჩვენა, საცაა თავბრუ დაეხვეოდა. სიტყვა ვერ მოენახა. გული წყდებოდა, რომ ომერი ისე ექცეოდა როგორც მოხუცსა და მივიწყებულ დედაკაცს. გადაწყვიტა თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— სად წავიდნენ? — იკითხა ქალმა.

— ჰო, თქვენ უკან მოდიოდით და არაფერი გაგიგონიათ! — უპასახა ჰუსეინ ბეიმ და თან თავისი სატრფო, რომელსაც კონცერტის შემდეგ არ მოსცილებია, მანქანაში ჩასვა. — მე, თქვენმა მონა-მორჩილმა, ყველანი გასამხიარულებლად მივიპატიჟე... ბეიოღლუზე წავიდეთ, თხუთმეტიოდე წუთი სადმე დავსხდეთ, მუსიკას მოვუსმინოთ, ცეკვას ვუყუროთ. ომერ ბეი დაგვთანხმდა და ახლა თქვენ ნუ გაგვიფუჭებთ განწყობილებას.

ჰუსეინ ბეიმ მაჯიდე და პროფესორიც ჩასვა მანქანაში და თვითონ მძღოლის გვერდით დაიკავა ადგილი.

მაჯიდე პროფესორის გამოჩრილ მუხლებსა და სუნამონაპკურები ნათვალიანი ქალის შუაში აღმოჩნდა ჩაჭედილი. ფიქრიც არ შეეძლო, რაღაც უშლიდა ხელს, ალბათ, თავი თუ სტკიოდა. ჰუსეინ ბეი

სკამის საზურგეზე გადმოიხარა და თავის სატრფოს არშიყობა დაუწყო.

პროფესორი ჰიქმეთი მომაბეზრებლად ჩასჩურჩულებდა ყურში მაჯიდეს. — თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ ამგვარ ადგილებში? აქ ძალიან კარგია, სულიერად დაისვენებ. თუ იქ არა ყოფილხართ, მაშასადამე, ჯერ სტამბოლსაც არ იცნობთ.

მანქანა გაჩერდა და ისინი გამოვიდნენ. ქუჩა ცარიელი იყო. გვერდით ელექტრონის რეკლამით განათებული ბარი ჩახჩახებდა.

„არ შევალ, არაფრით არ შევალ ბარში“, — გაუელვა თავში მაჯიდეს. „ომერი უნდა დავაძახებინო და სახლში წასვლა ჩავაგონო, მერე მთელი გზა და ალბათ, რამდენიმე დღე გაბუტული იქნება... მაგრამ თუ დაიჟინა და არ წამომყვა? ესეც შესაძლებელია. თუ არ წამომყვა, რა სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდები მისი მეგობრების წინაშე.. „ამ აზრმა საბოლოოდ გასტეხა მაჯიდეს ნებისყოფა“. შევალ, ცოტა ხნით დავჯდები და მერე წავიყვან. კაცმა რომ თქვას, ბარის ნახვაც საინტერესოა“. მაჯიდეს ბარში შესვლა კი არ აბრაზებდა, არამედ ის, რომ ომერმა ასე მიატოვა და უცნობი ხალხის ამარა დააგდო.

ადრე მოსულებს უკვე მოესწროთ მაგიდების დაკავება. ომერი უმიტს მისჯდომოდა. ცოლის დანახვაზე დაიბნა და შესაგებებლად წამოდგა: — მაპატიე, მაჯიდე... ძალით შემაგდეს მანქანაში, თანაც დამაიმედეს, მაჯიდე შემდეგ მანქანას გამოჰყვებაო... მოდი, აქ დაჯექი!

მაჯიდე მიხვდა, ომერს უკვე მოესწრო დალევა. ქალმა უცებ დიდი დაღლილობა და აპათია იგრძნო, მას დღეს არც ლაპარაკი შეეძლო და არც რაიმეს გაკეთება. უცებ ყველაფერი უნაყოფოდ და უაზროდ მოეჩვენა, რამაც შეაშინა კიდეც. მოეჩვენა, რომ ასეთი რამ უკვე განუცდია, მხოლოდ სხვაგან, სხვა ვითარებაში, მაგრამ სად? ვერ მოიგონა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ასეთი შეგრძნება რაღაც არასასიამოვნო ამბებთან იყო დაკავშირებული. მისი სული, იმ ნავის მსგავსად, რომელიც ნაპირიდან ზღვისკენ შეაცურეს, მიდიოდა შორს, სცილდებოდა ყველას, ვინც ირგვლივ იყო. განსაკუთრებით კი ომერს და ეს სევდა არ ნელდებოდა, პირიქით, უფრო უმატებდა სიჩქარეს, თითქოს სწრაფ დინებაში მოყოლილიყო. ყველაფერს, რაც უკან რჩებოდა, ბინდი ეფინებოდა და თანდათანობით ქრებოდა. მერე მაჯიდე დამშვიდდა, მისთვის ყველაფერი ერთი გახდა, თითქოს

ყველაფერ იმას, რაც აქ ხდებოდა, არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა მასთან. იგი აკვირდებოდა, როგორ ამახინჯებდა ომერის სახეს სიმთვრალე, აკვირდებოდა, როგორ იხრებოდა ხოლმე ომერი უმიტისაკენ, რაღაცას ეჩურჩულებოდა და იცინოდა.

უმიტს სახეზე ეტყობოდა, უჭკუო გოგო არ უნდა ყოფილიყო. გოგონა თითქოს ყურადღებით უსმენდა ომერს, მაგრამ ზოგჯერ თვალს მაჯიდესაკენაც აპარებდა ხოლმე. ამ ირიბულ გამოხედვაში მაჯიდემ ქალს თვითკმაყოფილება შეამჩნია. როგორც ჩანდა, ქალს სიამოვნებდა ომერი ცოლის თანდასწრებით რომ ეკურკურებოდა. უმიტი და ომერი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მაჯიდემ ყური მიუგდო, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. დახლართული ფრაზებითა და უცნაური შედარებებით ომერი ცდილობდა რაღაცაში დაერწმუნებინა ქალი. ქალიც ასევე ბუნდოვნად პასუხობდა და აო სურდა დასთანხმებოდა ომერს.

პროფესორმა ჰიქმეთმა მაჯიდეს სავსე ჭიქა გაუწოდა. მიუხედავად იმისა, რომ სასმელი ძალიან მწარე იყო, მაჯიდემ თვალები დახუჭა და ბოლომდე გამოსცალა. მაჯიდეს მოეჩვენა, რომ ყელი და პირი ცეცხლმა დაუშანთა. მერე თავში რაღაც რბილი და სასიამოვნო ბუნდოვანება იგრძნო. მაჯიდე გრძნობდა, რომ უნებურად იღიმებოდა და მისი შეკავება არ შეეძლო.

დარბაზი შეათვალიერა. შორეულ კუთხეში კარგად ჩაცმული, ხნიერი მამაკაცები და ნახევრადშიშველი ქალები ისხდნენ. გაკვირვებულმა მაჯიდემ ქმარს გადახედა.

— ესენი მსახიობი ქალები არიან, ახლა გამოვლენ, — აუხსნა ომერმა.

ისმეთ შერიფი წამოდგა და მსახიობების ერთ-ერთი მაგიდისაკენ გაემართა.

— ერთი ამ ქლესას შეხედეთ! — გაბრაზებით წარმოთქვა ომერმა, — მიუჩოჩდა საძლიქვნელოდ მაშინ, როცა ასეთი რამ არაფრად სჭირდება, თუმცა რას იზამ, ხასიათი აქვს ასეთი.

მართლაც, დიდი პუბლიცისტი მსახიობებთან მივიდა, წელში სამად მოიხარა და შეთავაზებული სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

მაჯიდემ შეამჩნია, რომ ისმეთ შერიფი ბარის ქალიშვილებსაც კი მოწიწებით ექცეოდა. თუმცა იმასაც მიხვდა, რომ ქალებისადმი ეს ყურადღება მათი კავალრებით იყო გამოწვეული. მაჯიდეს ისმეთ შერიფის ჰუსეინ-ბეისთან დამოკიდებულებაც აოცებდა, ზურგს უკან

ყოველთვის ყეყეჩს ეძახდა, მის სტატიებს მუდამ დასცინოდა, პირში კი აშკარად ეფერებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო ნიჰადის წრეში მამაც ჟურნალისტად ცნობილი კაცი, რომელიც თავის მგზნებარე სტატიებში ადამიანურ სისუსტესა და მანკიერებას ამათრახებდა, ახლა ორი-სამი ჭიქა არყისა და რამდენიმე საჭირო კაცის კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად ასეთ სიმდაბლეს სჩადიოდა. იქნებ ასეთი საქციელის მიზეზიც ჰქონდა, რომელიც მხოლოდ თვითონ იცოდა. მაგრამ რამდენად სერიოზულიც არ უნდა ყოფილიყო ეს მიზეზი, ასეთი სულმდაბლური მლიქვნელობის პატიება მაინც შეუძლებელი იყო.

ემინ ქიამილმაც მონახა მეგობრები და მათთან გადავიდა. მესამე ჭიქის შემდეგ მაჯიდემ უფრო მეტი მოთენთილობა იგრძნო, ახლა ყურებამდე იღიმებოდა. ყველა იქ მსხდომს, მათ შორის თავის თავსაც, თითქოს შორიდან უყურებდა, თანაც ყველანი, საკუთარი თავიც კი სასაცილოდ ეჩვენებოდა.

ერთმა ღაჟღაჟა შეზარხოშებულმა კაცმა, რომელიც მაჯიდეს აქამდე არსად უნახავს, პროფესორ ჰიქმეთს ხმამაღლა ჰკითხა:

— ვის მიუჯდა ემინ ქიამილი?

პროფესორი ჰიქმეთი უკვე საკმაოდ შემთვრალიყო. შიშველი ტუწამწამო ქუთუთოები მოჭუტა და მეზობელი მაგიდისაკენ გაიხედა:

— ო, ესენი ხომ ჩვენი მეგობრები არიან! სარეკლამო სააგენტოს გენერალური დირექტორის ჰაირულლაჰ ბეის ვაჟები... საოცრად მდიდრები, მთელ თავის სიცოცხლეს ბარში ატარებენ.

იმ მაგიდაზე, საითაც პროფესორი ჰიქმეთი იყურებოდა, ხმამაღლა ახარხარდნენ. — ემილ ქიამილი სირჩა ვისკით ხელში რაღაცაზე ლაპარაკობდა, ყველა დანარჩენი, მათ შორის ქალიშვილებიც, სიცილით იხოცებოდნენ.

— სასაცილოა ხოლმე ნასვამი ემინ ქიამილი! — შენიშნა ჰიქმეთმა, — ამიტომ ყველა სუფრაზე ეპატიჟებიან და უყვართ. თვითონ კი მუქთად ჭამს, სვამს და დროსაც გემოზე ატარებს.

ჰუსეინ-ბეი გაბრაზდა, მისი მოყვანილი ორი მეგობარი სუფრიდან გაიქცა. ერთი ხელი თავის სათვალიან სატრფოს მოხვია წელზე, მეორე კი ემინ ქიამილის მიერ მიტოვებულ ქალს დაადო მხარზე და პროფესორს მიუბრუნდა:

— დავტოვებ ამ მაწანწალებს აქ და წავალ, დაე, თვითონ გადაიხადონ თავიანთი ღანახარჯი! მეგობრულად დავპატიჟე, პატივი ვეცი,

თავად კი უბოდიშოდ მიგვატოვეს. ვიღაცეებთან სამლიქვნელოდ წავიდნენ.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ბეი-ეფენდი! — თავის ქნევით მიუგო პროფესორმა ჰიქმეთმა, — ახლავე წავიდეთ, თუ მსახიობების გამოსვლას დაველოდოთ?

ჰუსეინ ბეიმ არაფერი უპასუხა და ხელით ოფიციანტს მოუხმო.

ომერი და უმიტი კარგად შეთვრნენ და ხელიხელ გადაჭდობილი ისხდნენ. მაჯიდე არც ამას გაუბრაზებია. „ალბათ, ძალიან მთვრალი ვარ“, — გაიფიქრა. თავი ოდნავ უბრუოდა, თვალებში ნისლი ჩასდგომოდა, მაგრამ ყველაფერს მაინც კარგად ხვდებოდა. მაჯიდე ერთხელ კიდევ დააკვირდა ომერსა და მის მეზობელს — ქალიშვილს თმა გაწეწოდა და სახეზე გადმოფენოდა, ღია თაფლისფერი თვალები მოეჭუტა, ლამაზ, მკვეთრ ნიკაპზე ოფლის წვეთები დაჰყროდა. უმიტი ფართოდ იღიმებოდა და გაუწმენდავი, მაგრამ სწორი და ჩაწიკწიკებული კბილები უჩანდა.

„ის კი ომერის ტუჩებს აკვირდება“, — გაიფიქრა მაჯიდემ. მერე წარმოიდგინა თუ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს უმიტი და ომერი, მაგრამ არც ამან გაანაწყენა. „რაც უნდათ, ისა ჰქნან“, — გაუელვა და მაშინვე მეორე აზრი გაუჩნდა: „ნუთუ არაყი ყოველგვარ ადამიანურ გრძნობას ჰკლავს?“ უცებ გული ეტკინა, მაგრამ მოაგონდა: „სიფხიზლეშიც ხომ ასეთი ვიყავი, მახსოვს, მაშინაც არ ვბრაზდებოდი ომერზე. ვფიქრობდი, რა ჩემი საქმეა-მეთქი. ასეთი რამ ადრეც მომსვლია, როდის იყო? არ ვიცი. ეს ხომ საშინელებაა. მგონი, დეიდა ემინეს სახლში განვიცადე ასეთი რამ... შეიძლება... მაშინ ცოტა სხვაგვარად იყო, მაგრამ შეგრძნება იგივეა. ყველასადმი ინდიფერენტიზმი და სხვის საქმეებში ჩაურევლობის გრძნობა მაშინ გამიჩნდა, როცა მათდამი ინტერესი დავკარგე... ღმერთო ჩემო, ნუთუ ომერისადმიც გულგრილი გავხდი? შეუძლებელია, ეს არ შეიძლება მოხდეს, უბრალოდ მთვრალი ვარ... ან ჭკუიდან შევიშალე... არა... არა... ღმერთო ჩემო, რას ჩავდივარ?“

ჰუსეინ ბეიმ ოფიციანტის მოტანილ ანგარიშს დახედა და ფეხზე წამოდგა.

— წავიდეთ, — მიუბრუნდა იგი ჰიქმეთს, — ამათ ჯიბრზე სხვა ადგილას წავიდეთ და იქ ვისიამოვნოთ... შენ აი, ამ ჰანუმს მიხედე, — ემინ ქიამილის სატრფოზე მიუთითა, — წავიდეთ, ომერ-ბეი!

ომერი და უმიტი ადგილებიდან წამოხტნენ. ჩვეული მოძრაო-

ბით ომერმა ხელი გაუყარა მაჯიდეს და ისინი პირველნი გამოვიდნენ ქუჩაში. მაჯიდე სულ დაიბნა და ამაოდ ცდილობდა გონს მოსვლას.

ომერი, მაჯიდე და უმიტი ერთ მანქანაში ჩასხდნენ. ამჯერად ჰუსეინ ბეიმ თავისი სატრფო გვერდზე მოისვა, კაბინაში — მძღოლთან. პროფესორი ჰიქმეთი და მისი ქალი მეორე მანქანით წამოვიდნენ. როცა მანქანები დაიძრნენ, ჰუსეინ-ბეი თანამგზავრებს მოუბრუნდა და ხრინწიანი ხმით თქვა:

— გინახავთ ასეთი თავხედი? ისმეთ შერიფმა მაინც მოასწრო პროფესორის მანქანაში შევარდნა. არამზადა, თავისი ნახარჯიც, ალბათ, მე დამაწერა.

თ ა ვ ი XXV

მანქანები ერთმანეთის მიყოლებით მიჰქროდნენ ქუჩებში. როცა მეჯიდექოის გაუარეს, სათვალიანმა ქალიშვილმა ნაძალადევი შეშფოთებით ჰკითხა ჰუსეინ ბეის:

— სად მივდივართ?

ჰუსეინ ბეი პასუხის ნაცვლად მძღოლს მიუბრუნდა და უთხრა:

— ბუიუქდერეში[1] წაგვიყვანე, შვილო, რაც შეიძლება, იჩქარე, მხოლოდ ფრთხილად.

შოფერი გონიერი ბიჭი აღმოჩნდა, ბრძანებას მაშინვე დაემორჩილა, თავიც არ მოუბრუნებია, ისე განაგრძო გზა. მანქანის შუქფარიდან გამოტყორცნილი სინათლე უზარმაზარ დანასაჯით ჰკვეთდა ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ხეებს და უკან იტოვებდა მათ. ღამის სუფთა ჰაერზე მაჯიდეს თითქოს გონებაც გაუნათდა, მაგრამ დიდი სიჩქარისაგან მერე კვლავ თავბრუ დაესხა. აზრები ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაუელვებდა ხოლმე, როგორც ის გზისპირს ჩარიგებული ხეები. „მოხდეს, რაც მოსახდენია, გადაწყვიტა უცებ. თავს მშვიდად გრძნობდა, ან არა და რა უნდა მომივიდეს, ომერი აგერ არ არი?“ გაიფიქრა და იქვე გამოუტყდა თავს, რომ ომერის გვერდით ყოფნა სულაც არ მატებდა ძალას, არამედ — საკუთარი გადაწყვე-

[1] ბ უ ი უ ქ დ ე რ ე — სტამბოლის ევროპულ ნაწილში, ბოსფორის სანაპიროზე. მდებარეობს, მდიდართა საგარეო ადგილად ითვლება.

ტილება. მხოლოდ ეს კია,რომ მაჯიდეს ახლა არ შეუძლია ან არ სურდა ეფიქრა, თუ რა გადაწყვეტილება იყო ეს.

მანქანა დაკლაკნილ გზაზე ეშვებოდა. წინ, ჰუსეინ-ბეის და მისი სატრფოს თავების მიღმა, ჩამუქებული ზღვა მოჩანდა. ზღვა ცოცხალივით იყო. მაჯიდე ფანჯარაში იყურებოდა და ასე ეჩვენებოდა, თითქოს ზღვის ხმაური ესმოდა, რომელიც ხორბლის ლეწვის ხმასა ჰგავდა. გემებსა და ნავსადგურებზე ციცინათელებივით ციმციმებდა მომწვანო შუქი. მაჯიდემ სიმარტოვე იგრძნო. ეს უცნაური და უჩვეულო შეგრძნება იყო, რადგან მაჯიდეს ადრეც მთელი წლების განმავლობაში უცხოვრია მარტოობაში, მაშინ მარტოობისაგან თავის დაღწევას ცდილობდა და საამისოდ რაღაცას აკეთებდა. ახლა კი თითქოს ყველაფერი გაქვავებულიყო მის სულში. მარტოობის შეგრძნება სასიამოვნოდ უმშვიდებდა ნერვებს. აზრებიც თითქოს გაშეშებოდა იმ ბავშვებივით, რომლებიც მთელი დღე დარბოდნენ, ახლა კი მწვანე ბალახზე მზის ქვეშ წამოწვნენ და დაღლილობისაგან მოდუნებულ სხეულს დასვენების უფლება მისცეს.

მანქანა გაჩერდა. მაჯიდე დიდხანს ვერ მიხვდა, სად იყვნენ. მანქანიდან გადმოსვლისას ომერი მიეშველა, უკან მომავალი მანქანის შუქმა თვალები აუჭრელა და კარებს მიეყრდნო.

ჰუსეინ ბეიმ მძღოლებს უბრძანა, დაგვიცადეთო, თვითონ კი კაზინოს შუშის კარზე დააკაკუნა. იმდენად გვიანი იყო, რომ კაზინოდან, როგორც ჩანდა, ყველა გამოესტუმრებინათ. კარი ძილმორეულმა და მოღუშული სახის ფეხშიშველმა კაცმა გააღო, რომელსაც საღამური პერანგი და თეთრი ნიფხავი ეცვა. ისეთი გამოხედვა ჰქონდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ გინებას დაიწყებსო, მაგრამ როგორც კი ჰუსეინ ბეი დაინახა, იმ წამსვე შიცვალა და მოწიწებით შეიპატიჟა კაზინოში.

სტუმრებიც შევიდნენ. ყველანი, მათ შორის ჰუსეინ ბეიც, ძალიან დაიღალა და აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ღამის გრილმა ნიავმა რამდენადმე დააცხრო მათი გაღიზიანებული ნერვები. ისე ისხდნენ და ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს დროის სატარებლად კი არა, რაღაც მოვალეობის შესასრულებლად მოსულიყვნენ. ქალებიც მოიქანცნენ, თმა გაწეწოდათ და ფერზეც ვერ იყვნენ; სახეებზე ნაოჭები დამჩნეოდათ. ინტელიგენტი ქალები იყვნენ, ფერუმარილის წასმა უხერხული იყო, ახლა ქალიშვილებს კი არა, დროსტარებას გადაყოლილ ბიჭებს ჰგავდნენ.

ოფიციანტმა ზედ ნიფხავზე თეთრი წინსაფარი აიფარა, დარბაზის შორეულ კუთხეში ლამპა აანთო და სტუმრები მაგიდასთან მიიწვია. შემდეგ ბუფეტისაკენ წავიდა, რამდენიმე ლიტრა არაყი, ცოტა ყველი, პური და ორი კოლოფი სარდინი მოიტანა.

დადუმებული თანამეინახეების გასამხიარულებლად ისმეთ შერიფმა ხუმრობა დაიწყო, მაგრამ ემინ ქიამილის მიერ მიტოვებული სატრფოს მეტი არავინ იცინოდა; ომერმა კვლავ გააბა თავისი მოსაწყენი ბაასი უმიტთან. ჰუსეინ ბეი რაღაცას უყვებოდა სათვალიან ქალს. პროფესორმა ჰიქმეთმა ჩაფიქრებული კაცის სახე მიიღო. მას ხშირად ემართებოდა ხოლმე ასე. ყოველთვის სიამოვნებით წამოიწყებდა ათასგვარ გასართობსა და ქეიფს, მაგრამ პირველივე ჭიქების შემდეგ უცებ მოიწყენდა. უფრო მეტიც, სასოწარკვეთილებას ეუფლებოდა, თითქოს ალკოჰოლი იყო საჭირო საკუთარი თავის შესაცნობად, იმის მისახვედრად, თუ რას წარმოადგენდა. სიფხიზლეში დარწმუნებულს, რომ ქვეყნად ყველაფერს მიაღწევდა, სიმთვრალე ნიადაგს აცლიდა მის განდიდების მანიას, ართმევდა განუხორციელებელ ოცნებებზე ფიქრის სურვილს და მწარე სინამდვილეს აახლოებდა.

არაყს ისე სულმოუთქმელად სვამდნენ, რომ მის გემოს ვერც კი გრძნობდნენ. მაჯიდე ახლა ყოველგვარი სიამოვნების გარეშე სვამდა, სახეზე მწარე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ვიღაცას ადანაშაულებსო.

უცებ წამოდგა და გაიხედ-გამოიხედა. იქვე, ახლოს მჯდარი ოფიციანტი წამოხტა და ტუალეტისაკენ წაიყვანა. როცა კარი შეაღო, მძაფრი სუნი ეცა. აქ ყველაფერი, თვით კედლებიც კი ყვითელი ფერისა იყო. მარცხნივ ორი პირსაბნის თავზე დანისლული სარკე ეკიდა. მარჯვნივ ორი პატარა კარი იყო. მაჯიდემ ერთ-ერთი მათგანი შეაღო, აქ უფრო მძიმე სუნი იდგა.

პირსაბანთან რომ დაბრუნდა, მისი მზერა სარკეს მოხვდა. სახე სულ არ შეცვლოდა და ამან გააოცა. „რატომ მეგონა, რომ სულ სხვა სახეს დავინახავდი?“, გაიფიქრა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვნა.

პირსაბნები ჭუჭყიანი იყო. სასაპნეში საპნის ნამლევა ეგდო, მაგრამ მაჯიდემ ვერ გაბედა ხელის მოკიდება და მხოლოდ წყლით დაიბანა ხელები. პირსაბნებს შორის ჩამოკიდებულმა სველმა და ჭუჭყიანმა პირსახოცმა კინაღამ გული აურია, მაგრამ ამიაკის მძაფრმა სუნმა ცოტა გამოაფხიზლა.

ყარი გაიღო. მაჯიდეს ეგონა, ვინმე ქალთაგანი იქნებოდა, მაგრამ ისმეთ შერიფის მოღრეცილი კისერი გამოჩნდა. ისმეთ შერიფმა ნაძალადევად გაიოცა, თითქოს არ ელოდა მაჯიდესთან აქ შეხვედრას.

— ო, ჰანუმ! გთხოვთ, მაპატიოთ!

მაჯიდემ არაფერი უპასუხა, დარბაზისაკენ მიმავალი კარისკენ გაემართა, მაგრამ ისმეთ შერიფმა გზა გადაუღობა.

— მაჯიდე ჰანუმ, მე ძალზე ნაწყენი ვარ.

— ვინ გაწყენინათ? — დაუფიქრებლად ჰკითხა მაჯიდემ.

— ომერის უღირსმა საქციელმა... ღმერთს გეფიცებით, ძალიან არ მესიამოვნა... რომ ისეთ მშვენიერ ქალს, როგორც თქვენა ხართ...

„ღმერთო ჩემო! რა სულელურად, რა საძაგლად იქცევა! — გაიფიქრა ქალმა, — მან, რასაკვირველია, დაინახა, რომ აქეთ წამოვედი და აჰა... პროფესორი ჰიქმეთი ემინ ქიამილის სატრფოს მიუჯდა, ომერი ყურადღებას არ მაქცევს, გამოდის, რომ მე ბ ისმეთ შერიფი თავისუფალნი ვართ...“

ვიდრე მაჯიდე ამაზე ფიქრობდა, ისმეთ შერიფმა ნაბიჯი გადმოდგა წინ. — მე მწერალი ვარ და, როგორც ადამიანი, რომელმაც კარგად იცის ადამიანთა ხასიათი, უმალ მივხვდი, რომ ამ საღამოს აქ დატრიალდა თავმოყვარეობის ტრაგედია. მეც თქვენსავით ვეწამები!

ყოველი ფრაზის წარმოთქმაზე ისმეთ შერიფი ქალს უახლოვდებოდა. — „თავმოყვარეობის ტრაგედია? — კვლავ გაიფიქრა მაჯიდემ, — რა პრიმიტიულნი არიან ზოგჯერ მამაკაცები... ასე ფიქრობენ, თუ ქალი მამაკაცმა შეურაცხყო, იმ წუთში სხვა მამაკაცს ჩამოეკიდება კისერზე. ყოველ შემთხვევაში, ახლა სურს ამით ისარგებლოს. გადაეკიდება ქალს, რომლისთვისაც ორი სიტყვაც არ უთქვამს და თავს ისე აჩვენებს, თითქოს ძალიან აინტერესებდეს მისი ბედი. ნუთუ ყველა მამაკაცს ასეთი ყეყეჩი ვგონივართ? ისმეთ შერიფს ჰგონია, ნებას ავყვები, რადგან ომერი სხვა ქალთან ერთობა და მასზე გაბრაზებული ვარ. ვინ იცის, კიდევ რას არ ფიქრობს?“

მაჯიდე ვერ ამჩნევდა, რომ მისი დუმილი ისმეთ შერიფს გამბედაობას მატებდა. ადამიანთა ხასიათების მცოდნე ამ მამაკაცს ქალის დუმილი, მის სულში ატეხილი შინაგანი ბრძოლის გამოხატულებად მიაჩნდა, იმ ბრძოლისა, რომელიც უსათუოდ მის სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო. ისმეთ შერიფი არც ელოდა, რომ ისეთი ქალი,

როგორიც მაჯიდეა, დაუფიქრებლად და უყოყმანოდ დამორჩილდებოდა.

წინ გაშვერილი ხელებით იგი რამდენჯერმე შეეხო მაჯიდეს თითებს. იგრძნო, როგორ ეძალებოდა ქალის დამორჩილების წადილი. ისმეთ შერიფმა ქალს მხარში ჩაავლო ხელი. მაჯიდემ უკან დაიხია და კედელს მიეყრდნო. ისმეთ შერიფმა ჩვეული მოძრაობით ხელი სახეზე აიფარა, თითქოს სილის გარტყმისაგან იცავსო თავს, მაგრამ როცა დაინახა, რომ მაჯიდე კვლავ დუმდა, გათამამდა და ნაბიჯი წინ წადგა.

ისმეთ შერიფმა კვლავ მხარზე დაადო ხელი მაჯიდეს და თავისი სახე მიუახლოვა. კაცის თვალებში ყველაფერი იყო — სურვილიც, მუქარაც და მადარაც.

მაჯიდე კედელს აკვროდა და განძრევის თავიც არა ჰქონდა. იგი გაოცებით ათვალიერებდა მამაკაცის სახეს. სანახაობა, მართლაც საშინელი იყო. გაყოფილი მეჩხერი ჭაღარა თმა თავზე მიმობნეოდა, რომლის ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობდა. ისმეთ შერიფის თავის კანი, ნათურის მქრქალ შუქზე მღვრიე, ვარდისფერი ჩანდა. შუბლზე, რომელიც თითქოს ამ ჭუჭყიანი კანის გაგრძელება იყო, დაბერილი ხორცები ეკიდა. მის თაფლისფერ თვალებში, რომლებსაც ნაცემი კატის თვალებივით ხუჭავდა, ცხოველური სურვილი კიაფობდა. ცხვრის წვერის გაფართოებულ პორებიდან ცხიმის წვრილ წვეთებს გამოეჟონა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს დიდი და ბრტყელი ცხვირი ხან ფართოვდებოდა და ხან პატარავდებოდა. მთელი სახე, შუბლიდან მოყოლებული ნიკაპამდე, დამდუღრულივით წამოწითლებოდა და უბზინავდა. ტუჩების კიდეებში ჩარჩენილ საჭმლის ნამცეცებს ოფლი შერეოდა. ზედა ტუჩს მალიმალ ღმეჭდა და გრძელი ყვითელი კბილების ღრძილებზე მიკრული ოხრახუშის ფოთლები უჩანდა. მაჯიდეს პირდაპირ სახეში სცემდა დაკონსერვებული სარდინისა და კუჭის წვენის საძაგელი სუნი. კედელს მიკრული მაჯიდე მონუსხულივით მისჩერებოდა ამ საზიზღარ სახეს, და თავის ფიქრებში ჩაფლული კვლავ უძრავად იდგა.

რა უცებ, ხუთ-ექვს საათში გაიგო, რაც ყოფილა მთელი ეს ხალხი! ცხოვრების მასწავლებლები, მხოლოდ უმაღლეს თემებზე რომ მსჯელობდნენ, იდეებზე რომ ქაქანებდნენ, ყოველგვარ ამქვეყნიურ სურვილებსა და ვნებებს მასხარად რომ იგდებდნენ, სულ ქვევით

და ქვევით ეშვებოდნენ, ვიდრე დამშეულ ცხოველებს არ დაემსგავსნენ. და აი, ახლა ცხვირწინ უდგას. მაჯიდე ხედავდა, რომ ისმეთ შერიფს არაფერი დარჩენოდა ადამიანური და არც უკვირდა, თუმცა ქამდე სჯეროდა, რომ ადამიანის აზრები და რწმენა მისი სისხლი სისხლთაგანია და უფრო წმინდა კეთილშობილური საქციელისაკენ უბიძგებს, უფლებას არ მისცემს ასეთ ცხოველურ დონემდე დაეშვას. მაჯიდე ახლაც დარწმუნებული იყო თავისი აზრების სიმართლეში. „დიახ, ისინი არასოდეს არ ყოფილან სხვაგვარნი, ფიქრობდა იგი, ყველაფერი, რასაც კითხულობენ, სწერენ, ფიქრობენ და ლაპარაკობენ, სიცრუეა! მაგრამ ყველანი ხომ ასეთები არ არიან, ხომ უნდა არსებობდნენ ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ დონემდე არასოდეს არ დაეშვებიან!“

მაჯიდე გრძნობდა, თუ ვის გულისხმობდა ამ შემთხვევაში, მაგრამ არ უნდოდა თვით საკუთარ თავს გამოტყდომოდა.

ისმეთ შერიფი ქალის დუმილმა გაამხნევა და ყელზე მოხვევა დაუპირა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მკერდში ძლიერი დარტყმა იგრძნო. ისმეთ შერიფი წაბარბაცდა და პატარა კარის სახელურს ჩაავლო ხელი. უმალვე მაჯიდეს ზურგს მოჰკრა თვალი. ქალი ნელი და მშვიდი ნაბიჯით დარბაზისაკენ მიდიოდა.

როცა ახალგაზრდა ქალი სუფრას მიუახლოვდა, ომერისა და ჰუსეინ ბეის გარდა ყველა უგონოდ მთვრალი დაუხვდა. ემინ ქიამილის სატრფოს მაგიდაზე ჩამოედო თავი, პროფესორი ჰიქმეთი სკამზე გაშხლართულიყო, გოგოსათვის ხელი კეფაში წაევლო და უსასრულოდ აბოყინებდა. მაჯიდეს დანახვაზე პროფესორს გაეღიმა და მოხვევას შეეცადა, მაჯიდემ თავი აარიდა, პროფესორი მახინჯი ფრჩხილებით მაჯიდეს სკამს მოეჭიდა და ჩაიდუდუნა, — აბა რა მოხდა, შვილო ჩემო! შენ ხომ ჩვენი დაი ხარ!

უეცრად მაჯიდესა და ომერის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. დიდხანს შესცქეროდა ერთმანეთს ცოლ-ქმარი. ამ მზერაში ომერმა თითქოს ასეთი შეკითხვა იგრძნო: „ამას როგორ ითმენ, ომერ, როგორ არ მივარდები და არ გაგლეჯ ამ კაცს?“.

ომერი მეუღლისაკენ გადაიხარა და საოცრად ფხიზელი კაცის ხმით, ჩურჩულით უთხრა:

— აბა, რა უნდა ვქნა, გეთაყვა, ხომ ხედავ, რა დღეშიც არის, გონი აღარა აქვს... თანაც ჩემი მასწავლებელია... ყოველ შემთხვევაში, ასე ითვლება, ამას გარდა... აბა როგორ გითხრა... შენ ხომ მიც-

ნობ... — მერე უფრო ხმადაბლა დასძინა, — მაგისი თორმეტი ლირა მმართებს, როგორ შემიძლია, უხეშად რამე ვუთხრა?

მაჯიდე ძრწოლამ აიტანა. მის წინ ომერის მთელი ბუნება გადაშლილიყო. ომერისა, რომელსაც იცნობდა, უყვარდა, ზოგჯერ იქნებ არც კი მოსწონდა, მაგრამ ახლა? რა შორს იყო მისგან... რა შორს...

ქალმა კარგად შეიცნო იგი: ომერს შეეძლო მისი თანდასწრებით სხვა ქალს მოჰხვეოდა. დაერცხვინა ორიოდე გროში ვალის გახსენებისას, შეეძლო ქუჩაში დავიწყნოდა ცოლის არსებობა, თან ამავე დროს სიცოცხლეზე უფრო ყვარებოდა იგი. მას შეეძლო ერთ დღეს მთელი თავისი არსებით სძულებოდა ვინმე, მაგრამ მეორე დღეს მოხვეოდა კიდეც, და მხოლოდ იმიტომ, რომ პირში სიმართლის თქმა არ შეეძლო... ახლა მის თვალწინ ხელისგულივით გადაშლილიყო ომერის მთელი ბუნება, ომერისა, რომელიც თავის ნამდვილ გრძნობებს არასერიოზული ირონიით ფარავდა. მაჯიდეს ასე ახლოდან არასოდეს დაუნახავს ომერი. ქალს ესმოდა ქმრისა და კიდევ უყვარდა იგი. მაგრამ ის განმარტოების გრძნობა, რომელმაც ამ საღამოს ასეთი სულიერი ტკივილი მოჰგვარა, ჯერაც არ განელებოდა. ომერის მთელი ბუნება სწორედ მაშინ უნდა შეეცნო, ასე ახლოს, და ასე ნათლად როცა ყველაფრის დამთავრება განიზრახა.

თ ა ვ ი XXVI

მეორე დილით, როცა მაჯიდეს გამოეღვიძა, ომერი ვერსად დაინახა. ისე წასულიყო, ცოლი არ გაეღვიძებინა. ღია ფანჯრიდან ზაფხულის ხვატი შემოდიოდა. შუბლი და კისერი სულ გაოფლიანებოდა.

საწოლიდან ფეხები ჩამოუშვა, საშინაო ფეხსაცმელები ჩამოიცვა, პირსაბანთან მივიდა და სახეზე ცივი წყალი შეისხა.

არც დაღლილობას გრძნობდა და არც რაიმე სიმძიმეს. არ ეგონა, წუხანდელი ღამის შემდეგ ასე მხნედ თუ იქნებოდა. ყველაფერი კარგად ახსოვდა, ახლა ამ ამბებზე ფიქრი არც აბრაზებდა და არც ღიმილს გვრიდა. ის და ომერი კაზინოდან სხვებისაგან შეუმჩნევლად გამოვიდნენ. ზღვის ნაპირს გამოჰყვნენ. თენდებოდა. მძიმე და მშვიდი ლაპლაპა ზღვიდან მარილისა და წყალმცენარეების სუნი მოდიოდა. კარგა ხანს იარეს, რამდენჯერმე სანაპიროზე ქვებსაც წამოჰკრეს ფეხი, მაგრამ ხმა მაინც არ ამოუღიათ. ასეთ დროს ომერი ყოველთვის დაუსრულებელ განსჯას იწყებდა ხოლმე. ახლაც მეუღ-

ლის ალაპარაკებას ელოდა, ელოდა რაღაც უნებური პროტესტის გრძნობით. ომერი თავის მართლებას დაიწყებდა და, შეიძლება, ბევრ რამეში კიდეც დაერწმუნებინა ქალი, თუმცა მაჯიდე გრძნობდა, რომ სულის სიღრმეში უკვე მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება და ეს გადაწყვეტილება, რაც უნდა მომხდარიყო, დაუყოვნებლივ უნდა აღესრულებინა.

ომერი ხმაგაკმენდილი მიჰყვებოდა ქალს გვერდით. მხოლოდ ერთხელ, როცა მაჯიდეს ფეხი დაუცდა, ხელი წაატანა. ამაზე მაჯიდე ისე შეკრთა, თითქოს ვაჟმა ჭრილობაზე დაადო ხელი. ომერმა ხელკავი გამოდო ქალს, სწორედ ისევე, როგორც წინათ იცოდა ხოლმე. მერე ქალს მოეჩვენა, რომ ყველაფერი ეს ძალზე ტკბილი, მაგრამ უკვე დიდი ხნის ამბავი იყო. მისი ქმარი ხომ იგივე კაცია, რომელსაც წინანდებურად ძლიერად უჭირავს მისი ხელი და ასევე ძლიერად მიაბიჯებს მის გვერდით. მას ხომ უწინდებურად, უცვლელად უყვარს ცოლი. მაშ რა მოხდა, რა შეიცვალა? შეიცვალა თვითონ მაჯიდე. ქალი შეშინდა, რაიმე უსამართლობა არ ჩაედინა ომერის წინაშე. „დიახ,—ფიქრობდა ქალი,—ვიცი, ომერი კვლავ იგივეა, ახლა გაბრაზება არ ვარგა, თუკი წინათ ვითმენდი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?“

გზაზე მანქანა გამოჩნდა. გააჩერეს. ჩასხდნენ და შინ მივიდნენ. ომერმა შოფერს ის ორი ლირა გადაუხადა, პროფესორ ჰიქმეთს რომ გამოართვა საღამოზე წამოსვლისას. განთიადი ახლოვდებოდა, ომერს არც ახლა უთქვამს რაიმე, როცა უკაცრიელ და ცივ ქუჩებში მიჰქროდნენ, მაგრამ როცა ოთახში შევიდნენ, ქმარი ხელზე ეცა:

— ჩემო კარგო!

მაჯიდე სახეში ჩააცქერდა ქმარს. რამდენი რამ უნდოდა ეთქვა ამ გამოხედვით, მაგრამ მხოლოდ საყვედურნარევი ღიმილიღა შეძლო. ომერი გამხნევდა.

— მაჯიდე, მეტს აღარსად ვივლით, არც საღამოებსა და არც ბაღებში, არც აქ მოვიწვევ ვინმეს, ყველასთან შევწყვეტ ურთიერთობას. მინდა საზრიანი ცხოვრება დავიწყო. მე თვითონვე ჩავკლავ ჩემს სულში ჩაბუდებულ ეშმაკს.

მაჯიდეს არ ავიწყდებოდა, — ომერისაგან ასეთი სიტყვები პირველად არ ესმოდა, მაგრამ სწამდა, რომ მისი ქმარი ამჯერადაც გულწრფელად ლაპარაკობდა. მიუხედავად თავისი გადაწყვეტილებისა, ქალი შეშინდა, რომ ნებისყოფა უღალატებდა და ომერის ასეთი ცე-

ცხლით წარმოთქმულ სიტყვებს დანებდებოდა. არ სურდა, მთელი მრისხანება–და გულში დაგუბებული მწუხარება უაზრო კოცნასა და ხვევნას წაელეკა. ომერმა თითქოს იგრძნო ქალის ეს გრძნობა, იგრძნო და გაჩუმდა. ორივენი დაწვნენ და მაშინვე ჩაეძინათ.

და აი, ახლა, როცა მაჯიდეს გაეღვიძა, მიხვდა, რომ ომერს სულ ორიოდე საათი თუ ეძინა. უხმაუროდ ჩაუცვამს და ასევე ჩუმად წასულა. უსიამო გრძნობა დაეუფლა, სამზარეულოში გავიდა, ჩაი აადუღა და ისაუზმა, შიმშილი რომ დაიცხრო, საათს დახედა—ოთხი სრულდებოდა. ყველაფერი ჩვეულებისამებრ მიდიოდა. მას კი ეგონა, რომ დღეიდან ყველაფერი შეიცვლებოდა. გულს დარდი შემოაწვა. უკვალოდ გაქრა ის უდარდელი განწყობილება გაღვიძებისას რომ ჰქონდა. წუხანდელმა სმამ ალბათ, ახლა მიწიაო, — გაიფიქრა.

ომერზე ფიქრი არ სურდა. ვახშმად არაფერი ჰქონდათ და თავისი საფულე მოძებნა. ოცდახუთი ყურუში აღმოაჩნდა. ეს თანხაც საკმარისი იყო, რადგან ბაყალი ნისიად აძლევდა პროდუქტებს. ჩაცმა დაიწყო.

სახლიდან რომ გამოვიდა, ექვსი საათი ხდებოდა, ქუჩებში გაოფლილი ხალხი ფუსფუსით გარბი-გამორბოდა. მაჯიდემ გადაწყვიტა ცოტა გაესეირნა და მერე შეევლო ბაყალთან. ამ დროისათვის მაჯიდე ხშირად მიდიოდა გალათასარაისაკენ და ომერს ხვდებოდა. თეფეგაშს რომ მიაღწია, უკან გამობრუნდა. მეზობელი ბაღიდან ბერძნული სიმღერა ისმოდა, მაჯიდე კვლავ გალათასარაისაკენ გატრიალდა და უეცრად მოულოდნელობისაგან შეცბა—ოციოდე ნაბიჯზე ვიღაც ქალთან ერთად მიაბიჯებდა კაცი, რომელიც საოცრად ჰგავდა ომერს. კაცს ხელკავი გაეკეთებინა ქალისათვის, რომელსაც შიშველ ფეხებზე თეთრი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. მაჯიდემ კინაღამ არ დაკარგა ორივე, თუმცა ნაბიჯს საკმაოდ აუჩქარა; ჯერ მოეჩვენა, რომ ქალი უმიტს ჩამოჰგავდა, მაგრამ მერე ეს აზრი სასაცილოდ მოეჩვენა, რადგან უმიტი ბეიოღლუზე უწინდებოდ, შიშველი ფეხებით არაფრით არ გაივლიდა. ახლა მაჯიდემ ოცდაათიოდე ნაბიჯზე მოავლო თვალი ორივეს, იგი დაჟინებით შესცქეროდა ქალს, მაგრამ კარგად გარჩევა მაინც ვერ შეძლო. მაჯიდემ ნაბიჯი აუჩქარა, თითქმის სირბილით წავიდა. ისე, რომ გამვლელ-გამომვლელებს ეჯახებოდა კიდეც და ორივეს დაეწია. მაჯიდე ქალის შიშველ კოჭებს დააცქერდა. ასეთი ფეხები მხოლოდ ხნიერ ქალს თუ ექნებოდა. ქალს მოკლესახელოიანი ბლუზა ეცვა და წითელი მსხვილფორებიანი მკლავები მოუ-

ჩანდა. ერთმანეთს მიკრულნი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. მაჯიდე შეჩერდა და სული მოითქვა, იგი ნამდვილად მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო, ერთი იმათთაგანი, ბეიოღლუზე ყოველ ნაბიჯზე რომ შეხვდებოდით, და როგორ შეიძლებოდა უმიტად მოჩვენებოდა. მაჯიდემ ისინი კვლავ დაკარგა და იმით შეშინებული, ვაითუ ვერ ვიპოვნოო, სირბილით დაედევნა. გამვლელები გაოცებით შეჰყურებდნენ.

მერე ისევ შეავლო თვალი იქვე, ოთხიოდე ნაბიჯზე მყოფთ, ისინი რომელიღაც კინოთეატრის სადარბაზოში შევიდნენ და აფიშისთვის არც კი შეუხედავთ ისე გაემართნენ სალაროსაკენ. მაჯიდეს ყველა სურვილი, ყველა განზრახვა უეცრად სადღაც გაჰქრა. ახლა მას მხოლოდ ერთი რამ სურდა, რაც შეიძლება ჩქარა წასულიყო, სწრაფად გაქცეულიყო აქედან. მაჯიდე თითქმის სირბილით გაემართა სახლისაკენ. მის სულში თანდათანობით იზრდებოდა ზიზღის გრძნობა. თვალწინ ედგა და თავი ვერ დაეღწია იმ საზიზღარი სურათისათვის. წარმოიდგინა, როგორ ისხდნენ კინოთეატრის ლოჟაში, ქვაფენილზე კი რაკა-რუკი გაუდიოდა მაჯიდეს ქუსლებს, თითქოს სიარულში გაბრაზებას ახშობსო.

„ალბათ, ადრეც სჩადიოდა ასეთ რამეებს. მერე მოდიოდა და ჩემს გვერდით წვებოდა, მეკვროდა, იმავე ხელებით მეხვეოდა... რა სიბინძურეა, რა საზიზღრობა!“ — ფიქრობდა აღშფოთებული ქალი. ყელი გაუშრა, თითქოს დიდხანს ეყვიროს. მაჯიდეს უცებ მოეჩვენა, რომ ქუჩაში ყველა გამვლელ-გამომვლელი იღრიჯებოდა და გაბრაზდა. მრისხანე თვალებით შეჰყურებდა ყველას. ყოველგვარი სუნი აღიზიანებდა. ხილით მოვაჭრის დუქნიდან გამოსულ ატმის სუნს იქვე მდებარე საგალანტერიო მაღაზიიდან მოვარდნილი ნაფტალინის სუნი ერთვოდა, რომელსაც, ღმერთმა უწყის, საიდან მონაბერი შემწვარი სკომბერის სუნიც ემატებოდა. ამას ზედ ერთვოდა ბენზინის მყრალი სუნი, რომელსაც ქუჩაში მქროლავი ავტომანქანები გამოსცემენ. მაჯიდე ლოყებსა და ცხვირზე იკიდებდა ხელს, თითქოს მიკრული აბლაბუდა უნდა ჩამოიშოროსო, უღრან ტყეში ხეტიალისას რომ აგეკვრება ზოგჯერ.

მაჯიდე მხოლოდ შინ დამშვიდდა. ჩემოდანი გამოათრია და თავისი ბარგის ჩალაგებას შეუდგა. მას შემდეგ, რაც დეიდა ემინეს სახლიდან წამოვიდა, მის ბარგს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ წყვილ წინდას, არაფერი მომატებია. ყავისფერი სვიტერი ისეთივე ჩანდა, მაგრამ აი ფეხსაცმელები კი გაცვეთოდა.

უცებ წელში გაიმართა.

— „სად წავიდე? — გაუელვა თავში, — ვის მივადგე ამ ბარგით! ბალიქესირში?.. დეიდა ემინეს? არა, მას არსად არ შეეძლო წასვლა, თუმცა ვინ იცის... ახლა მაჯიდე სავსებით მშვიდად აზროვნებდა. რა დარჩენოდა, როგორ მოქცეულიყო? და კვლავ გაახსენდა ის ღამე, დეიდა ემინეს სახლი რომ დასტოვა და არ იცოდა, საით წასულიყო. ახლაც, ისე როგორც იმ ღამეს, აღელდა მთვარის შუქით განათებული ზღვა... რომელსაც ომერთან ერთად ნავიდან შესცქეროდა. ზღვა ისე მოელვარე და ისე იდუმალი ეჩვენებოდა, რომ შეხებისაც კი ეშინოდა. თუმცა მერე ხელიც კი ჩაჰყო წყალში...

მაჯიდემ ჩემოდანს ფეხი ჰკრა, თეთრეული ჭუჭყიან ნოხზე მიმოიფანტა. — ვის სჭირდება ეს ძონძები! ეშმაკსაც წაუღია!

კარადიდან ქალალდის დასტა გამოიღო. ქუჩაში ჯერ კიდევ სინათლე იყო, მაგრამ შუქი მაინც აანთო და ფანჯრებზე ფარდა ჩამოუშვა. მერე მაგიდას მიუჯდა და ფანქრით წერა დაიწყო:

„ომერ, მე მივდივარ შენგან. შენ მიმიხვდები, ჩემთვის შენი დატოვება რა ძნელია, შენ იცი, რომ მე არავინ მყავს შენს გარდა. მეც ვიცი, რომ ჩემს გარდა არც შენ გაგაჩნია ვინმე, მაგრამ მე მაინც უნდა წავიდე. იმ დღის შემდეგ, რაც დეიდა ემინეს სახლი მივატოვე და შენ გამოგყევი, სულ მეშინოდა, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო. როგორ არ ვეცადე შიშის დაძლევა, მაგრამ იგი ახალი და ახალი ძალით იჩენდა თავს. საოცრად ვიტანჯებოდი. ხშირად ვფიქრობდი, რა იყო ამ შიშის მიზეზი. ჩვენი ერთად ცხოვრების სამი თვის მანძილზე ვფიქრობდი, თუ რა უნდა გამეკეთებინა, რომ ასეთი დღე არ დამდგარიყო. ბოლოს მივხვდი, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, უნდა მივყოლოდი ცხოვრების მდინარებას, შემთხვევის იმედზეღა უნდა ვყოფილიყავი.. არ ვიცი, ღირს თუ არა, გითხრა ყველაფერი ეს? ომერ, ჩემო საყვარელო მეუღლევ.. ჩვენ სულ სხვადასხვაგვარად ვფიქრობთ, სხვადასხვანაირი შეხედულებები გვაქვს, გაუგებარია, რა შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ ერთმანეთს დავუკავშირდით. მეუბნებოდი, მიყვარხარო, და მეც ვირწმუნე შენი, მეც მიყვარდი და მერე როგორ! ახლაც მიყვარხარ. ჩემი გრძნობა არ შეცვლილა, თუმცა ვერ გამიგია. რატომ მიყვარხარ? სწორედ ამან დამაფიქრა, ამან დააბუდა ჩემს სულში ეჭვი. როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი შემდეგი ცხოვრება? ვერ გავარკვიე, რატომ მიყვარდი, იმას ვერ ვიტყვი, შენი ხასიათი, შენი ქცევა არ მომწონდა-მეთქი, მა-

გრამ ერთი კია — არ მესმოდა. შენც ვერ უარყოფ, რომ ბევრი რამ არც ჩემი გესმოდა. მაშ, რა უცნაური ძალა გვაკავშირებდა ასე ძლიერ ერთმანეთთან? მაშ რა მაჩერებდა აქ და სიხარულით რად მევსებოდა გული, როცა დაგინახავდი, თუ ვიცოდი, რომ ჩვენ სულ სხვადასხვა ადამიანები ვართ? ნუთუ იმ ეშმაკმა, ყოველ წუთში რომ ახსენებ და რომელსაც ყველაფერში ადანაშაულებ? უკანასკნელ დღეებში მე მეშინოდა ამ ეშმაკისა. აქამდე იმას ვაკეთებდი, რაც კანონიერად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა ცხოვრებას დამაკავშირა ძალამ, რომელიც არც გონივრულად მიმაჩნია და არც სამართლიანად. იქნებ ეს, სწორედ ეს იყო ის ეშმაკი? ეს აზრი ძლიერ მაშფოთებდა. მე არასოდეს არავითარ ძალას არ დავემორჩილები, გარდა საკუთარი გონებისა და ნებისყოფისა. შენთან ცხოვრებამ დამანახა, რომ ჩემს ნებისყოფას რატომღაც ვერ ვამყღავნებ. ჩემთვის ძნელი როდი იყო შენი მორჩილი ვყოფილიყავ, მაგრამ ამისათვის ცოტა რამ მაინც უნდა გვქონოდა საერთო, შენი საქციელის თუნდაც ერთი ნაწილი მაინც ჩამეთვალა მართებულად. ჰოდა, დაუსრულებლივ ვაკეთო ის, რასაც მე თვითონ, ჩემით არ გავაკეთებდი და მხოლოდ იმიტომ, რომ ამას რაღაც უჩინარი ძალა მთხოვდა, არ შემეძლო. აი, ამან მაიძულა ჩავფიქრებულიყავი და ბოლოს ის გადაწყვეტილება მიმეღო, რომელსაც ასე ვერიდებოდი.

ომერ, რომ ვიცოდე, პატარა გავლენას მაინც მოვახდენ შენზე, უთუოდ დავრჩებოდი. ნუ უარყოფ და ნურც იფიქრებ, რომ ვცდები! არც ჩემმა სიყვარულმა და არც ჩემმა ზემოქმედებამ ოდნავადაც არ შეგცვალა. ჩემთან ყოფნისას შენ იყავი ამქვეყნად ყველაზე კარგი, ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე გონიერი კაცი, მაგრამ საკმარისი იყო, მომშორებოდი, რომ კვლავ ადრინდელ ომერად იქცეოდი, იქნებ უარესადაც კი, რადგან გიჯავრდებოდი, უთუოდ გეგონა, მორჩილებას გთხოვდი. დრო გადიოდა და ჩვენი ცხოვრება უკეთესობის მაგივრად უარესდებოდა. ვიჯექი შენს გვერდით, შემოგცქეროდი თვალებში და ვგრძნობდი, რომ გულგრილი იყავ ჩემს მიმართ... ვინ იცის, იქნებ შენ და შენს ირგვლივ შემოკრებილი ადამიანები მართალნიცა ხართ, იქნებ ადამიანის ასამაღლებლად საჭიროა გახდე ისეთი, როგორიც თქვენა ხართ. როგორ არ ვეცადე, მაგრამ ასეთი ცხოვრება მაინც ვერ მოვიწონე, ვერა გავუგე რა — იქნებ იმიტომაც, რომ ვერავითარი განსხვავება ვერ ვნახე ამ ცხოვრებასა და იმ უაზრო არსებობას შორის, რომელსაც მამაჩემის ოჯახსა და სკოლაში

ვეწეოდი. ვიცი: ცხოვრების უცოდინარი და არც თუ ჭკვიანი გოგო ვარ! მაგრამ განა ეს ხელს შემშლიდა დამენახა რაიმე კარგი, ჯანმრთელი თუ იგი შენში ან შენს ირგვლივ შემოკრებილ ადამიანებში არსებობდა? განა მე არ მინდოდა ბევრი მცოდნოდა, მესწავლა ფიქრი, დამენახა ის, რასაც ვერ ვხედავდი. მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი თქვენში ვერ ვპოვე. ერთადერთი, რაც თქვენ განსხვავებდათ ჩვენი უბნის ქალებს, დეიდა ემინეს ოჯახსა და იმ წრეს, სადაც მე გავიზარდე, გახლავთ ის, რომ თქვენ უფრო მეტსა და უფრო გაუგებრად ლაპარაკობთ, ვიდრე ისინი. აი, ახლა ვცდილობ გავიხსენო, რა ვისწავლე შენი მეგობრების უამრავი კამათისა და ლექციების შედეგად ამ სამი თვის განმავლობაში, მაგრამ ვერაფერი მომიგონებია.

გარეგნულად შენ სხვების მსგავსი ჩანდი, მაგრამ სულიერად მეჩვენებოდი განსხვავებული და ეს მაკავშირებდა შენთან. მე ვხედავდი, რომ შენ გაღიზიანებდა გარემო, ამხანაგები, რომ არ მოგწონდა ეს ბინძური ჰამქარი. იმედი მქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სულ სხვა ადამიანად გარდაიქმნებოდი, პირველ დღეებში ეს იმედი გამიძლიერდა კიდეც, მაგრამ შემდეგ უკვალოდ გაქრა. მივხვდი, ვერასოდეს ვერ მოიკრებდი გამბედაობას და ვერ შეწყვეტდი ამ ხალხთან, ამ გარემოსთან კავშირს. მე რომ მეთქვა: „ჩამოშორდი ამათ-მეთქი“, შენ უთუოდ მკითხავდი, აბა ვის ვემეგობრო? ვისზე უნდა მიმეთითებინა მე, საბრალო მაჯიდეს? საჭირო იყო უფრო გონივრული და სამართლიანი ცხოვრება, მაგრამ როგორი—თვითონაც არ ვიცოდი. აი, რატომ არ შემეძლო რითიმე დაგხმარებოდი. როცა შინ მომიყვანე, იქნებ მაშინ ფიქრობდი, ყველაფერი ახლებურად წავიდოდა და მე სრულიად ახალ სამყაროს გადავშლიდი შენს წინაშე... მაგრამ იმედი გაგიცრუე მხოლოდ. მე არ შემეძლო შენი ხელმძღვანელი ვყოფილიყავი. მე მხოლოდ მეგობრობას გაგიწევდი ცხოვრების გზაზე, მაგრამ ჩვენ ისიც არ ვიცოდით, თუ რომელი იყო ჩვენი გზა და ამიტომ ერთმანეთის დაბნევა თუ შეგვეძლო, ერთმანეთისათვის ზედმეტ ტვირთად თუ ვიქცეოდით მხოლოდ.

ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს. მე უკვე გითხარი — რომ ვიცოდე, რაიმეში გამოგადგები, ყველაფერს ავიტანდი და დავრჩებოდი, მაგრამ ვხედავ, შენი ხსნა მარტოობაშია. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს მონახავ შენს გზას. ამისათვის კი მარტო უნდა დარჩე. ჩვენ რომ რამდენიმე წლის შემდეგ შევხვედროდით ერთმანეთს, იქნებ სულ სხვაგვარად წარმართულიყო ჩვენი

ცხოვრება, მაშინ კი სიამოვნებით ვივლიდი შენთან, მაგრამ ახლა, მიუხედავად ჩემი შებდამი სიყვარულისა, არ შეძიძლია უნებურად დავემორჩილო იმას, რაც ერასწორად და უაზრობად მეჩვენება, მით უმეტეს, როცა ვიცი, რომ ამას არავისთვის არ მოაქვს სარგებლობა.

მე სულ შენზე ვლაპარაკობ, ომერ. ეს იმიტომ, რომ შენზე მეტს ვფიქრობ, ვიდრე ჩემზე... არ ვიცი, რას გავაკეთებ დღეიდან. თუმცა უფრო სწორად ერთი რამის გაკეთება შემიძლია, მაგრამ არ ძინდა ეს. მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი, ადამიანებისთვის ცუდი რამ არ გამეკეთებინა, უსამართლოდ არავის მოვქცეოდი. სხვების მიმართ ჩადენილ უსამართლობას საკუთარ შეურაცხყოფად მივიჩნევდი. მე გამიჭირდება, გამიჭირდება, რადგან ასეთი რამ არ დაძმსახურებია, ეს ძნელი და გამოუსწორებელი ნაბიჯია, მაგრამ რა გაეწყობა? შენ რომ გამოგყევი, ყველაფერი მივატოვე, ყველას ზურგი ვაქციე. ღმერთმა უწყის რა შემოგწირე მსხვერპლად. დეიდა ემინეკიბესთან რომ დამხვდი, მთელს ჩემს წარსულ ცხოვრებასთან უკვე გაწყვეტილი მქონდა ყოველგვარი კავშირი. დეიდაჩემის სახლიდან ქუჩაში ისე გამოვვარდი, რომ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ბალექესირში, ჩემს დასა და მის ქმართან დაბრუნება ჩემთვის შეუძლებელი იყო. უბედურებაში ჩავვარდი, მაგრამ სულში იმედის ნაპერწკალი მენთო და მის არსებობას საკუთარ თავსაც კი ვუმალავდი. თითქოს ადრევე ვიცოდი, კართან რომ დამხვდებოდი, არც ოთაფერზე ძიფიქრია, არც იმისათვის გამიწევია ახგარში, თუ რას იფიქრებდი ჩემზე, ავდექი და გამოგყევი. სიხარულითა და იმედის რწმენით გადავდგი ქალიშვილისათვის ძნელად გადასაწყვეტი ნაბიჯი და ახლა არც ვნანობ, ძალას არავინ მატანდა. ისე მოვიქეცი, როგორც საჭიროდ ჩავთვალე. მაგრამ ახლა? აქედან რომ გავალ რომელი ომერი მელოდება კართან? ღამით, ჩაბნელებულ ქუჩებში ვინ დამიწყებს ლაპარაკს თავის სიყვარულზე? შენ, ომერ, ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღე, ყველაზე ბედნიერ დღედ მიქცია. მოგყვებოდი და არ ვიცოდი სად, მოგყვებოდი კაცს, რომელსაც თითქმის არ გიცნობდი. ჩემს სულში ატეხილი დაუოკებელი სურვილი გამბედაობას მმატებდა. ჰოდა, აი, ახლა კვლავ მივდივარ, საით? არც ჩემოდახი მიმაქვს, თან და არც რაიმე ბარგი. იქ, სადაც ახლა ვაპირებ გაძგზავრებას, უპერანგოდაც შეიძლება წახვიდე. უკანასკნელ წუთამდე მექნება იმედი, შევეცდები ჩემში მოვნახო ძალები და თავი დავირწმუნო, რომ ვიდრე ეს საშინელი უსამართლობა მოხდებოდეს, ყველაფრის შეცვლა შეიძლება.

ერთ რამესა გთხოვ, ომერ. შენ ხედავ, თუ როგორ მშვიდად და გონივრულად ვწერ. ნუ დაიდანაშაულებ თავს ჩემი ასეთი ხვედრის გამო. ჩემს წინაშე კი არა, საკუთარი თავის წინაშე ხარ დამნაშავე, შეეცადე გამოასწორო ყველაფერი და დაიწყო ახალი ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, თუ მარტო დარჩები, ამას მოახერხებ. თუმცა ძარტოობა არც ისე აუცილებელია. იქნება შეგხვდეს ცხოვრებისმცოდნე, ძლიერი ბუნების ამხანაგი ან გულისწორი, რომელიც ხელს მოგკიდებს და გზას გიჩვენებს. მე კი უბედური შემთხვევის მსხვერპლად ჩამთვალე. განა შენ დამნაშავედ ჩათვლიდი თავს, ავტომობილი რომ დამჯახებოდა, ნავი გადამბრუნებოდა, ან იმ ხეს, რომლის ქვეშაც ვიდექი, მეხი დასცემოდა? ახლაც ასეთივე უბრალო ხარ. ის კი არა, ჩემს თავს ვთვლი ცოტა დამნაშავედ, რადგან ვიცი, რომ ბევრ რამეს ჩემი ხათრით აკთებდა. მე რომ არა, შენ ალბათ, ასე არ გაგაწამებდა უფულობა, არც მოლარეს მოექცეოდი ასე, არ მოისურვებდი სხვა ქალს, იმიტომ რომ ერთს უკვე დაუკავშირდი. ამაზე არაფერი მინდოდა დამეწერა, მაგრამ სიტყვები თითქოს თავისთავად გამირბიან, არ გაივლიდი ქუჩის ქალთან“.

მაჯიდემ ფანქარი ნელ-ნელა დადო მაგიდაზე და კბილები ერთმანეთს დააჭირა. თავის შეკავება უკვე აღარ შეეძლო. თავი ქაღალდზე დადო და აქვითინდა.

გავიდა ოცი, იქნებ ოცდაათი წუთიც. ტიროდა ჩუმად, უხმოდ, ისე როგორც სამი თვის წინ, როცა მამის სიკვდილი გაიგო.

ბოლოს თავი ასწია, ღაწვები ხელისგულით მოიწმინდა, კვლავ ფანქარი აიღო, უკანასკნელი სტრიქონები წაშალა და სწრაფად უსწორმასწორო ხელით განაგრძო:

„კიდევ ბევრი რამის დაწერა შემეძლო... მაგრამ რა აზრი აქვს? საათობით რომ ვილაპარაკოთ, ყველაფერს მაინც ვერ ვიტყვით. და მაინც ცოტას ვლაპარაკობდით შეუღლების შემდეგ. რატომ ვიყავით ასე? ნუთუ არაფერი გვქონდა ერთმანეთისათვის გასაზიარებელი? რატომ არ ვლაპარაკობდით ჩვენს გულისტკივილზე? იქნებ ამას რაზე შეეცვალა...

კმარა, ომერ! არ გიბრაზდები, რადგან ძალიან კარგად გიცნობ და თანაც... მიყვარხარ! სადაც არ უნდა წავიდე, ამ სიყვარულს თან წავიღებ... მშვიდობით! გიკოცნი ლამაზ ტუჩებს... ნუ გამიჯავრდები, სხვანაირად მოქცევა მე არ შემეძლო. მშვიდობით!“

ღაწვებზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ქაღალდებს თა-

ვი მოუყარა და ლამპის მოწითალო შუქით განათებულ ოთახს მოავლო თვალი. მაჯიდეს არასოდეს ჰყვარებია ეს ოთახი და მისი მოწყობილობა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ ყოველი ნივთი, თვით ქონიანი ხელით გათითხნილი ფარდებიც კი ძალზე ძვირფასი იყო მისთვის. ასე ეგონა, თითქოს ყოველი საგანი აკავებდა და დარჩენას თხოვდა. კუთხეში სადილობის შემდეგ დარჩენილი ჩაის ჭიქა იდგა, რომელსაც ბუზები დასეოდა. ბუზები ხან მაღლა აფრინდებოდნენ და ხანაც ძირს ეშვებოდნენ. მთელი მონდომებით წუწნიდნენ ჭიქის ძირზე დარჩენილ შაქარს. მაჯიდეს თვალი გაუშტერდა. ჩაფიქრდა.

ქალის ტუჩები ჩურჩულით იმეორებდნენ ერთსა და იმავე კითხვას: „რატომ, რატომ?“ ვის სჭირდებოდა ყველაფერი ეს? რა ჩაიდინა, რომელი შეცდომის საზღაურს იხდის ახლა? უცებ მოეჩვენა, რომ წერილი არც თუ ისე გულწრფელი გამოუვიდა, როგორც მას სურდა... არა! იგი ომერზე გაბრაზებული იყო. ან კი როგორ არ უნდა გაბრაზებულიყო? რატომ მოიქცა ასე ბავშვურად და უჭკუოდ? ის ხომ მაჯიდეზე გაცილებით უფროსი, უფრო განათლებული და გამოცდილი იყო, თანაც მამაკაცი, მას მაჯიდეზე მეტი ენახა! ან როგორ დაუშვა, რომ მის ქარაფშუტობას სხვა ადამიანის ცხოვრების განწირვა მოჰყვა? მაჯიდე ისე ფიქრობდა თავის თავზე, როგორც უცხოზე, თითქოს უსამართლობისაგან უნდა დაეცვა ომერი.

მერე მოეჩვენა, რომ წერილის ერთი ადგილი არც თუ გულწრფელი იყო... მაგრამ მეტის გაფიქრება ვეღარ მოასწრო, კიბეზე ვილაცის ჩქარი ნაბიჯის ხმა გაისმა. მაჯიდემ წერილს ხელი წაავლო და საბნის ქვეშ დამალა.

თ ა ვ ი XXVII

კარი გაიღო და ოთახში ფერწასული ბედრი შემოვიდა. ასე აღელვებული მაჯიდეს არასოდეს ენახა თავისი ყოფილი მასწავლებელი. ბედრი ყურადღებით ჩააცქერდა მაჯიდეს და წარმოსთქვა:

— თქვენ ტიროდით, მაშ უკვე ყველაფერი იცით!

ქალი ვერაფერს მიუხვდა. რასაკვირველია, ბედრი იმიტომ არ მოვიდოდა ეთქვა, ომერი ვილაც ქალთან ერთად კინოში შევიდაო.

— ნერვიულობა არაფერს გარგებთ! — განაგრძო ახალგაზრდა კაცმა, — ყველაფერი მშვიდად უნდა ავწონ-დავწონოთ და რაღაც

მოვიფიქრეთ. დარწმუნებული ვარ, ომერი აქ არაფერ შუაშია, ასეთ საქმეებში იგი არც ერეოდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი იმ ძაღლიშვილი ნიჰადის ბრალია.

ნიჰადის სახელის გაგონებაზე მაჯიდე თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, რაღაც საშინელის წინათგრძნობით ბედრის მიუახლოვდა.

— არაფერი მესმის, რა შუაშია ნიჰადი? რა მოხდა? მე არაფერი ვიცი!

—არაფერი იცით? მაშ რად სტიროდით? ნუთუ ჯერ არაფერი გაგიგიათ? თუმცა საიდან გაიგებდით... ეს ამბავი ხომ ამ ორი საათის წინათ მოხდა.

მაჯიდე უფრო აფორიაქდა:

— ღვთის გულისათვის, ჩქარა მითხარით, რა მოხდა, ომერს ხომ არაფერი შეემთხვა?

— დიახ, იგი დააპატიმრეს სწორედ კანტორიდან გამოსვლისას. დაპატიმრებულია აგრეთვე ნიჰადი და მისი ძმაბიჭები. პროფესორი ჰიქმეთიც წაიყვანეს, მაგრამ რაღაცნაირად გამოძვრა, ყოველ შემთხვევაში, ახლა თავისუფალია, ალბათ, გავლენიანი მეგობრები თუ დაეხმარნენ!

მაჯიდემ სკამის ზურგს ჩაავლო ხელი.

— რატომ დააპატიმრეს, მოლარის საქმეზე?

— რომელი მოლარის? — კითხვას კითხვითვე მიუგო ბედრიმ, მაგრამ უმალვე მოლარის შესახებ ომერის მიერ ერთხელ მონაყოლი ამბავი გაახსენდა.

— ვინ გითხრათ, რომ დააპატიმრეს ან რა მიზეზით, ახლა სად არის, ნახვა შეიძლება? — კითხვას კითხვაზე აყრიდა მაჯიდე.

ბედრიმ სკამი დაუდგა.

— დაჯექით და ნუ იღელვებთ. ახლა პოლიციაში არიან. უთუოდ დილამდე იქ ეყოლებათ. ნახვის უფლებას ალბათ, ჯერ არ მოგცემენ, თუმცა არც არის საჭირო. ჯერ გავიგოთ, რატომ დააპატიმრეს, ამ საქმეს მე მივხედავ. ეს ყველაფერი ნიჰადის მეგობარმა მიამბო და მაშინვე აქეთ გამოვეშურე. პროფესორის განთავისუფლების ამბავიც იმან მითხრა:

ბედრი გაჩუმდა, ქალს თვალებში ჩააცქერდა და განაგრძო:

— ყველაფერი ეს სრულიად მოულოდნელად და ძალიან ცუდად გამოვიდა. წუხელ სად იყავით? ნიჰადი თქვენთან იყო? რა-

საკვირველია, არა, ისინი ხომ ბაიაზეთთან შეუმჩნევლად ჩამორჩნენ ყველას. რამდენიმე უმაწვილი ახლდა თან. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოლარის საქმე აქ არაფერ შუაშია. ამ ამბის მთხრობელი ბიჭი გადაკვრით ლაპარაკობდა რაღაც იდუმალ საქმეებზე, მათი დაპატიმრების მიზეზიც უთუოდ ის საქმეებია, მაგრამ ისეთი რა უნდა ჩაედინათ? თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ომერს სხვა საქმეში ხელი არ ურევია?

— ნიჰადს ხშირად მოჰყავდა თავისი ძმაბიჭები, მაგრამ გარდა უაზრო კამათისა, არაფერი შემინიშნავს.

— კარგი, ყველაფერს გამოვარკვევთ. მე რომ დარწმუნებული ვიყო, თქვენ არ იღალვებთ და მშვიდადაც იქნებით, ახლავე წავიდოდი ამბის გასაგებად, მაგრამ თქვენი მარტო დატოვება მეშინია...

მაჯიდემ გაიღიმა, თითქოს ამბობდა საშიში არაფერიაო, და თავი გაქნია.

— მაშ კარგი, რახან ასეა, წავალ, — თქვა ბედრიმ, — მელოდეთ, თუ ძლიერ შემაგვიანდება, მაშინ ხვალ დილით მოვალ. ქალაქის ძველ უბნებში გავივლი, შევეცდები ნიჰადის მეგობრები მოვნახო, თუ ყველა არ ჩაუსვამთ, იქნებ რაიმე ამბავი დავტყუო. ნახვამდის!

ბედრიმ ხელი გაუწოდა ქალს, მათ ერთმანეთს ჩახედეს თვალებში. მაჯიდეს სურდა ეთქვა, „მე გენდობითო“, მაგრამ იგრძნო, რომ ბედრის გამოხედვა სხვა უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს გულისხმობდა.

ბედრი სირბილით დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გავარდა.

მაჯიდე გაშეშებულივით იჯდა, ფიქრის თავიც აღარა ჰქონდა. მხოლოდ ახლა იგრძნო, როგორ დაიმონა წუხანდელს აქეთ მომხდარმა ამბებმა. ოთახი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აკავებდა კიდეც, ახლა ვიწრო ეჩვენებოდა, სული ეხუთებოდა, თითქოს ფანჯრებს მილმა დიდი და უსასრულო ცა კი არა, ბნელი და ყრუ ჭა ყოფილიყოს. რეტდასხმული ბუზები, აქამდე შაქარს რომ წუწნიდნენ, ახლა მუშამბას მოსდებოდნენ. მაჯიდე მორიალე ბუზებს შესცქეროდა და ფიქრობდა: „თუ ამ მწერებს აქვთ ცხოვრების უფლება, რატომ მე არა მაქვს, რატომ?“ მაჯიდეს აღარ სურდა ეცქირა მათთვის, უნდოდა გაქცეოდა ამ ოთახს, წასულიყო სადმე, სადაც თავისუფლად სუნთქვა შეეძლებოდა.

მაჯიდემ შუქი ჩააქრო და ქუჩაში გამოვიდა. ადამიანების დანახვაც არ უნდოდა, მაგრამ სინათლით გაჩახჩახებული პროსპექტი ხალ-

ხით იყო სავსე. ქალი შიშლისაკენ გაემართა. ისეთი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თითქო სადმე ეჩქარებაო. თეთრშარვლიანმა უსაქმურებმა, გვიან ღამით ქუჩაში მარტო მიმავალი ქალი რომ დაინახეს, მასთან გაბაასება და აკიდება სცადეს, მაგრამ მაჯიდემ უფრო აუჩქარა ნაბიჯს და იმათაც თავი ანებეს. ესენიც გმირები არიან რაღა! ქალის დაუფლების საცდელად ჩქარა სიარული და მოსალოდნელი გაოფლიანებაც შრომის დიდ დახარჯვად მიაჩნიათ.

მაჯიდე თავისუფლების ძეგლისაკენ მიმავალ შარაგზაზე გავიდა. სწრაფად სიარულმა და სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა. უკან დარჩა ქალაქის შენობები, წინ ქალაქგარეთა რესტორნების რეკლამები ბრჭყვიალებდნენ, გზის პირას, ბალახზე ჩამოჯდა.

ნიაღვარივით მოვარდნილმა აზრებმა საშინლად ააფორიაქა ქალი. „კინაღამ საშინელი უსამართლობა ჩავიდინე! მადლობა ღმერთს, რომ წერილი ისევ მე მაქვს! სახლში მისვლისთანავე ნაკუწ-ნაკუწ დავხევ. ვიღაც კაცი ომერს როგორ მივამსგავსე? თუშცა იმ კაცს კოსტიუმი, შლაპა, სიარული, ლაპარაკის მანერა თავის გვერდზე გადახრა, ძალიან მიუგავდა ომერს, მაგრამ ნუთუ ყველაფერი ეს საკმარისია, რომ ვიღაც კაცი შენ ქმრად მოგეჩვენოს? ეს იმას ნიშნავს, რომ მე დასაშვებად ვთვლიდი ჩემი ქმარი ასეთ ქალს გვერდით გაჰყვებოდა. წამითაც კი არ დავეჭვებულვარ. რატომ, ნუთუ ასეთი აზრისა ვარ მასზე? შეიძლება ასეც იყოს. წერილი კი დაუყოვნებლივ უნდა დავხიო. რა სირცხვილსა ვჭამ, ომერს რომ ჩაუვარდეს ხელში! სირცხვილსა ვჭამ? რატომ? ამაზე ხომ წერილში არაფერი მაქვს ნათქვამი: ასე მახსოვს, ერთ ადგილას გაკვრით დავწერე, მაგრამ მერე წავშალე. რომც არ წამეშალა, ომერი მაინც ვერაფერს მიხვდებოდა. რისი უნდა მცხვენოდეს? არაფრისა, მაგრამ წერილი მაინც ახლავე უნდა დავხიო.

კი მაგრამ, განა ყველაფერი, რაც მე დავწერე, სიცრუეა? მე ხომ საერთოდ ჩვენს ცხოვრებაზე დავწერე და არა ამ შემთხვევაზე? ვიღაც კაცი რომ ომერად არ მომჩვენებოდა, განა არ შემეძლო ასეთივე წერილის დაწერა და წასვლა? მე უბრალოდ ჩვენი ერთად ცხოვრების სამი თვე შევაჯამე... დიახ, არც არაფერი მიმიმატებია და არცა რა დამიკლია რა... ჩემი შეცდომა. თვით ომერის დაპატიმრებაც ვერაფერს შეცვლის. განა ამით ჩვენ ან ჩვენი ამბები შევიცვალეთ. განა ომერის დაპატიმრება ჩემი მოსაზრების დადასტურება არ არის? განა ეს იმაზე არ ლაპარაკობს, საით მიექანება, უფრო სწრ-

რად საითკენ უბიძგებენ? მისმა დაპატიმრებამ შემაძრწუნა... მეცოდება, მაგრამ განა ამ თანაგრძნობას ძალუძს, კვლავ დაგვაკავშიროს? განა მე მჯერა, რომ კვლავ შევძლებ მის ცოლობას? ბოლომდე გულახდილი უნდა იყო, ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული... არა, არა მჯერა... ოღონდაც, მაშ, ყველაფერი დამთავრებულია".

მაჯიდემ განაწყენებული ბავშვივით, ძლიერად ამოიოხრა. მერე გონებაში კვლავ აერია ათასგვარი ფიქრი: სწორედ ბედრის მოსვლის წინ მომეჩვენა, რომ წერილში, ერთ ადგილას არცთუ ისე გულწრფელი ვიყავ. მაინც რომელი ადგილი იყო. ჰო, გამახსენდა: მე დავწერე, რომ ისე როგორც დეიდა ემინეს სახლიდან წამოსვლისას, აღარაფრის იმედი აღარა მაქვს და არაფერი მმატებს გამბედაობას-მეთქი. არა მქონდა რაიმეს იმედი? მაშ, რატომ დავწერე უკანასკნელ წუთამდე, ვიმედოვნებ-მეთქი. ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი უცებ შეიცვლებოდა. დავუშვათ... ოჰ, არა! ბოლომდე, გულწრფელი უნდა ვიყო, საკუთარ თავთანაც კი. ვთქვათ, ბედრი... განა ამ სტრიქონების წერისას სრულებით არ მიფიქრია ბედრიზე, არა მყოლია მხედველობაში? თუ მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა მოვიდა და მითხრა, ომერი დაპატიმრებულიაო. შეიძლება მხოლოდ მაშინ. მე მგონი, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, ბედრიზე არ ვფიქრობდი. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ახლა რაღას ვფიქრობ მასზე ამდენს? წუხელ, განშორებისას, ბედრიმ მითხრა, ყოველთვის მზადა ვარ დაგეხმაროო. რა იცოდა, რომ გამიჭირდებოდა, როგორ ხვდებოდა? რა გულისხმიერი კაცია, ჩემი უბედურებით ჩემზე არანაკლებ არის დანაღვლიანებული. მის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, გაიხარებდა. ნუთუ ცოტა მაინც არ ესიამოვნა? ყოველ შემთხვევაში, მას არაფერი ემჩნევა. თავისი გრძნობების დაფარვა ნამდვილად არ ეხერხება. რა კარგი ლაპარაკი იცის! იმ საღამოს ქველმოქმედების საზოგადოებაში... ნუთუ ის ამბავი მხოლოდ გუშინ იყო? სწორედ ამ დროს... ასე მგონია, რომ თვეები გავიდა... ვერც ერთმა იმ ცნობილმა და დიდმა მოღვაწემ ვერ მოახერხა ბედრის გაცურება. მაშასადამე, ყველა ისეთი როდია, ყველას როდი მოსწონს ისინი. კარგად და სწორად ლაპარაკობდა გუშინ ბედრი. იქნებ მან იცის ის, რაც არ ვიცით ჩვენ. ცხოვრება სულ სხვაგვარი უნდა იყოს და არა ასე ცარიელი და უაზრო. ბედრიმ იცის, როგორი უნდა იყოს ცხოვრება. თუ ბედრიმ იცის, რომ აუცილებელი არ არის ისე ცხოვრობდე, როგორც ცხოვრობენ დეიდა ემინეს ოჯახში, ჩვენი მეზობლები ბალიქესირში, როგორც ცხოვრო-

ბენ ისმეთ შერიფი და პროფესორი ჰიქმეთი, მაშასადამე, მან იცის, როგორ მიაღწიოს გონივრულ და ჭეშმარიტად ადამიანურ ცხოვრებას. რა შესანიშნავი ადამიანია! თვითონ მას რამდენი საზრუნაო აქვს, მაგრამ საკუთარ თავს მაინც არასდროს ღალატობს, ყოველთვის მშვიდად იტანს ისეთი მეგობრის უგუნურ გამოხდომებს, როგორიც ომერია. მეც როგორ გულწრფელად მექცევა. ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ მას შეუძლია აზროვნება, გრძნობა. შეუძლია თავისი აზრები აწონ-დაწონოს. მერე კი ისე მოიქცეს, როგორც გადაწყვეტს. არასოდეს ომერზე ცუდი არაფერი წამოცდენია და ჩემთან მის ამხანაგად ეჭირა თავი. კიდევ ერთი ძვირფასი თვისება აქვს და მისი ეს თვისება დღითი დღე უფრო მომწონს — არასოდეს ცდილობს თავი რამედ მოგაჩვენოს, წარსულზე საუბარს არ გაურბის მის დავიწყებას არ ცდილობს, თანაც არასოდეს არ უცდია, ეს მეგობრობა და ნდობა საკუთარი ფარული მიზნებისათვის გამოეყენებინა".

მაჯიდე წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გაემართა. შეიძლებოდა ბედრი მოსულიყო და ის სახლში არ დახვედროდა, მაგრამ ასე რა აჩქარებდა სახლში, ბედრის მოტანილი ამბის გაგება, თუ თვით ბედრის ნახვა? ნებისყოფის დიდ დაძაბვად დაუჯდა ამ კითხვის გულშივე ჩაკვლა.

ბედრი მხოლოდ მეორე დღის ნაშუადღევს გამოჩნდა. მაჯიდე მთელი ღამე ღელავდა და თითქმის არ ეძინა. ომერთან ერთად ცხოვრების მანძილზე ამ ღამეს პირველად იწვა მარტოკა. ტანსაცმელი არ გაუხდია, ისე მიწვა. დროდადრო ჩათვლემდა ხოლმე, მაგრამ საკმარისი იყო ქუჩიდან ოდნავი ხმაურის გაგონება, რომ იმ წუთში შეშფოთებული წამოსწევდა თავს. ბოლოს, როგორც იქნა, გათენებისას ჩაეძინა და თითქმის ერთი საათი ეძინა.

ყვირილმა გამოაღვიძა. მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან ვიღაც ქალი მემწვანილეს ეძახდა. ამ წუთიდან მოყოლებული ლოდინი წამებად ექცა. დროის გაყვანის მიზნით ოთახის მილაგება დაიწყო. სუფრა დაფერთხა. საშზარეულოში მთელი ჭურჭელი გარეცხა. სარკიან კარადაში თეთრეული გადაალაგა. ომერის პერანგითა და წინდით ხელში დიდხანს ფიქრობდა რაღაცაზე. ოთახში ფანჯარასა და კარს შორის ბოლთასა სცემდა. მერე მაგიდაზე ავიდა და აბაჟურს მტვერი შემოაცალა. კვლავ ფანჯარასთან მივიდა, წელამდე გადაიზნიქა და ქუჩა მოათვალიერა.

ლოდინი და მღელვარება გულს უწიწკნიდა. არც კითხვა შეეძლო და არც ჭამა. ნოტებში ჩაიხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ქუჩაში გამოვარდა. ქვაფენილს ჩქარი ნაბიჯით გაუყვა, იმის მოლოდინში, რომ რომელიმე მოსახვევიდან ბედრი გამოჩნდებოდა. მიუახლოვდებოდა თუ არა მოსახვევს, გულის ცემა აუჩქარდებოდა. ბედრი კი არა სჩანდა და მაჯიდე მხრებჩამოყრილი, გაწბილებული განაგრძობდა გზას, თუმცა შემდეგი მოსახვევის მიახლოებისას კვლავ ევსებოდა გული იმედით.

ქალმა უცებ იგრძნო, უფრო შორს წასვლა აღარ შეიძლებოდა. მოეჩვენა თითქოს ბედრი სულ სხვა გზით მივიდა მასთან სახლში და რომ ახლა ელოდებოდა კიდეც. უკან გამობრუნდა და სახლისაკენ გაიქცა. ბედრი კიდევ არ მოსულიყო, ქალი მაგიდას მიუჯდა და ხელები სანეზე მიიფარა. მერე კი არც შეუმჩნევია, თუ როგორ შემოვიდა ოთახში ახალგაზრდა კაცი.

— როგორა ხართ? დიდხანს გალოდინეთ? — ხმადაბლა და ალერსით ჰკითხა ქალს, თითქოს რცხვენოდა, რომ აწუხებსო.

მაჯიდემ ხელები ჩამოსწია, ფეხზე არც წამომდგარა, ისე დაუქნია თავი. ბედრი ფიქრობდა, ქალი ნამტირალევი დამხვდებაო, მაგრამ მაჯიდე მშვიდად გამოიყურებოდა, მხოლოდ ის იყო, რომ ცოტა შობერებული ჩანდა. ნუთუ ეს მოღლილი სახის ქალი, რომელიც ახლა ბედრის წინ დანჯღრეულ სკამზე იჯდა და გაღიმებას ცდილობდა, იყო ის გოგონა, რომელსაც ორი წლის წინათ ბედრი სერიოზულ, კეთილ და უთქმელ, მაგრამ მკვირცხლ მოსწავლედ იცნობდა? მისი ხვეულ თმიანი თავი, რომელიც უწინ მუდამ ამაყად ეჭირა, ახლა ხან აქეთ ექინდრებოდა და ხან იქით. წინათ ეს თვალები ფართოდ და გაბედულად შესცქეროდნენ ადამიანებს. ახლა კი მოთენთილად გადაჰქონდა ერთი საგნიდან მეორეზე.

ბედრის მოსვლის მიზეზიც დაავიწყდა.

— რატომ იწამებ ასე თავს, ჩემო კარგო? — მიუალერსა ბედრამ.

— დაჯექით, რა მოხდა? სად არის ომერი? ყველაფერი მითხარით! — უთხრა მაჯიდემ და სკამზე მიუთითა.

ბედრი უცებ გონს მოეგო და დაჯდა.

— ყველაფერი ისეა როგორც ვფიქრობდი. ნიჰადთან დაკავშირებული საქმეა, გრძელი ამბავია. პოლიციაში ვიყავი, ნიჰადის მეგობრებსა და ომერს ველაპარაკე და გარკვეულ დასკვნამდე მივედი.

— ომერი ნახეთ?

— დიახ, ახლახან ვნახე, ციხეში გადაიყვანეს.

— ციხეში?

— ნუ ღელავთ, ომერის აზრით, მისი დაპატიმრება შეცდომა და როცა საქმე გაირკვევა, უთუოდ გაანთავისუფლებენ. ომერის გარდა არავის ნახვა არ შეიძლება. ამიტომ, მგონი, არც თუ ისე ცუდად უნდა იყოს საქმე.

— რაო, რა თქვა ომერმა? მე მიკითხა?

ბედრი აღელდა, თითქოს ამ საშიში კითხვის ეშინოდაო.

— დიახ, ყველაფერი ისეა, როგორც ვფიქრობდი.

— ჩემს კითხვაზე რატომ არ მპასუხობთ? ჩემზე გითხრათ რამე?

ბედრი ჩაფიქრდა და ნელი ხმით ჩაილაპარაკა:

— მოდით, ჯერ მთავარს მოგიყვებით და მერე მაგასაც მოგახსენებთ.

პასუხისთვის არც დაუცდია ისე განაგრძო, — თქვენ იცით, რომ ნიჰადმა და მის ირგვლივ შემოკრებილმა ბიჭ-ბუჭა სტუდენტებმა თავიანთი ახალგაზრდობითა თუ გამოუცდელობით მომავალი ცხოვრების უკეთ მოწყობა მოისურვეს. ამ სურვილით ანთებულებმა გადაწყვიტეს სამშობლოს სიყვარული თავიანთ მონოპოლიად გამოეცხადებინათ და ბროშურებისა და ჟურნალების გამოცემა იწყეს. ეს ბროშურები და ჟურნალები მუდამ გინებითა და ცილისწამებით იყო აღსავსე. პირველად ამას არავინ მიაქცია ყურადღება. გზას აცდენილი უმიზნო ახალგაზრდების სიფიცხედ ჩათვალეს, მაგრამ უკანასკნელ ხანს მათმა მუშაობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. ეს ამბავი ყველას და მათ შორის მეც, უცებ მოგვხვდა თვალში. ამ გულადებმა, რომლებიც წინათ მიჩვეული იყვნენ თავიანთი ფრაზების ხმამაღლა გამოთქმას ყავახანებში, გემბანებსა, თუ ქუჩებში და თავიანთი ნათქვამის დასაცავად მუშტებს იქნევდნენ, ახლა რატომღაც კონსპირაციის თამაში დაიწყეს და ჩუმ-ჩუმად ფუსფუსებდნენ. ხან წყვილად, ხან სამ-სამად ყავახანაში იყრიდნენ თავს და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. ამ დავასა და კამათში თუ ვინმე მათ შეხედულებებს დასცინებდა, ისინი თვითდაჯერებული ღიმილით პასუხობდნენ, თითქოს ამბობდნენ: „დაგვაცადეთ, დრო მოვა და გიჩვენებთ სეირსო“. ბოლოს ავანტურისტებსა და საეჭვო ხალხს დაუმეგობრდნენ, რომელთა საქმიანობის ხასიათი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამათ შორის იყო ის თათრული ფიზიონომიის მქონე კაცი,

დღემუდამ ნიჰადს რომ დასდევდა. ისიც დაპატიმრებულია... მოკლედ რომ გითხრა, ეკზალტირებული ჭაბუკები მათთვის დაგებულ მახეში გაებნენ. ზოგიერთმა არც კი იცოდა, რას აკეთებდა. ეგონათ საკუთარ აზრებს ვქადაგებთო, მაგრამ სინამდვილეში, როგორც საბრალო თოჯინები, დასავლეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ბარბაროსულ იდეებს თარგმნიდნენ თურქულ ენაზე. ცრუ თვალთმაქცურ მსოფლმხედველობას იცავდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რომ საკუთარ თავს, ერსა და კაცობრიობას უთხრიდნენ საფლავს. ბოლოს ისეთი საქმეების კეთება დაიწყეს, რასაც, შეიძლება სამშობლოს გამყიდველობა დაარქვას კაცმა. აღმოჩენილი მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ადგენდნენ იმ ადამიანების სიას, რომლებიც მათ აზრებს არ ეთანხმებოდნენ. შემდეგ ამ სიას ვიღაც უცნობ პირებზე ყიდიდნენ ხოლმე. ამ სიაში შეჰქონდათ არა მხოლოდ პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულების მქონე, არამედ სხვა რასისა და სისხლის ადამიანებიც. იკვლევდნენ მათ გენიალოგიას. დაგროვილი ფული რაღაც ავაზაკურ საქმეებს ხმარდებოდა, ამ ფულით მხოლოდ მეთაურები ითბობდნენ ხელს. დანარჩენებს კი მუქთად აყვირებდნენ. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამიტომაც გახდა ცხობილი ყველაფერი. რამდენიმე ახალგაზრდა იდეალისტი მიხვდა, რომ მეთაურები ფულს ჯიბეში იდებდნენ და მათ არაფერსაც არ აძლევდნენ. ყველანი გასცეს. ხედავთ, რა საზიზღარი საქმეებია? მე არ მგონია, რომ ომერს რაიმე კავშირი ჰქონდეს მათთან. იგი უბრალოდ მოლარის იმ ორას ორმოცდაათი ლირის გამოა შეშინებული, რომელიც ნიჰადს დაუტოვა. შეშინებული კი არა, უფრო მეტიც, — რაღაც უცნაური გახდა. ამ ერთი ღამის განმავლობაში სულ გამოიცვალა. მოლარის მდგომარეობას უფრო განიცდის, ვიდრე თავისას და სწორედ ეს მაოცებს, მას შემდეგ ხომ თვეზე მეტი გავიდა. ისეთი დაბნეული და უმწეო სახე ჰქონდა, რომ ზოგჯერ ვერც ვცნობდი ხოლმე. როგორც ჩანს, ბევრი რამ ასწონ-დასწონა. მერე... მერე თქვენზე დაიწყო ლაპარაკი...

ბედრის ენა დაება.

— ჩემზე დარდობდა? რაო,რა თქვა?

—მართალი გითხრათ, ვერაფერი გავუგე,—სახე შეეჭმუხნა ბედრის, — როგორც კი თქვენი სახელი თქვა, ჩაფიქრდა. „მაჯიდესთანაც ვერა მაქვს საქმე დაწყობილად“. რა მოხდა-მეთქი, როცა ვკითხე, არაფერი მიპასუხა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

შეგონა, უფრო იღელვებდა. ხომ არ შეშინდა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არა. დაპატიმრება არც ადარდებს, დარწმუნებულია, რომ გაანთავისუფლებენ. იქნებ სწორედ ეს იყოს მომასწავებელი მისი ახალი უფრო გონივრული ცხოვრების დასაწყისისა.

მაჯიდე ბედრის დამტვერილ საყელოს დააცქერდა და ჩაფიქრდა. შუბლს ისე ჭმუხნიდა, თითქოს რაღაც რთული გაანგარიშება გამოჰყავდა. შერე დაჟინებით დააცქერდა და ჰკითხა:

— თქვენი აზრით, ომერი შეიცვლება?

— რა მხრივ უნდა შეიცვალოს, ან რატომ მკითხეთ? — თავი ბარიდა პასუხს ბედრიმ.

— ისე უბრალოდ. თქვენი აზრის გაგება მაინტერესებდა. როგორა გგონიათ?...

— აბა რა ვიცი, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ამისათვის დროა საჭირო.

— დიახ.

მაჯიდე წამოდგა, რითაც ბედრის საუბრის დამთავრება ანიშნა.

— წავიდეთ ომერთან, მე ვგონია, ნახვის ნებართვას მომცემენ.

ბედრიც ამას ელოდა და ორივენი ერთად გამოვიდნენ სახლიდან.

ომერის ნახვა არც თუ ისე რთული აღმოჩნდა. მაჯიდემ შენიშნა, რომ მისი ქმარი ძალიან შეცვლილიყო და მიზეზებს დაუწყო ძებნა. წვერი წამოზრდოდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა, რადგან ომერი თითქმის ყოველთვის გაუპარსავი დადიოდა. რაღაც სხვა რამეს შეეცვალა მისი სახის ნაკვთები და გამოხედვა. ომერმა ჯერ მაჯიდეს გაუწოდა ხელი და მერე ბედრის. შეხვედრებისათვის განკუთვნილ თეთრად შეღებილ ოთახში სულ ორი სკამი იდგა. ომერმა სტუმრებს დაჯდომა შესთავაზა, თვითონ ფეხზე დადგა, მაგრამ ბედრიმ დაჯდომა არ ისურვა.

მაჯიდემ გაიღიმა და ქმარს შეხედა. ომერის სახეზე ოდნავ შესამჩნევმა საპასუხო ღიმილმა გაიელვა და მაშინვე გაქრა. სახის ნაკვთები რაღაც არაბუნებრივად დაემანჭა. მაჯიდეს შეებრალა ომერი.

ორივენი დუმდნენ, ბედრი თავაზიანად გაეცალა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, რომ საუბრისათვის ხელი არ შეეშალა და შორეულ კუთხეში ზედამხედველთან დადგა. მაგრამ არც ერთი — არც ომერი და არც მაჯიდე ერთმანეთს არ მიახლოებიან. ხანგრძლივმა დუმილმა

ორივეს აგრძნობინა, რომ მათი დამაკავშირებელი ძაფი გაწყვეტილია. „ნუთუ არაფერი გვქონდა სალაპარაკო? თავიანი წერილის სიტყვები გააცხენდა მაჯიდეს და სინანულით დასძინა, იქნებ არც არაფერი გვქონდა. იგი უცხოსავით მიყურებს, მეც ასევე ვუცქერი. რატომ მოხდა ასე? ჩვენი გაცნობის დღეს, როცა კარგად არც იცოდა, ვინ ვიყავი, იმდენი ილაპარაკა, არც ენაღვლებოდა, ვუსმენდი თუ არა... ყოველთვის ასე მოსდის, შესანიშნავად იწყებს და დამთავრების თავი აღარა აქვს... იქნებ ეს სიზარმაცის ან ყიდევ იმის ბრალი იყოს, რომ არ იცის, სად წაიყვანს ეს ყველაფერი“.

ბოლოს და ბოლოს რაიმე ხომ უნდა თქმულიყო და მაჯიდემაც იკითხა:

— ძალიან მოიწყინე, აქ როდის მოგიყვანეს?

— მოწყენის დრო სადა მქონდა, გუშინ შუაღამემდე დაკითხვაზე ვიყავი, დილაადრიან კი აქეთ წამომიყვანეს.

— ძალიან გაგაწამეს?

— არა, ძვირფასო! მიხვდნენ, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია. ეს არის, რომ ნიჰადი მეგობრალება. მისმა გულადმა დამქაშებმა ჩამოყარეს ყურები. ყველაფერს ერთმანეთს აბრალებენ. დღეს უკვე ქეციანი ძაღლებივით დაეტაკნენ ერთიმეორეს. აქამდე იძახდნენ, გმირები ვართო, მეგობრობისა და საერთო მიზნისათვის თავს გავწირავთო, ახლა კი საკუთარი ტყავის გადასარჩენად ერთიმეორეს ჰყიდიან, პირდაპირ საცოდავი სანახავები არიან.

მაჯიდე ყურადღებით უსმენდა ქმარს და ფიქრობდა: „ნუთუ მეტი არაფერი გვაქვს სალაპარაკო?“, მაგრამ ეს მხოლოდ ქალის ბრალი როდი იყო. ომერს შორს ეჭირა თავი და გვერდს უვლიდა ყველაფერს, რაც მხოლოდ მათ, ამ ორ ადამიანს ეხებოდა. ამან არ გაანაწყენა მაჯიდე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ განა ადვილი შესაგუებელი იყო იმის შეგრძნება, რომ ომერს განშორება სურდა. თანაც რა უფლება აქვს გაუბრაზდეს ქმარს, ან თუნდაც მისი საქციელი გაუკვირდეს? კაცი, რომელიც უწინდებურად იჯდა მის გვერდით, შუბლზე თმა ჩამოყროდა, პატარა მოეღვარე თვალებით რქით-აქეთ იმზირებოდა და ტუჩებიც ლამაზად მოებრიცა, სრულიადაც აღარ აღუძრავდა მაჯიდეს ადრინდელ გრძნობებსა და სურვილებს. იგი თავაზიანი ყურადღებით უსმენდა ქმარს, როგორც შორეულ ნათესავს ან ახლადგაცნობილ მეგობარს. უსმენდა და ვერაფერს საერთოს პოულობდა იმ ომერთან, რომელიც ჯერ კიდევ უყვარდა.

რომელიც კიდევ ცოცხლობდა და, ალბათ, მუდამ იცოცხლებდა მასში.

შეხვედრის დრო ამოიწურაო, ანიშნეს ზედამხედველებმა და ისინიც ძალიან მშვიდად, მეგობრულადაც კი დაშორდნენ ერთმანეთს. ომერმა კარამდე მიაცილა ორივე. მაჯიდემ ომერის სახეზე კვლავ შენიშნა ღიმილის მსგავსი რაღაც, რომელიც გრიმასას მოაგონებდა. ეს ღიმილი დიდხანს ვერ ამოიგდო თავიდან.

თ ა ვ ი XXVIII

მაჯიდე საპატიმროში კვირაში ორჯერ ნახულობდა ომერს. მოდიოდა ყოველთვის ბედროსთან ერთად. ქალს სულში კვლავ ერთმანეთის მოწინააღმდეგე გრძნობები იბრძოდნენ, რომლებშიც ვერაფრით ვერ გარკვეულიყო. როცა მარტო რჩებოდა და ქმარს არა ხედავდა, ფიქრობდა, რომ კვლავ უყვარდა იგი, თუმცა ერთად ცხოვრებას უკვე შეუძლებლად მიიჩნევდა. ხოლო როცა ომერს შეხვდებოდა, გრძნობდა, რომ მის საყვარელ ადამიანსა და ამ ომერს შორის არაფერი იყო საერთო. ამავე დროს იმასაც გრძნობდა, რომ ახლა, ასეთ გასაჭირში ომერის მიტოვება არ შეიძლებოდა და მისი განთავისუფლების შემდეგ ცოტა ხნით კვლავ უნდა გაეგრძელებინათ ძველებური ცხოვრება.

უკვე ორი კვირა გავიდა. წინასწარი გამოძიება გრძელდებოდა. ბედრი ამბობდა, ყოველ დღე ახალი ამბები აშკარავდებაო. საერთოდ, ეს საქმე არცთუ ისე მნიშვნელოვანი და სერიოზული გამოდგა. ათმაოთხუთმეტმა უგუნურმა ყმაწვილმა მყვირალა ფრაზებითა და დემაგოგიური სტატიებით კარიერის გაკეთება, დიდი პოსტების ხელში ჩაგდება მოიწადინეს. ისინი გახდნენ ბრმა იარაღი ავანტურისტთა და გამყიდველთა ხელში. თითოეული ეს მშიშარა უვიცი დიდების მანიას შეეპყრო. საკუთარ თავზე გენიალური ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, პოეტი, პოლიტიკოსი და ახალგაზრდების ბელადი არავინ ეგონათ. ახლა ისინი სასამართლოს გამომძიებლის წინაშე ცრემლებს ღვრიდნენ. თავიანთ გასაჭირს ჟანდარმებს უზიარებდნენ, ზედამხედველებს დახმარებას სთხოვდნენ და თანამონაწილეთა დაბეზღებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამით გამოძიებას დაპატიმრებულ მეგობართა შესახებ ბევრი ისეთი ბოროტმოქმედება აცნობეს, რაც მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ.

მაჯიდე ყოველივე ამას ბედრის საშუალებით გებულობდა. ამ ბოლო ხანს ომერი აღარაფერს აღარ ჰყვებოდა. ან მეჯიდეს შესცქეროდა სახეში, ან კიდევ ამინდზე ესაუბრებოდა ბედრის.

ბოლოს, მაჯიდე იძულებული გახდა ბოლო მოეღო ამ გაურკვეველი მდგომარეობისათვის, მომავალზე კი მხოლოდ ამის შემდეგ ეფიქრა. ერთხელ როცა ბაიაზეთის მოედანზე ყავახანასთან უნდა შეხვედროდა ბედრის, თან ომერისადმი მიწერილი წერილიც გაიყოლია. მაჯიდე წერილის გადაცემას დამშვიდობებისას, ზედამხედველისაგან ფარულად აპირებდა.

შუაღდე იქნებოდა, მაჯიდე სახლიდან რომ გამოვიდა. ბედრისთან ერთად რომელიმე იაფფასიან სასადილოში უნდა ესადილა, მერე ორ საათზე ციხეში წავიდოდნენ. ტრამვაით მიდიოდა ახალგაზრდა ქალი და ჯიბეში ხელის ჩაყოფისა ეშინოდა, ოთხად გაკეცილ წერილს არ წავაწყდეო. „მე არ მინდა ჩავიდინო ასეთი რამ, — ფიქრობდა ქალი, — ეს ხომ ძლიერი დარტყმა იქნება მისთვის. იქნებ ჯერჯერობით კვლავ ვჭირდები... თუმცა ეს რა დარტყმაა? ვითომ ვჭირდები კი? ჩემს მიახლოებაზე შუბლს შეიკრავს ხოლმე, ჩემთან სერიოზული საუბარი ზედმეტად მიაჩნია... პირველად მან დაიჭირა თავი შორს და არა მე. არა, ამაზე არ ვუბრაზდები... მაგრამ ასე დაუმსახურებლად რატომ მტკენს გულს? უთუოდ გადავცემ ამ წერილს და იმასაც ვეტყვი, თუ როდის დავწერე, დაე, იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება მის დაპატიმრებამდე მივიღე.

ვითომ არა ვბრაზობ მასზე? იყო მართალი და უცებ დამნაშავე აღმოჩნდე, ასეთი რამ ხომ ყველას გამოიყვანდა მოთმინებიდან... საინტერესოა, მაინც რას ფიქრობს ჩემზე? ყოველთვის, ჩვენი შეხვედრის დასასრულს, როცა წამოსვლას დავაპირებთ ხოლმე, ბედრის რაღაცეებს ჩასჩურჩულებს ყურში, ბედრიც თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. ვგრძნობ, ჩემზე ჩურჩულებენ, მაგრამ მრცხვენია ვკითხო რას ელაპარაკება... ბედრი ბევრ რამეს აკეთებს ჩვენთვის, როგორ მსხვერპლს იღებს მაშინ, როცა არ არის ვალდებული. აგერ უკვე ორი კვირაა, მე და ომერს ფულით გვამარაგებს. ის ორისამი ლირა, ომერი რომ ყოველ მისვლაზე მაძლევს, რასაკვირველია, ბედრისეულია. ამის მისახვედრად დიდი ამბავი არ არის საჭირო. აბა, საიდან მოიტანდა ციხეში ფულს, ბედრის იმისაც კი რცხვენია, რომ თვითონ მომცეს ფული. რამდენი რამითა ვარ დავალებული მისგან, უფრო სწორად, ჩვენ ორივენი ვართ მისგან დავალებული“.

მაჯიდე ტრამვაიდან ჩამოვიდა. ბაიაზეთის მოედანზე ყველა ყავახანა ხალხით იყო სავსე. მაჯიდე მაგიდებს შორის ძლივს იკვლევდა გზას და ბედრის დაეძებდა, მაგრამ იგი არსად ჩანდა. „აქ რომ იყოს, უმალ დამინახავდა,“ — გაიფიქრა მაჯიდემ. მაგიდასთან მჯდარი მამაკაცების მოხეტიალე მზერა, უსიამო, უცხო ხელების შეხების შეგრძნებას გვრიდა ქალს და გულს ურევდა. მაჯიდე დაბნეული ათვალიერებდა იქაურობას, ერთ-ერთ მაგიდასთან პროფესორი ჰიქმეთი და მისი ამფსონები შენიშნა. აქ იყვნენ პოეტი ემინ ქიამილიც და პუბლიცისტი ისმეთ შერიფი, ჟურნალისტი ჰუსეინ ბეი ტრიკტრაქს ეთამაშებოდა ქველმოქმედი საზოგადოების თავმჯდომარეს. მაჯიდეს თვალები უცებ პროფესორის თვალებს შეხვდა. ბრბოს თავხედური მზერით გაბრუებულმა ქალმა უხერხულად გაიღიმა და რაღაც ინსტინქტით იმათი მაგიდისაკენ გაემართა, მაგრამ პროფესორი ჰიქმეთი უცებ შებრუნდა და უჩვეულო ყურადღებით დააცქერდა ჟურნალისტ ჰუსეინ ბეისა და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის თამაშს. როგორც ჩანს, პროფესორმა ჰიქმეთმა სხვებსაც ჩაულაპარაკა რაღაც, რადგან ყველამ, ვინც უკვე დაინახა მაჯიდე, პირი იბრუნა, ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ქალი არც შეუნიშნავთ. მაჯიდე სახტად დარჩა. მან უცებ ვერ გაიგო, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი უზრდელობა ამ კეთილშობილი, მგრძნობიარე და კეთილსინდისიერი სწავლული კაცისაგან. ამ თეთრ-თხუთმეტი დღის უკან პროფესორი ხომ უდიდესი მოწიწებით ექცეოდა. მაგრამ, როცა გაახსენდა, ახლა იგი პატიმრის მეუღლეა, გაუცინა:

— ღმერთო ჩემო, მათ ეშინიათ ჩემის!

სწორედ ისევე, როგორც მაშინ, კაზინოში, ქალს არც გაჰკვირვებია და არც გაბრაზებულა. სხვას რას უნდა ელოდე ამ ადამიანებისაგან, რომლებშიც არაფერია ადამიანური? როგორ მოუნდა სულ სხვა ადამიანებში მოხვედრილიყო, სხვა ხალხთან ჰქონოდა ურთიერთობა. მან არ იცოდა და ვერც გეტყოდათ, თუ რანაირი უნდა ყოფილიყვნენ ეს სხვა ადამიანები. ქალი ძლიერმა სურვილმა შეიპყრო ახლავე წასულიყო აქედან და არ დაენახა ეს საზიზღარი სახეები. უეცრად შემობრუნდა და ბედრის მოჰკრა თვალი, რომელიც ღიმილით მოდიოდა მისკენ და ხელს უქნევდა.

მაჯიდემ და ბედრიმ ერთმანეთი დაარწმუნეს, რომ არა შიოდათ და პირდაპირ სულთან აჰმედის მოედნისაკენ გაემართნენ.

მაჯიდემ ვერ მოითმინა და ღელვებით უთხრა ბედრის:

—ნეტავი ერთი გენახათ ეს პროფესორები და ჟურნალისტები... როგორც კი დამიხახეს, ზურგი მაქციეს და აჩურჩულდნენ. „თუ ღმერთი გწამთ, იქით ნუ გაიხედავთ, აქეთ მოდისო“, თქვა, ალბათ, პროფესორმა ჰიქმეთმა; ჯატებივით აიბუზნენ. იცით, ხუთი წლის რომ ვიყავი, ბებიას ოთახში შევდიოდი და ლოცვისას მასთან გამოლაპარაკებას ვცდილობდი. ბებია ზურგს შემაქცევდა. ხოლმე, მეც მაშინვე მეორე მხრიდან მოვუვლიდი. საბრალო ბებია იმის შიშით, სიტყვები არ შემეშალოსო, რაც შეეძლო ხმამაღლა და მტუქსავი ტონით იწყებდა ყურანის კითხვას. ბებიაჩემის ეს საქციელი ყოველთვის სიცილს მგვრიდა. პროფესორ ჰიქმეთისა და მისი ამფსონების მოქმედებამ ბებიაჩემი გამახსენა. ისინიც ასევე მოუქნელად ნაძალადევად ცდილობდნენ არ შევემჩნიე, თუმცა ცოტა დამნაშავე მეცა ვარ, მათთან მისვლა რომ დავაპირე. ბედრი ხომ არ დაგინახავთ-მეთქი, მინდოდა მეკითხა.

ბედრი ღიმილით უსმენდა მაჯიდეს. ბოლოს ჩამადაბლა და მშვიდად თქვა: — მაჯიდე, ამ ვაუბატონებზე გაბრაზება მათთვის მეტისმეტად დიდი პატივია!

ახალგაზრდა ქალმა შეამჩნია, რომ ბედრიმ მას უბრალოდ, სახელით მიმართა, მაგრამ ვაჟის ლაპარაკის ტონში გულითადობა, უფრო კი მასწავლებლის ან უფროსი ძმის შემწყნარებლობა იგრძნობოდა. „მით უკეთესი“, — გაიფიქრა მაჯიდემ, რადგან ახლა მას გარდა ომერისა, არავისთან შეეძლო გულწრფელად ლაპარაკი, თუმცა გულახდილობა არც ომერთან შეეძლო.

—ესენი გაორებული ადამიანები არიან, — განაგრძობდა ბედრი, — ჩინ-მედლებისა და თანამდებობების გავლენით შინაგანი წონასწორობა უკარგებათ. ყოველი მათგანი — ჭკვიანებიც და განათლებულებიც, უვიცებიც და სულელებიც მხოლოდ შებრალების ღირსნი არიან. თითოეული მათგანის თავი ნაგავით გატენილ ტომარასა ჰგავდა. ყველაფერი ყალბი აქვთ — რწმენა, გრძნობა, ხასიათები. უბრალო ადამიანი — რომელიმე უწიგნური გლეხი ან მუშა ათი ფაფვით მაღლა დგას ამათზე. მათი ცხოვრება უფრო მიზანსწრაფულია, რადგან ომელიმე ჰასან-აღა ფიქრობს და ცხოვრობს ისე, როგორც მხოლოდ იგი იფიქრებდა და იცხოვრებდა. მას მუდამ ხაკუთარი რწმენა და შეხედულებები აქვს, რადგან იგი ცხოვრების ვირადი გამოცდილების ნაყოფია. ასეთი ადამიანი ყველაფერს თავისი სახელით აკეთებს და აძბობს, ხოლო ამ ვაუბატონებს კი არაფერი

აქვთ საკუთარი. ის, რასაც საკუთარ აზრებად ასაღებენ, მხოლოდ სხვათა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა ნამსხვრევებია და მეტი არაფერი. ასეთი რამეებით აქვთ ტვინი გამოტენილი და ვერაფრით ვერ გადაუხარშავთ. მაგალითად, მეჰმედ ბეი ვერაფრით ვერ ილაპარაკებს ისე, როგორც უნდა ელაპარაკა თვით მეჰმედ ბეის. ეს მის შესაძლებლობებს აღემატება. პოლიტიკაზე რომ დაუწყებ ლაპარაკს, იმ წუთში რომელიმე ფრანგულ გაზეთში წაკითხულ სტატიას ან იტალიელი თუ გერმანელი დიქტატორის სიტყვებს მოიშველიებს. მუსიკაზე რომ ჩამოაგდებ სიტყვას, იქვე, ღმერთმა იცის რომელი უცხოური წიგნის თარგმანს ან მუსლიმანი მუსიკათმცოდნის თხზულების ნაწყვეტებს მოგასმენინებს. სხვის აზრებს იმეორებს მაშინაც კი, როცა ამბობს, ესა თუ ის კერძი მომწონსო, იგი არასოდეს არ გამოთქვამს თავის აზრს, თუ არ გაიხსენა, რა კერძი უყვარს ამა თუ იმ ცნობილ პიროვნებას. ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში ვარდება. მის რწმენასა და შეხედულებებს არ გააჩნია ერთი მთლიანობა, ამიტომ ისინი მუდამ იცვლებიან და იმსხვრევიან, მისი ცოდნა და აზრები არ წარმოადგენენ ერთ მთლიან სახეს ადამიანისას. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ წარმოგვიდგინონ თავი ჭკვიან კაცებად, მაგრამ არც ერთ ამათგანს არ ესმის, რომ კაცს ადამიანად ხდის მსოფლმხედველობის მთლიანობა და რწმენა, რომელსაც მიაღწევ ისტორიის გამოცდილებათა და მეცნიერებათა განზოგადოებით. აი, რატომ არის, რომ ასეთ ადამიანებზე ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გაიგონებ ხოლმე. ერთნი ამბობენ, შტერიაო, მეორენი — ჭკუის კოლოფიაო, მესამენი გაიძახიან, უზნეოაო, სხვანი კიდევ — პატიოსანიაო, და ასე შემდეგ. ამბობენ ესა და ეს კარგი აქვს, ესა და ეს კიდევ ცუდიო. დღემდე ვერ გაუგიათ, რომ ადამიანი გონების, ცოდნის, ლოგიკის, მორალის თავმოყრაა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამათი მთლიანობა. რამდენადაც მრავალსახოვანი არ უნდა ჩანდეს ადამიანი, ყველა მისი თვისება მაინც ერთ წერტილში იყრის თავს და ერთ ჰარმონიას ქმნის. და აი, ამ ჰარმონიულ ერთიანობას ვეძახით პიროვნებას. ამიტომაც არის, რომ მოსაწყენად მეჩვენება და მეზიზღება ეს მერყევი, ყალბი, საბრალო და სასაცილო კაცუნები. მე ყოველთვის ვცდილობ თავი ავარიდო მათთან შეხვედრას. ერთი მოსწავლე მყავს, მუსიკას ვასწავლი, შვიდი წლისა იქნება. ეს პატარა ბავშვი, მშობლებს უკვე თუ არ მოუსწრიათ მისი შერყვნა და თავისუფალი განვითარების საშუალება მისცეს, გაკი-

ლებით საინტერესოდ მიმაჩნია. ვიდრე ეს გამოჩენილი პუბლიცისტები და მოაზროვნეები. რომელიმე ოფიციანტს, მენავეს გაცილებით უკეთ შეუძლია აზროვნება, ნანახისა და გაგონილის ათვისების უხარიც უკეთესი აქვთ, ვიდრე ჩვენს ინტელიგენტს. როცა რომელიმე მენავეს ვესაუბრები, ძალიან ბევრს საინტერესოს ვგებულობ და ჩემს წინაშე ვხედავ არა მოლაპარაკე თოჯინას, არამედ ადამიანს. ერთი შეხედვით თქვენ მოგეჩვენათ, რომ ეს ადამიანები სხვებს არა ჰგვანან, მაგრამ თანდათანობით დარწმუნდებით, თუ რას წარმოადგენენ...ნუ გაოცდებით... უკაცრაული პასუხია, მათი უხეშობაცა და თავხედობაც. ყოველ მათგანს ინტელიგენტად მოაქვს თავი, არც ერთი მათგანი იქამდეც კი არ ამაღლებულა, რომ ღირსი იყოს ადამიანად წოდებისა იმისათვის, რომ საზოგადოებაში თავისი ავტორიტეტი და მდგომარეობა შეინარჩუნონ, მთელი ენერგიით ჩაებღაუჭონ ინტელიგენტის წოდებას, არ თაკილობენ ათასგვარ თაღლითობას, შარლატანობას და, ბუნებრივია, ინტრიგანებად და ქურდბაცაცებად იქცევიან. ყოველდღიურად ერთიმეორის არარაობას ამხელენ და ამით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ასეთია მთელი სამყარო... მაგრამ საბედნიეროდ ასე როდია, ყველა მათ როდი ჰგავს... არიან ქვეყნად ადამიანები, ცხოვრებაში წინააღმდეგობით სავსე და რთული გზით რომ მიდიან, მაგრამ ცდილობენ გახდნენ ადამიანები ამ სიტყვის მთელი გაგებით... იქნებ ასეთი ადამიანები ცოტანი არიან, თუ მათ ჯერ კიდევ ვერ გამოიჩინეს თავი, ეს არ გვაძლევს იმის ფიქრის უფლებას, რომ ერთ მშვენიერ დღეს სიკეთე, სამართლიანობა და ადამიანური ღირსებანი არ იზეიმებენ. ისინი, ვინც დღეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა პირობებში შრომობენ, ხვალ ერთ ძალად იქცევიან, შეერთდებიან და ხელთ ექნებათ ყველაზე ძლიერი იარაღი — სამართლიანობა!

მაჯიდე გაოცებული შესცქეროდა მის გვერდით მომავალ ადამიანს. მან ახლა შეამჩნია, რომ ბედრისთვის ხელკავი გაეკეთებინა, ვინ იცის, რამდენ ხანს მოდიოდნენ ასე! მაჯიდეს ბედრისთვის ნიდაყვს ზემოთ, ზუსტად ისე მოეკიდნა ხელი, როგორც ამას ომერის გვერდით ყოფნისას აკეთებდა.

მაჯიდემ სწრაფად ჩამოიღო ხელი. ბედრიმ საყვედურით შეხედა ქალს. ქალმა თავი დახარა.

ეს კაცი, მის გვერდით რომ მოდიოდა, გამუდმებით ლაპარაკობდა. მაგრამ ახლა ამ ლაპარაკით მაჯიდე არ თვრებოდა ისე, როგორც

ომერის საუბრის მოსმენისას მოსდიოდა ხოლმე; თვალებიდან რაღაც ბინდი ეცლებოდა, ნებისყოფა კი არ უდუნდებოდა, პირიქით, უმტკიცდებოდა.

საპატიმროს შიუახლოვდნენ. მაჯიდეს უცებ ჯიბეში ჩადებული წერილი გაახსენდა, სუნთქვა შეეკრა და კვლავ ხელი გაუყარა ბედრის.

საპატიმროში გაუთვალისწინებელი ახალი ამბავი დახვდათ. ზედამხედველი რომელიც უკვე იცნობდა მათ, ბედრის მიუბრუნდა და უთხრა:

— ომერ-ბეის სანახავად მოხვედით, არა?! ჰოდა, გთხოვთ, რომ მხოლოდ თქვენ ნახოთ. მხოლოდ თქვენთან სურს შეხვედრა, თუ ქალბატონი არ წავა, მე არ გამოვალო, ასე მითხრა.

ნათქვამმა ორივენი გააოცა: პირველად მაჯიდე მოვიდა გონს და ბედრის უთხრა:

— კარგი, თქვენ დარჩით. მე წავალ, და სადაც მეტყვით, იქ დაგელოდებით... მერე მიამბეთ ყველაფერი.

შეთანხმდნენ. მაჯიდე, სულთან აჰმედის მოედანზე, ერთ-ერთ ყავახანაში დაელოდებოდა ბედრის... მაჯიდე ამაყად, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა გასასვლელისაკენ.

ზედამხედველმა ომერი შემოიყვანა. იგი კვლავ გაუპარსავი იყო. და იმ ავადმყოფივით, რომელსაც ლაპარაკის თავიც არა აქვს, ხელით ძოუხმო ბედრის. პირისპირ დასხდნენ.

—ჩემო ბედრი ყველაფერს მოკლედ გეტყვი, — უცებ დაიწყო ომერმა, — დრო ძალიან ცოტა მაქვს. ყურადღებით მისმინე და ნუ შეეწინააღმდეგები. თუ გიყვარვარ, და მე ვიცი, რომ გიყვარვარ, თუ მაჯიდე გიყვარს, რასაც მე ვხვდები, ისე მოიქეცი როგორც გეტყვი. ეს გადაწყვეტილება ამ წუთში კი არ მიმიღია, როგორც ეს წინათ მემართებოდა ხოლმე. უკვე ათი დღეა ამაზე ვფიქრობ. ათი დღეა ანგარიშს ვუსწორებ საკუთარ თავს და აღმოჩნდა, რომ ყველას მიმართ ვალში ვარ. ნუ გეცინება... სერიოზულად გელაპარაკები და არცა ვტყუი. სადაცაა ოცდაათი წლისა გავხდები და აი დავფიქრდი: რა გავაკეთე ამ ხნის განმავლობაში? არაფერი! სრულიად არაფერი გამიკეთებია ცხოვრებაში. რა უნდა იყოს ამაზე უფრო საშინელი და სამარცხვინო! უკანასკნელ წუთამდე ვცდილობდი საკუთარი თავის გამართლებას, მინდოდა ჩემი თავისათვის ჩამეგონებინა, რომ არაფერი ცუდი არ გამიკეთებია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შემთხვევით არ

ჩამიდენია ცუდი საქმეები. ხოლო, როდესაც შემთხვევა მომეცა, ცხოვრების პირველმა დარტყმამ ყირამალა გადამატრიალა. თუ ადამიანებს ცუდ საქმეს არ ვუკეთებ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაიკაცობას. არ შეიძლება სულში გქონდეს ისეთი რამ, რაც საძაგლობისკენ გიბიძგებს. ჩემს სულში კი ასეთი სისაძაგლე ბევრი აღმოჩნდა. იქნებ ეს ყოველ ადამიანში ბუდობს, მაგრამ ნამდვილი ადამიანი მოვალეა თავისი სულიდან განდევნოს იგი ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავის თავშივე ჩაჭკლას. მისი ხელშეუხებლობა კი ნიშნავს, ხელი შეუწყო ამ ავის გამარჯვებას. ოდესმე მაინც წამოჭყოფს თავს. ქადაგებას არ ვაპირებ. უბრალოდ მინდა გითხრა, რომ სხვებზე უფრო გაოცებული მე ვარ, როგორ მოხდა, რომ მე, კაცმა, რომელსაც ამხანაგები უჭკუოდ არა მთვლიდნენ, ასე უაზროდ და სულელურად გავატარე ჩემი ახალგაზრდობა. თავდაპირველად ამას ვერც კი ვამჩნევდი. მე უბრალოდ ვცხოვრობდი ჩემს ამხანაგებს შორის, რომელთაც ძალიან ჭკვიან და გენიალურ პიროვნებად მიაჩნდათ საკუთარი თავი. მე კი, დაბრმავებულს მათი ქედმაღლობითა და საშინელი უგუნურებით, მეგონა, ყველაფერი ეს საკმარისი იყო ცხოვრებაში. არც მიზანი მქონდა და არც რწმენა. მთელი ჩემი გონების ძალას წუთიერ გასართობებზე ვკარგავდი, მომავალზე კი არასოდეს მიფიქრია. გონებამახვილური პასუხი და ხუმრობა, — აი, რა იყო მთავარი ჩემთვის, ამან ჩემი ცხოვრება წინააღმდეგობრივი და სულელური გახადა. ბოლოს კი, სიცხვილის გრძნობაც დავკარგე. როცა ჩემი დაუფიქრებელი სიტყვები და საქმეები ჩემს საწინააღმდეგოდ მომიტრიალდებოდა, საკუთარ თავს ვუმტკიცებდი, რომ მე ასე არ მინდოდა და ყველაფერს ჩემს სულში ჩაბუდებულ ეშმაკს ვაბრალებდი. იმის შიშით, რომ თავს ვერ გავიმართლებდი, მთელს პასუხისმგებლობას ამ ეშმაკს ვაკისრებდი. ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი თავი დამეგმო, სხვებში ვეძებდი თანაგრძნობასა და შებრალებას, როგორც უიღბლო ხელმოცარული კაცი, ან როგორც ბედისაგან განაწყენებული თუ უსამართლობისაგან დაბეჩავებული გლახა. თუმცა ეშმაკი რა შუაშია, ან რომელ ეშმაკზე ვლაპარაკობ? ეს იყო ყეყეჩური გამონაგონი, რომლითაც საკუთარ სინდისს ვიმშვიდებდი. ეშმაკი ჩვენს სულში... ეს არც თუ ისე ეშმაკური ფანდია. არავითარი ეშმაკი არ არსებობს ჩვენს სულში, არის მხოლოდ უმწეობა, სიზარმაცე, უნებისყოფობა და, რაც მთავარია, სიმართლისადმი თვალის გასწორების შიში. მე არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ჩვენ გადავეჩვიეთ ფიქრს, ჯერაც ვერ

შევეჩვიეთ მოშვებული ტვინის დაძაბვას, საჭიროდ არ მიგვაჩნია ნებისყოფის გამოჩენა და ბოლოს და ბოლოს სავსებით უნებისყოფოხი ვხდებით. ვემსგავსებით იმ ნავს, ზღვაში უიალქნოდ და უსაჭეოდ რომ დაცურავს. ხოლო, როცა თავდაყირა გადავტრიალდებით, რაღაც უხილავ, ზებუნებრივ ძალებსაც ვდებთ ბრალს.

მთელს ჩემს ცხოვრებას, ალბათ, ასე გავატარებდი, რომ შემთხვევას მაჯიდესთან არ დავეკავშირებინე. ახლა არ დავიწყებ ლაპარაკს იმაზე, თუ როგორ მიყვარს იგი. მგონია, რომ ასე არავინ და არასოდეს არ შემიყვარდება. მაჯიდეს ხასიათში ისეთი თვისებები შევნიშნე, რომლებსაც წლების განმავლობაში ვეძებდი ადამიანებში, მაგრამ ვერ მეპოვნა და პოვნის იმედიც აღარა მქონდა. მასში დავინახე ადამიანი, რომელიც ჩვენ არა გვგავს. მაჯიდე ისეთია, როგორიც ნამდვილად უნდა იყოს ადამიანი. მე მმართებდა გარდაქმნა, რათა მისი ღირსი გავმხდარიყავ, მაგრამ ვერ შევძელი. ყველაფერს ჩვენს სულში გამეფებულ ეშმაკს ვაბრალებდი, სინამდვილეში კი ზარმაცი და უნებისყოფო ვიყავი და მეტი არაფერი. თავს ვერ ვიკავებდი, საჭიროების ჟამს ჭკუას არ ვუხმობდი. მეგონა, ნამდვილ კაცურკაცობას, ~~ადამიანობას~~ პრიმიტიული, ბავშვური თავისუფლება სჯობდა. მაჯიდე ძალიან შიყვარდა, მაგრამ უსიამო შეგრძნებას მგვრიდა იმის გახსენება, რომ სხვა ადამიანზე ვიყავი დამოკიდებული. არ შემეძლო, რომ ქუჩაში გავლილი ყოველი ქალი თავიდან ფეხებამდე არ შემეთვალიერებინა. თუმცა არც ისე დავცემულვარ, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პატიოსანი ვარ, — მაჯიდე მუდამ სიკეთისაკენ მიბიძგებდა ხოლმე. თუმცა იმ ღამემ, ქველმოქმედების საზოგადოებაში რომ ვიყავით, სულ მომიღო ბოლო. საკმარისი იყო ძველი ნაცნობ-მეგობრების, იმ გოგონების დანახვა, რომლებთანაც უნივერსიტეტის დერეფნებში ვლაქლაქებდი და სხვადასხვა საღამოებზე ვერთობოდი ხოლმე, რომ ყველაფერი დამვიწყნოდა. ეს მეგობრები ჩემი წინანდელი ცხოვრების ცოცხალი განსახიერება იყო, რომელიც ასე ღრმად იჯდა ჩემს მეხსიერებაში. ალბათ, მაჯიდემ ყველაფერი გიამბო კიდეც... საზიზღრად დავთვერი. მაჯიდეს თვალწინ უხამსად ვიქცეოდი. ჩემი მეუღლე ამ განსაცდელსაც აიტანდა, რომ მხოლოდ ეს ჩამედინა და მეტი არაფერი. მე უფრო ძირს დავეშვი. მაჯიდეს გულს ურევდა ამ საძაგლობის ცქერა. მე კი ავდექი და მარტო დავტოვე. ესეც არ ვაკმარე. აშკარად ვაგრძნობინე, რომ ადამიანები, რომლებიც მას ზიზღს ჰგვრიდა, საძაგლები

კი არა, ჩემი ახლობლები იყვნენ. ამის გამოსწორება კი აღარ შეიძლებოდა. იმ საღამოს, კონცერტის დაწყებამდე, შენ რომ გისმენდი, ვგრძნობდი, რომ ჩემთვის ბევრი რამ ნათელი გახდა და გადავწყვიტე ერთხელ კიდევ გამომეცადა თავი. მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება უმალვე დამავიწყდა. აუცილებლად უნდა შევცვალო ჩემი ცხოვრება, მეც შევიცვალო უნდა, მაგრამ როდის შევძლებ ამის გაკეთებას? მრავალი წლის შინაგანი ბრძოლის შემდეგ? თუ ცხოვრების გარდაქმნას ვერ მოვახერხებ და კვლავ გავაგრძელებ უაზრო არსებობას? როგორც არ უნდა იყოს, მაჯიდეს ამ დღეში დატოვება დანაშაულს ნიშნავს. მე არ მსურს მაჯიდე გავიყოლიო იმ გზაზე, რომელიც არ ვიცი, საით წამიყვანს. მასაც რომ სურდეს, მაინც არ ვიზამდი ამას... როდესაც ჩემი ცხოვრების განვლილ გზას გადავხედე და ყველაფერი შევაჯამე, თურმე იმდენი ცოდვა ჩამიდენია. რომ ადამიანების თვალებში შეხედვისაც შემრცხვა. თუნდაც ის ბოლარე... ნეტა რა მოუვიდა? დიდხანს ვეძებე, თანაც ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს. მისი სახლი მოვნახე და კარგა ხანსაც ვუტრიალე შორიახლო. დავინახე მისი ცოლის გაწამებული სახე და ნაღვლიანი ბავშვები. სად დაიკარგა? დაეხეტება ქვეყნად და ადამიანებს წყევლის, თუ სამუდამო ძილით განისვენებს ზღვის ფსკერზე და ტალღები ეალერსებიან წყალმცენარეში მოქცეულ მის ჭაღარას? მხოლოდ მარტოობასა და მძიმე შინაგან ბრძოლას შეუძლია ჩამომაშოროს ეს სიბინძურე, მაგრამ სხვისი გაჭუჭყიანებაც არ მინდა... აი, ჩვენი ქორწინების მოწმობა, ჯერ ხელმოწერილიც არაა. თუმცა ახლა ამას არცა აქვს მნიშვნელობა. დავხევ კიდეც. მხოლოდ აი, ამ ჰატარა სურათს დავიტოვებ. ვფიქრობ, ეს სისუსტე მეპატიება.... შეიძლება შემეკითხონ: „რას იზამს ახალგაზრდა ქალი უშენოდ, როგორ იცხოვრებს?“ მგონი, შენ მაინც არ იკითხავ ამას... ვიმედოვნებ, ყველაფერს მოაგვარებ. როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით. გინდა დასავით მიიღე და გინდა ცოლად შეირთე. ჩათვალე, რომ მე აღარ ვარსებობ ამქვეყნად. ჩვენ სულ სხვადასხვა გზებით ვივლით და სხვადასხვა სამყაროში ვიცხოვრებთ.. მე შევეცდები გავხდე ადამიანი... ათი წლის წინ ერთმა ჩემმა მასწავლებელმა მითხრა: „ლოთივით ფლანგავ შენს ნიჭსო“. მართალიც იყო. უჭკუოდ ვიქცეოდი და ბოლოს: გავკოტრდი, აღარაფერი დამრჩა. ასე მეგონა, ჩემი გონება რადიუმივით დაუსრულებლად გამოასხივებდა ენერგიას, ის კი არ მიფიქრია, რომ გონება ოღონდ ადამიანმა უნდა გაამდიდროს და განავითაროს. ვცდილობ-

დი, საინტერესო პიროვნება ვყოფილიყავ, მაგრამ არასოდეს მიცდია ადამიანი გავმხდარიყავი. საქმის გაკეთების სურვილი არასოდეს მქონია, თუმცა მაღლა ასვლა ვი მინდოდა, რომ ზიზღით გადმომეხედა მოფუსფუსე ადამიანებისათვის... რას წარმოვადგენ ახლა მე დროისა და სამყაროს უსამართლობაში? საბრალო ჭიაღუა, სარეველა ბალახი... არა, უფრო უსარგებლო და ფუჭი ქმნილება...

ომერი შეჩერდა, გაოგნებული იყო, თვალები უელავდა, ხახა გაშრობოდა. ყვრიმალზე კანი ისე დაჭიმვოდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ დაუსკდებაო. ბედრის უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ ომერმა უმალ გამოსტაცა ხელი და განაგრძო:

— დღეს მათავისუფლებენ. პროკურატურიდან უკვე მოვიდა მოწერილობა, ციხის უფროსი საბუთებს აფორმებს და მალე მეც თავისუფალი ვიქნები. აი, ამიტომ გავაბრუნე მაჯიდე უკან. ვიფიქრე, თუ აქედან ერთად გავალთ,მერე ვეღარ დავშორდები-მეთქი... უკანასკნელად მაინც მინდოდა მენახა, მერედა, როგორ მინდოდა!

ხმა აუკანკალდა, შეთეთრებულ ჭერს მიაცქერდა, მერე კვლავ ძალა მოიკრიბა და განაგრძო:

— ხომ გესმის, ბედრი? არც შენა და არც მაჯიდემ არ უნდა მეძებოთ... ამ თხოვნაზე უარს ნუ მეტყვით. იქნებ ბალიქესირში წავიდე, ან რომელიმე შორეულ კუთხეს შევეფარო, რომ საკუთარ თავს მივხედო. შეიძლება, ისეთ ხალხშიც მოვხვდე, რომელიც ჩვენ არ გვგავს და ახალი ცხოვრება დავიწყო. მთავარია, წარსულთან სულ გავწყვიტო კავშირი. ვინ იცის, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ სულ სხვაგვარ ადამიანებად შევხვდეთ ერთმანეთს და ღიმილით გავუწოდოთ ხელი. მაჯიდეზე აღარაფერს გეტყვი, მის თავს გაბარებ და არც არაფრის შიში მაქვს. ვიცი, ჩემზე ნაკლებ არ გიყვარს და ჩემზე უკეთესი იმედი იქნები მისთვის. თანდათანობით შეგეჩვევა. მაგრამ საჭიროა ცოტა დრო.

სხვა მამაკაცს, იქნებ არც დაუკავშირდეს. ამას, ალბათ, შენცა გრძნობ. იყავი მისი მკურნალი, ბედრი. გეფიცები, რომ ქვეყნად არ არის სხვა უფრო გასაოცარი და უჩვეულო ადამიანი, ვიდრე მაჯიდე. გეფიცები, მასზე მშვენიერი ქმნილება ამქვეყნად არ არსებობს, დააფასე იგი.

ომერი წამოდგა და ბედრის ზურგი შეაქცია. ზედამხედველმა საშვი გაუწოდა ომერს. ომერი გასასვლელისაკენ გაემართა.

ბედრიც წამოდგა და ომერს გაჰყვა. ქუჩაში გამოსვლისთანავე

შეჩერდნენ. ომერმა ხელი გაუწოდა. ბედრი ნაცვლად იმისა, რომ ხელი გაეწოდებინა, ყელზე მოეჭიდა. ერთმანეთს მოეხვივნენ. ბედრიმ იგრძნო, რომ ომერი ცახცახებდა.

ომერს ხმაც არ ამოუღია, ისე გაშორდა ბედრის და ზღვისაკენ მიმავალ შესახვევს დაადგა. ბედრიმ კი იმ ყავახანისაკენ გასწია, სადაც მაჯიდე ელოდა.

იგი არ ფიქრობდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, როგორ მოეთხრო მაჯიდესათვის ყველაფერი ეს. მხოლოდ ომერზე ფიქრობდა, მეგობარზე, რომელიც კიდევ უყვარდა მაჯიდეს და, ალბათ, ალბათ ეყვარებოდა, მიუხედავად ყველაფრისა, ომერი უფრო ბედნიერად მიაჩნდა, ვიდრე თვითონ იყო.

მაჯიდე შესახვედრად წამოდგა:

— რას მეტყვი?

— ომერი გაანთავისუფლეს, მაგრამ... წავიდა — ბედრი გაჩუმდა და შესაფერ სიტყვებს დაუწყო ძებნა. მერე შებრუნდა და, ჩაიბუტბუტა, — არც შენ, არც მაჯიდემ არ მეძებოთო, ასე თქვა. მარტობა და ახალი ცხოვრების დაწყება სურს. საკუთარი თავის ძლიერება არა სწამს, რომ შენი ბედის პასუხისმგებლობა იდოს თავს.

ბედრი კვლავ გაჩუმდა. მაჯიდე გარინდებული შესცქეროდა სახეში. გასასვლელისაკენ გაემართნენ; უხმოდ მიაბიჯებდნენ ერთმანეთის გვერდით.

— ცხადი იყო, რომ ეს ამბავი ასე დამთავრდებოდა, — ხმადაბლა თქვა ბედრიმ.

— სწორია, — უპასუხა მაჯიდემ, თითქოს თავისივე ფიქრებს პასუხობსო.

ბედრის კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ გაბედა. მაჯიდემ მისი ტუჩების მოძრაობა შენიშნა და ჰკითხა:

— რა თქვით?

— არაფერი, ახლა თქვენთან წავიდეთ, ომერის ბარგს შეკრაკ და იქ წავიღებ, სადაც უნდა მივიდეს. მერე... კი...

მეტი ვეღარაფერი თქვა. მაჯიდე ყურადღებით მისჩერებოდა, კიდევ რას იტყვისო. ამან გაამხნევა ბედრი.

— ჩემი და კვდება... ექიმები ამბობენ, ორი სამი დღე თუ იცოცხლებსო. მერე კი, ჩემთან გადმოხვალთ, დედაჩემის ნუგეში შენ იქნები.

ბედრის უცებ შეეშინდა, თითქოს რაღაც სულელურად, უადგილოდ თქვა. გულის ცახცახით ელოდა ქალის პასუხს.

— იმედს ნუ დაკარგავთ, — მშვიდად და უბრალოდ უპასუხა მაჯიდემ, — თქვენი და ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მე მოვუვლი...

ბედრის სიტყვებში იგრძნობოდა, რომ მას ჯერ კიდევ არ ღავიწყნოდა თავისი დის უსიამო სტუმრობა და მაჯიდემაც ამიტომ დასძინა:

— მე ყველაფერი დავივიწყე.

მაჯიდეს შეებრალა ბედრი. ხედავდა, რომ იტანჯებოდა. მერე გასამხნევებლად ხელკავიც გაუკეთა...

სულთან აჰმედის მოედნიდან ალემდარის დალმართისაკენ დაეშვნენ. უცებ მაჯიდეს მოეჩვენა, რომ უკან, კეფაზე, ვიღაცამ ხელი დაუსვა, მაგრამ რაღაც ძალა აიძულებდა შებრძოლებოდა ამ გრძნობას, თუმცა ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და შებრუნდა: უკან, ოციოდე ნაბიჯზე ომერი მოდიოდა, მაგრამ მაჯიდეს მობრუნებისთანავე შეტრიალდა და თავდახრილი, მძიმე ნაბიჯებით, ნელ-ნელა შეუყვა ქუჩას.

მაჯიდე შეჩერდა. ბედრის ხელი უშვა. გული სწრაფად, ძალიან სწრაფად უცემდა. თვალწინ გაუელვა სახეებმა, სურათებმა, ადამიანებმა, ფერებმა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. უცებ გონს მოვიდა და კვლავ ბედრის ჩასჭიდა ხელი.

— არა... არა, წავიდეთ!

ბედრიმ ნაღვლიანად შეათვალიერა ქალი და თავი გაიქნია:

— ჰო... წავიდეთ!

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, ბედრი შემობრუნდა, მაგრამ ომერი უკვე აღარსად ჩანდა.

— თქვენ ვერ დაივიწყებთ ომერს, — თქვა ბედრიმ. — თქვენ ვერასოდეს შეძლებთ მასთან განშორებას.

დაფიქრებული მაჯიდე ვაჟს დააცქერდა. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ომერისათვის დაწერილი წერილი ამოიღო.

— არა, ბედრი... მე უკვე დიდი ხანია გადავწყვიტე მასთან განშორება...

მერე ოთხად გაკეცილი წერილი გაუწოდა და ხმადაბლა დასძინა:

— მხოლოდ ლოდინი, დიდი ხნის ლოდინია საჭირო!..

ს ა რ ჩ ე ვ ი

ს ა ბ ა ჰ ა თ ი ნ ა ლ ი — წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა გ უ რ ა მ გ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა 5
ე შ მ ა კ ი ჩ ვ ე ნ ს ს ულ ში
თ ა ვ ი I—X X V I I I 8—260

რედაქტორი ეთერ კეჭაღმაძე
მხატვარი ემირ ბურჯანაძე
მხატვრული რედაქტორი ოთარ ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი გრიგოლ ჯულუხიძე
კორექტორი ცირა ინწკირველი
გამომშვები თინა კანდელაკი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IX-71 წ.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 16,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,62
ტირაჟი 40000 შეკვ. № 627
ფასი 68 კაპ.

გამომცემლობა „მერანი"
რუსთაველის, 42
თბილისი
1972